იოსებ სიბოშვილი

პალიტრა
ნათელ - ბნელისა

თბილისი
2009

«ყველა მეფე ბრძენია და ყველა ბავშვი შიშველი-ო», დიახ, ჩვენ ყველანი ერთნაირები ვიბადებით – შიშვლები, დედიშობილები. მერე ვიწყებთ ცხოვრების ლაბირინთებში გახლართვას, მაგრამ წასვლით კი სხვადასხვანაირად მივდივართ: ზოგი მდიდრულ ბალდახინზე, ზოგი გაურანდავ კუბოში ჩასვენებული და ზოგიც მიწამიუყრელი და უცრემლო. რით დავიმსახურეთ ასეთი დიდება თუ სასჯელი? ვის შეუძლია უპასუხოს კითხვას: სად გავუშვით ბედნიერების წამი, რა შეცდომის გამო ვისჯებით ასე უფლისგან, ან ვის უფრო მეტად უჭირს – მიწას თუ მიწამიუყრელ გვამებს? იქნებ მიწას, რომელიც ცოდვიანმა ადამიანებმა დაამძიმეს და მას კი ეთაკილება და ეძნელება შებილწულ კალთაში ახალი თაობების აღზრდა.

ძნელია ერთმნიშვნელოვნად უპასუხო ყველა ამ კითხვას. სწორედ ეს აწვალებთ იოსებ სიბოშვილის ნაწარმოების გმირებსაც, რომლებმაც მრავალი ქარტეხილი და ჭირ-ვარამი გამოიარეს. ცხოვრებამ ისინი ბევრჯერ გამოიყენა ბრმა იარაღად, ხან კი ნავსივით. უფრო ხშირად კი ბოროტებისთვის დასაგებ მახედ, მაგრამ ისინი სულიერად არ დაცემულან და ყველაზე უტყუარი გზა აირჩიეს – გზა უფლისა.

ავტორს საოცარი სიფრთხილითა და სიფაქიზით მიჰყავს თვით მკითხველიც იმ წმინდა ტაძრისკენ, რომელიც საბოლოოდ იხსნის ჩვენს სულებს და საუკუნო სასუფეველს დაუმკვიდრებს მათ.

ISBN 978-9941-0-1609-7
© იოსებ სიბოშვილი, 2009

«მაშ უყურე: ბნელი არ იყოს ნათელი,
რომელიც არის შენში»

(ლუკა 11,35)

ავტორისაგან

რა არის ჩვენი ცხოვრება? ეს დიდი მდინარეა, განუწყვეტელი ჩქარი დინებით. მისი შეჩერება ან უკან დაბრუნება არავის ძალუძს. ეს საოცარი მდინარე სათავეს იღებს ჩვენი ცხოვრების წყაროდან-უფლისაგან.

ცხოვრება კი იდუმალი შერწყმაა უხილავისა-ხილულთან, მოკვდავისა-უკვდავთან, სულისა-ხორცთან, ზეციური უწონადობისა-მიწიერ მიზიდულობასთან...

ეს საოცარი შერწყმა მხოლოდ ღვთის განგებულებას ემორჩილება და ხილულად მჟღავნდება მაშინ, როდესაც გვანიჭებს ყოველივე იმას, რაც ჩვენი არსებობისთვისაა საჭირო.

ცხოვრება აღსავსეა ამოუცნობი მოვლენებით, უცაბედი აღმოჩენებითა და ტაბუდადებული საიდუმლოებებით, სასწაულის ტოლფასი საოცრებებითა და ბანალური, ერთი შეხედვით მომაბეზრებელი ერთიდაიგივეობით. ეს იგივეობა კი ხან მშვიდი და საწყალია, ხანაც თავის თავით დაღლილი – ჯანყმორეული და მრისხანე – კულმინაციურ წერტილში დიდი ნახტომისათვის რომ განამზადებს ხოლმე საზოგადოებას. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ერთი ადამიანის ცხოვრება უბედურად წარიმართება ხოლმე, ხოლო იმავე ქვეყანაში და იმავე საზოგადოებაში მეორე ადამიანი ყოველდღე ბედნიერია. ეს იმიტომ ხდება, რომ ის, ვინც აქ ბოლომდე შესვა ცხოვრების მწარე ფიალა, მომავალ ცხოვრებაში სრულყოფილი ნეტარებით დატკბეს. მან კი, ვინც ამაო, დროებითი სიამოვნება განიცადა, ბოლოს მაინც სინანულით მიმართოს უფალს. ღმერთი ყოველთვის შეეწევა მას, ვინც მისი მცნებებით ცხოვრობს და ცდილობს სათნოეყოს მას.

ადამიანი თავის თავს რომ ხედავდეს შორიდან, ისე როგორც ამას სხვისი მისამართით აკეთებს, ის ბევრ ნაკლს აღმოაჩენდა. ჩვენდა საუბედუროდ ადამიანთა უმრავლესობა ცხოვრებას «ვარდისფერი» სათვალით უყურებს და თავის ნამოქმედარის გამართლებას ცდილობს, რასაც ხშირად ასეთი სიტყვებით გამოხატავს: «მე ხომ სიკეთეს ვაკეთებ» ან «ჩემს სიკეთეს ვერავინ ხედავს». საკითხავია, თუ ისინი, ანუ უმრავლესობა

სიკეთის შემოქმედია, ჩვენს გარშემო ამდენი ბოროტება რატომ ხდება? ამ ეგრეთწოდებული «სიკეთის» საწყისი ეშმაკია, რომელიც ადამიანს ყოველთვის ცუდი საქმისკენ უბიძგებს. ხოლო ისინი, ვინც თავისი ნამოქმედარის გამართლებას ცდილობს და შესაბამისი ახსნა-განმარტებებით გვაბეზრებენ თავს, საკუთარი ცოდვების არსებობას ვერასოდეს შეიმეცნებენ.

დღეს ადამინთა უმრავლესობა ტაძრის ზღურბლსაც არ არის გადაცილებული, რომ უფალს თავს აბეზრებს ათასნაირი თხოვნით, მატერიალური სიმდიდრის შეძენისა თუ სხვა ყოფითი პირობების გაუმჯობესებისათვის, ხოლო სული ავიწყდებათ. უფალი კი გვეუბნება: «ამიტომაც გეუბნებით თქვენ: ნუ ზრუნავთ თქვენი სულისათვის, რა ვჭამოთ ან რა ვსვათო, ნურც თქვენი სხეულისათვის, რით შევიმოსოთო. განა სული უფო მეტი არ არის, ვიდრე საზრდელი და სხეული- უფრო მეტი, ვიდრე სამოსელი?.. ვინაიდან ყოველივე ამას ეძებენ წარმართნი, და ვინაიდან მამამ თქვენმა ზეციერმა იცის, რომ გჭირდებათ ყოველივე ეს. მაშ, ეძებეთ უპირველესად უფლის სასუფეველი და სიმართლე მისი, და ყოველივე ეს მოგეცემათ თქვენ".(მათე 7.25, 32, 33.)

პალიტრა ნათელ-ბნელისა

(ვუძღვნი ნოდარ ტოგონიძის ხსოვნას)

I

უზენაესი სასამართლოს სხდომათა დარბაზთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ყველანი სასამართლოს განაჩენის მოლოდინში იყვნენ. იყო ხმამაღალი საუბარი, დანაღვლიანებული და სასოწარკვეთილი სახეები. შესვენება თითქოს გაიწელა, ბოლო აღარ უჩანდა. მეორე სართულზე ამოსასვლელ კიბესთან ორნი იდგნენ, ხანშიშესული მამაკაცები ჩანდნენ, სიგარეტს აბოლებდნენ და თვალებით იატაკზე დაგებულ მარმარილოს ფილებს დასცქეროდნენ.

_სამართალი აღარ არის, კაცო?_ამოიხვნეშა ერთ-ერთმა მათგანმა.სიგარეტი ბოლომდე მოქაჩა, მერე ურნაში ჩააგდო და ნიკოტინისაგან გაყვითლებული თითები თოვლივით თეთრ თმებზე გადაისვა, _ სხვამ ფული შეჭამა და ამას იჭერენ.

რას იზამ, ჩემო ირაკლი, ჩაილუღლუღა მეორე მოხუცმა, ისე, რომ თავი არ აუწევია ზევით, _ ამათ ვინმეზე ხომ უნდა შეიწმინდონ ხელები, საქმე რომ ჩამოწერონ.

_მერე ეს რა შუაშია, კაცო?_არ ცხრებოდა ირაკლი.

_ეგრეა, ძმაო. თურმე სიკეთე არ უნდა გაუკეთო კაცს. დღეს სიკეთის მკეთებელ ადამიანს სულელს ეძახიან, _ თქვა მოხუცმა და თავზე ჩამოფხატული ტყავის ქუდი

შეისწორა, _ ახლა ადამიანთა უმრავლესობა საკუთარი ბედნიერების მოსაპოვებლად განტევების ვაცს ეძებს, და ამ შემთხვევაში იპოვეს კიდეც გიორგის სახით.

_არა მგონია რომ მიუსაჯონ,_თქვა ირაკლიმ და ნერვიულობისგან აქეთ-იქით სიარული დაიწყო, _ ბოლოს და ბოლოს, ამათ ხომ იციან, რომ ეს კაცი არაფერ შუაშია.

უცებ მთელი ხალხი სასამართლო დარბაზისკენ დაიძრა. ვაღაცამ დაიძახა:

_განაჩენი უნდა წაიკითხონ, ყველანი შემოდით!

დარბაზში ხალხი ვერ ეტეოდა. თითქოს ვარანცოვისა და პლეხანოვის ყველა მაცხოვრებელი მოსულიყო გიორგი ირემაშვილის მხარდასაჭერად. ადამიანებისთვის დაკვირვებით რომ შეგეხედათ, შეამჩნევდით, რომ იმედის ნაპერწკალი ღვიოდა მათ თვალებში. ბრალდებულთათვის გამოყოფილ შემოღობილში კი დაცვის ქვეშ იდგა ორმოცდახუთი წლის ახოვანი მამაკაცი, უკან გადავარცხნილი, ოდნავ ჭაღარაშერეული თმით. იდგა და აღმოსავლეთის კედელზე ერთ წერტილს მიშტერებოდა, თითქოს რაღაცას კითხულობსო. ქანდაკებასავით ჩამოქნილს, სახე სულ გაფითრებოდა. თვალებში ჩამდგარი გაყინული ცრემლი ვერცხლისფრად უელვარებდა. დარბაზში სასამართლო კოლეგია შემოვიდა. ხალხმა ჩოჩქოლი შეწყვიტა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ საქაღალდიდან აიღო ფურცლების დასტა, სათვალე მოირგო და დაიწყო განაჩენის კითხვა. ყველა სულმოუთქმელად ელოდა მოსამართლეს, როდის წაიკითხავდა გადაწყვეტილებას. ეს დროც დადგა. უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ერთი ცვლილება იქნა შეტანილი მხოლოდ. როგორც დემოკრატიული ქვეყნის უმაღლესმა ორგანომ, გიორგი ირემაშვილს ბანკისადმი დიდი ოდენობით ზარალის მიყენებისათვის ცხრა წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთით. სასჯელი უნდა მოეხადა მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ, ერთხანს გარინდულმა დარბაზმა უცებ ამოიგმინა, აქა-იქ განრისხებული ადამიანების შეძახილებიც გაისმა:

_ეს უსამართლობაა!..

_სადა ვცხოვრობთ!..

_სუდია ნა მილა!..

_თქვენი დედაც!.. გიორგი, გამაგრდი!

ბადრაგმა გიორგის ხელზე ბორკილი დაადო და დარბაზიდან გაიყვანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ საბადრაგო მანქანა ახალ მსჯავრდებულს ორთაჭალისკენ მიაქროლებდა.

მოსარჩელე მხარემ კი, რომელსაც ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი წარმოადგენდა, სასამართლო დარბაზიდან შეუმჩნევლად გაპარვა სცადა. გიორგის ბიძის, ირაკლი ირემაშვილის მახვილ თვალს არ გამოპარვია მათი წასვლა და ხმამაღლა მიაძახა:

_ყველაფერი ხომ გაუყიდეთ იმ კაცს. ციხეში ხომ გაამწესეთ, გგონიათ დანარჩენს იქიდან გადაგიხდით? უნამუსოები და არაკაცები ყოფილხართ!

ნათესავებმა და მეგობრებმა ირაკლის ხელი მოკიდეს, იქვე მდგარ გრძელ სკამზე დასვეს, წყალი დაალევინეს და შეეცადნენ მის დაწყნარებას.

_ ასეთი უსამართლობა გაგონილა, კაცო? _ არ ცხრებოდა ირაკლი, _ ეს რა ქვეყანაში ვცხოვრობთ. ნაცვლად იმისა, რომ ნამდვილი დამნაშავეები ეძებონ, ამ საწყალ კაცზე

იწმენდენ ხელს.

_ კარგი რა, ირაკლი ძია, _ ეხვეწებოდა მას ახალგაზრდა ქალი და თან შუბლზე სველ ცვირსახოცს უსვამდა, _ გიორგის უკვე ვეღარაფერს ვუშველით. ისღა დაგვრჩენია ვევედროთ უფალს, რომ იმ ჯოჯოხეთიდან მალე გამოიყვანოს.

_რათა, შვილო, რათა?.. ვისი და რისი გულისთვის?

ირაკლი ახლობლებმა წამოაყენეს სკამიდან და ნელ-ნელა ჩაყვნენ უზენაესი სასამართლოს კიბეებს.

თვალებახვეული თემიდა კი ამაყად იდგა სასწორით ხელში და ცოდო-მადლის ასაწონად ემზადებოდა. მაგრამ მას თავისი საქმის გაკეთებას ვინ აცლიდა. სასამართლო სასწორი და არა მარტო ის, უკვე კორუმპირებული ხელისუფლების ხელში იყო და მის მიერ იმართებოდა.

ქუჩაში ქარი ხმელ ფოთლებს ჰაერში ატრიალებდა. თბილისში ათას ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი წლის ფოთოლცვენა კარგა ხნის დამთავრებული იყო.

I I

საბადრაგო მანქანა სწრაფად შევიდა მეხუთე იზოლატორის ეზოში. ბადრაგმა გიორგი მანქანიდან ჩამოიყვანა და ყველა პროცედურის გავლით ციხის ადმინისტრაციას გადასცა. გიორგის განაწილებამდე კარანტინი უნდა გაევლო. იგი რვაადგილიან საკანში გაამწესეს. როგორც კი ზედამხედველმა კამერის კარი გააღო, სიგარეტის კვამლითა და ოფლით გაჟღენთილი ჰაერის სუნი დატრიალდა. გიორგიმ წარმოიდგინა, რომ მას ჯოჯოხეთის კარი გაუღეს. შიგნით კი შევიდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. შემდეგ, ნელ-ნელა გამოჩნდა ადამიანთა სილუეტები, რომლებიც გიორგის კარგი მუშტარივით ათვალიერებდნენ.

_ კიდევ კაცი გვინდა ამ ბუნაგში?! _ დაიყვირა ვიღაცამ საკნის ბოლოში, _ ისედაც თექვსმეტნი ვართ, სულ გაგიჟდნენ ეს ოხრები.

_ ამ კაცმა რა ქნას, თემოჯან, _ გაისმა ვიღაცის ხრინწიანი ხმა, _ მაგის ბრალი ხომ არ არის, აქ თავის ფეხით მოვიდა თუ რა?

მსჯავრდებულები, რომლებმაც საკუთარი ძვირადღირებული ყურადღება, ცოტა ხნის წინ გიორგიზე გადაიტანეს, ნელ-ნელა დაუბრუნდნენ თავიანთ ადგილებს. ზოგი საწოლზე წამოწვა, რადგან ან ერთ-ერთი პირველთაგანნი შემოვიდა კამერაში ან კიდევ შავი სამყაროს იერარქიულ კიბეზე რომელიმე საფეხური ეკავა და ის ადგილი მას ეკუთვნოდა. უფრო დაბალი დონის მსჯავრდებულები იატაკზე დასხდნენ, ზოგიც კედელთან ჩაიცუცქა. გიორგიმაც მონახა თავისი ადგილი, კედელთან ჩაიცუცქა და თავი მუხლებში ჩარგო. ახალბედა პატიმარს სუნთქვა უჭირდა, თავბრუ ეხვეოდა, მის თვალწინ უცებ გაიელვა განვლილმა ცხოვრებამ.

გიორგი ირემაშვილი თბილისელი კაცი გახლდათ. იგი 1950 წელს, ღვინობისთვეში მოევლინა ამ ქვეყანას. დაიბადა და გაიზარდა მაშინდელი პლეხანოვისა და ლენინგრადის ქუჩების კუთხეში მდგარ, დიდი პაპის ანეზა მაიერის მიერ დატოვებულ კერძო სახლში. გიორგი დედის მხრიდან გერმანელი შვაბი გახლდათ, ხოლო მამა ყარაბულახელი რაჭველი იყო. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში გიორგის დიდი პაპა

ივანე, რაჭიდან ჩამოსულა და ყმად დასდგომია ყარაბულახელ თავადს - ჩოლოყაშვილს. ივანეს საფლავის ქვა ახლაც მიწის ზევით დევს, აწ უკვე ყოფილი ყარაბულახის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ გორაზე, სადაც ადრე, ალბათ, სასაფლაო იყო და ზედ აწერია: "საფლავსა შინა მდებარე ვარ: ირემანთ სოლომანის ძე ივანე: მხილველნო, გევედრებით თითო პირი შენდობა მაღირსეთ: ჩყიბ წელი იანვრის იდ დღესა."

გიორგის გაახსენდა თუ როგორ უყვებოდა თავისი პაპა, თადია ჩოლოყაშვილის არა ყმა, არამედ მარჯვენა - ხელი შერმადინ ირემაშვილი - პატარა სოფლის - ყარაბულახის ისტორიას. თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ივრისპირეთი ხმალთა კვეთების ადგილი გახლდათ. შემოსულ მტერთან ძირითადი ბრძოლები აქ იმართებოდა. ხოლო სოფელი ყარაბულახი, რომელიც მდებარეობდა ახლანდელი სოფლების სართიჭალისა და ხაშმის ტერიტორიების ნაწილზე, ამ დიდი სისხლის კალოს შუაგულს წარმოადგენდა.

ყარაბულახი თურქული სიტყვაა ("კარაბულაკ") და ქართულად შავ წყაროს ნიშნავს. ამ ტოპონიმის წარმოშობაზე ორი ლეგენდა არსებობს:

პირველი მოგვითხრობს შემდეგ ამბავს: როცა მტერი შემოსევია ივრისპირეთს, აქაური თავადი თავის ამალით ერთ-ერთ კოშკში გამოკეტილა. კოშკთან ახლოს წყარო ჩამოდიოდა თურმე, გამწარებულ თავადს დაუწყევლია მომხდური: "დაე, ეგ წყარო ჭირად გადაგექცეთო!" სასწაული მომხდარა, თავადის წყევლა ახდენილა, წყაროს წყალს შავი ჭირი გაუვრცელებია და შეშინებული მტერი უკუქცეულა.

ხოლო მეორე ლეგენდა კი გვამცნობს: დამპყრობელთა ერთ-ერთი შემოსევის დროს ჩოლოყაშვილთა ციხე-სიმაგრეს მტრის მჭიდრო ალყა ჰქონდა შემორტყმული. ციხეში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა. ვინაიდან ალყაში მოქცეულნიც და მოალყენიც სასმელად ერთსა და იმავე წყალს ხმარობდნენ, ციხიდან გამომდინარე წყალმა გარეთ გამოიტანა მომაკვდინებელი სენის ბაცილები და მტრის რიგებსაც დაერია შავი ჭირი. პანიკამოცული დამპყრობლები უკუიქცნენ და სენის გამავრცელებელ წყაროს "შავი წყარო" _ ყარაბულახი უწოდეს.

ყარაბულახის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში საცხოვრებლად ხაშმში გადადიოდა, ზოგმა კი თბილისისკენ გასწია. რევოლუციის შემდეგ, როდესაც ჩოლოყაშვილების თავადობა ისტორიას ჩაბარდა, შერმადინ ირემაშვილსაც თბილისისკენ გაუწია გულმა. დასახლდა კირკის ქუჩაზე. მისი ვაჟი ზაქარია, გიორგის მამა, თბილისში დაიბადა. ომიდან ჩამოსულმა ზაქარიამ ცოლად სართიჭალელი ევა მაიერი მოიყვანა და ყაზახეთში გადასახლებული სიდედრ-სიმამრის - ანეზა და ბერტა მაიერების დაცარიელებულ სახლში დაიდო ბინა, სადაც დაიბადა გიორგი ირემაშვილი. შემდეგ ბავშვობა, სკოლა, უნივერსიტეტი, ცოლ-შვილი...

გიორგი საშუალო სიმაღლის მამაკაცი გახლდათ. ჭაღარაშერეული თმა, თეთრი მრგვალი სახე და ცისფერი თვალები განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებდა და საზოგადოებაში აშკარად გამოირჩეოდა. იგი ისტორიკოსი გახლდათ, სკოლაში ასწავლიდა ისტორიას და ყველა პატივს სცემდა, როგორც წესიერ და თავმდაბალ ადამიანს.

ფიქრისაგან და დღის განმავლობაში განვითარებული მოვლენებისგან დაღლილ გიორგის ჩაეძინა. სიზმარში გარდაცვლილ დედას ხედავდა, რომელიც შორიდან ეძახდა, თითქოს აფრთხილებდა, მაგრამ გიორგი, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერაფერს

იგებდა...

დილით მსჯავრდებულების ყაყანმა გააღვიძა. ოფლისაგან ტანსაცმელი სულ დასველებოდა. თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი და უაზროდ უყურებდა საკანში ასევე უაზროდ მოძრავ ადამიანებს.

უცებ გაიღო საკნის კარი და ზედამხედველის გამყინავი ხმა გაისმა:

_ირემაშვილი, გამოდი!

_სად მიგყავ, ტო?_იკითხა ხმამ საკნის ბოლოში, რომელსაც როგორც ჩანდა, შავი სამყაროს იერარქიულ კიბეზე რაღაც ადგილი ეკავა.

_ჩიტირი დევიატში იბარებენ, თემო._უპასუხა ზედამხედველმა და თან გიორგის ანიშნა დროზე წამოდიო.

_ვაჰ, უჟე ტო! რა სპეშკაა?_ისევ იკითხა თემომ. საწოლიდან წამოიწია და ზედამხედველს გახედა.

ზედამხედველმა მხრები აიჩეჩა. გიორგი საკნიდან გაიყვანა და კარი ჩაკეტა.

ორმოცდამეცხრე, ანუ ეგრედწოდებული "ჩიტირი დევიატი" ტრადიციულად ქურდების საკანია, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს სასჯელაღსრულების სამსახურის საქმიანობაში. აქ წყდება ბევრი ისეთი საჭირბოროტო საკითხი, რომელიც აბალანსებს სისტემაში ორი სამყაროს ურთიერთობას. ამ საკანში ზის ქურდი, რომელიც განაგებს გისოსებს მიღმა მოქმედ "კანონმდებლობას", აქვს თავისი მოქმედების არიალი, პრინციპები და, რა თქმა უნდა, შესაბამისი "კოდექსი", რომლის საფუძველზე იგი აღიარებულია "კანონიერ ქურდად". მას ადმინისტრაცია არ მართავს, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ვერ მართავს, რადგან იცის არაფერი გამოუვა და ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებს. ქურდს, რა თქმა უნდა, თავის მომსახურე პერსონალი ჰყავს "შნირების" სახით, რომლებიც ვალდებულნი არიან მისი ნებისმიერი დავალება შეასრულონ.

გიორგის ციხეში შესვლაზე ქურდს უკვე ჰქონდა მიღებული ეგრედწოდებული "ქსივა". თან ფლობდა ინფორმაციას, რომ საქმე ეხებოდა დიდი ოდენობით თანხის დატაცებას. ეს კი შავ სამყაროს ყოველთვის აინტერესებს.

_შედი!_უბრძანა ზედამხედველმა ორმოცდამეცხრე საკნის წინ მდგომ გიორგის.

_გამიღე და შევალ._უპასუხა გიორგიმ ისე, რომ არ შეუხედავს ზედამხედველისთვის.

_შენ ვაბშე ფრაერი ყოფილხარ, ირემეშვილო, _ გაეცინა ზედამხედველს.

_რა ვთქვი ამისთანა?_გაუკვიდა გიორგის.

_ბიჭო, ქალაქელი კაცი ხარ, მაშ არ იცი, რო ქურდების კამერა არ იკეტება,_ირონიული ღიმილით შეხედა ირემაშვილს და მცირე პაუზის შემდეგ დაამატა,_შენ, ძმაო, ძალიან გაგიჭირდება აქ ცხოვრება. შედი, შედი, მე აქ დაგელოდები.

გიორგის არაფერი აღარ უთქვამს, კარი გააღო და საკანში შევიდა. ოთახი ასე ორმოცი-ორმოცდახუთი კვადრატული მეტრი იქნებოდა. მარცხნივ და მარჯვნივ კედლებით გამოყოფილ პატარა ადგილებში ერთადგილიანი საწოლები იდგა, ხოლო შიგნით, კედლების გასწვრივ მარჯვნივ და მარცხნივ_ ორ იარუსიანი სამ-სამი საწოლი. პირდაპირ კედელთან ტელევიზორი, მაცივარი, მაგიდა და სკამები. საკნის კარებიდან მარჯვნივ ღია შესასვლელი იყო კედელში გაჭრილი და მოჩანდა პირსაბანი, ტუალეტი და დუში. ყველაფერი კარგად გასუფთავებული და მოვლილი იყო. აშკარად ჩანდა, რომ აქ «დიდი» ხალხი ცხოვრობდა.

მარცხენა მხარეს, კედლით გამოყოფილ ერთადგილიან საწოლზე გამხდარი, წვერებიანი, ასე ორმოცდახუთი წლის მამაკაცი იყო წამოწოლილი. გიორგის დანახვაზე ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამოართვა და მერე ისევ საწოლს მიუბრუნდა. თან ახველებდა, როგორც ჩანს, ადრე კომუნისტური ციხეებისა და სხვადასხვა რთული ზონების «სტუმარი» იყო და ფილტვების დაავადება მოურჩენელ სენად გადაქცეოდა. ავადმყოფობის გამო მთელი სხეული დაძაბული ჰქონდა, სახე გაფითრებული, წვერ-ულვაშში ჭაღარა შერეოდა და ეს ყოველივე მის ფიზიკურ იერსახეს რაღაც განსკუთრებულ მრისხანებას ანიჭებდა. მან გიორგის თვალი თვალში გაუყარა. ამ უკანასკნელმა კი გამოხედვის სიმკაცრეს ვერ გაუძლო და თვალი აარიდა. საუბარი მასპინძელმა დაიწყო:

_ გიორგი, სადაური კაცი ხარ?

_ჩემი სახელიც იცით?_გაუკვირდა ირემაშვილს.

_სახელიც ვიცით, გვარიც და კიდევ ბევრი რამე.

_პლეხანოველი ვარ.

_ეგეც ვიცი. მე გეკითხები, წარმოშობით საიდან ხარ?

_ყარაბულახიდან ყოფილან ჩემი წინაპრები, ივრისპირეთიდან. ახლა ეს სოფელი აღარ არსებობს. ნასოფლარიღაა დარჩენილი. დედა სართიჭალელი გერმანელი გახლდათ, შვაბიის მხრიდან.

_პლეხანოვზე საიდან მოხვდი?

_დედაჩემის მამამ სახლი დედას დაუტოვა და მშობლებიც იქ გადმოვიდნენ საცხოვრებლად. მეც იქ დავიბადე და გავიზარდე.

_მერე შე კაი დედმამიშვილო, ასეთ წესიერ უბანში და ოჯახში გაზრდილმა კაცმა, თან ისტორიკოსმა ამდენი ხალხი როგორ გადაყარე. ნაღდი თბილისელი კაცი ფულის ღორი არასდროს ყოფილა და შენ რამ გაგაგიჟა?!

_მე არავინ გადამიგდია, ღმერთია მოწამე. _ დაბალ ხმაზე ჩაილაპარაკა გიორგიმ ისე, რომ თავი არ აუწევია მაღლა.

_ბიჭო, ეე! _დაიყვირა ვიღაც მამაკაცმა ოთახის ბოლოდან, _ მესამე მცნება ხომ გეუბნება: «არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა».

გიორგიმ გაიხედა იმ მხარეს, საიდანაც ხმა მოისმა და ახლაღა შეამჩნია, რომ კედელზე დიდი ჯვარცმა იყო მიკრული და რამდენიმე ხატი, ხოლო იქვე მდგარ მაგიდასთან ის კაცი იჯდა, ვინც გიორგი დამოძღვრა. უცნობი მიშტერებოდა ირემაშვილს და მისგან თითქოს პასუხს ელოდა. გიორგიმ თვალი აარიდა უცნობს, მაცხოვრის ჯვარცმისკენ გაიხედა და უნებურად აღმოხდა:

_»არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა», მეცხრე მცნება გვასწავლის ამას.

_ჯერ ერთი, რომელი მოყვასი შენა ხარ ჩემი. მერე მე, ძმაო, ცილს არავის ვწამებ, რასაც გეუბნები ფაიზაღია. აქ სადაც შენ მოხვედი, მხოლოდ სიმართლე სუფევს და ,,ჩერეპახა" უსამართლოდ არავის დაჩაგრავს. თან აი, ამ ათ მცნებას, აქ რომ დევს მაგიდაზე, მხოლოდ ჩვენნაირი ხალხი თუ შეასრულებს, თორემ თქვენ ღმერთთან შორსა ხართ, _ გაილექსა უცნობი და თან წვერებიანისკენ იხედებოდა, თითქოს მისგან დასტურს ელოდა. მერე მაგიდაზე დადებული ათი მცნება დათვალა, ალბათ, დარწმუნება უნდოდა, მართლა ათი იყო თუ არა.

გიორგი მიხვდა, უცნობმა წვერებიანი «ჩერეპახად» რომ მოიხსენია, ქურდი იყო, ხოლო «ჩერეპახა» მისი ზედმეტსახელი. ყველა მოწიწებით ეპყრობოდა «ჩერეპახას», რაც მის სიძლიერეზე მეტყველებდა.

გიორგის უნდოდა, რომ უპასუხოდ დაეტოვებინა უცნობის სიტყვები მაგრამ მაინც დაბალ ხმაზე ჩაილაპარაკა:

_მერვე მცნება წაიკითხე აბა, რა აზრისა ხარ?

უცნობმა მაგიდაზე დადებული ფურცელს თითი ჩამოაყოლა და უცებ ელდანაკრავივით წამოხტა სკამიდან.

_ე, ბიჭო! შენ ვის უბედავ, ჩემი ხელით უნდა მოკვდე?! შენი დედა...

_მაშინ მეექვსე მცნებაც წაიკითხე!_არ ცხრებოდა გიორგი.

_კარგი, გეყოფათ! _ მკაცრად წარმოთქვა «ჩერეპახამ» და ორივეს - გიორგის და მის მოპაექრე ძალიან ქრისტიანსაც მრისხანე მზერა მიაპყრო, _ ბორია! ვინ ჩადგა შენ ცოდვაში? ვინ მოგიტანა ეგ მცნებები თუ რაღაცა. რაც არ იცი, ნუ ლაპარაკობ. შენ კი, გიორგი, ლექციების წასაკითხად არავის მოუწვევიხარ. აქ სკოლა არ გეგონოს. მოკლედ მოყევი როგორ მოტეხე მაყუთი და დავამთავროთ ეს საქმე.

«ჩერეპახას» ამ სიტყვებმა საკანში ნახევრადმთვლემარე ადამიანები გამოაღვიძა. მათი საქმე იწყებოდა. უნდა გარჩეულიყო საქმე და დამნაშავისთვის «განაჩენი» გამოეტანათ. გიორგი დღეს «სასჯელს» მიიღებდა, მაგრამ როგორს, ჯერ არავინ იცოდა. ამ საკანში სასტიკი «განაჩენი» იწერებოდა, არა ქაღალდზე, არამედ სიტყვიერად. ბევრი მსჯავრდებული გასულა ან გაუთრევიათ ამ საკნიდან, ბევრიც «ქათმებთან» დასაძინებლად გაუშვიათ.

დღეს «ჩიტირი დევიატში» ერთი ქურდი იჯდა-»ჩერეპახა», სამი «მაყურებელი» და ერთიც «ლაპატნიკი» - «ობშიაკის» შემგროვებელი, თავისი «ბუღალტერიით». მეზობელ ორმოცდამეათე და ორმოცდამეთერთმეტე საკნებში «შნირები» ცხოვრობდნენ, რომელთაც ფუნქციები ზედმიწევნით ზუსტად ჰქონდათ განაწილებული. «ჩიტირი დევიატის» ბინადართათვის ზოგი რეცხავდა, ზოგი ასუფთავებდა, ზოგი საჭმელს ამზადებდა და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით ციხის, ამ მონაკვეთში ცხოვრება დუღდა...

გიორგი კი იდგა გაუნძრევლად ოთახის შუაში და არ იცოდა საიდან დაეწყო თხრობა. ამ ამბის გახსენება მას გულს სტკენდა და ყოველთვის უჭირდა ამ თემაზე საუბარი. ბოლოს მხრებში გასწორდა, ღრმად ჩაისუნთქა და დაიწყო:

_ყველაფერი ათას ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი წლის იანვარში დაიწყო. ჩემი ორი მეგობარი, რომლებთანაც ბავშვობა და ახალგაზრდობა გავატარე, მოვიდნენ და მითხრეს, რომ აღებული ჰქონდათ მიწები მარნეულის რაიონში და მის დასამუშავებლად სჭირდებოდათ ფული. თანხის ნაწილი, როგორც თვითონ თქვეს, კრედიტის სახით საცხოვრებელი ბინების გირავნობის ქვეშ ბანკიდან გამოეტანათ. ამის დამადასტურებელი საბუთებიც კი მაჩვენეს, მაგრამ მე არც წამიკითხავს, მეგობრებს როგორ ვაკადრებდი, რომ არ მერწმუნა მათი. მაგრამ ფული არ გვეყოო. მათ კი შემომთავაზეს: «თუ შენ გაქვს საშუალება წილში შემოდი და ფულსაც გაშოვნინებთო». მე სკოლაში მასწავლებლად ვმუშაობდი და ფული ყოველთვის მიჭირდა, ამიტომ უყოყმანოდ დავთანხმდი. მაგრამ ფული სად უნდა მეშოვა, თვითონ მე კაპიკი არ გამაჩნდა. მეგობრებმა მითხრეს, რომ ჩვენ ბინები ჩავდეთ ბანკში, შენც ასევე მოიქეცი, ექვს თვეში, ხვნა-თესვის დაწყებამდე, შენსა და ჩვენს წილ ფულს ერთ დიდ საქმეში

ჩავდებთ, ისე რომ კრედიტსაც დავფარავთ, ხვნა-თესვასაც დავიწყებთ და ხურდაც დაგვრჩებაო. მათი მონათხრობი ზღაპარს კი წააგავდა, მაგრამ მე რადგან ასეთი საქმეების გაგებაში არ ვიყავი, ვიფიქრე, მეგობრები ცუდისკენ არ მიბიძგებენ - თქო და დავთანხმდი. ჩემი ბინა ხომ ჩავდე ბანკში გირაოში, ეს არ ვიკმარეთ და ზედ სიმამრის ვაკის ორსართულიანი სახლიც მივაყოლეთ. გამოტანილი თანხა ბიჭებს მივეცი და მე თვითონ გავაცილე თურქეთში. მერე როგორც გაირკვა, იმავე დღეს ორივენი ქალაქში შემოსულან, ჩემი ფულით ბანკში დაგირავებული საკუთარი ბინები გამოუხსნიათ და მერე არავინ იცის ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. მთელი ვალი კისერზე დამაწვა და, რა თქმა უნდა, მას მე ვერ გადავიხდიდი. ჩემი ორივე სახლის გაყიდვით ბანკმა თანხის ნახევარი ამოიღო, ხოლო დანარჩენზე საქმე აღძრა და აგერ მე აქ ვდგავარ თქვენს წინაშე, ხოლო ჩემი ოჯახი კი შეხიზნულია ახლობლის სახლში ვერაზე. გაქცეული ჩემი მეგობრები ვეძებე და ვერ ვიპოვე, მათი ოჯახები კი ცხოვრობენ ჩემი ნასესხები ფულით გამოსყიდულ საკუთარ ბინებში. აი, ეს არის მოკლედ ჩემი თავგადასავალი. ვარ ასე გაოგნებული და ვერ ვიჯერებ ჩემი მეგობრების ღალატს.

,,ჩერეპახამ", რომელმაც სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო, უცებ ისეთი ხველება ატეხა, გეგონებოდათ ცა ჩამოიქცაო. შემდეგ დაწყნარდა და გიორგის უთხრა:

_ჩვენ ამ საქმეს უკვე ვსწავლობთ. იცოდე ეს ზღაპარი თუ ჩვენს გასართობად მოყევი, ცუდად წაგივა საქმე. ამ ფულის ამოსაღებად, ბანკის მხრიდან, ისეთმა ხალხმა შემაწუხა, რომ იმათი ღალატი, როგორც იტყვიან, სამშობლოს ღალატია. იცოდე თუ შენი მოყოლილი ამბებიდან თუნდაც ერთი სიტყვაც კი არ დადასტურდება, მთელი თანხა და კიდევ რაღაც-რაღაცეები შენ დაგეწერება.

გიორგიმ ხმის ამოუღებლად დაიქნია თავი. უცებ წაბორძიკდა, იქვე მდგომ საწოლს მოკიდა ხელი და რომ არა საკანში მყოფთა დახმარება, შეიძლება იატაკზე დავარდნილიყო. თითქმის ერთი საათი გაუნძრევლად იჯდა ტაბურეტზე და ზურგით კედელზე იყო მიყრდნობილი. ბოლოს გამოერკვა, მის გარშემო ყველას და ყველაფერს ბუნდოვნად ხედავდა. ,,ჩერეპახას" ხრინწიანმა ხმამ გამოაფხიზლა:

_ბიჭო, გაიყვანეთ ეს კაცი აქედან. პრობლემები ისედაც თავზე საყრელი გვაქვს.

I I I

რა ძნელია თავისუფლების დათმობა. განსაკუთრებით მისი სიმძაფრე ცხოვრების წესის შეცვლის პერიოდში იგრძნობა. მერე და მერე ყველაფერს ეგუება ადამიანი. ასეთი სიტუაციის მსხვერპლნი შეიქმნენ გიორგი ირემაშვილის გერმანელი პაპა და ბებია. საკნის კედელთან ჩაცუცქული გიორგის თვალწინ კვლავ გაიელვა მისი წინაპრების ტრაგიკულმა ისტორიამ, რომელსაც დედა ხშირად უყვებოდა...

ათას ცხრაას ორმოცდაერთი წლის ნოემბრის ცივი დილა გათენდა. იალნოს მთიდან მოვარდნილი ქარი აღმა-დაღმა დაშლიგინობდა სამგორის ველზე. დაცარიელებული მარიენფელდის, პეტერსდორფის და როზენფელდის ქუჩებსა და ეზოებში ქარი ადვილად მიიკვლევდა გზას. ჭრიალებდა მიტოვებული სახლების ჭიშკრები. გერმანელების სოფელი ერთიანად დაცარიელებულიყო...

მარადიორული წესით დედა-წულიანად აყრილი გერმანელები ავტოტრანსპორტით წინა Gღამეს გადაიყვანეს რკინიგზის სადგურში და გამთენიისას

მატარებელმა გეზი ყაზახეთისაკენ აიღო. ზუსტად იმავე დროს სოფელი სართიჭალა უდაბნოსკენ მიმავალმა ურემმა დატოვა. სომეხ ოგანოვს ურემში დაგებულ თივაში ცხრა წლის ევა მაიერი დაემალა და მალაკნების სოფელ აზამბურში მიჰყავდა, რათა ჩეკისტებს არ ჩავარდნოდა ხელში.

ტყუილების ბოდვაში გაწაფულმა კომუნისტებმა გერმანელებს აუხსნეს, რომ მათი ადგილმონაცვლეობა დროებითი იქნებოდა და ომის დამთავრების შემდეგ მათ კვლავ დააბრუნებდნენ საქართველოში. ამის გამო ევას მშობლებმა, ანეზა და ბერტა მაიერებმა, შორეულ გადასახლებაში მცირეწლოვანი ბავშვის წაყვანა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს და იგი დროებით უშვილო სომეხ ცოლ-ქმარს - ოგანოვებს დაუტოვეს. რკინიგზის სადგურში ანეზა და ბერტა მიხვდნენ, რომ კომუნისტები მათ უკან აღარ დააბრუნებდნენ. ამას, მათი ქცევიდან გამომდინარე, ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი მიხვდებოდა. მათ პირუტყვებივით ერეკებოდნენ ვაგონებში და თან უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ. უბედური მშობლები მიხვდნენ, რომ ისინი შვილს ვეღარ ნახავდნენ. აცრემლებული ბერტა იქვე მდგომ ოფიცერს მიუახლოვდა და სთხოვა:

_ამხანაგო ოფიცერო, ჩვენ ცხრა წლის შვილი დაგვრჩა სოფელში. გთხოვთ, დაგვეხმაროთ მის ჩამოყვანაში.

_რა დაგრჩა?!_იღრიალა ოფიცერმა, რომელსაც კაპიტნის ჩინი ჰქონდა,_რატომ თავი არ დაგრჩა!!_თან რუსულად მიაყოლა,_დურა სამაუჩკა!

ანეზა მაიერმა შვილის გულისთვის მეუღლის შეურაცყოფაზე თვალი დახუჭა და ნებისყოფის დიდი დაძაბვით მიმართა ოფიცერს:

_ამხანაგო ოფიცერო, გთხოვთ...

_ხმა!_იღრიალა კაპიტანმა, სიბრაზისაგან ჩაშავებული რკინის კბილები გამოაჩინა და დუჟმორეულმა ხელი უბიძგა ანეზა მაიერს, - აეთრიეთ ვაგონში დროზე და თქვენი ხმა არ გავიგო, თქვენი დედა...

ბერტას გული წაუვიდა. მეუღლემ თანასოფლელების დახმარებით ვაგონში აიყვანა იგი. ძლივს მოასულიერეს შვილდაკარგული დედა.

მატარებელი დაიძრა.

მისი ბოლო გაჩერება ყაზახეთის ქალაქი სემიპალატინსკი იქნება, ხოლო გერმანელების ბოლო ნავსაყუდელი-სოფელი რულიხა.

ცხრა წლის ევა მაიერი სომეხმა ცოლ-ქმარმა ოგანოვებმა ჯერ მალაკნების სოფელში გადამალეს, ხოლო შემდეგ კი იშვილეს. სართიჭალელ ქართველებსა და გაქართველებულ არაქართველებს გერმანელებისათვის არ ეცალათ. თუ ომამდე მათი უმრავლესობა ერთმანეთის დაბეზღებით იყო გართული, ომმა და შემდეგ გერმანელების გადასახლებამ ისინი დათრგუნა და გაათითოკაცა.

არავინ იცოდა, რომ საქართველოდან გაასახლეს ქართული წარმომავლობის გერმანელები, ანუ შვაბები, რომლებიც ოცდაექვსი საუკუნის წინ წასულან, თუ აიძულეს, როგორც ახლა, რომ წასულიყვნენ საქართველოდან. ისინი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, პატრიოტმა ქართველებმა მამულიშვილური მიზნების განსახორციელებლად კვლავ ჩამოასახლეს სამშობლოში. ეს ის ქართველები იყვნენ, რომელთათვისაც, სამწუხაროდ, «არ მოიძებნებოდა» ადგილი საქართველოში და რომლებიც სხვა ქვეყანას ემსახურებოდნენ...

...როგორც ჩანს გიორგის წინაპრებს ღმერთისგან რაღაც სასჯელი ჰქონდათ

დადებული და ამიტომაც უფალი მუდმივ სატკივარს უჩენდა ყველა მათ თაობას.

_ღმერთო მიჩვენე გზა, რით გამოვისყიდო ჩემი და ჩემი წინაპრების მიერ ჩადენილი ცოდვები. უფალო დამეხმარე,_თავისთვის წარმოთქვა ეს სიტყვები მაიერთა კიდევ ერთმა უიღბლო შთამომავალმა და ზევით აიხედა.

საკანში მყოფი ყველა ადამიანი მისკენ შებრუნებულიყო და განცვიფრებული უყურებდა გიორგის. ერთმა მელოტმა მსჯავრდებულმა ხელი ჩაიქნია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

_ამან უკვე გარეკა ძმაო, დროზე მაინც გაგვანაწილონ ზონებში, თორემ შეიძლება ჩვენც დავუშტვინოთ.

IV

გიორგის დაპატიმრებიდან ერთი კვირის შემდეგ «სიზოში» (ასე ეძახიან [15] იზოლიატორს), მოვიდა ირემაშვილის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება და იგი ეტაპირებული იქნა სასჯელაღსრულების სამსახურის [16] მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, რომელიც ხალხში ავჭალის კოლონიის სახელწოდებით არის ცნობილი.

ავჭალის კოლონია თბილისის გარეუბანში, ზაჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. როგორც კი გასცდებით საკონტროლო გამშვებ პუნქტს, თქვენ სულ სხვა სამყაროში ხვდებით. კოლონიის პირველ ნაწილში განთავსებულია დაწესებულების ადმინისტრაცია და ეგრეთწოდებული, სამრეწველო ზონა. კომუნისტების დროს აქ მუშაობა «დუღდა.» მსჯავრდებულები აწარმოებდნენ რკინის სხვადასხვა კონსტრუქციებს,მოქმედებდა ხე-ტყის დამამუშავებელი, ბეტონის, ბლოკის, ალუმინის და ბრინჯაოს ნაკეთობათა საამქროები. კოლონიაში წარმოებული პროდუქცია იგზავნებოდა არა მარტო რესპუბლიკის მასშტაბით, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ოლქებსა და მხარეებში. ეხლა ეს ყველაფერი, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის გამო აღარ ფუნქციონირებდა. საამქროებში რამდენიმე მსჯავრდებულს თუ ნახავდით, რომელიც თავისთვის რაღაცას ჩხირკედელაობდა და წარმოებული საქონლის გამსაღებლებს თვითონვე ეძებდა.

სამრეწველო ზონის შემდეგ, კიდევ ერთი საკონტროლო გამშვები პუნქტი უნდა გაგევლო და მოხვდებოდი პირველისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ ადგილას, სადაც ცხოვრების სხვა პირობები იყო და სხვა კანონები მოქმედებდა. თუ ადამიანი იქ არ არის ნამყოფი, იგი ვერასდროს ვერ წარმოიდგენს იმ მწარე რეალობას, რაც ჩვენი ცხოვრების მდინარის ამ მეორე ნაპირზე ხდება. აქ, შენობებს, შიგნით და გარეთ მდგარ ინვენტარს და თვით იქ მცხოვრებ ადამიანებს ერთნაირი ფერი ადევთ. ძირითადი განსხვავება ის არის, რომ ერთნი მოძრაობენ, ხოლო მეორენი არა. თუმცა ზოგიერთი მოძრავიც ხშირ შემთხვევაში უძრავ მდგომარეობაში იმყოფება, თუ ნარკოტიკის დიდი დოზა აქვს გაკეთებული.

კოლონიაში დღემდე მდგომარეობა სტაბილური იყო, სანამ ხელისუფლებამ ციხეებსა და ზონებში «მხედრიონელები» არ გაამწესა. მათი აქტივისტების გარკვეულმა ნაწილმა ავჭალაშიც მოიყარა თავი, ამიტომ ზონაში, ეგრეთწოდებული, «პალაჟენიის» დასამყარებლად, როგორც ადმინისტრაციას, ასევე შავ სამყაროს რადიკალური ზომები

უნდა მიეღო. ვინაიდან ეს უკანასკნელნი «მხედრიონთან» დაპირისპირებულნი იყვნენ, ავჭალის კოლონიაში საჭირო გახდა «კანონიერი ქურდების» ძალთა სწორი განლაგების უზრუნველყოფა. ამ მიზნით ჩვენთვის კარგად ცნობილი «კანონიერი ქურდი» ,,ჩერეპახა" «სიზოდან» ავჭალაში გადაიყვანეს.

როდესაც გიორგი ზედამხედველს ბარაკში მიჰყავდა, უცებ ვიღაცის ხმა გაისმა ზურგს უკან:

_გიორგი!

ირემაშვილი შემოტრიალდა და მისი ნაცნობი «ჩერეპახა» დაინახა.

_გამარჯობა, ნუგზარ! _დაუძახა გიორგიმ და თან მარჯვენა ხელი ასწია მაღლა.

_რა არი, კაცო აქაც გამომყევი?_ღიმილით უთხრა «ჩერეპახამ».

_პირიქით ხომ არ ხდება?

_კარგი, ჯერ-ჯერობით ეგრე იყოს, როგორც შენ ამბობ,-გაეცინა ჩერეპახას,-ჩვენი შეხვედრის შემდეგ რა ხასიათზე იქნები ვნახოთ.

_გაიგე რამე ჩემს შესახებ?

_სანახევროდ. ჯერ-ჯერობით მართალი ხარ. ვნახოთ შემდეგ რა იქნება.

_გიორგიმ ხელები გაშალა, თითქოს ამით აგრძნობინა ყველას, რომ თვითონაც დიდ მოლოდინში იყო, თუ როგორ დამთავრდებოდა მისი საქმის შესახებ «ქურდული გამოძიება».

_რა ხდება?! პრობლემაა რამე?!_ჰკითხა ზედამხედველმა გიორგის დაბალ ხმაზე, თან ქურდისკენ იყურებოდა, ხომ არ გაიგოო.

- არაფერი არ ხდება. ვერა ხედავ მოვიკითხეთ ერთმანეთი, - უთხრა გიორგიმ და ბარაკისკენ გზა გააგრძელა.

_მაგათთან ფრთხილად იყავი. შენ ხომ არა გგონია მართლა გეხუმრებიან. მაგათ ხუმრობა არ იციან.

გიორგიმ აღარ გააგრძელა საუბარი ზედამხედველთან. მან უკვე კარგად შეისწავლა აქაური წესი_» რაც ნაკლებს ილაპარაკებ, მით ნაკლებ შეცდომას დაუშვებ».

ზედამხედველმა გიორგი ბარაკის ერთ საკანში შეიყვანა და თავისი საწოლი აჩვენა. საკანში არავინ იყო. ყველა «მობინადრე» გარეთ გასულიყო. მარჯვენა კედელთან სამი ორიარუსიანი საწოლი იდგა, ხოლო მარცხენა მხარეს_ორი. იმ სამიდან ორი ზეწრებით იყო შემოღობილი. ეს იმას ნიშნავდა,რომ იქ ცალკე ჯგუფი, ანუ «კუტოკი» ცხოვრობდა. ისინი იზოლირებული იყვნენ ყველასაგან.

გიორგის ზედა იარუსზე მოუწია ასვლა. მოეწყო როგორც ეს შესაძლებელი იყო. წამოწვა საწოლზე. ზურგზე რაღაც არაამქვეყნიური სიცივე იგრძნო. რკინის ზოლანებისაგან დამზადებულ საწოლს ამორტიზაცია საერთოდ არ ჰქონდა და არასასიამოვნო შეგრძნება ეუფლებოდა ადამიანს.

საკანში სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურებინა.

უკანასკნელ დღეების ორომტრიალში გამოვლილ გიორგის მალევე ჩაეძინა.

ივრისპირეთი ესიზმრა. მდინარის მარცხენა მხარეს ჭალაში მიაბიჯებდა იალნოს მთისკენ. მთა თითქოს უფრო გამაღლებულიყო და ზვიადად იყურებოდა. გიორგის შეეშინდა, მაგრამ მაინც ჯიუტად მიაბიჯებდა წინ. უცებ ჭალაში ქარი ამოვარდა. ნელ-ნელა მდინარემაც დაიწყო კალაპოტიდან გადმოსვლა. წყალდიდობისაგან თავი რომ დაეღწია, დიდ მუხაზე ავიდა და ამ დროს ცაზე რაღაცამ იჭექა. არ იყო გამორიცხული,

ხეს მეხი დასცემოდა, რადგან ის ჭალაში ყველაზე მაღალი იყო და კიდევ იზრდებოდა. «ღმერთო მიშველეო» აღმოხდა გიორგის. ამის თქმა იყო, უცებ ცა გაიხსნა და რაღაც არაამქვეყნიური ნათება გამოჩნდა. ის ისეთი თვალისმომჭრელი იყო, რომ ირემაშვილმა ვერ გაუძლო და მიწას დააჩერდა. უცებ ყველაფერი ჩაწყნარდა. გიორგი ისე აღმოჩნდა მიწაზე, რომ ვერც კი გაიგო. ზევით რომ აიხედა, დაინახა, რომ პაპა შერმადინი დასდგომოდა თავზე და უღიმოდა.

_ნუ გეშინია, შვილო, ღვთის რისხვა მართალ ადამიანებს არ დაატყდება.

გიორგი პაპას ჩაეხუტა და სიხარულის ცრემლები წამოუვიდა თვალებიდან. ცრემლი წყალივით მოსდიოდა. ესხმოდა პაპის თეთრ ქათქათა პერანგს, მაგრამ პერანგი არ სველდებოდა.

_კარგი, შვილო, კარგი, - მოეფერა შერმადინი შვილიშვილს,-მე აქ დროებით გამომიშვეს, დიდი დრო არა მაქვს .რაღაც უნდა გითხრა და დავბრუნდე.

_არ დამტოვო, პაპა, არ დამტოვო. შენთან თბილა._ეხვეწებოდა გიორგი შერმადინს და ეხუტებოდა.

შერმადინმა გიორგი ფეხზე წამოაყენა, შუბლზე აკოცა და უთხრა:

_შვილო, თავს გაუფრთხილდი, რაღაც ცუდს გიმზადებენ. შენს საკანში ერთი წესიერი, მართალი კაცი ცხოვრობს, დიმიტრი ჰქვია, ჩვენი მეზობელი სოფლიდანაა. მას დაუჯერე, ის ყველაფერში გვერდში დაგიდგება. ახლა კი კარგად იყავი,-თქვა შერმადინმა და აღმოსავლეთისაკენ გაიხედა,-მე უკვე მიხმობენ.

გიორგიმ მხოლოდ თვალის გაყოლება მოასწრო. თეთრსამოსიანი მოხუცი უცებ მიეფარა აღმოსავლეთიდან მომდგარ ასევე თეთრ ღრუბლებს.

როგორც იყო, გაეღვიძა. ელდანაკრავივით წამოჯდა საწოლზე. მთელი სხეული ოფლიანი ჰქონდა. ირგვლივ მიმოიხედა, არავინ ჩანდა. საკანში ჩქამიც კი არ ისმოდა.

_უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი, - წარმოთქვა გიორგიმ, პირჯვარი გადაიწერა, აღმოსავლეთისკენ გაიხედა და პაპა შერმადინის სიტყვები ხმამაღლა გაიმეორა-»..მას დაუჯერე, ის ყველაფერში გვერდში დაგიდგება..»_მგონი მართლა გავრეკე. ვაი, შენ ჩემო თავო,_სინანულით წარმოთქვა ბოლო სიტყვები, თავი დადო ბალიშზე და ისევ ჩაეძინა.

დიდი დრო არ გასულა, რომ გიორგი ხმაურმა გამოაღვიძა. თვალები გაახილა და საკანში შემოსული ორი კაცი დაინახა. ერთი ჯანიანი, მკაცრი გამომეტყველების, ასე ოცდაათი წლის ახალგაზრდა იქნებოდა, ხოლო მეორე დაბალი, გამხდარი, შავგვრემანი და თმაჭაღარა კაცი გახლდათ. ალბათ, სამოცი წლის უნდა ყოფილიყო. ეტყობოდა, რომ ბევრი გადაეტანა ამ ცხოვრებისაგან. დანაოჭებული შუბლი კი მას ბრძენის იერსახეს ანიჭებდა.

გიორგი სხარტად ჩამოხტა საწოლიდან, თმებზე ხელი გადაისვა, ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა და საკანში შემოსულებს მიესალმა:

_გამარჯობა! მე გიორგი ვარ, ირემაშვილი. - და ხელი ჯერ უფროს კაცს ჩამოართვა.

_გაგიმარჯოს, გიორგი, - უპასუხა ღიმილით ჭაღარამ,-მე დიმიტრი მქვია, ეს კი შერმადინია კოტორაშვილი..

გიორგი შეცბა. თვალები მოიფშვნიტა. ჯერ საწოლისკენ გაიხედა, მერე ისევ დიმიტრის და შერმადინს მიაშტერდა.

_რა გჭირს, კაცო? - ჰკითხა დიმიტრიმ, - ცუდად ხომ არა ხარ?

_არ ვიცი... - აღმოხდა გიორგის და ჩაიკეცა.

კარგახანს მოუნდნენ მის მოსულიერებას. ბოლოს როგორც იქნა, გაახილა ირემაშვილმა თვალები. მას უკვე ოთხი კი არა ასი თვალი უყურებდა. გიორგი უცებ მიხვდა, რაც მოუვიდა და ღონემიხდილმა ძლივს ამოილუღლუღა:

_ბოდიში.

V

«ქურდების» საკანში, რომელსაც საკანს ნამდვილად არ დაარქმევდით, რადგან ადამიანური ცხოვრების ყველა პირობა იყო შექმნილი, სამი «კანონიერი ქურდი» იჯდა და უკვე მესამე დღე იყო, რაც არავის იკარებდნენ. აშკარად ჩანდა, რომ სერიოზულ საკითხზე მსჯელობდნენ და, რა თქმა უნდა, შესაბამის მოქმედების გეგმასაც ადგენდნენ. მსჯავრდებულებმა ამ საქმის შესახებ არაფერი იცოდნენ, ხოლო მათთან მუდმივად კონტაქტში მყოფი დაწესებულების ადმინისტრაცია ორი დღეა, რაც შიდა თუ გარე ძალების კონცენტრაციას აწარმოებდა.

«ზონაში» რაღაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ რა? ეს არავინ იცოდა, გარდა «კანონიერი ქურდებისა».

_მაინც არ გვინდა ასე ჩქარა დაწყება.-უთხრა «კოლეგებს» «ჩერეპახამ».

_ისევ დაიწყო, - ხელები გაშალა ერთ-ერთმა ქურდმა, - შენ ძმაო, სულ ასე ტაატით გიყვარს საქმის კეთება. ვითომ რატომ არ შეიძლება დაწყება?

_შენც კაი ვინმე ხარ რა, - გაეცინა მესამე ქურდს, - ვითომ არ იცი, რატომ იზლაზნება ეგრე.

_მე რა ვიცი, აბა?!

_როგორ არ იცი, ტო, მა «ჩერეპახა» რატომ ჰქვია.

_კარგი რა, თუ ძმა ხარ, შაყირი იქით იყოს. ამათ რაც მალე მოიცილებ, მით უფრო დროზე დალაგდება პალაჟენია.

_ძმებო! პალაჟენია ასეთია, - ხრინწიანი ხმით წარმოთქვა «ჩერეპახამ», სიგარეტი მოქაჩა, ნამწვავი საფერფლეში ჩააგდო, მერე ერთი წუთი მაინც ახველებდა და ბოლოს განაგრძო, - მე ერთ საქმეს კიდევ ველოდები. მე მგონი, რომ წრედი უნდა შეიკრას და მერე დავიწყოთ.

_მაინც რას ელოდები? არ გვეტყვი, თუ არ გვენდობი, ძმაო.

_თქვენ თუ არ გენდობით, აბა ვის უნდა ვენდო, რა ბაზარია, ტო! - აწიწმატდა «ჩერეპახა».

_მაშინ რა ხდება გვითხარი და მოვრჩეთ ბაზარს.

_აქ ერთი პლეხანოველი გადმოიყვანეს «სიზოდან», დიმიტრასთან შეუშვეს, ხო აზრზე ხართ?

_მაიცა, ის მაღალი, ჭაღარა როა?

_ჰო რა, გიორგა ჰქვია სახელი.

_ააა! ვიცი, ვიცი ტო. ხანდახან იმ ქვეყანაში რო მიდის სამოგზაუროდ, იმაზე არა ბაზრობ?

_ ჰო რა. გცოდნია, - ხველებით უპასუხა «ჩერეპახამ», - ჰოდა მაგის საქმეზე მყავს ხალხი გაშვებული. ჯერ-ჯერობით საქმე ბოლომდე არ არის გაიასნებული. მაგრამ

წინასწარი მონაცემებით ესენი მაგის საქმეში უნდა იყვნენ გარეულები და თან გლუბოკი ვარიანტში. მაგრამ ჯერ, ხომ გეუბნებით, ბოლომდე არ ვიცი რაშია საქმე.

_როდის გექნება ბოლო პასუხი, «ჩერეპახ?»

_ორი-სამი დღე დავიცადოთ და ყველაფერი გაიასნდება.

_ხარაშო, ბრატვა. კაკ სკაჟეშ. შენი საქმისა შენ იცი.

როგორც ჩანს "ჩერეპახას" ამ ორ ქურდთან შედარებით უპირატესი ადგილი ეკავა და ისინიც დათმობაზე წავიდნენ. როგორც მათი საუბრიდან გამომდინარე ჩანდა, დიდი საქმე იყო გადასაწყვეტი.

VI

მეორე დღეს გიორგი როგორც იქნა გამოვიდა მდგომარეობიდან. თავს ნორმალურად გრძნობდა, მაგრამ როგორც კი განმარტოვდებოდა, მაშინვე დაჯდომის სურვილი უჩნდებოდა, თვალები ეხუჭებოდა და ხილვები ეწყებოდა. ხან დედას, ხან მამას, ხან პაპას და კიდევ ვის აღარ ხედავდა. ერთი სიტყვით, დღე-ღამის განმავლობაში მუდმივ ტანჯვასა და დაძაბულობაში იყო. ვერავის ვერ უმხელდა თავის გასაჭირს, რადგან იცოდა, რომ არავინ დაუჯერებდა და რა თქმა უნდა სულელად ჩათვლიდა. პაპა შერმადინის გამოცხადების შემდეგ დიმიტრის და შერმადინის გამოჩენამ ხომ კინაღამ ჭკუიდან გადაიყვანა. თავის თავს ვეღარ ცნობდა. კოლონიის «ბინადარნიც» რაღაც განსაკუთრებულად უყურებდნენ მას. გიორგი ხვდებოდა, რომ ასე გაგრძელება კარგ შედეგს არ მოიტანდა. ეს ხომ კოლონია იყო. აქ ყველაფერი სხვა კანონმდებლობას ექვემდებარებოდა. პაპა შერმადინის დანაბარებზე დიმიტრისთან საუბარსაც ვერ ბედავდა, ბოდვად არ ჩამითვალოსო და იყო ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში. ხილვებისა და საოცარი ოფლის დენისაგან დაიღალა გიორგი.

საღამოს, როდესაც დასაძინებლად ემზადებოდა, საკანში დიმიტრი შემოვიდა. საწოლთან ახლოს, რომელზეც გიორგი იჯდა და რომელიც დიმიტრის ეკუთვნოდა ტაბურეტი დადგა, ზედ დაჯდა, გიორგის მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

_ყველაფერი კარგად იქნება. ნერვები დაიწყნარე. შენ აქ დაწვები, მე კი ზევით შენს საწოლზე დავიძინებ.

_დიმიტრი, შენ ასაკოვანი კაცი ხარ, ზემოთ კოიკაზე გაგიჭირდება. უხერხულ მდგომარეობაში მაყენებ. -თქვა გიორგიმ და ფეხზე წამოდგომა დააპირა.

_არ ადგე. როგორც ვთქვი, ეგრე იქნება. ეხლა კი ძილი ნებისა. დანარჩენზე ხვალ ვილაპარაკოთ.

დილით გიორგი "ჩერეპახასთან" გამოიძახეს.

საკნიდან გამოსულმა ირემაშვილმა სტადიონის მხარეს დიმიტრის მოჰკრა თვალი. მიესალმა. დიმიტრიმ ხელი ასწია და ღიმილი შეაგება გიორგის სალამს. დიმიტრის ასეთმა ხალისიანმა ქმედებამ თითქოს ძალა შემატა ირემაშვილს და ისიც მხნედ წავიდა ქურდების «რეზიდენციისაკენ».

_გიორგის გაუმარჯოს! - შესვლისთანავე წამოიძახა "ჩერეპახამ" და იქვე მდგომ ტაბურეტზე მიუთითა, - დაჯექი ცოტა დაისვენე.

გიორგი მიხვდა, რომ საუბარი ხანგრძლივი და შეიძლება დაძაბულიც ყოფილიყო, რადგან იქვე მაგიდაზე, მის მხარეს წყლით სავსე ბოთლი დადგეს. ერთი ეს ვერ გაიგო, წყალი «ცივი წყალი დალიეს» პრინციპით დადგეს, თუ მისი ბოლოდროინდელი ავადმყოფობის გამო.

_როგორა ხარ გიორგი? გვითხრეს ავად გახდაო, მართალია? - ჰკითხა "ჩერეპახამ".

_ჰო, ვერა ვარ კარგად. ალბათ, აკლიმატიზაციის ბრალია ყველაფერი. რას ვიზამთ, ასეთი ყოფილა ცხოვრება.

_რაც შენ გადაგიტანია, ცოცხალი რომ ხარ კიდევ ყოჩაღ, ძმაო, - უთხრა "ჩერეპახამ" და თან სიგარეტს მოუკიდა, - ეგ შენი მეგობრები, თუ ძმაკაცები სად გაიცანი ან სად შეიძინე, იქნება გვითხრა.

_ერთ უბანში გავიზარდეთ, ცუდი ბიჭები არ იყვნენ.

_შენ მართლა ჰალალი კაცი ყოფილხარ. მაგ ნაძირალებს როგორ ენდე, ან მაგათთან ჭიქას როგორ წევდი. მე ისიც კი ვიფიქრე, შენც შეიძლება ეგეთი იყო თქო, მაგრამ ჯერ-ჯერობით გაკვირდები და ვერაფერს ვიტყვი, სანამ ბოლომდე არ დავრწმუნდები შენში.

_რა შორიდან მივლი, ნუგზარ. სიმართლე როგორი მწარეც უნდა იყოს, მე მზად ვარ, მოვისმინო და თუ დამნაშავე ვარ, პასუხიც ვაგო. - თქვა მან და საკანში მსხდომთ გადახედა.

საკანში სიჩუმე იდგა. ყველა "ჩერეპახას" მიშტერებოდა და ელოდებოდა მის «განაჩენს».

ნუგზარ-ჩერეპახა არ ჩქარობდა. სიგარეტს აბოლებდა და ხველებით იხრჩობდა თავს. ბოლოს როგორც იქნა, საწოლზე გასწორდა, სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო და დაიწყო:

_შენი ძმაკაცები არსად არ წასულან. დიდი დიღმის დასახლების მეოთხე კვარტალში ბინა აქვთ დაქირავებული და იქ ცხოვრობენ. ეს მათმა ოჯახის წევრებმაც კი არ იციან. თან ისეთი ჟმოტები არიან, ბინის ქირა ბევრი რომ არ გადაიხადონ, სადღაც ტ. . . .ში ცხოვრობენ და როგორც არ უნდა გაგიკვირდეს, ისევ შენს წინააღმდეგ მუშაობენ.

_ჩემგან რაღა უნდა უნდოდეთ? - მწარედ გაეცინა გიორგის, - მე ხომ უკვე განადგურებული კაცი ვარ. არა მჯერა რატომღაც ეს ყველაფერი.

ამ სიტყვების გაგონებაზე, "ჩერეპახას" მეზობელმა, რომელიც გაუნძრევლად იწვა საწოლზე და ერთი თვალი ღია ჰქონდა, ხოლო მეორე დახუჭული, ხრინწიანი ხმით დაიძახა:

_ეე! ვასია! შენ რა ქურდებისა არა გჯერა?!

_ბოდიშს მოვიხდი, რომ ეს გაკადრეთ, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში ყველა ნორმალურ ადამიანს გაუცნობიერებლად წამოსცდებოდა ეს სიტყვები.

_ჰო, კარგი, კარგი, გიორგი, - გააგრძელა "ჩერეპახამ", - შენივე სიტყვებიდან გამომდინარე გეუბნები. შენ ხომ თქვი, როგორი მწარეც უნდა იყოს სიმართლეო.

_დიახ.

_ჰოოდა მისმინე. არიფმა ფული გადაიხადაო, ეს ერთია, მაგრამ როდესაც ამ არიფის, ანუ ამ კაცის მოკვლას შეუკვეთავენ, ეს უკვე არაკაცურია. შენ რაც მოგვიყევი, ყველაფერი დადასტურდა. მხოლოდ შენ ის არ იცი, რასაც აქ გიმზადებენ.

_არ არსებობს, არა მჯერა! -წამოიძახა გიორგიმ და ცივი ოფლი წამოუვიდა შუბლიდან.

მაგიდაზე მდგარმა ცივმა წყალმა თავისი ფუნქცია შეასრულა. გიორგიმ შვებით ამოისუნთქა და განაგრძო:

_ნუგზარ, გამაგებინე რა ხდება? ძალიან გთხოვ.

_მეტი რაღა გითხრა, - ხელები გაშალა "ჩერეპახამ", - შენს დაბრედვაზე ზონაში ფულია გადახდილი. ერთს გეტყვი, ძმაო, მე ამ საქმეში წილში არ გავდივარ. დანარჩენის თქმის უფლება არა მაქვს. ბაზარი დამთავრებულია, შენ ჩემთან არავითარი ვალი არა გაქვს. ციხეს კიდევ თავისი კანონები აქვს და ამას სხვები აგიხსნიან.

გიორგი ქურდების «რეზიდენციიდან» გაოგნებული გამოვიდა. სპორტული მოედნისკენ გასწია. მოედანს რომ გასცდა, იქვე კუთხეში დაგდებულ ქვაზე ჩამოჯდა. ფიქრი უნდოდა და ვერ ფიქრობდა, აზრს ვერ ალაგებდა, მხოლოდ თვალები ჰქონდა დაჭყეტილი და უაზროდ ერთ ადგილს მიშტერებოდა. ეს ადგილი კი მთა იყო, ჩრდილოეთის მხარეს, სადაც წმიდა პეტრე მოციქულის სახელობის ტაძარი იყო აღმართული. ამ დროს ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო, მკვირცხლად შემობრუნდა, ზევით აიხედა და დიმიტრის მომღიმარი სახე დაინახა.

_რა გაგჭირვებია, ძმობილო? - ჰკითხა დიმიტრიმ.

დიმიტრის ხელიდან ისეთი არაამქვეყნიური სითბო გამოდიოდა, რომ გიორგის მთელი სხეული სასწაულად გაუთბა, გონება დაუბრუნდა და მთელი დღის გატანჯულმა, შვებით ამოისუნთქა. მერე თავი დიმიტრის ფეხს მიადო, უცბად სიზმარი გაახსენდა და ცრემლები წამოუვიდა თვალებიდან:

_რა გჭირს, კაცო? - შეეკითხა დიმიტრი.

_რომ გითხრა, მაინც არ დამიჯერებ, იტყვი გიჟიაო.

დიმიტრიმ ჩაიმუხლა. გიორგის მხარზე ხელი დაარტყა და უთხრა:

_გიორგი, მე რომ შენ არასერიოზულ კაცად შემეცანი, ახლა აქ არ ვიქნებოდი. კიდევ ერთხელ გეუბნები, მენდე ბოლომდე. შენისთანა გაჭირვებული კაცის ცხოვრება კარგად ვიცი და ჩემი დახმარების იმედი გქონდეს.

_პაპა შერმადინმაც ეგ მითხრა, მხოლოდ არა ცხადში, არამედ სიზმარში, რომელიც შენი და კოტორაშვილის გაცნობამდე ვნახე. - თქვა გიორგიმ და დიმიტრის დაწვრილებით მოუყვა ნანახი.

დიმიტრი ყურადღებით უსმენდა ირემაშვილს და ღიმილი არ სცილდებოდა სახიდან. როგორც კი გიორგიმ თხრობა დაამთავრა, დიმიტრი ფეხზე წამოდგა, ცას შეხედა, პირჯვარი გადაიწერა და გულიანად წარმოსთქვა:

_დიდება უფალს! ის სამყარო და ჩვენი ერთმანეთზეა მიბმული. უბრალოდ ჩვენ მათ ვერ ვხედავთ. ღმერთი, როგორც ცოდვის შვილებს, ამის უფლებას არ გვაძლევს. სანაცვლოდ კი, წესიერი ცხოვრების შემდეგ სასუფევლის კარს გვიღებს. მაგრამ ვცხოვრობთ კი ისე, როგორც ამას უფალი მოითხოვს?

_ეეჰ! ჩემო დიმიტრი, -ამოიხვნეშა გიორგიმ, _რაც დღეს მე მითხრეს, იმის შემდეგ ამქვეყნიური რაღა უნდა ვიწამო?.. ბავშვობიდან ერთად შეზრდილი მეგობრები რომ ფულის გულისთვის მოკვლას დაგიპირებენ, განა ეს ტრაგედია არ არის?

_ამისთანა რა მოხდა? -იკითხა დიმიტრიმ.

გიორგიმ თავის ისტორია თავიდან ბოლომდე მოუყვა. ბოლოს კი დააყოლა:

_ეს ქურდები რამეს ხომ არ მამაძაღლობენ, კაცო?

_არა მგონია, _ უპასუხა დიმიტრიმ, _ ასეთ საქმეში ეგენი ტყუილს არ იტყვიან,

სიფრთხილე გმართებს, _ მერე გაიარ-გამოიარა და განაგრძო, - მაგ საქმის რეალობას მე დავადგენ, _ თან გაუღიმა, _ პაპა შერმადინმა შენი თავი ხომ მე ჩამაბარა, ესე იგი, ვალდებული ვარ გვერდში დაგიდგე.

_ღმერთი იყოს შენი მფარველი, ჩემო დიმიტრი.

VII

დიმიტრი ლაფერიშვილს ინფორმაციების თავისი წყაროები ჰქონდა. მხოლოდ ყველასაგან განსხვავებით არაამქვეყნიური. ღმერთს მისთვის იმის უნარი მიენიჭებინა, რომ შეეცნო ადამიანი. ხოლო როდესაც დიმიტრის ამ ქმედებაში დარწმუნებული მოკვდავნი ეკითხებოდნენ მას: «საიდან იგებ ჩვენს წარსულს ან მომავალსო,» - იგი ერთსა და იმავე პასუხს იძლეოდა_მე არაფერ შუაში ვარ, ყველაფერს თქვენი ანგელოზი მეუბნებაო. მაგრამ მას ყველა ადამიანთან კი არ ჰქონდა ურთიერთობა, არამედ მხოლოდ მათთან, ვისაც კეთილი ანგელოზი მფარველობდა. ავი ანგელოზის ქვეშ მყოფ ადამიანებს იგი ყოველთვის ერიდებოდა, რადგან მათგან უარყოფითი ენერგია მოდიოდა. ეს ადამიანები უფრო მეტად ეშმაკისაკენ იყვნენ გადახრილნი და მათი განკურნება მხოლოდ ეკლესიას შეეძლო, რომლის გზაც მათთვის ბოროტს ჰქონდა გადაკეტილი.

გიორგის ანგელოზმა მაშინვე უჩვენა დიმიტრის თუ საფრთხე საიდან მოდიოდა. ეს იყო ზონაში ახლადშემოყვანილი «მხედრიონელების» ის ჯგუფი, რომელიც ფულის გულისთვის კაცის კვლაზე უკან არასდროს იხევდენ. უფრო მეტიც, თავიანთი «ზეობის» პერიოდში, ისინი ქურდული სამყაროს ავტორიტეტებსაც არ ერიდებოდნენ და მათი მისამართით მრავალი ტერორისტული აქტი მოაწყვეს. ერთი სიტყვით, ესენი ის «კუზიანები» იყვნენ, რომელთაც მხოლოდ «სამარე ასწორებს.»

ავჭალის კოლონიაში იმ დროს მრავალი პოლიტიკური თუ მისგან განზე მდგომი, სხვადასხვა ორიენტაციის ადამიანები შეიკრიბნენ. აქ იყვნენ ზვიადისტები, მხედრიონელები, ტერორისტები, მკვლელები და ვინ მოთვლის, კიდევ ვინ. პოლიტიკური პატიმრებისთვის უცხო იყო ქურდული კანონები, ისინი მას არ ექვემდებარებოდნენ. თან იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ მათთან მდგომარეობის დაბალანსება ქურდებისაგან საკმაო ძალისხმევასა და ჭკუა-გონებას მოითხოვდა. ზვიადისტი მხედრიონელს ვერ იტანდა, მხედრიონელი ქურდს, ქურდი ორივეს ერთად და ასე შემდეგ.

ქურდების გარდა სიტუაციის დაბალანსებაზე დიმიტრი ლაფერიშვილიც ფიქრობდა. მას, როგორც ღვთის მოვლენილ კაცს, არ უნდა დაეშვა, რომ ეს ეშმაკის მიერ გადარეული ხალხი ერთმანეთს დარეოდა და ზონა სასაკლაოს დამსგავსებოდა. დიმიტრი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კოლონიაში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობა ყველა ადამიანს დააფიქრებდა და ღვთისკენ შემოაბრუნებდა. ამისთვის კი რაღაც საერთო საქმიანობის წამოწყება იყო საჭირო, რაც სხვადასხვა ორიენტაციის ხალხს ერთი მიზნისკენ წაიყვანდა. ასეთი საქმე კი, დიმიტრის აზრით, ეკლესიის მშენებლობა იქნებოდა, რომელიც ყველა «რჯულის» ადამიანს, წესიერს თუ არამზადას საკუთარ სულში ჩაახედებდა. საქმის წამოწყებას საინიციატივო ჯგუფი სჭირდებოდა. დიმიტრიმ

არჩევანი «ზვიადისტებზე» შეაჩერა. იქ მართლაც სერიოზული და ღვთის მოშიში ადამიანები იყვნენ გაერთიანებული. იდეა ქურდებსაც მოეწონათ. ადმინისტრაციამაც თანხმობა განაცხადა და გადაწყდა, რომ ტაძარი, რომელსაც ქართველი ერის მფარველის, დიდმოწამე გიორგის სახელი ეწოდა, აშენებულიყო სპორტული მოედნის გვერდით, იმ ადგილას, სადაც გიორგი ირემაშვილს უყვარდა განმარტოება და საიდანაც მთელი თავისი სიმშვენიერით მოჩანდა მაღალ მთაზე აღმართული წმიდა პეტრე მოციქულის სახელობის ტაძარი.

მშენებლობისთვის ყველაფერი მზად იყო. დაწესებულების ადმინისტრაცია და მსჯავრდებულები საქმის დაწყებისათვის პატრიარქის ლოცვა-კურთხევასღა ელოდებოდნენ.

გიორგი ირემაშვილი თითქმის ყოველდღე განმარტოვდებოდა ხოლმე იმ ადგილას, სადაც ტაძარი უნდა აეშენებინათ. ამოჩემებული ჰქონდა ერთი დიდი ქვა, იჯდა ამ ქვაზე და ღრმად ჩაფიქრებული მიწას დაშტერებოდა.

დიმიტრიმ კარგად იცოდა, რომ გიორგის ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცნობიერებული მეგობრების ღალატი, ვერ წარმოედგინა, რომ მათ მისი მოკვლა უნდოდათ. ამიტომ ლაფერიშვილი გიორგის მუდამ თან დასდევდა. თავდასხმა ნებისმიერ დროს შეიძლება მომხდარიყო. დიმიტრის ინფორმაცია ჰქონდა მიღებული, რომ მკვლელი «მხედრიონელები» რამდენიმე დღეში უნდა გადაეყვანათ რუსთავის კოლონიაში. ეს თვითონ მკვლელებმა არ იცოდნენ, ამიტომ ხელსაყრელი მომენტის არჩევანში იყვნენ და დროის ფაქტორზე იმდენად არ ამახვილებდნენ ყურადღებას. დიმიტრი და შერმადინი გიორგის უყურადღებოდ არასოდეს ტოვებდნენ. ხანდახან ამ საქმიანობას მორიგეობით ასრულებდნენ. აი, ახლაც დიმიტრი მიუახლოვდა ქვაზე ჩამომჯდარ და იდაყვებში თავჩარგულ ირემაშვილს, მხრებზე ხელი დაადო და უთხრა:

_რა გჭირს? კიდევ ცუდად ხარ?

გიორგიმ თავი ასწია. დიმიტრის მომღიმარე სახე რომ დაინახა, თვითონაც ხასიათზე მოვიდა. ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამოართვა ლაფერიშვილს და დაბალ ხმაზე ჩაილაპარაკა:

_ლამის გული გასკდეს, კაცო, სიცოცხლე აღარ მინდა ისეთ დღეში ვარ.

_ ეგეთი რამე მეორედ აღარ თქვა! _ ნაწყენი კილოთი უთხრა დიმიტრიმ, _ ეგ სიტყვები ღმერთის გმობაა.

_ რა ვთქვი ეგეთი? _იკითხა გაოცებულმა ირემაშვილმა.

_ შენ სხეულში ღმერთის ნაბოძები სული გიდგას და მისი განკარგვის უფლება მხოლოდ უზენაესს აქვს. სასოწარკვეთილება კი უღმერთობაა, სიბნელეში სიარულია, სიბრმავეა სულისა, როცა არ იცი, როდის სად გადაიჩეხები. ბნელეთის უფსკრულში მყოფმა არ უწყის ნათელი ღვთისა, ხოლო სასოწარკვეთილების ვნებით შეპყრობილმა _ მადლი უფლისა. სასოწარკვეთილება, ჩემო გიორგი, მხოლოდ ცხოვრებისეული წინააღმდეგობებიდან წარმოიშვება. გახსოვდეს, რომ მხოლოდ ცხოველს აღიზიანებს წინააღმდეგობა. ადამიანი ცხოველს არ უნდა დაემსგავსოს, არ უნდა გაბოროტდეს. ყოველი ჩვენგანის გზა გოლგოთაა და გვინდა თუ არა, ვალდებული ვართ ჩვენ-ჩვენი ჯვარი ვზიდოთ. სიბრძნე ზირაქისა გვასწავლის _ «ნუ მიეცემი მწუხარებას და თავს შენივე ნებით ნუ გაიწამებ. დაიამე სული და გულით გამხნევდი და დარდი განიშორე.»

დიმიტრიმ წამით შეწყვიტა საუბარი და გიორგის თვალებში შეხედა. ირემაშვილი

კი უყურებდა თავის მფარველს, მაგრამ გამოხედვიდან ეტყობოდა, რომ ფიქრით სხვაგან იყო. ლაფერიშვილმა ეხლა კი ხმამაღლა უთხრა:

_ გაიგე, კაცო, რასაც გეუბნები?!

_ როგორ არ გავიგე, _ თქვა გიორგიმ ისე, რომ თვალი არ დაუხამხამებია, _ ყველაფერი გავიგე, მაგრამ ერთი რამ ვერ ამოვხსენი. თუ ღმერთის მიერ ნაბოძები სული გვიდგას სხეულში, მაშინ ამდენ ტკივილს რატომ აყენებს თავის მიერვე შექმნილ სულს? რატომ სტანჯავს? ის ხომ ღმერთია და არა დემონი?

_ აი, სწორედ ეს არის ადამიანური ბუნების ამოხსნის საწყისი, _ წამოიძახა აღფრთოვანებულმა ლაფერიშვილმა, _ ჩვენ, ადამიანები ცხოველებისაგან იმით განვსხვავდებით, რომ აზროვნების უნარი გვაქვს და ამას გვანიჭებს ღმერთის მიერ ნაბოძები სული, რომელსაც ყველა ადამიანი უნდა გაუფრთხილდეს, სიბინძურისაგან დაიცვას და ისეთივე სპეტაკი ჩააბაროს უფალს, როგორიც მისგან მიიღო. ხოლო რაც შეეხება სატკივარს, რომელსაც ღმერთი ჩვენი ცხოვრების გზაზე გვიჩენს, ასევე ჩვენს სასიკეთოდ არის მომართული.

_ დიმიტრი, _ შეაწყვეტინა გიორგიმ სიტყვა, _ ბოდიშს მოგიხდი, რომ საუბარს გაწყვეტინებ, მაგრამ არ მესმის ტკივილი ჩვენს სასიკეთოდ როგორ უნდა იქნეს მომართული.

_ მაგასაც გეტყვი,რატომ ჩქარობ, _ დაამშვიდა დიმიტრიმ ირემაშვილი, _ შენ ისტორიკოსი კაცი ხარ და კარგად იცი ვინ იყო მიქელანჯელო.

_ რა თქმა უნდა, ვიცი, დიდი შემოქმედი იყო.

_ ჰოდა, აგაშენა ღმერთმა, _ განაგრძო დიმიტრიმ, _ მიქელანჯელოს აქვს ნათქვამი «ათას სიხარულში არ გავცვლი ჩემს ერთ ტკივილსო.»

_ ვერ გავიგე რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვები, _ იკითხა გაკვირვებულმა გიორგიმ, _ ის ჭკვიანი კაცი იყო, ამ სიტყვებს ისე არ იტყოდა, რაღაც სიბრძნე უნდა იდოს მასში.

_ გეთანხმები, _ დაუდასტურა დიმიტრიმ, _ მაშინ მომისმინე და ყველაფერი კარგად დაიმახსოვრე. ღმერთმა თავის მსგავსად და ხატად შექმნა ადამიანი. თავისივე სული უბოძა მას. და რადგან თავის მსგავსად შექმნა, იგი ისეთივე შემოქმედი უნდა ყოფილიყო, როგორც მისი მამაზეციერი. ადამიანი პირველ რიგში სიკეთის და სიყვარულის მთესველი და ჭეშმარიტების მაძიებელი უნდა იყოს. ეს კი მას ხელეწიფება მაშინ, როდესაც თავის წილ ტკივილს დაატარებს გულით, რადგან ტკივილის გარეშე ღმერთისგან იგი შორს არის და, რა თქმა უნდა, ვერც შეძლებს იმ მადლის მიღებას, რაც სიკეთისა და სიყვარულის შექმნაში დაეხმარება. წმიდა მამები გვასწავლიან: «ადამიანი უნდა ეცადოს, რომ გულში მოუკლებლივ იქონიოს დარდი და წუხილი, რათა დაეხმაროს სულს გადარჩენაში. თუ კაცის სული არ არის მწუხარე, თუ მას ქვეყნიურ ცხოვრებაში არ აკლია შვება და ნუგეში, მაშინ რად დაიწყებს იგი დიდი შემწისა და მფარველის ძებნას ზეცას, რომ შეეწიოს მას ცხოვრებაში?» აი, რა არის მიქელანჯელოს ნათქვამი სიტყვების არსი, _ თქვა დიმიტრიმ, ზეცას ახედა, პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო, _ შენი სატკივარი კი დღეს შენი ყოფილი მეგობრები არიან. მათ შენ გიღალატეს. რასაკვირველია, ძნელია ყოველივე ეს უდრტვინველად, იმ შეგნებით მიიღო, რომ უფალს ასე სურს. განსაცდელი ღვთის მიერ დაიშვება, რათა ჩვენი ფარული სათნოებანი გარეთ, დღის სინათლეზე გამოვიდეს. ჭეშმარიტი მორწმუნე განსაცდელის ჟამს რკინის ჭურჭელს ემსგავსება და ვერაფრით გატეხ, ხოლო გაბოროტებულ,

სასოწარკვეთილ, ურწმუნო კაცს უბედურება ისევე ამსხვრევს, როგორც რკინის ჯოხი შუშის ქილას. ამიტომ სასოწარკვეთილებას არ უნდა მიეცე, გიორგი, ეგ დიდი ცოდვაა.

_ გმადლობთ, დიმიტრი,_აღმოხდა გიორგის, რომელსაც უცებ გაუბრწყინდა სახე,_ეხლა მივხვდი რა დიდი სიბრძნეა ჩადებული ჩვენს სარწმუნოებაში. რატომ ვერ ვგრძნობდი ამას აქამდე?

დიმიტრის გაეღიმა. მის გულში სიხარულმა დაისადგურა. ეს კიდევ ერთი გამარჯვება იყო ბოროტზე. მან დღეს გიორგისგან ეშმაკი განდევნა. მერე მოიხსნა გულზე ჩამოკიდებული პატარა ფსკვნილი, რომელზეც ჯვარი იყო გამოსახული, გიორგის გაუწოდა და უთხრა:

_ ეს ატარე ყოველთვის. შიგ ორმოცდამეათე და ოთხმოცდამეათე ფსალმუნებია. პირველი მუდმივი სინანულისკენ მოგვიწოდებს, რათა შეგვინდოს ღმერთმა ჩვენი შეცოდებანი, ხოლო მეორე მტრისგან დაგიცავს. წასაკითხ ფსალმუნებს კი მერე მოგაწვდი.

გიორგიმ ფსალმუნნი მკერდზე ჩამოიკიდა, პირჯვარი გადაიწერა, დიმიტრის ხელი ჩამოართვა, გადაეხვია, მხარზე აკოცა და თვალცრემლიანმა ძლივს ამოილუღლუღა:

_ მეგობრები დავკარგე, მაგრამ ღმერთმა არ გამწირა და კვლავ შემძინა ისინი. მხოლოდ ეხლა ნაღდი, ჭეშმარიტი.

_ ღმერთმა გისმინოს. პაპა შერმადინს უმადლოდე. _ ღიმილით უპასუხა დიმიტრიმ.

_ ძმაო, _ უთხრა უკვე დამშვიდებულმა გიორგიმ, _ ერთ კითხვაზე კიდევ მაინტერესებს პასუხი.Q

_ აბა გისმენ.

_ როგორ შევიცნო ღმერთი?

_ ძველი ბერების ნათქვამია: «შეიცან თავი შენი და შეიცნობ ღმერთს.»

VIII

ათას ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი წლის ზაფხულში, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მამა გიორგიმ ავჭალის კოლონიაში აკურთხა წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის საძირკველი. ტაძრის მშენებლობას არქიტექტორთან ერთად, დიმიტრიც ხელმძღვანელობდა, ხოლო შემსრულებელთა ძირითადი ბირთვი «ზვიადისტებისაგან» შედგებოდა. სხვებთან ერთად თავდაუზოგავად შრომობდა გიორგი ირემაშვილიც, რომელიც უკვე დასდგომოდა ქრისტეს გზას და თავისი მფარველის, დიმიტრის სიტყვები ცხოვრების დევიზად გადაექცია: «ყოველი ჩვენგანის გზა გოლგოთაა და გვინდა თუ არა, ვალდებული ვართ ჩვენ-ჩვენი ჯვარი ვზიდოთ.»

ტაძრის მშენებლობამ ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბა. აქ იყვნენ ეროვნული და რელიგიური სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანები. ყველას თავისი საქმე ჰქონდა. ზოგი ხეზე მუშაობდა, ზოგი ქვის მთლელი იყო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ «ზვიადისტები». ერთ-ერთი მათი ლიდერი მეტად საპასუხისმგებლო საქმეს შეეჭიდა. ტაძარში შესასვლელი დასავლეთის კარის ზევით დასადებ ქვაზე წმიდა გიორგის გამოსახულების ამოკვეთა დაიწყო. საქმეც გამოსდიოდა. ყველაფერი ხომ უფლის ნებით

ხდება.

გიორგი ირემაშვილი გარდა იმისა, რომ მთელი დღე ტაძრის მშენებლობაზე მუშაობდა, თავისუფალ დროს ბზისგან, ან ხის სხვა მასალისგან ჯვრებს და შანდლებს ამზადებდა. ტაძრის გვერდზე დამხმარე სათავსოში სახელდახელო სახელოსნო მოაწყო. შეიძინა იარაღები, სპირალები და დიმიტრისთან კონსულტაციებით მიაღწია იმას, რომ ყველა საეკლესიო ნივთის კანონიკურობას ზედმიწევნით იცავდა. თუ რაიმე არ იცოდა, დაწესებულებაში მამა გიორგის მოსვლას ელოდებოდა ხოლმე, რჩევა რომ მიეღო. ნელ-ნელა ისე დახვეწა თავისი ხელობა, რომ გარედან შეკვეთებსაც იღებდა. მასალის შოვნა უჭირდა. ხე და დამხმარე მასალები ზედამხედველებს მოჰქონდათ ათმაგ ფასში და ფაქტიურად კაპიკებზე მუშაობდა. მაგრამ არასდროს დაუწუწუნია, რასაც ღმერთი აძლევდა, კმაყოფილი იყო. დიმიტრის ეს მხედველობიდან არ გამორჩენია. ერთ მშვენიერ დღეს იგი ვიღაც კაცთან ერთად გიორგის სახელოსნოში ესტუმრა და მოკითხვის შემდეგ უთხრა:

_ გიორგი, ეს კაცი გაიცანი, ამ დაწესებულების წარმოების უფროსი გახლავთ, ბატონი თემური.

_ სასიამოვნოა, _ თქვა გიორგიმ და თემურს ხელი ჩამოართვა, _ არ მეგონა აქ წარმოება თუ კიდევ მუშაობდა.

_ მართალია სულს ვღაფავთ, მაგრამ მალე გავსწორდებით წელში, _ განაცხადა წარმოების უფროსმა, _ მთავარია წარმოების საშუალებები შევინარჩუნოთ, თორემ საქმის მეტი რა არის. აი, თქვენი დასაქმება კი შემიძლია. წამოდით, გაგიყვანთ საწარმოო ზონაში, კარგ ოთახს მოგცემთ, პირობებს შეგიქმნით და ცოტა ფულსაც იშოვით.

_ კარგი იქნება, _ ჩაილაპარაკა გიორგიმ, _ დიდი მადლობა, მაგრამ აქ ტაძრის გვერდზე მირჩევნია. აქ უფლის ანგელოზები ტრიალებენ.

_ ბატონო თემურ, _ საუბარში ჩაერთო დიმიტრი, _ ჯერ-ჯერობით დიმიტრის გარეთ გაყვანაზე თავს ვიკავებთ. განა იმიტომ, რომ არ გენდობით, პირიქით, თქვენისთანა წესიერი კაცი ამ დაწესებულებაში კი არა, გარეთაც ცოტა თუ დადის. გიორგისთან დაკავშირებით რაღაც პატარა პრობლემაა მოსაგვარებელი და ამიტომ ჯერ აქ ურჩევნია, სანამ ის საქმე არ ჩაივლის.

_ რა არის, ვინმე ხომ არ ემტერება? _ იკითხა თემურმა.

_ ამ თემაზე, მოდით დღეს ნუ ვისაუბრებთ, _ მოკლედ მოჭრა დიმიტრიმ, _ ბოდიშს მოგიხდი, ჩემო თემურ.

_არაფერს, როგორ გეკადრება, დიმიტრი. გასაგებია ყველაფერი. თუ რამეში შემიძლია დახმარება, ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ. მორწმუნე ხალხს ყოველთვის გვერდში დავუდგები.

თემური მიხვდა რაში იყო საქმე. იგი საკმაოდ ჭკვიანი გახლდათ არა მარტო თავის საქმიანობაში, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც არ უჭირდა გზის გაკვლევა. უხერხულობა რომ გაეფანტა, საუბრის თემა შეცვალა:

_ გიორგი, თუ რაიმე მასალები ან იარაღები გჭირდება, არ მომერიდო. გატყობ მასალის შოვნა გიჭირს.

_ თქვენ როგორ შეგაწუხოთ, ბატონო თემურ.

წარმოების უფროსმა რომ გაიგო, თუ როგორ ძვირად ღებულობდა მასალებს გიორგი, თავი გადაიქნია უკმაყოფილებისაგან. არაფერი უთქვამს, ისე წავიდა. ერთი

საათის შემდეგ მობრუნდა, თან მოიტანა სხვადასხვა ზომის სპირალები, ლურსმანი, წებო, ბზის რამდენიმე ნაჭერი და კიდევ ბევრი რამ.

_ ეს ჩემგან ფეშქაში იყოს გიორგი.

_ არა ბატონო, ფულის გარეშე არ ავიღებ. _ იუარა ირემაშვილმა.

_ დღეს ასე იყოს და მეორე პარტიიდან გადამიხადე ხოლმე. თან იცოდე, ჩემი მოწოდებული მასალის ფასები გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე სხვისი. არ გეგონოს, მე ამით ფულს ვშოულობ. უბრალოდ, რომ შეგხედე, წესიერი კაცი ხარ და მინდა დაგეხმარო. მე პატიმრებისგან ფულს არ ვშოულობ, პირიქით, როდესაც ჩემთან ვამუშავებ, რაც ეკუთვნის ხშირად იმაზე მეტსაც ვაძლევ, რადგან ყველას ოჯახები გვყავს. დღეს კი ჭირს ცხოვრება.

_ მადლობის მეტი რა მეთქმის, ბატონო თემურ, _ მორიდებით წარმოთქვა ირემაშვილმა, _ სიკეთით გადამეხადოს, დაგლოცოთ უფალმა და სული წმიდამ გაგაძლიეროთ.

როდესაც წარმოების უფროსი დაემშვიდობა მსჯავრდებულებს, დიმიტრიმ გიორგის უთხრა:

_ წესიერი კაცია თემური. აქ ძალიან დიდი წარმოების ხელმძღვანელი იყო. ფულსაც კარგად შოულობდა. როდესაც დრო აირია და ყველაფერი გაჩერდა, სხვაგან წარმოების საშუალებების ძარცვა დაიწყეს, მას კი პირიქით, არაფერი გაუყიდია. შეინარჩუნა. ვისაც რამე ხელობა ეხერხება, არ უკარგავს, ამუშავებს და უხდის კიდეც. თვითონაც უჭირს, მაგრამ უძლებს. ჩვენი დროც მოვაო, ამბობს. ღმერთმა კეთილ გზაზე ატაროს.

_ ამინ. _ დაუდასტურა გიორგიმ, აიღო სპირალი, დენზე შეაერთა და შანდლის ამოწვა გააგრძელა.

_ ამაღამ ჯუბას პატარა პურ-მარილი აქვს, ოცდახუთი წლის გახდა და დაგვპატიჟა ორივე. რომელ საათზე მორჩები, რომ გამოგიარო? _ ჰკითხა დიმიტრიმ გიორგის.

_ ვაჰ! მიულოცე რა ჩემს მაგიერ. საჩუქარი ჩემზე იყოს. მე კი ვერ წამოვალ. «ჩერეპახამ» ბზის ჯვრის გაკეთება მთხოვა, ახლობლისთვის უნდა. რომ არ გავუკეთო, არ გამოვა, დილით უნდა რომ გაუგზავნოს. ბარემ სანამ დენია, ვიმუშავებ, ამ შეკვეთას მოვრჩები და მერე ბზის ჯვარცმას დავიწყებ. იმას ხომ იცი, ხელით ჩალიჩი უნდა და ნაღდად ვერ მოვიცლი.

_ უშენოდ როგორ წავიდე, ლუკმა არ გადავა ყელში. მაშინ მეც დავრჩები და წიგნს წავიკითხავ.

_ არ გამოვა, ეწყინება. ხომ იცი პატარა ბიჭია. შენ რომ მიხვალ, მეც ჩამეთვლება. თან სიტუაციას აუხსნი, რატომ ვერ წამოვედი.

_ ჰო, კარგი, კარგი. ნახევარი საათით მივალ და მერე ისევ გამოგივლი. მანამდე წამოვწვები შენ გაკეთებულ ტახტზე და წავუძინებ. ათი საათისთვის გამაღვიძე და წავალ.

გიორგიმ ზუსტად ათ საათზე გააღვიძა დიმიტრი. პატარა ხის შანდალი მისცა, ჯუბას მიულოცე დაბადების დღეო და გაისტუმრა.

დიმიტრი გავიდა სახელოსნოდან, უკვე დაღამებული იყო. ცას შავი ღრუბელი გადაჰკროდა, ისე რომ არც მთვარე ჩანდა და არც ვარსკვლავები. ტაძრის გარშემო წყვდიადი ჩამოწოლილიყო. მხოლოდ გიორგის სახელოსნოდან გამოდიოდა სინათლის

სხივი. ირემაშვილი მარტო იჯდა თავის სამუშაო მაგიდასთან და ბზის ჯვარზე ფაქიზად კვეთდა მაცხოვრის გამოსახულებას. უცებ კარმა გაიჭრიალა. გიორგის არც გამოუხედავს, ისე ჩაილაპარაკა:

_ ვაჰ, დიმიტრი, უკვე მოხვედი?…

წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ვიღაცამ პირზე ხელი ააფარა და დანა ყელზე მიადო.

_ ხმა არ ამოიღო, თორემ დაგკლავ ღორივით!

გიორგი გაშეშდა. უკან მოხედვა არ შეეძლო. ვერც ხმაზე იცნო თავდამსხმელი. ხმასაც ვეღარ იღებდა, ისე ჰქონდა დანა ყელზე მიბჯენილი.

_ დანა არ მინდა ამის სისხლით გავსვარო, _ გადაულაპარაკა უცნობმა თავის თანამზრახველს, რომელიც კარებს შიგნიდან კეტავდა, _ მოდი ეს სპირალი შეაერთე დენზე და თავისივე იარაღით მოვაჩუქურთმოთ. ჰა.. ჰა.. ჰა..

«მაინც მომწვდნენ,» _ გაუელვა თავში გიორგის, _ «ღმერთო, მიშველე, არ მინდა ამათი ხელით სიკვდილი. არ მინდა ჩემმა ყოფილმა მეგობრებმა თავიანთი განზრახვა ბოლომდე მიიყვანონ, რადგან ეს ცოდვა მათ შთამომავლობაზე გადავა და უდანაშაულო თაობა დაისჯება. თორემ ჩემი თავი ჯანდაბას. ნება შენია, უფალო.»

მკვლელებმა სპირალი დენზე შეაერთეს. მისი გამოსმა ადამიანისთვის ძალიან ადვილი იყო. სიკვდილი მომენტალურად დადგებოდა. ის იყო დანა მოაცილეს ყელიდან და სპირალის გამოსმას აპირებდნენ, რომ შუქი გაითიშა და მხოლოდ გაწითლებული სპირალი ანათებდა, ისიც უმალ ჩაქრა. გიორგიმ ისარგებლა ამ მომენტით. თავდამსხმელებისთვის სახელოსნოში ორიენტაციის გარკვევა ძნელი იყო, ხოლო გიორგიმ სად რა იდო, ყველაფერი ზეპირად იცოდა. მაგიდაზე დადებულ ჩაქუჩს მისწვდა, მოიქნია და ერთი მოძალადე კედელს მიენარცხა, ხოლო მეორეს ფეხი ჩასცხო მუცელში. ეცა კარებს. ის იყო გააღო, რომ ვიღაც დაინახა, ანთებული ფარნით მორბოდა მისი სახელოსნოსკენ.

_ გიორგი! _ ეს დიმიტრი იყო.

_ აქა ვარ, დროზე! _ დაუძახა გიორგიმ.

დიმიტრიმ სახელოსნოსთან მისვლისთანავე კარი გარედან ჩარაზა. მერე გიორგის ხელი მოკიდა და მოედნისკენ გაიქცნენ, ბიჭებს შეატყობინეს მომხდარი. თხუთმეტი წუთის შემდეგ ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ერთი თავდამსხმელი საკაცით გამოიყვანეს სახელოსნოდან, ჩაქუჩი თვალში მოხვედროდა და თვალი გარეთ ჰქონდა გადმოვარდნილი. ხოლო მეორე - ოთხად მოკეცილი ძლივს ადგამდა ფეხებს. წიხლი, როგორც ჩანდა, პორდაპირ «სამამაკაცოში» მოხვედროდა.

როგორც გაირკვა, ორივე თავდამსხმელი «მხედრიონელები» იყვნენ და გიორგის ყოფილი მეგობრების შეკვეთას ასრულებდნენ.

«ჩერეპახა» სწორი გამოდგა.

მსჯავრდებულებმა ადმინისტრაციას მოსთხოვეს, რომ ისინი უკან ბარაკში დაებრუნებინათ. ამას, რა თქმა უნდა, არავინ გააკეთებდა, რადგან მათ ზონიდან ნაწილ-ნაწილღა თუ გაიტანდნენ უკან. იმავე ღამეს ორივე “მხედრიონელის” ეტაპირება მოახდინეს «რესბალნიცაზე,» სადაც მომხდარის შესახებ ყველაფერი იცოდნენ. გასაკვირიც არ არის, რადგან «ქურდული ფოსტა» ხომ ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურთან შედარებით საკმაოდ სწრაფად მუშაობს.

დიმიტრის სახეზე ფერი აღარ ედო. თავის თავზე იყო გამწარებული. შეცდომა დაუშვა და მერე როგორი. კინაღამ მეგობრის სიცოცხლე შეიწირა. ლაფერიშვილს აქეთ გიორგი აწყნარებდა:

_ დიმიტრი, შენი მაგივრობა უფლის ანგელოზებმა გასწიეს. შუქი ზუსტად იმ დროს გაითიშა, როდესაც სპირალის ყელში გამოსმა უნდოდათ. შენ არ მასწავლე, არაფერი არ ხდება უფლის ნების გარეშეო?

_ჩემი ბრალია ყველაფერი. რას მივეთრეოდი დაბადების დღეზე. თან საკვირველი ის არის, რომ მოედანზეც არავინ იყო. ამ სიცხეში ყველანი ბარაკებში რამ შეიყვანა.. ხომ ხედავ, ჩემო გიორგი, მუდმივი ბრძოლაა უფალსა და სატანას შორის, ნათელსა და ბნელს შორის. ბოლოს ნათელი რომ გაიმარჯვებს, ეს ამ შემთხვევაში დაგვანახა უფალმა. თვით სიბნელემ დაღუპა ბნელი. დიდება უფალს!

IX

მეორე დღეს დიმიტრი «ჩერეპახასთან» მივიდა. როგორც ყოველთვის, მას გარშემო უამრავი ხალხი ეხვია. დიმიტრიმ სთხოვა ერთი ერთზე მინდა საუბარიო. ისიც დათანხმდა. ეზოში გამოვიდნენ და იქვე ხის ჩრდილში სკამზე ჩამოსხდნენ.

_ რაშია საქმე, დიმიტრი? _ გამომწვევად ჰკითხა «ჩერეპახამ», _ ძმაკაცი კინაღამ მოგიკლეს. ეს შენ როგორ მოგივიდა. თითქმის მაგის ყარაულად იყავი გადაქცეული.

_ მომენტი შემირჩიეს, ნუგზარ, შენ კარგად იცი, აქ კაცის მოკვლას დიდი დრო არ სჭირდება. ჩემი ბრალია.

_ ისე ღმერთი მართლა გმფარველობთ, ხომ იცი, _ გაეცინა «ჩერეპახას» და თან ისე მაგრად დაახველა, გეგონებოდათ გულ-მუცელს ამოაყოლებსო, _ ჩემგან რა გინდა გაიგო? ხომ იცი მე შენზე მეტი არაფერი ვიცი მაგ საქმეში.

_ მაგისთვის არ მოვსულვარ შენთან. არც ის მაინტერესებს თქვენი ხალხი რა განაჩენს გამოუტანს «მხედრიონელებს». თქვენ მაგათი გაბმა გინდოდათ მახეში და შედეგიც მიიღეთ. მე მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს.

_გისმენ, დიმიტრი, _ თქვა «ჩერეპახამ», წვერებზე ხელი ჩამოისვა, ერთიც მამა-პაპურად ჩაახველა და თვალებში ცნობისმოყვარეობით შეხედა ლაფერიშვილს.

_ მე არ მინდა, რომ ამ საქმეს კიდევ ასეთი გაგრძელება ჰქონდეს. შენ კარგად იცი გიორგის მკვლელობის შემკვეთები, ანუ მისი ყოფილი მეგობრები ამ წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ კვლავ ახალ შემსრულებლებს დაუწყებენ ძებნას და შეიძლება განახორციელონ კიდეც თავიანთი სურვილი. ამ კაცს დაცვა სჭირდება. პოლიციაში ამ საქმის გაბაზრებამ შეიძლება ისევ გიორგი დააზარალოს, რადგან ის ციხეშია. ამიტომ მე მინდა, რომ ეს საქმე თქვენმა სასტავმა აიღოს და ის არაკაცები სამუდამოდ შეაჩეროს.

_ ჩვენ რა ჰუმანიტარული დახმარება ვართ თუ რა?! _ წამოიძახა «ჩერეპახამ», _ ბიჭებმა საქმე გააკეთონ და ინტერესი არ ჰქონდეთ. ეგრე სად არი, ძმაო. თუ შენ გადაუხდი?

_ მოიცა რა, დამამთავრებინე კაცო! _ ნაწყენი კილოთი თქვა დიმიტრიმ, _ მაგ არაკაცებმა გიორგის იმხელა ფული დააწერეს, ის რა თანხა არ არის? ჩემი აზრით, ამის მოკვლა მაგისთვის უნდათ, რომ კვალი წაშალონ. მკვდარი ხომ ვეღარ იტყვის, რომ

ფული მე მივეცი ჩემს მეგობრებსო. ამიტომ იმათ ის თანხა უკან უნდა მოიტანონ. როგორ და რანაირად, ეს თქვენ ჩემზე კარგად იცით. ამ კაცს იმდენი დაუტოვეთ, რომ ცოლ-შვილი საკუთარ ბინაში მაინც აცხოვროს.

_ ისე მაგარი თესლები ყოფილან ეს მაგის ძმაკაცები, _ ამოიხვნეშა «ჩერეპახამ», _ ღირსები არიან სასჯელი მიიღონ. კაროჩე შენი ხათრით, დიმიტრი, მაგ საქმეს მივხედავ. გეფიცები მართალი კაცი ხარ და პატივს გცემ, თორემ ამ საქმეს ხელს არ მოვკიდებდი, ისედაც სხვაც ბევრი მაქვს თავზესაყრელი.

საღამოს, «რესბალნიცაზე» ორივე "მხედრიონელი", ერთი საკაცით, ხოლო მეორე თავისი ფეხით ქურდის ოთახში შეიყვანეს. ქურდს სიტყვა არ ჰქონდა ნათქვამი, რომ ფეხზე მდგომმა თავისით დაიწყო:

_ ფული გადაგვიხადეს, ძმაო, რო ეგ ტიპი დაგვებრიდა. ჩვენ, თქვენ კარგად იცით, უბიცები ვართ და ჩვენი საქმე ეგ არი.

_ შენ თუ გინდა იყავი უბიცა, _ დინჯად უთხრა საწოლზე წამოწოლილმა ქურდმა, _ მაგრამ მე თუ მოვისურვე, ეხლავე ტრუპი იქნები. გაიგე, ბიჭო?!

მხედრიონელი გაშეშებული იდგა და თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა ქურდს, რომელიც აუღელვებლად ლაპარაკობდა:

_ იმ გიორგის ისე ზუსტად მოურტყამს შენთვის ყვერებში, რომ თუ ჭკვიანად არ მოიქცევი, შეიძლება ამაღამ «ქათმებთანაც» მოგიწიოს დაძინება.

მხედრიონელმა ქათმების ხსენებაზე ფერი დაკარგა. მან კარგად იცოდა საკმარისი იყო ქურდს ეთქვა ქათმებთან წაიყვანეთო, რომ პირდაპირ გააქანებდნენ. გულის ცემა აუჩქარდა. მწოლიარეს ყველაფერი ესმოდა, მაგრამ გაყუჩებულიყო. განა იმიტომ, რომ არ შეეძლო ლაპარაკი, არამედ არ უნდოდა, რომ ყურადღება მისკენ მიმართულიყო. თან თავზე ვიღაც კუნთმაგარი მუტრუკი ედგა. ერთი ზედმეტი სიტყვა, რომ წამოსცდენოდა, შეიძლება იქვე ჩაერტყა წიხლი. ბოლოს ისევ ფეხზე მდგომმა და ყვერდებდაჭყლეტილმა ამოღერღა:

_ რა ვიცი, ძმაო, რასაც გვეტყვი, იმას გავაკეთებთ.

_ ვინ არი შენი ძმა, შე კეთილ მ . . . . . ო! _ იყვირა ქურდმა, _ დავაი ეხლა, მოყევი ვინ რა დაგავალა და რატომ.

_ ეხლავე რა.. ეხლავე.. _ საცოდავად აკნავლდა ყვერებდაჭყლეტილი, _ კაროჩე, ორი მასტი მოვიდა ჩვენთან, დიდ დიღომში ცხოვრობენ რა. ერთი ჩემი ბიძაშვილია. სვიდანიაზე შემხვდნენ. კოლონიაში ერთი ტიპი ზის, აი ის რა... გიორგა. ხოდა ეგ მოგვაშორეთო.

_ რათაო? არ ჰკითხე? _ შეეკითხა ქურდი.

_ მაგას ჩვენ ფული დავაწერეთ და ქურდებთან რო ჩაგვიშვას, დაგვბრიდავენო.

_ მაიცა. როგორ დავაწერეთო?

_ ბინები ჩაუდებინებიათ ბანკში და იმ ფულით თავისი ვალები გაუსტუმრებიათ. მერე თვითონ პაბეგი მოუხევიათ, რო ამას არ გადაყროდნენ. ხოდა თქვეს, რო ეხლა მაგის დაბრედვა გვინდა, რო კვალი წავშალოთო.

_ მერე შენ რა უთხარი? იცოდე მართალი თქვი, არ მომატყუო, თორემ ხომ იცი რაც მოგელის?! გაიგე?!

_ ხო, უფროსო.

_ ვინ არის შენი უფროსი! შე ვირთხა შენა!

_ ხო... რა ვიცი, რა... მე ვუთხარი კაცი როგორ მოვკლა - თქო ტყუილუბრალოდ.

_ ჯერ არ მოგიკლავს არა? შე ახვარო. ფული მოითხოვე არა?

_ ხო. მე მარტო ხო არ ვიყავი. ეგრე მითხრეს, თქვენ დაბრიდეთ და ჩვენ კიდევ ვიჩალიჩებთ, რო ციხიდან გამოგიყვანოთო.

_ მერე?!

_ მერე ჩვენ ვუთხარით, ჯერ გამოყვანის საქმე გააკეთეთ და გამოსვლის წინ მოვკლავთო. რა ვიცი, იქნება გადავეგდეთ. კაროჩე, კაი ხანი ვვაჭრობდით. ბოლოს გარანტად ერთი ჩვენი ძმაკაცი დაგვიყენეს, რომელმაც თავის თავზე აიღო ციხიდან გამოყვანის პირობაც და პოსლეზე ფულის გადახდის ამბავიც. ჩვენც გავაკეთეთ რა. დანარჩენი თქვენ იცით.

_ საწყალი გიორგა. ჯერ ხო დააქციეს. მერე კიდე პოსლეზე კლავდნენ. თქვენი დედა . . . . . _ იყვირა ქურდმა, _ დავაი მაგათი მისამართები!

_იმათი მისამართები არ ვიცი უფროსო.

_ შენი შუამავალი ძმაკაცის ხომ იცი?! შენი დედა . . .

_ ხო... იმისი ვიცი... ისიც დიღმელია...

ერთი სიტყვით, «ქურდულმა ფოსტამ» ოპერატიულად იმუშავა და გიორგის ყოფილ მეგობრებს იმავე ღამეს, თავიანთ ნაქირავებ ბინაში დაადგნენ, ისე, რომ მათ მომხდარის შესახებ ჯერ არაფერი იცოდნენ.

დილით «ჩერეპახამ» დიმიტრი დაიბარა და უთხრა:

_ წუხელ ჩვენმა ხალხმა ორივე აიყვანა. ფული მაგათ არა აქვთ. ისევ ამ საწყალი გიორგის ნარჩენი ფულით გადიოდნენ იოლას. რამდენიმე დღეში ბინებს გააყიდინებენ. როგორც მითხარი, გიორგის ბინის საყიდელ ფულს მისცემენ. ობშიაკი არის შესავსები, ფული გვჭირდება, ამიტომ ძალიან შიკარნი ბინას ვერ იყიდის, მაგრამ რაც იქნება, ბინა ხომ იქნება.

_ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. დანარჩენი ჩემზე იყოს, ნუგზარ, _ უთხრა დიმიტრიმ და პატარა პაუზის შემდეგ განაგრძო, _ ისე ძალიან ნუ გაჭყლეტავთ გიორგის, ხომ იცი, ღმერთი მფარველობს.

_ კაცო, ნუგზარ, _ დაიწყო ერთმა ქურდმა საკნიდან დიმიტრის გასვლის შემდეგ, _ ეგ ცოტა ხო არ უშტვენს. მაგან არ იცის, რომ ჩვენ მომპარავები ვართ და იმასაც არ მივცემთ, რაც ვუთხარით. შენ რაღაცა ძალიან თავს უხრი მაგ კაცს, ტო!

«ჩერეპახას» გაეცინა.

_ რა გაცინებს, ტო? არ ვამბობ სწორს?

_ შენ ჩვენი გაგებით სწორი ხარ, მაგრამ ეგ კაცი, ეხლა რომ გავიდა, ღვთიურია, გამიგე? ღმერთი იფარავს და მართალი კაცია.

_ მაიცა რა, შენც გჯერა მაგ ზღაპრების?

_ მოდი და ნუ დაიჯერებ, _ წამოიყვირა «ჩერეპახამ», _ ის გიორგა რომ უნდა მოეკლათ, მაშინ ჩაქრა შუქი.

_ კარგი რა, ნუგზარ, აუუ... აბა, შენა ხარ რა? ეხლა შუქი სულ მიდი-მოდის. დაემთხვა რა.

_ მე რა ვქნა, ძმაო, _ ხელები გაშალა «ჩერეპახამ», _ მაგათ კანონებში წერია ეგრე... მაიცა, როგორ არის... მიეცი კეისრისა კეისარს და ღვთისა ღმერთსაო. არ შეასრულებ და დაგერხევა, თორე მე რისი მიმცემი ვარ.

_ მაიცა რა, ნუგზარ, კიდე ზღაპრებს ყვები, შენ ძმობას გეფიცები.

«ჩერეპახამ» უკვე სერიოზული გამომეტყველება მიიღო და ჰკითხა კოლეგას:

_ ჯვარს ატარებ?

_ მაშ. აბა ისე როგორ შეიძლება.

_ მაშინ ეს კანონიც უნდა დაიცვა.

_ ვაჰ! მე ჯვარს ქურდული გაგებით ვატარებ, ძმაო.

_ მაშინ ვერ გავიგე. ქრისტეს ჯვარი სხვა არი და ქურდებისა კიდევ სხვა?

საკანში სიჩუმემ დაისადგურა. ყველანი ერთმანეთს უყურებდნენ. უცებ კარი გაიღო და გიორგიმ შემოიხედა.

_ შეიძლება? _ იკითხა მოკრძალებით.

_ მოდი. _ ძლივს წარმოთქვა «ჩერეპახამ».

გიორგიმ ყველას ხელი ჩამოართვა, მერე «ჩერეპახას» მიუბრუნდა და უთხრა:

_ ნუგზარ, დიდი მადლობა დახმარებისათვის. მე აქ შემიძლია მხოლოდ ჩემი ხელობით გცეთ პატივი და ამიტომ ყველას ბზის ჯვრები გაგიკეთეთ. ჩემგან გქონდეთ სახსოვრად.

გიორგიმ მაგიდაზე სამი ჯვარი დადო და უხმოდ გაეცალა იქაურობას. ირემაშვილს ყველამ უცნაურად გააყოლა თვალი. როდესაც მან კარი გაიხურა, «ჩერეპახამ» დაბალ ხმაზე წარმოთქვა ერთი სიტყვა:

_მადლობა.

მერე ქურდებმა ერთმანეთს შეხედეს. ჯვრები აიღეს, დიდხანს უყურებდნენ ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს და მათ თავში რა აზრები ტრიალებდა, ეს მხოლოდ ღმერთმა თუ იცოდა.

ორი კვირის შემდეგ, როდესაც გიორგის მეგობრებმა გაყიდეს ყველაფერი და ფული გადაიხადეს, ორივე "მხედრიონელი" «კრიტის» კარცერში ნახეს ჩამომხრჩვალი, ხოლო იმავე ღამეს, გიორგის ყოფილი მეგობრები, დიდ დიღომში, გზის პირას მდგარ ნაგვის დიდ ურნებში ჩაგდებული იპოვეს. როგორც აღმოჩნდა, ისინი ყელზე ბაწრის მოჭერით იყვნენ გაგუდულნი.

X

დატრიალებულმა ტრაგედიამ დიმიტრის და გიორგის გულისწყრომა გამოიწვია. დიმიტრიმ «ჩერეპახას» მორიდებული საყვედურიც კი შეჰკადრა, მაგრამ მისგან მოკლე პასუხი მიიღო _ «მოღალატე და არაკაცი უნდა მოკვდეს.»

გიორგიმ ძალიან განიცადა მომხდარი, უკვე ორი დღეა ცდილობდა დიმიტრისთან დალაპარაკებას მომხდარის შესახებ, მაგრამ ვერ იპოვა ლაფერიშვილი. საკნის ბიჭებთან სიტყვა დაეტოვა, ორი დღე არ ვიქნებიო. ბოლოს თვითონ გამოჩნდა და გიორგის ეწვია სახელოსნოში.

_ მშვიდობა შენს გამოჩენას, _ თითქმის იკივლა გიორგიმ და ხელები გაშალა, _ სად დაიკარგე, კაცო?

_ რა ვიცი, გიორგი. ჯერ შენ რომ მიგატოვე, ეს ჩავთვალე ჩემს დიდ შეცდომად. ეხლა კი ასე მგონია, რომ ამ ხალხის სიკვდილში მეც მირევია ხელი. ორი დღეა ვლოცულობ ჩემთვის. თემურის ვთხოვე წარმოებაში გავეყვანე. იქ ცალკე ოთახი მომცა

და ორი დღე ლოცვასა და მარხვაში გავატარე. აღსარების თქმა მინდა. მამა გიორგიც აღარ გამოჩნდა, რომ ვუთხრა. არა და სასოწარკვეთილების ვნებასთან ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო იარაღია აღსარების თქმა.

_ ასე სასტიკად არ უნდა მოქცეოდნენ.

_ რას იზამ, მაგათი კანონები ეგეთი მკაცრია. ლმობიერება რომ გამოიჩინონ, ავტორიტეტს დაკარგავენ. გგონია ერთმანეთს დაუთმობენ რამეს ან აპატიებენ.

_ სიტყვამ მოიტანა, თორემ კიდევ მერამდენედ დამავიწყდებოდა მეთხოვა შენთვის, გამარკვიე თუ ძმა ხარ ამ ქურდულ იერარქიაში. ზონაში ვზივარ და აზრზე არა ვარ რა კანონები მოქმედებს აქ. შენზე კარგად კი ამას ვერავინ ამიხსნის. აქ ხელს არავინ შეგვიშლის. მე თან ჩემ საქმეს გავაკეთებ, შენ კიდევ მომიყევი რაც იცი ამათ შესახებ. მოსულა? _ თქვა გიორგიმ და დიმიტრის ისეთი თვალებით შეხედა, რომ მისგან უარის თქმა მეგობრობაზე ხელის აღებაზე უარესი იქნებოდა.

_ რა გაეწყობა. ძალიან კი არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი, უმალ ჩემი ამბავი გამახსენდება ხოლმე. სახლში შემოვარდნილი ყაჩაღი შემომაკვდა, მაგისთვის ვიხდი სასჯელს და ვერც სახელმწიფომ და ვერც ქურდულმა კანონებმა ვერ გამცეს პასუხი კითხვაზე _ თავდაცვის მიზნით მომხდარი მკვლელობის გამო რატომ უნდა ვიჯდე ციხეში. ასე, რომ არც სახელმწიფო და არც ქურდული კანონები ხალხისთვის არ არის შექმნილი. რაც შეეხება ქურდულ სამყაროს, მისი ფესვები ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნიდან მოდის.

_ მანამდე ქურდები არ იყვნენ ვითომ? _ გაეცინა გიორგის.

_ როგორ არ იყვნენ, მაგრამ ისინი ქაოსურად მოქმედებდნენ, ხოლო ბოლო საუკუნეებში მათი სამყარო ორგანიზებული გახდა. ძველად საქართველოში სხვისი ქონების ფარულად მითვისებას პარვა ერქვა, მიმთვისებელს _ მპარავი. თუ ეს მოქმედება ცხადად და ძალისმიერი მეთოდებით ხდებოდა, მაშინ ამას რბევას ან მეკობრეობას უწოდებდნენ. ადრეულ საუკუნეებში, როდესაც ქვეყანაში გვარტომობრივი წესწყობილება იყო, სამარცხვინო საქმედ მხოლოდ გვარის შიგნით ქურდობა ითვლებოდა. სხვა გვარის წარმომადგენლის გაძარცვა გმირობადაც კი მიაჩნდათ. როდესაც საგვარეულო წესწყობილება ერთიანმა სახელმწიფო მოქალაქეობრიობამ შეცვალა, ქვეყნის შიგნით ქურდობა საძრახის საქმედ იქცა, სამაგიეროდ სხვა ქვეყნის მაცხოვრებლების გაძარცვა დანაშაულად არ ითვლებოდა. ვაჟკაცობის შარავანდედი ქურდობას მხოლოდ განვითარებულმა საზოგადოებამ ჩამოაშორა. ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში გიორგი მესამემ ძალიან მკაცრი კანონები შემოიღო მპარავთა და მეკობრეთა წინააღმდეგ. ქურდობისა და რბევისათვის ულმობლად ისჯებოდნენ ასოთმიღებისა ანუ ხელფეხის მოკვეთის და მბნელობის ანუ თვალების დაწვის გარდა დამნაშავის ძელზე აღბმაც ანუ ჩამოხრჩობა ხდებოდა. ამ მეთოდებით ქვეყანაში მთლიანად ამოიძირკვა ქურდობა და ყაჩაღობა. მაგრამ ეს ყველაფერი ისტორიას ჩაბარდა. თუმცა ეს ყველაფერი შენ ჩემზე უკეთ იცი, ისტორიკოსი ხარ თავად.

_ კი, მაგრამ, მე «კანონიერი ქურდების» ინსტიტუტი მაინტერესებს, რომელიც ალბათ, უფრო გვიან შეიქმნა.

- «კანონიერი ქურდების» ინსტიტუტი, ჩემო კარგო კომუნისტებს არ შეუქმნიათ. იგი გაცილებით ადრე, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბდა რუსეთში. ეს არ მომხდარა ხელოვნურად. დამნაშავეებს თავიანთი ლიდერები ყველა

ეპოქაში და ყველგან ჰყავდათ. პირველად რუსეთის ჟანდარმერიამ იყნოსა, რომ ქურდების მეშვეობით გაცილებით ადვილი იქნებოდა პატიმრებით გატენილი კოლონიების მართვა. მაშინ ბევრი საკუთარი აგენტი შეაგზავნეს პატიმართა რიგებში. ამ მიდგომამ გაამართლა. ეს იქიდან ჩანს, რომ ჟანდარმერიის შემდეგ ესტაფეტა კომუნისტებმა ჩაიბარეს. ციმბირში გამოკეტილ მილიონობით პატიმარს ხომ მართვა უნდოდა.

_ დიმიტრი, _ შეაწყვეტინა სიტყვა გიორგიმ ლაფერიშვილს, _ ბოდიშს მოვიხდი, რომ ჩაგეჭერი, მაგრამ ძალიან მაინტერესებს მეცხრამეტე საუკუნეში შექმნილ მაგ ინსტიტუტში ისინი უკვე იწოდებოდნენ «კანონიერ ქურდებად?»

_ რა გითხრა, ჩემო გიორგი, _ დაფიქრდა დიმიტრი. მერე ფეხზე წამოდგა, სახელოსნოში გაიარ-გამოიარა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი ხანგრძლივი საუბრისათვის ემზადებოდა. _ საიდან მოვიდნენ «კანონიერი ქურდები», არც დოსტოევსკის «ჩანაწერები მკვდარი სახლიდან», არც ჩეხოვის «კუნძულ სახალინში,» და არც გერნეტის «მეფის საპატიმროს ისტორიაში» მათზე ერთი სიტყვაც კი არ გვხვდება. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ პატიმართა თემი წინათ იყოფოდა მინიმუმ სამ ფენად: «ივანებად», ასე ეძახდნენ პროფესიონალ კატორღელებს, რომლებიც სასჯელის პირველ ვადას არ იხდიდნენ, ან რომლებიც სამუდამო პატიმრობას იხდიდნენ, «წვრილფეხა ვიგინდარები» ანუ «ივანების მუქთამჭამელები» და გლეხები _ ისინი, რომლებსაც სამართალდამცავები შემთხვევით დამნაშავეებად თვლიან. სასჯელის ვადის მოხდის შემდეგ მათ კატორღის საშინელი შიშის გამო კანონი არასოდეს დაურღვევიათ. მაშინ პატიმართა კრებები ღიად ტარდებოდა, მამასახლისებს ირჩევდნენ. ასორმოცდაათამდე პატიმარი ერთ მამასახლისს ირჩევდა. ამ თანამდებობაზე ასახელებდნენ ისეთ პატიმარს, რომელიც თანაბრად აძლევდა ხელს პატიმართა თემსაც და ადმინისტრაციასაც. ის უნდა ყოფილიყო ასაკოვანი და მაგარმუშტიანი ჯეელი, რომელსაც მარდად შეეძლო უკმაყოფილოთა დაშოშმინება. ხედავ, უკვე რაღაც დეტალები იძლევა საფუძველს იმის დასამტკიცებლად, რომ ქურდულმა ორგანიზაციამ ჩასახვა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს დაიწყო, მაგრამ ეს თვითჩასახვა იყო. ციხეებისა და კოლონიების მუშაკები ქურდების ორდენის წარმოქმნას ხსნიან ტუსაღთა ერთი ნაწილის იმისკენ სწრაფვით, რომ მეორე ნაწილზე ამაღლდეს და მის ხარჯზე პარაზიტულად იარსებოს. პერსონალი კი აქ თითქოს არაფერ შუაშია. უფრო საფიქრებელია, რომ ეს ორმხრივი პროცესი იყო. ერთის მხრივ, ორდენი ისახებოდა როგორც ადმინისტრაციასთან ბრძოლაში პატიმართა ინტერესების გამომხატველი ძალა, მეორეს მხრივ, ადმინისტრაცია ახალისებდა ორდენის შექმნას, რადგან სჭირდებოდა ის, რომ კოლონიების შიგნით, რომლებიც ათგზის დიდდებოდა, რაღაც წესრიგი მაინც დამყარებულიყო და იაფი სამუშაო ძალის შეუფერხებლად გამოყენება შესაძლებელი გამხდარიყო. შენ კარგად იცი ჩემო გიორგი, რომ რუსული ხასიათის მახასიათებელი თვისებებია იდეალიზმი და მაქსიმალიზმი. აქედან გამომდინარე, სწორედ ამ ორდენის წარმომადგენლები იქცნენ დამნაშავეთა იდეალებად და პატიმართა იმ თვალსაზრისის გამომხატველად, რომ ხელისუფლება სინდისგარეცხილია, რომ კანონი მეტისმეტად უმოწყალოა და მათი პატიმრული საზოგადოება უფრო სამართლიანად უნდა იყოს მოწყობილი. ასე, რომ «კანონიერი ქურდების» ინსტიტუტის საფუძველი მეფის რუსეთში შეიქმნა, ხოლო კომუნისტურმა წყობილებამ საზოგადოებრივ ცნობიერებაში სხვა სიკეთესთან ერთად, ძველბიჭური

მენტალიტეტიც დაამკვიდრა. საბჭოთა კავშირში, რეპრესიების შემდგომ პერიოდში ციხე-კოლონიები დამნაშავე თუ უდანაშაულო ადამიანებით გადაივსო. სიტუაცია კონტროლს არ ექვემდებარებოდა. აუცილებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო სისტემა, რომელიც ციხე-კოლონიებში არსებულ ვითარებას მოაგვარებდა და მდგომარეობა ხელისუფლების მიერ მართვადი გახდებოდა. სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა სისტემა _ ჩვენში კარგად ცნობილი «ქურდების ინსტიტუტი». მაშინდელმა უშიშროების სამსახურმა საპატიმროებში ამოარჩია მსჯავრდებულები, რომლებიც დანარჩენებისაგან განსხვავებით ლიდერთათვის დამახასიათებელი თვისებებით იყვნენ გამორჩეულნი. მათთან ზონის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ შედგა საიდუმლო გარიგება, რომლის შედეგადაც ციხეებში სიტუაცია კგბ-ს მიერ მართული გახდა. გარიგება ორმხრივად მომგებიანი იყო. სარგებელს ნახულობდნენ როგორც ადმინისტრაციის გაქსუებული ჩინოსნები, ისე «გამორჩეული» მსჯავრდებულები, ლიდერები, რომლებიც მოგვიანებით კრიმინალური ავტორიტეტები ან «კანონიერი ქურდები» გახდნენ. თავდაპირველად ამ სისტემამ გაამართლა. «კანონიერმა ქურდებმა» პატიმრებსა და მსჯავრდებულებში სამართლიანობით ნდობა მოიპოვეს. ეს კატეგორია სხვა კრიმინალური წარსულის მქონე პირთათვის სამაგალითო გახდა. ბევრ მათგანს სურვილი გაუჩნდა გამხდარიყო «კანონიერი ქურდი». ამ მიზნის მისაღწევად უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა მიერ ხელდასმულმა «ავტორიტეტებმა» მსურველებს კრიტერიუმები დაუწესეს, რომლის შესრულების შემთხვევაში მათ «კანონიერ ქურდად» მონათვლის შანსი მიცემოდათ. დაწესებულმა კრიტერიუმმა თაობების შემდეგ ის შედეგი გამოიღო, რომ ურთიერთობა ქურდული ცხოვრებით მოღვაწე პირებსა და მილიციელებს შორის დაიძაბა. ქურდული ტრადიციების მატარებელი პატიმრები და მსჯავრდებულები მათ არ დაემორჩილნენ. «კანონიერი ქურდის» ინსტიტუტმა პიკს კომუნისტური რეჟიმის დროს, სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში მიაღწია. ამ დროს უკვე გამყარდა მათი იერარქიული კიბეც. ისინი ცხოვრობდნენ დაუწერელი კანონებით. ციხე-კოლონიებში არსებულ სიტუაციას განაგებს მაყურებელი, რომელიც შეიძლება გახდეს როგორც ეგრეთწოდებული «მომავალი», ისე ჩვეულებრივი «კაი ბიჭი». მას ქურდები უნდა ენდობოდნენ. «კანონიერი ქურდის» გარდა მაყურებელზე ხელის შეხების უფლება არავის აქვს. აკრძალულია ასევე მის მიმართ ბევრი საუბარი. «კანონიერი ქურდების» შემდეგ მოდიან «მომავალი ქურდები», რომლებსაც პრეტენზია აქვთ რომ მომავალში «კანონიერი ქურდები» გახდნენ. «მომავლების» ქვემოთ მოდიან «კაი ბიჭები», რომლებსაც არავითარი პრეტენზია არა აქვთ «მომავლებზე», თუმცა მოვალენი არიან მათ გვერდში იყვნენ და მათი ცხოვრებით იცხოვრონ, ხელი შეუწყონ მათ წინსვლას, კეთილდღეობას და თუ საჭირო იქნება, მათ ნაცვლად აგონ პასუხი. ამ შემთხვევაში «კაი ბიჭები» თავიანთ «კაი ბიჭობას» უფრო განამტკიცებენ და მყარს გახდიან «ქურდებისა» და «მომავლების» თვალში, რითაც მეტად დაფასებულნი იქნებიან მათი მხრიდან. «კაი ბიჭების» შემდეგ მოდიან «მუჟიკები» ანუ მშრომელი კაცები, რომლებსაც მუშაობა არ ეთაკილებათ. ადრე, როდესაც ზონაში მუშაობა ყველასთვის სავალდებულო იყო, «მუჟიკები» ქურდების მაგივრადაც მუშაობდნენ და ამ სამსახურის გაწევისათვის ისინი თავის მდგომარეობას იმაღლებდნენ, ნორმალურად ცხოვრობდნენ, «ქურდებიც» და «მომავლებიც» მათ პატივს სცემდნენ. ასე, რომ ჩემო გიორგი, ქურდულ სამყაროში იერარქიულად მაღალ

საფეხურზე «კანონიერი ქურდები», «მომავლები», «კაი ბიჭები» და «მუჟიკები» დგანან. მათი მოღვაწეობით ყველა კმაყოფილია. ქურდული სამყაროსთვის ორი კატეგორიის ხალხია მიუღებელი, ესენი «ნასედკები» და «ქათმები» არიან. ამათ შესახებ შენ ბევრი გსმენია და ამიტომ ახსნა აღარ გჭირდება. გაიგე, ძმაო?

გიორგის კარგა ხანია სამუშაო მიეტოვებინა და მთელი გულისყურით უსმენდა დიმიტრის. მის დასმულ კითხვაზე თავი დაიქნია და ხმაც ამოიღო.

_ საიდან იცი ამდენი კაცო? ეს მთელი აკადემია ყოფილა. _ მერე გაეცინა და განაგრძო. _ მანდ მისაღები გამოცდების ჩაბარება ძალიან ძნელი იქნება არა?

_ შენ ხუმრობ, გიორგი, და ადრე «კანონიერი ქურდი» რომ გამხდარიყავი, ციმბირის და კალიმის პალასიანი ზონები უნდა მოგევლო, ეხლა კი ეს საქმე გაადვილებულია და მსურველებიც ბევრნი გამოჩნდნენ. ვერა ხედავ «ჩერეპახას» როგორ ეხვევიან გარშემო. შენ გგონია ძალიან გულზე ეხატებათ? მაგრამ იციან, რომ ქურდად «კურთხევის» დროს მისი ერთი სიტყვის თქმამ შეიძლება სიტუაცია დაძაბოს ან კიდევ პირიქით.

_ ესე იგი კომუნისტური წყობილების დაშლის შემდეგ «პერესტროიკა» ქურდულ სამყაროსაც შეეხო?

_ თავისთავად, _ განაგრძო დიმიტრიმ, _ პოლიტიკურმა ცვლილებებმა საზოგადოების ანარქია გამოიწვია, რაც შავ სამყაროსაც შეეხო. მოხდა ფასეულობათა გადაფასება. ფული ანათებს ქვეყნიერებას, ჯოჯოხეთსაც და შავ სამყაროსაც. იმისათვის რომ გახდე «კანონიერი ქურდი», საკმარისი არ არის კრიმინალურ ავტორიტეტად ყოფნა. შავ სამყაროში ბევრია ვინც საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს და დიდ პატივს სცემს ქურდულ წესებს, მაგრამ ყველა მათგანს როდი შეუძლია მიიღოს «კანონიერი ქურდის» ტიტული. პირველ რიგში პრეტენდენტს სჭირდება «კანონიერი ქურდის» რეკომენდაცია. თანაც ამ «კანონიერ ქურდებს» ამ «თანამდებობაზე» ყოფნის ხუთწლიანი სტაჟი მაინც უნდა ჰქონდეთ. ამასთან, დაწვრილებით სწავლობენ პრეტენდენტის განვლილ ცხოვრებას, ხომ არ ჰქონდა რაიმე კომპრომატი და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მისი ქურდად კურთხევა, შესაბამისი ფიცის დადებით. დღევანდელ დღეს კი შეგიძლია დიდი ფულის ფასად იყიდო «კანონიერი ქუდის» წოდება. ეხლა უკვე ავტორიტეტი კრიმინალები ამ სახელს ისე ყიდულობენ, რომ ერთხელაც არ ყოფილან გისოსებს მიღმა. ეს ის ხალხია, რომლებმაც სვაბოდაზე შექმნეს ძლიერი ორგანიზებული ჯგუფი, ამით გაიმაგრეს პოზიციები, შეძლეს დიდი თანხების მოპოვება და იმდენად გავლენიანებად იქცნენ, რომ «კანონიერ ქურდებს» ერჩივნათ, მათგან ფული აეღოთ, ვიდრე ემტროთ მათთვის. «კანონიერმა ქურდებმა» თავიანთი წეს-ჩვეულებები ბევრ ასპექტშიც შეცვალეს. თუ ადრე მათ კანონი უკრძალავდა მუშაობას, ახლა ქურდები მუშაობაზე უარს არ ამბობენ. ადრე ქურდის საქმე ის იყო, რომ სვაბოდაზე მოეპარა, და ციხეში მჯდარიყო. ახლა კი ისინი აარსებენ ფირმებს, კომპანიებს, ხსნიან კაზინოებს და რესტორნებს. ადრე «კანონიერ ქურდს» ეკრძალებოდა ცოლის შერთვა. დღეს ეს აკრძალვა აღარ ფუნქციონირებს. ქურდული კანონები უკრძალავდა «კანონიერ ქურდს», შეეძინა ძვირფასი ნივთები: მანქანა, აგარაკი, დიდი სახლი, ან მოეგროვებინა ფული. დღეს აღარც ეს კანონი ფუნქციონირებს. თუ ადრე ხელისუფლება და პოლიტიკოსები ცდილობდნენ, «კანონიერი ქურდები» თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ, ახლა პირიქით ხდება. ისინი ყიდულობენ ცალკეულ პოლიტიკოსებს და მათი საშუალებებით იძენენ იმუნიტეტს, და ამგვარად იპოვებენ თავიანთი საქმიანობის კიდევ უფრო გაფართოების საშუალებას.

ძველი «კანონიერი ქურდებისაგან» დღეს მხოლოდ სახელწოდებაღა თუ დარჩა, ისინი ნელა-ნელა «მაფიოზების» საქმიანობას ითვისებენ და მათ გზას ადგებიან. «კანონიერი ქურდის» სტატუსი მხოლოდ იმ ლეგენდარულ დატვირთვას ატარებს, რომელიც კვლავ იწვევს სიმპათიებს საზოგადოების წრეებში. ამიტომ ახალი «მაფიოზები» დიდი სიამოვნებით იძენენ ამ სტატუსს ისე, რომ ციხეში ჯდომაც არ უხდებათ.

დიმიტრიმ დაამთავრა საუბარი, ღრმად ამოისუნთქა, შეტრიალდა აღმოსავლეთის მხარეს და კედელზე მიკრულ ჯვარცმასთან პირჯვარი გადაიწერა, თან ჩურჩულით წარმოთქვა:

_ ღმერთო, მომიტევე შეცოდებანი ჩემი.

გიორგი შესცქეროდა მეგობარს და გულში ცხოვრების ბედუკუღმართობას გმობდა. - «ამ კაცს რა უნდა ციხეში», -უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა «ცეცხლზე ნავთის დასხმა» არ გამოვიდესო. ამიტომ ისევ სასაუბრო თემის ირგვლივ დასვა კითხვა:

_ დიმიტრი, ხშირად ქურდული სამყაროს წარმომადგენლები ეკლესიას გარკვეულ თანხას წირავენ, გასცემენ სხვადასხვა მოწყალებას, აგებენ ეკლესია_მონასტრებს და ასე შემდეგ. როგორ ფიქრობ, უფალი შეიწირავს მათ ძღვენს?

_ ჩემო გიორგი, ღმერთი არ იღებს ყველა შესაწირავს, ისევე, როგორც არ მიიღო კაენის ძღვენი, რადგან კეთილი გულით არ იყო შეწირული. წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს: «არა ნატაცებისაგან ვიქმოდეთ მოწყალებასა... რამეთუ იგი არა მოწყალება არს, არამედ უკეთურება».

_ მაშ ჩვენს ეკლესიას, რომელსაც ქურდებმაც შესწირეს თანხები, სულისთვის სარგებლის მოტანა არ შეუძლია?

_ რა გითხრა ძმაო, წმიდა მამები ამბობენ: _ «უკეთუ ერთი გლოცვიდეს და ერთი გწყევლიდეს, რაი არს სარგებელი?» თუმცა ჩვენი ტაძრისათვის ალალმართალი ხალხის შრომა და ფული უფრო მეტია შეწირული, განსაკუთრებით «ზვიადისტებმა» ივაჟკაცეს. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს.

XI

გიორგი ირემაშვილი თითქმის ოცდაოთხი საათი სახელოსნოში ტრიალებდა. ხშირად დასაძინებლადაც იქ რჩებოდა. მან მთელი თავისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები საეკლესიო ცხოვრებისაკენ წარმართა. დღეები კი არა, თვეები და წლები ისე «გარბოდა», რომ ვერც იგებდა. მუშაობდა სახარებისეული პრინციპით _»კეისრისა კეისარს და ღვთისა ღმერთს». გაყიდული საეკლესიო ნივთებიდან შემოსული თანხის მეათედს ეკლესიისთვის გადადებდა და როდესაც დაწესებულებაში მოძღვარი მოვიდოდა, მას გადასცემდა ხოლმე. თავისი მოკრძალებული წილი «ობშიაკშიც» შეჰქონდა და დაწესებულების ადმინისტრაციაშიც. არც მსჯავრდებულებს აკლებდა პატივისცემას. ხოლო თუ რამე დარჩებოდა, ოჯახშიც აგზავნიდა. თითქმის ორი წელი იწვალა, რომ ქურდების მიერ ამოღებული ფულით მამისეული სახლი დაებრუნებინა. ბოლოს ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. გიორგი რის გაკეთებასაც ჩაიფიქრებდა, ყველაფერი უსრულდებოდა. ერთი ის იყო, რომ თმები სულ გაუჭაღარავდა და სახეზე ნაოჭები დაეტყო.

_ კაცო, გიორგი, _ ეუბნებოდნენ ხოლმე ხშირად ზონის «ბინადარნი», _ როგორ ყველაფერი გამოგდის ხელიდან და შრომაც გიფასდება. ეგრე ხალხი სვაბოდაზე ვერა მუშაობს. რა წამალი დალიე ამისთანა, რომ ყველაფერს ახერხებ. იქნებ ჩვენც გვასწავლო.

გიორგის ჯერ ეგონა, რომ ეხუმრებოდნენ, მაგრამ ერთი და იგივეს მრავალგზის გამეორებამ დააფიქრა და მიხვდა, რომ ბევრს მისი წარმატებები არ უხაროდა. ზოგი გარეგნულად არ იმჩნევდა ყოველივე ამას, მაგრამ შინაგანად შურით იყო აღვსილი. ერთხელაც, ერთ-ერთი ასეთი «შემოტევის» დროს, რამდენიმე მსჯავრდებული თავის სახელოსნოში შეიყვანა, ხატების კუთხესთან დააყენა, პირჯვარი გადაიწერა და ჰკითხა:

_ ხედავთ რამეს?

მსჯავრდებულებმა ერთმანეთს გადახედეს. მერე ერთ-ერთი გიორგის შემოუბრუნდა და უთხრა:

_ ჩვენზე მეტი საშაყირო ვერავინ ნახე, ტო?!

_ ღმერთმა დამიფაროს მე შენ გაშაყირებდე, _ უპასუხა გიორგიმ.

_ აბა ამ სურათებთან რომ დამაყენე, რა უნდა დავინახო?

_ ეგ სურათები არ არის, ძმაო, ეგენი წმიდანთა ხატებია.

_ მერე მე რა, ეგენი თუ წმიდანთა ხატებია. _ გაშალა ხელები ახალგაზრდა ჯმუხმა მსჯავრდებულმა, _ რამეს მამცემენ თუ რა?

_ ეგენი რომ მოგცემენ, იმისთანას ვერსად მიიღებ, _ თქვა გიორგიმ და თან პირჯვარი გადაიწერა, _ ყოველდღიური ლოცვა და ეკლესიის მიერ დაწესებული მარხვების დაცვა მოგცემთ იმის საშუალებას, რომ ამ წმიდანებთან ახლოს მიხვიდეთ და მათგან მადლი მიიღოთ.

_ მადლი რაღაა, ძია გიორგი? _ შეეკითხა ახალგაზრდა მსჯავრდებული, რომელსაც ვახოს ეძახდნენ.

_ ღვთიური მადლი თუ გადმოდის ადამიანზე, ის ყველანაირად დაცულია ბოროტი ძალებისაგან, მას ეშმაკი ვეღარ ერევა.

_ თუ ძმა ხარ, რა! _ წამოიძახა ჭაღარა მსჯავრდებულმა, _ შენ გადაიხადე და მაგას ქურდებიც კარგად აკეთებენ.

_ ცდები, ძმაო, _ უთხრა გიორგიმ, _ ღმერთისა და ადამიანის საკეთებელს ერთმანეთში ნუ აურევ. როგორ შეუძლია მოკვდავს იმდენი გააკეთოს, რასაც უფალი აკეთებს.

_ ეე... კარგი რა, _ აყვირდა ჭაღარა, _ შენ, ძმაო, ქურდებთან საქმე გაქვს და შენს კარგად ყოფნას ღმერთს აბრალებ. ეგეთი ზღაპრები სხვას მოუყევი. წამოდით, ხალხო, ამ სიაფანდს არ დაუჯეროთ.

ჭაღარა კარებისკენ წავიდა და მას ორი თავის ჭკუის მსჯავრდებული გაჰყვა. ვახო და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ადგილიდან არ დაძრულან. ისინი ხან გიორგის უყურებდნენ და ხან ხატებს.

_ ძია გიორგი, _ თქვა ვახომ და პირჯვარი გადაიწერა, _ არ ინერვიულო, ეგენი აქ ისევ მოვლენ. ჩვენ კი აგვიხსენი რა უნდა გავაკეთოთ, რომ ღმერთის გზით ვიაროთ.

_ ღმერთის გზით სიარული ძალიან ძნელია, ჩემო ვახტანგ. ჩვენს გარშემო ბევრი ცოდვა ტრიალებს. ეშმაკი ყოველ ნაბიჯზეა ჩასაფრებული და ჩვენს შეცდენას ცდილობს. ამიტომაც გეუბნებოდით წეღან, რომ თუ მუდმივად ლოცვაში და მარხვაში ვიქნებით, ღმერთი თავის კალთას გადმოგვაფარებს და ბევრ განსაცდელს აგვაცილებს. ჩვენ

ყოველდღე უნდა ვევედროთ უფალს, რომ შეგვინდოს ჩვენი შეცოდებანი, რათა მოვხვდეთ ღვთის სასუფეველში. ამასთან, ბევრი უნდა ვიშრომოთ, რომ მალე დავამთავროთ ტაძარი, რადგან რამდენიც გინდა ბევრი ილოცოს ადამიანმა, ეკლესიის გარეშე იგი ვერ ცხონდება.

ახალგაზრდები გაუნძრევლად იდგნენ, თითქოს რაღაც ძალისგან მონუსხულიყვნენ. ბოლოს სიჩუმე ვახომ დაარღვია:

_ ძია გიორგი, იქნებ გვასწავლო გზა, როგორ მივიდეთ უფალთან. მე პირადად რელიგიასთან არასდროს არ მქონია კავშირი, არც ოჯახში მასწავლეს ამის შესახებ და არც ქუჩაში. ჯვარს კი ვატარებ, მაგრამ არც ამის მნიშვნელობა ვიცი.

გიორგიმ შენიშნა, ვახტანგი ისე გულანთებული ლაპარაკობდა, რომ მას ამ წუთს სწყუროდა ის უხილავი ენერგიის წყარო, რომელიც მის გარშემო ტრიალებდა. მან ვახოს ხელი დაადო მხარზე და უთხრა:

_ ამ დღეებში მამა გიორგი უნდა მოვიდეს კოლონიაში. აიღე მისგან ლოცვა-კურთხევა აღსარების ჩასაბარებლად. მე კი მოგამზადებ და დანარჩენს მერე გზადაგზა აგიხსნი. შევთანხმდით?!

ვახოს სახე გაებადრა და აღტაცებულმა წამოიძახა:

_ შევთანხმდით!

_ შენი მეგობრები რას ფიქრობენ? _ იკითხა გიორგიმ და ვახოს უკან მდგომ ახალგაზრდებს შეხედა.

_ ჩვენც გვინდა ეკლესიურები გავხდეთ, ძია გიორგი. _ თქვა ვახოს გვერდზე მდგომმა ქერათმიანმა ახალგაზრდამ. ხოლო დანარჩენებმა თანხმობის გამო თავი დაიქნიეს.

მამა გიორგის ლოცვა-კურთხევით და შემწეობით ხუთი ახალგაზრდა მსჯავრდებული ვახტანგის მეთაურობით, ორი თვის შემდეგ ქრისტეს ხორცსა და სისხლს ეზიარა. ამის შემდეგ ისინი გიორგიმ სახელოსნოში შეგირდებად აიყვანა, რამაც საეკლესიო ნივთების წარმოების საქმის მასშტაბები გაზარდა. წარმოების უფროსი თემური, მასალას და დახმარებას არ აკლებდა ბიჭებს.

ერთხელ, თემური ვიღაც უცხო კაცთან ერთად გიორგის და მის შეგირდებს სახელოსნოში ეწვია და სტუმარი გააცნო:

_ ბატონი დავითი ჩვენს დეპარტამენტში საწარმოო განყოფილებას ხელმძღვანელობს. მისი ინიციატივით ბევრი სასიკეთო საქმე იქნა წამოწყებული სასჯელაღსრულების სისტემაში. მათ შორის, მან პირველმა დააყენა საკითხი საპატრიარქოს წარმომადგენლების წინაშე, რათა დახმარებოდნენ სისტემის დაწესებულებებში ქაოსურად წარმოებული საეკლესიო ნივთების კანონიკურობის დაცვაში. ,,კრიტში" და რუსთავის პირველ კოლონიაში აღნიშნული საქმეები უკვე მოაგვარა. ახლა კი ჩვენ გვესტუმრა. მე ავუხსენი ბატონ დავითს, რომ ამ საქმის წამომწყები ჩვენთან გიორგი ირემაშვილია - მეთქი და მაშინვე მოისურვა შენი გაცნობა.

_ მშვიდობა, ბატონო გიორგი, _ თქვა დავითმა და გიორგის ხელი გაუწოდა.

_ მშვიდობა, დავით, _ უპასუხა გიორგიმ, _ ეკლესიურად მომმართე და ბატონი აღარ უნდა დაგეყოლებინა. ხომ იცი, რომ ჩვენში ასეთი მომართვები არ არის. ქართველი კაცი უფალსაც კი შენობით მიმართავს.

_ ნაღდად მართლმადიდებელი ყოფილხარ გიორგი, _ გაეღიმა დავითს და თან

ეტყობოდა, რომ პასუხით ნასიამოვნები დარჩა, _ სადაური ირემაშვილი ხარ?

_ თბილისელი, პლეხანოველი. წარმოშობით კი ყარაბულახელი რაჭველი. ეს სოფელი ივრისპირეთში მდებარეობდა. ეხლა იქ ნასახლარიც კი აღარ არის.

_ ვიცი ყარაბულახი. მე პატარძეულელი ტოგონიძე ვარ. ჩემი წინაპრებიც მეცხრამეტე საუკუნეში რაჭიდან ჩამოსახლებულან პატარძეულში. ისე რომ მეზობლები ვყოფილვართ.

შემდეგ დავითი გიორგის შეგირდებს გაეცნო. მათთან ერთად დაათვალიერა წმიდა გიორგის სახელობის მშენებარე ტაძარი, შემდეგ სახელოსნო. პატარა შენიშვნებიც მისცა გიორგის საეკლესიო ნივთების კანონიკურობის დაცვის საკითხებში. გიორგიმ შენიშვნები, რა თქმა უნდა, მიიღო და შემდეგ სტუმარს მორიდებით მიმართა:

_ დავით, თუ საიდუმლო არ არის, როგორი აზრისაა საპატრიარქო ჩვენი საქმიანობის შესახებ?

_ მაინც და მაინც გულზე არ ეხატება, _ გაეცინა ტოგონიძეს, _ მკვლელების და ბანდიტების მიერ დამზადებულ საეკლესიო ნივთებს ტაძრებში ვერ შევიტანთო. ჩვენ შემხვედრი კითხვა დავუსვით მათ. თუ სასჯელაღსრულების სისტემას პენიტენციალური დავარქვით, ხოლო პენიტენცია ლათინურად მონანიებას ნიშნავს, მაშინ როგორი წესით უნდა მოინანიოს მსჯავრდებულმა ცოდვები? პასუხი ერთია _ უნდა გახდეს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი და თუ ხელეწიფება საეკლესიო ნივთების გაკეთება, რატომ არ უნდა მივცეთ მას გასაქანი? ამ საქმეში ჩვენი სისტემის მოძღვარმაც დაგვიჭირა მხარი და უკვე ორ დაწესებულებაში ჩავატარეთ წირვა, გაიცა ლოცვა-კურთხევა საეკლესიო ნივთების დამზადების თაობაზე. ეხლა კი აქ მოვედით და გვინდა, რომ ეს საქმიანობა თქვენთან მოვაწესრიგოთ. თუმცა, როგორც ვხედავ, მოსაწესრიგებელი ბევრი არაფერია. ასე არ არი, გიორგი?

_ ერთი სათხოვარი გვაქვს, დავით, _ თქვა გიორგიმ, _ ძალიან ბევრი ითხოვს პატარა ეკლესიების დამზადებას. ჩვენ კი ვაკეთებთ ეკლესიებს, მაგრამ ეს უფრო საკუთარი ფანტაზიის შედეგია. აი ნახეთ, ეს ჩვენი შეხედულებით დამზადებული ეკლესიაა, _ და გიორგიმ მაგიდის ქვეშიდან გამოიღო ფანერებისაგან შეკრული პატარა ეკლესია, _ ჩემი აზრით, ეს პატარა ეკლესია რომელიმე მართლმადიდებლური ტაძრის ასლი უნდა იყოს, თორემ მას არავითარი სულიერი ღირებულება არ ექნება.

_ გეთანხმები, _ უთხრა დავითმა და ეკლესიის მაკეტის დათვალიერება დაიწყო, _ ბევრი რამ აქ არასწორია. ამიტომ მე გამოგიგზავნი ჩვენი ტაძრების რამდენიმე ნახაზს და იმის მიხედვით გააკეთე. ნახაზებში ხომ ერკვევი?

_ კი, რაზეა საუბარი. აგერ ინჟინრების მეტი რა გვყავს, _ გაეღიმა გიორგის და თვალით დავითს ახალგაზრდებისკენ ანიშნა.

_ აბა ეგ საქმეც მოგვიწესრიგებია და ეგ არის. ნედლეულსა და მასალებს ღმერთის შეწევნით, თემური არ მოგაკლებთ და ხალხიც დასაქმდება.

სახელოსნოდან გამოსვლისას დავითის ყურადღება მიიქცია მასიური ხისგან დამზადებულმა კარებმა, რომელიც სახელოსნოს ბნელ კუთხეში იყო მიყუდებული.

_ ეს რა კარებია? _ იკითხა დავითმა.

_ მასიური მუხაა, _ უპასუხა გიორგიმ, _ ქურდებმა მოატანინეს ტაძრისათვის და მისი მოჩუქურთმება მე დამავალეს.

_ ყოჩაღ შავ ძმებს, _ გაეღიმა დავითს, _ ნელა-ნელა მათაც დაიწყეს

სარწმუნოებისკენ მოქცევა.

_ კი, მაგრამ მაგათ ცოტა სხვანაირი მრწამსი აქვთ. _ საუბარში ჩაერთო თემური.

_ ვიცი, ჩემო თემურ, მაგათი მრწამსი, _ თქვა დავითმა, _ ჩემი სოფლიდან იმდენი რამკიანი ქურდია ასპარეზზე გამოსული, რომ ზოგიერთ სოფელში შეიძლება იმდენი მაცხოვრებელი არ იყოს. ძალიან მკაცრ კანონებზე იდგა მათი სამყარო დღემდე. წლების მანძილზე ქურდების ცხოვრება, მათი კანონები ვერ შეცვალეს ვერც «კრიტმა», ვერც ციხეებმა, კარცერებმა, გულაგებმა. ბოლოს და ბოლოს ვერც «ნასედკებმა», მაგრამ დაიშალა საბჭოთა კავშირი და მასთან ერთად წარსულს ჩაბარდა უზარმაზარ ტერიტორიაზე გამეფებული კანონები და ურთიერთობები. «კანონიერი ქურდები» მთელი ძალღონით ეწინააღმდეგებიან ახალ დროებას და თავის გადარჩენას ლამობენ. ძველი ტრადიციული კანონების თანახმად, «კანონიერ ქურდს» არ შეიძლება ჰყოლოდა ცოლი, ჰქონოდა ქონება, ემუშავა, გაჩერებულიყო თავისუფლებაზე სამ წელიწადზე მეტხანს და ასე შემდეგ. ყოველივე ეს იმისათვის შეიქმნა, რომ «ქურდული გვირგვინის» ტარება მარტივი არ ყოფილიყო. ქურდი უნდა იყოს რჩეული. ხოლო მას შემდეგ რაც ქვეყანა აირია და ქურდული ცხოვრებაც შეიცვალა, ქურდები ბიზნესში ჩაერთვნენ. ბოლოს და ბოლოს, საქმე იქამდეც მივიდა, რომ დღეისათვის ქურდული ავტორიტეტის შეფასება ხდება მისი ფინანსური მდგომარეობის მიხედვით. სამწუხაროდ, ძველი გამონათქვამი _ უკანასკნელ ლუკმას ქურდი არ იღებსო, წარსულს ჩაბარდა. ასეთი მდგომარეობა ძველი ქურდებს ძალიან აღელვებთ. ეხლა ეკლესიას ეფერებიან. ათას შესაწირს უგზავნიან, ჰგონიათ, რომ ღმერთი ხელს მოუმართავს. მოპარულს და წართმეულს რომ გაუგზავნი ღმერთს, ის მიიღებს? თუ მაგარი ბიჭები არიან, დეპარტამენტის ხელმძღვანელობა გადააჩვიონ ქურდობას და დატაცებას, პატიმარს რომ ისედაც სამათხოვრო ლუკმას წაართმევ და იმას ოჯახში წაიღებ, იმ ადამიანს ადამიანი ჰქვია? ჩემი შეხედულებით ის პირუტყვია, რომელიც ვერ იგებს ვისას ჭამს. დეპარტამენტის საწყობი ორფეხა ვირთხებით არის გადავსებული. იმდენს იპარავენ, რომ პატიმრამდე მგონი კარტოფილის ნაფცქვენებიც აღარ მიდის, მერე დაგიჯდებიან სუფრასთან და სამშობლოსა და სალოცავების სადღეგრძელოს ისეთი მაღალფარდოვანი სიტყვებით სვამენ, უცხომ რომ მოისმინოს, ანგელოზებად მოეჩვენება ეს ცხოველები. ან ის რა საქციელია, შმონის დროს პატიმარს საყოფაცხოვრებო ნივთი წაართვა და მერე ის ან შენ დაიტოვო, ან კიდევ გაყიდო და ფული ჯიბეში ჩაიდო. ან კიდევ დამზადებულ საეკლესიო ნივთებს «შირპატრები» დაარქვა. ამას რატომ არ აკონტროლებენ ქურდები? ეს ძარცვა ხომ მაგათ კონტროლირებად ტერიტორიაზე ხდება. ასე რომ ქვეყანა მაგრად არის არეული. ჩვენი ხსნა მხოლოდ ღმერთშია და უნდა ვილოცოთ, რომ უფალმა გადმოგვხედოს და ქვეყანაზე პატიოსნებამ დაისადგუროს.

_ ღმერთმა გისმინოს, დავით, _ თქვა გიორგიმ, _ აქ ერთი კაცი იხდიდა სასჯელს, სხვათაშორის ისიც პატარძეულელია წარმოშობით, დიმიტრი ლაფერიშვილი, ეხლა რუსთავის მეორე კოლონიაში გადაიყვანეს. ძალიან განათლებული კაცია. თქვენი აზრები და მსჯელობა თითქმის ერთმანეთს ემთხვევა. ასე მგონია, რომ თქვენ და თქვენისთანები იმ ქვეყნიდან ხართ მოვლენილნი ამ ქვეყანაში, რომ ბოლო ჟამში ხალხი შეამზადოთ მეორედ მოსვლისათვის...

_არა, ჩემო გიორგი, _ შეაწყვეტინა სიტყვა დავითმა, _ ჩვენ არსაიდან არა ვართ მოსულები, ჩვენ აქ დავიბადეთ და გავიზარდეთ. უბრალოდ ჩვენ სურვილი გვაქვს, რომ

ღმერთის გზით ვიაროთ, ვიცხოვროთ სახარებისეული კანონებით. ეს კი ძალიან ძნელია. ესეთი წესით ცხოვრება მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ, რომელთა რიცხვს პირადად მე, სამწუხაროდ არ განვეკუთვნები, თუმცა დიდი სურვილი მაქვს ვიყო მათნაირი. აბა, კარგად იყავით. მე ხშირად შემოგივლით ხოლმე. გფარავდეთ უფალი.

დავითი და თემური დაემშვიდობნენ მსჯავრდებულებს და დაწესებულების ტერიტორიაზე გამოვიდნენ. როგორც კი ტაძარს გასცდნენ, უკვე აღარ ხვდებოდათ ისეთი გაცისკროვნებული სახეები, როგორიც გიორგის და მის შეგირდებს ჰქონდათ. ზოგს ავადმყოფობისაგან გაყვითლებოდა სახე, ხოლო ზოგს კი ნარკოტიკებისაგან შეშლოდა იგი. მათ სულს ეშმაკი დაუფლებოდა და ამზადებდა ჯოჯოხეთის კუპრისათვის. ამ ადამიანებზე არავინ ფიქრობდა, არც ქურდული სამყარო და არც სახელმწიფო.

XII

გიორგი ირემაშვილმა კოლონიაში მორწმუნეთა დიდი არმია შექმნა. მათი მონდომებით ტაძრის მშენებლობაც დასრულდა. გიორგის შესასვლელი კარების მოჩუქურთმება ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული. იგი ყველა ორნამენტს განსაკუთრებული სითბოთი აჩუქურთმებდა და ამიტომ გაიწელა სამუშაო. გიორგი ეხლაც საქმეში იყო გართული, რომ უცებ სახელოსნოს კარი ვახომ გააღო და აღტაცებულმა იყვირა:

_ მომილოცავს! შენზე შეწყალების ქაღალდი მოვიდა. რამდენიმე დღეში გაგიშვებენ.

გიორგი განცვიფრებული უყურებდა მისკენ მომავალ ვახოს და ვერ გაეცნობიერებინა რა მოხდა. ვახო გადაეხვია მასწავლებელს და ქრისტიანული წესისამებრ მხარზე აკოცა, თან სიხარულისაგან ცრემლი სდიოდა. გიორგი დაიბნა, ხმას ვერ იღებდა, ბოლოს როგორც იქნა გამოვიდა მდგომარეობიდან, ხატებს შეხედა, პირჯვარი გადაიწერა და თქვა:

_ გმადლობთ, უფალო, რამეთუ შეისმინე ჩემი ვედრება, _ მერე ისევ ვახოსკენ შემოტრიალდა და უთხრა, მოიცა მე რომ წავიდე, მერე ამ კარებს ვინ დაამთავრებს. არა, ძმაო, ეგრე არ გამოვა.

_ თუ უფლებას მომცემ, მე გავაგრძელებ გიორგი,_ უთხრა ვახომ, _ მე მგონი, არ შეგარცხვენ.

_ შენც სწორი ხარ, ვახტანგ. ყველაფერი რომ მე გავაკეთო, თქვენ უსაქმოდ ხომ გაგიჟდებით ამ დასაწვავ კოლონიაში. მხოლოდ მამა გიორგისგან ლოცვა-კურთხევა აიღე, ისე ხელი არ მოკიდო.

_ არის, უფროსო! _ ტაში შემოჰკრა ვახომ და მასწავლებელს კიდევ ერთხელ გადაეხვია.

* * *

გიორგი ირემაშვილს დაწესებულების კართან ახლობლები ელოდებოდნენ. მათთან

დავით ტოგონიძეც იდგა.

_ აგერ გამოჩნდა ქვეყნის დამქცევი, _ იხუმრა დავითმა, როდესაც დაწესებულების გასასვლელში გიორგის მოჰკრა თვალი.

გიორგიმ ახლობლებთან ხვევნა-კოცნით რომ იჯერა გული, მერე დავითთან მივიდა, გადაეხვია და უთხრა:

_ დიმიტრიმ და შენ გამაძლებინეთ ამ ჯოჯოხეთში, თორემ მე აქამდე მკვდარი ვიქნებოდი.

_ რა მადლობებს მიხდი გიორგი, არა გრცხვენია, _ უთხრა დავითმა, _ ეს ჩვენი მოვალეობაა, რომ მოყვასს დახმარების ხელი გავუწოდოთ. ჩემს ადგილას შენც ესე მოიქცეოდი.

_ ეს ღვთისნიერი კაცი ამ დასაწვავ დეპარტამენტში რამ მოგიყვანა სამუშაოდ? შენი მიკვირს.

_ ხომ იცი, გიორგი, ყველაფერი უფლის ნებაა. მე ვფიქრობ, მეც შენსავით ციხეში ყურყუტი მომიწევდა ჩემი წარსულიდან გამომდინარე, მაგრამ ისევ უფალმა დამაფარა თავისი ყოვლისშემძლე ხელი და ეს ჯოჯოხეთი, რომელიც შენ გამოიარე, შორიდან დამანახა.

_ სწორი ხარ, დავით, ბიბლიაში წერია «ვინც უყვარს უფალს, მასვე ზრდის, ხოლო შოლტით სცემს ყველას, ვისაც ძედ იღებს». მე ეს შოლტი შენთან შედარებით კარგად მომხვდა.

_ ახლა რას აპირებ, გიორგი? შენ ხომ უკვე თავისუფალი ხარ.

_ მაგ საკითხზე ბევრი ვიფიქრე ჩემო დავით და ბოლოს არჩევანი ისევ საეკლესიო ცხოვრებაზე შევაჩერე. ჩემი წინაპრების ნასოფლარის გვერდზე, ჩოლოყაშვილების სასახლის ტერიტორიაზე, რომელიც საპატრიარქოს გადაეცა, წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაა. მინდა ვთხოვო წინამძღვარს სტიქაროსნად მიმიღოს. მე ეკლესიის გარეშე ვერ გავძლებ, თან ჩემი წინაპრების სულებიც მიხმობენ. იქ ჩვენების საფლავებია და წმიდა ნინოს სახელობის ტაძრის ნაფუძარი. მინდა ის აღვადგინო და იქ ვემსახურო უფალს.

_ მერე ცოლ-შვილი?

_ შვილები უკვე დიდები არიან. ბინა რაც მთავარია, უფლის შეწევნით დავიბრუნეთ. ისინი დედას არაფერს მოაკლებენ. მე კი ვილოცებ მათთვის. დრო ცოტა მაქვს. ეკლესია უნდა აღვადგინო.

_ ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩემო გიორგი.

* * *

შემოდგომის ოქროსფერი და თბილი დღე იდგა. ივრის მარცხენა სანაპიროს ფერდობზე, მაყვლოვანით გარშემორტყმულ ბექობზე, თეთრი ფერის ტაძარი აღემართათ. როგორც ჩანს ეკლესია ახალი აშენებული იყო. იგი ამაყად გადაყურებდა თავის კალაპოტში მოუსვენრად მონავარდე იორს, რომლის მადლით ვენახებით დამშვენებულიყო ცუგროვანის და თამაშოვკის ჭალები.

ტაძრიდან ანაფორაში გამოწყობილი მღვდელი გამოვიდა, რომელსაც ახალგაზრდა სტიქაროსანი გამოჰყვა საცეცხლურით და ნაკურთხი წყლით ხელში.

მოძღვარი დინჯად მიაბიჯებდა ფერდობზე. თმები და წვერ-ულვაში, რომელიც თოვლივით თეთრი ჰქონდა, ბრძენი კაცის იერს ჰმატებდა მას.

ეს მღვდელი გიორგი ირემაშვილი გახლდათ.

იგი მაღლა გორისკენ აუყვა ფერდობს, სადაც მისი წინაპრების საფლავები იყო. შემდეგ სტიქაროსანს საცეცხლური გამოართვა. რამდენიმე წუთი იარა საფლავების გარშემო, თან ფსალმუნებს კითხულობდა ჩურჩულით.

საკმეველის თავბრუდამხვევი სურნელება ტრიალებდა ირგვლივ.

შემდეგ წყალი აპკურა ყველა საფლავს და ჯვარი გარდასახა. შეტრიალდა აღმოსავლეთის მხარეს, პირჯვარი გადაიწერა და სტიქაროსანი იხმო:

_ ვახტანგ, ეხლა რასაც გეტყვი კარგად დაიმახსოვრე. ხედავ აღმოსავლეთისკენ ცა როგორი ნათელია?

_ დიახ, მამაო.

_ ხომ მოგწონს და გიზიდავს ეს ნათელი?

_ დიახ, მამაო.

_ ამიტომ მუდამ გახსოვდეს წმიდა სიტყვები: «ღმერთი ნათელ არს და ბნელი არა არს მისთანა არცა ერთი».

სართიჭალა
2004

ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე

იდგა ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი წლის შემოდგომა.

მეხუთე იზოლატორიიდან «რესბალნიცაზე» უგონოდ გადაყვანილი სუმო, ნელა_ნელა გამოჰყავდათ მდგომარეობიდან. ციხის საავადმყოფოს ექიმებმა იცოდნენ, რომ იგი დიდი ფულის პატრონი იყო და ამიტომ ნაბიჯს არ დგამდნენ გასამრჯელოს წინასწარ გადახდის გარეშე. სუმოს თავისი ძლიერი ორგანიზმიც წამოეხმარა და ერთ თვეში ფეხზე დადგა. ამასობაში მისი პატრონები გარედან ჩალიჩობდნენ თითქმის ყველა სამსახურებში, «ზევით» და «ქვევით», რომ სუმოსთვის ციხეში ყოფნა შეემსუბუქებინათ. ბოლოს, როგორც იქნა, მიაწოდეს ინფორმაცია, რომ მას მეხუთე იზოლატორში აღარ დააბრუნებდნენ და დაკითხვები მხოლოდ რესპუბლიკური პროკურატურის «ვაჟნიაკების» ნაწილში გაგრძელდებოდა.

სუმომ ამოისუნთქა...

იზოლატორის ხსენებაზე, მაშინვე თვალწინ დაუდგებოდა ხოლმე ის საშინელი კარცერი, საიდანაც ერთი თვის წინ ცოცხალ_მკვდარი გამოიყვანეს და ეს შემთხვევით არ ხდებოდა. სუმოს იზოლატორში შესვლის შესახებ ქურდულ სამყაროს ინფორმაცია, ეგრეთწოდებული «ქსივა» უკვე მიღებული ჰქონდა და სულმოუთქმელად ელოდა ამ «მსუყე ლუკმას», მაგრამ ციხის ადმინისტრაციამ, რა თქმა უნდა «ზევიდან» მიღებული

დავალების შემდეგ, თავისთვის დაიტოვა და დასამუშავებლად ცალკე კამერაში ჩაკეტა. სუმო, თავის მხრივ, უპატრონო სულაც არ იყო. მის გასათავისუფლებლად გარედან მუშაობდნენ. თუმცა ამდენი ბრალდებების მოხსნას საკმაოდ დიდი ფული სჭირდებოდა, რომლის მოგროვება მცირე დროის განმავლობაში თითქმის შეუძლებელი იყო. ამის გამო ციხის «დამსჯელმა ექსპედიციამ» დაიწყო მისი დამუშავება. სუმო ვაჟკაცურად უძლებდა წამებას. ორგანოს მუშაკებს მათი ბიზნესი იმდენათ არ აინტერესებდათ, რამდენადაც ბანკი «შვიდეულის» მიერ ჩადენილი ყაჩაღობები და მკვლელობები. მაგრამ ჯერჯერობით შედეგს ვერ აღწევდნენ.

_ კარცერში ჩააგდეთ და რამდენიმე დღეში ჭკუაზე მოვა! _ უკარნახეს მეციხოვნეებს «ზევიდან».

_ ვერ გაუძლებს. _ იყო პასუხი «ქვევიდან».

_ ჯანდაბამდის გზა ჰქონია, თუ ვერ გაუძლებს! თქვენ გააკეთეთ ის, რასაც გეუბნებიან.

ბრძანების შესაბამისად სუმო კარცერში შეაგდეს. კარცერის სიგრძე ასე მეტრნახევარი იქნებოდა, სიგანე ერთი მეტრი. კუთხეში ბეტონის იატაკი ამოეჭრათ და შიგ წნევით ჩადიოდა წყალი, რომლის ჩხრიალი ამ პატარა ბუდრუგანაში საშინელ ხმას გამოსცემდა. კედლის გასწვრივ ფიცარი იყო მიჭედებული, რომელიც ერთდროულად სკამის მოვალეობასაც ასრულებდა და საწოლისასაც. მაგრამ სუმოს თავისი ფიზიკური აგებულების გამო, ეგრეთწოდებულ სკამ_საწოლზე დაწოლა კი არა, დაჯდომაც გაუჭირდებოდა. კარცერში წყლის ჭავლი ოცდაოთხი საათი არ ჩერდებოდა და ასევე არ ქრებოდა ცხვირწინ ჩამოკიდებული ნათურა. ეს ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი ადამიანის გონებაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის. სუმომ ორი დღის შემდეგ იგრძნო, რომ სიგიჟემდე მივიდოდა და ზედამხედველის მეშვეობით ახლობლებს შეუთვალა, რომ თუ კი კარცერიდან ვერ გამოიყვანდნენ, რაც შეიძლება მეტი გაზეთები შეეგზავნათ მისთვის, რათა გონება ხმაურიდან კითხვაზე გადაეტანა. კარცერიდან გამოყვანაზე უარი უთხრეს, მაგრამ საკმაოდ დიდი ფულის საფასურად გაზეთების მიწოდების ნება დართეს. ახლობლები მხოლოდ იმ გაზეთებს უგზავნიდნენ, სადაც მის შესახებ სტატიები არ იყო გამოქვეყნებული, რადგან იმდენი ტყუილ_მართალი ეწერა, რომ შეიძლება მათი წაკითხვის შემდეგ სუმო მართლა ჭკუიდან შეშლილიყო. მას კი გაზეთების წაკითხვა ხმაურისაგან თავდაცვის მიზნით სჭირდებოდა, თორემ მათი შინაარსი საერთოდ არ აინტერესებდა, რადგან თავისი ცხოვრების მანძილზე ერთი წიგნიც კი არ ჰქონდა წაკითხული. მართლაც, გაზეთის წაკითხვას იწყებდა სათაურიდან და ამთავრებდა გაზეთის ბოლოში მითითებული რედაქციის შემადგენლობით და მისამართით. თუ ახალი პრესის მიწოდება გვიანდებოდა, ხშირად ერთი და იგივე გაზეთს რამდენჯერმე კითხულობდა. ასე, რომ ნელა_ნელა ჭკუიდან გადადიოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ დღეში ორჯერ ან სამჯერ დაკითხვაზე გაჰყავდათ და კარგად ნაცემ_ნაბეგვს აბრუნებდნენ კარცერში.

მიუხედავად ასეთი არაადამიანური მოპყრობისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის თანამშრომლებმა სუმოსგან საჭირო ინფორმაცია ვერ მიიღეს. «ზევიდან» წამების გაორმაგების განკარგულება გასცეს. პასუხი ასეთი იყო:

_ შემოგვაკვდება და საერთოდ ვერაფერს გავიგებთ.

_ პასუხისმგებელი ყველაფერზე თქვენ იქნებით! _ მოკლედ უპასუხეს «ზევიდან.»

სუმოს ახლობლებმა ბევრი ჩალიჩის შემდეგ მოახერხეს და პატიმარი მსჯავრდებულთა და პატიმართა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ეგრეთწოდებულ «რესბალნიცაზე» გადაიყვა-ნეს.

ამ დაწესებულებაში მხოლოდ პატრონიანი პატიმრები ხვდებოდნენ, ვინაიდან ამ «ფუფუნებას» საკმაოდ დიდი თანხა სჭირდებოდა...

... ახლა კი, როგორც უთხრეს, იზოლატორში აღარ დააბრუნებდნენ და მხოლოდ «რესბალნიციდან» პროკურატურაში გადაიყვანდნენ ხოლმე დაკითხვაზე. მართლაც, გააფრთხილეს, რომ მეორე დღეს პროკურატურაში წაიყვანდნენ გამომძიებელთან. სუმომ მომზადება დაიწყო და ყოველი შემთხვევისთვის «შტირის» წაღება მაინც გადაწყვიტა.

საბადრაგო მანქანამ, როდესაც ცენტრალურ გზაზე გამოვიდა, პროკურატურის ნაცვლად, გეზი ისევ მეხუთე იზოლატორისკენ აიღო. სუმომ იფიქრა, შეიძლება მოედნის გავლით აპირებს წასვლასო, მაგრამ როდესაც მანქანა იზოლატორის ჭიშკარს მიადგა, აქ უკვე ყველაფერი ნათელი გახდა. სუმომ იცოდა, რომ წამებას ვეღარ გაუძლებდა. სასწრაფოდ მოიძია ტასაცმელში შენიღბულად გადამალული «შტირი» და ამოუღებლად გადაისვა მუცელზე მარცხნიდან მარჯვნივ. მანქანაში სისხლის გუბეები დადგა. აფორიაქებული ბადრაგი დაიბნა. რას წარმოიდგენდნენ, რომ სულ ხუთი წუთის სავალ გზაზე ასეთი შემთხვევა მოხდებოდა.

საბადრაგო მანქანამ, ახლა უკვე მთელი სისწრაფით გეზი ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოსკენ აიღო. საბედნიეროდ, ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა. თუმცა მის მკურნალობასა და სუმოს გამოჯამრთელებას მინიმუმ სამი_ოთხი თვე დასჭირდებოდა.

ამ ინციდენტმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა «ზევითაც» და «ქვევითაც».

სიტუაციის ასეთ განვითარებას არავინ ელოდა.

II

სახელმწიფო კანცელარიაში, ერთ_ერთ პრესტიჟულ კაბინეტში, ორი მაღალჩინოსანი საუბრობდა. ერთ_ერთი მათგანს, რომელსაც ეტყობოდა, რომ ჩინით უფრო დაბალი გახლდათ, თავდახრილი იდგა და ხელის მტევნებს ნერვიულად ატრიალებდა ერთმანეთში. მეორე კი _ კაბინეტში ბოლთას სცემდა და დაბალ, მაგრამ აღელვებულ ხმაზე ბუბუნებდა:

_ ის ბადრაგი უნდა ჩაყარო იზოლატორში და ყველას ფრჩხილები დააძრო. ხუთმა კაცმა ხუთას მეტრზე პატიმრის გადაყვანა ვერ შეძლო, არა და იზოლატორში ყველაფერი მომზადებული იყო დასაკითხად. ჩვენი გათვლებით ერთი საათის წამების შემდეგ უკვე ალაპარაკდებოდა.

_ რაჟდენიჩ! _ სცადა საუბრის დაწყება ჩინით დაბალმა.

_ შენი ხმა არ გავიგო! სიდამონიძისგან, იგივე სუმოსგან, ინფორმაციას ამოიღებ! თუ არა და მერე შენს თავს დააბრალე. ჩვენ უნდა ვიცოდეთ გაყიდული იარაღიდან ფული სად წავიდა და აფხაზეთზე გამოყოფილი ოცდახუთი მილიონიდან თხუთმეტი მილიონი უკვალოდ სად არის გამქრალი.

_ ყველა მოწმე მკვდარია რაჟდენიჩ, _ მოიკაკვა «დაბალი», _ ეს სუმო თუ რაღაც

ჯანდაბაა ხმას არ იღებს.

_ ჰოდა რა ფულსაც ვეძებთ ეს შენ კარგად იცი! ისიც კარგად იცი ეს ფული ვისია! თუ ვერ იპოვი შენი დასადები გახდება!

«დაბალი» სულ დაპატარავდა.

_ შენ კარგად იცი, _ მშვიდად განაგრძო «მაღალმა», _ რომ ის ოცდახუთი მილიონი დოლარი მაგ «შვიდეულში» ჩაგდებული იქნა «განხეთქილების ვაშლის» ფუნქციის შესასრულებლად, რამაც შედეგი წარმატებულად გამოიღო და «შვიდეულმა» თითქმის ამო_ ხოცა ერთმანეთი. ეს კერძო ფული იყო, ისიც იცი ვისი. ამიტომ სასწრაფოდ დასაბრუნებელია.

_ ვერაფერს ვერ ვტვინავ რაჟდენიჩ და მოდი, თუ გინდა მომკალი. _ ამოიხვნეშა «დაბალმა» და შუბლი თითქმის მაგიდას დაადო.

_ შენ პატიმარი ვერ გადაგიყვანია ხუთას მეტრზე და რისი მომტვინავი ხარ! კარგად მომისმინე ახლა, _ შინაურულად თქვა «მაღალმა» და «დაბალმაც» ყურები ცქვიტა, _ ინფორმაციას სუმოსგან მივიღებთ. ჩვენი ბედი რომ არ მოკვდა. სანამ ეგ გამოჯამრთელდება, მანამ თქვენ ერთი კაცი გეყოლებათ დასამუშავებელი. მისი დამუშავება და დაკითხვები ისე უნდა აწარმოოთ, რომ სუმოს გამოჯანმრთელებისთანავე მოხდეს მათი დაპირისპირება. აი, აქ შეიძლება რაღაც, ჩვენთვის სასარგებლო ინფორმაცია დავიჭიროთ. ეს კაცი ინფორმაციის მატარებელია «შვიდეულის» ეკონომიკური საქმიანობის შესახებ. ამასთან გაითვალისწინე, რომ მომენტებში ისეთი ფრთხილია, შეიძლება ნებისმიერი რანგის აფერისტი გააცუროს, მაგრამ ზოგჯერ თავისი გულკეთილობისა მიამიტობის გამო ისეთ გამოუსწორებელ შეცდომებს უშვებს, სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეები არ გააკეთებენ. ის ოცდახუთი მილიონი მაგის ასოციაციაზე იყო გამიზნული, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ეს საქმე მას სიკეთეს არ მოუტანდა და ასოციაციის ანგარიშზე დასმული თანხის გადასმა უცბათ ბანკი «შვიდეულის» ანგარიშზე მოახდინა.

_ ებრაელია რაჟდენიჩ? _ იკითხა «დაბალმა».

_ არა, კახელია. ლევან სართელი. მითითება რომ გვქონდა პატრიოტი ბიზნესმენის ბლოკირების, ხომ გახსოვს?

_ ნამდვილად რაჟდენიჩ?

_ ჰოდა მაშინ მოხდა მაგის გაკოტრებაც, თორემ ეგენი რომ მიგვეშვა, დღეს თურქეთის, ირანის და საერთოდ წინა აზიის ქვეყნების საქონელი საქართველოს ბაზრიდან კაი ხნის განდევნილი იქნებოდა. შენ ძალიან კარგად იცი, ეს ქვეყნები სამომხმარებლო ბაზრის დაკავებისათვის რა თანხებს გვიხდიან, ეს კიდევ გაგვიხდა პატრიოტი, გინდა თუ არა ქვეყანაში საკვებად ვარგისი პროდუქტი უნდა შემოვიდესო და კინაღამ პურის ბიზნესი ჩაგვიგდო. მასე არ უნდა_მეთქი და რაღაც პატარა მიზეზის გამო, საქმე «ვაჟნიაკებში» გადავუგდე. იქ კიდე ზაურა ქორიძემ თავ_ბედი აწყევლინა. ახლა შენ დაიბარე შენთან ქორიძე და სართელის დამუშავება დაიწყეთ! კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, მიუდექით ამ საქმეს ძალიან სერიოზულად, თორემ იცოდე ყველას თავებს დაგვაყრევინებენ.

_ ნამდვილად რაჟდენიჩ! _ ამოისუნთქა «დაბალმა» და ახლა უფროსის წინაშე ფეხზე მდგარი მოიკაკვა. კომუნისტური იერარქიის სახელმწიფო მოხელეები მლიქვნელობასა და მასთან დაკავშირებულ არტისტიზმში კაცობრიობის თითქმის ყველა

საზოგადოებრივი ფორმაციის წარმომადგენლებს ათი თავით წინ უსწრებდნენ. ეს სახელმწიფო მოხელეც ერთ_ერთი მათგანი იყო, რომელიც გადემოკრატებულ კომუნისტური პარტიის ცენთრალური კომიტეტის შენობაში დემოკრატივით დადიოდა. თავაწეული გამოვიდა სახელმწიფო კანცელარიის შენობიდან. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან დაავალეს რომ ვიღაც დაეჭირა, ვიღაც მოეკლა. ამ უღმერთო ადამიანების ცხოვრების მიზანი ხომ ასეთი იყო: ოღონდ თვითონ ყოფილიყო კარგად და ნებისმიერ ბინძურ საქმეზე მოაწერდა ხელს.

III

მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ, ხელისუფლების უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა თბილისის დამორჩილება. ქალაქელი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად, პირველ რიგში უნდა მოშლილიყო და განადგურებულიყო თბილისელის ინსტიტუტი, თბილისელის და არა ქალაქელის, რადგან იგი ქალაქში მეტ_ნაკლებად აბალანსებდა მდგომარეობას. ამ ინსტიტუტის მოშლისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა ქალაქში კრიმინალური მდგომარეობის უფრო დაძაბვა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან მოსახლეობის თბილისში ჩამოყვანა, სხვანაირად თბილისის დამორჩილება შეუძლებელი იქნებოდა. ეს პროცესი ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის პერიოდში დაიწყეს. ჩამოჰყავდათ რეგიონებიდან მორჩილი ინტელიგენციის წარმომადგენლები, აქცევდნენ მათ ბოლშევიკურ_კომუნისტური პარტიის წევრებად, აძლევდნენ თანამდებობებს და იყენებდნენ ყარაჩოღელების მემკვიდრეების ანუ თბილისელების ინსტიტუტს მოსასპობად. დაქირავებულმა ინტელიგენციამ თბილისელებს საფუძველი შეურყია. ახლა კი ზოგიერთი მათი შვილები ჩაუყენა კრიმინალებს სათავეში და უბანი უბანს აღარ გავდა, ქალაქი ქალაქს. თბილისიდან თბილისელი გარბოდა, ხოლო სოფლიდან ჩამოსული ადამიანების ნახევარი, თუ მეტი არა, კრიმინალების ხელში ვარდებოდა და ისედაც თბილისელებზე გამწარებულები, აწიოკებდნენ ქალაქს. კანონიერმა ქურდებმა, საკუთარი ტყავის გადასარჩენად, აიღეს «გუდა_ნაბადი» და უმრავლესობამ დიდ რუსეთს მიაშურა. ადგილზე დარჩენილების დიდი ნაწილი კი კრიმინალებს შეეკვრნენ და ერთობლივად დაიწყეს ქალაქის ძარცვა და განადგურება.

სოფლად ადამიანების დაუსაქმებლობამ გამოიწვია ის, რომ სოფლის მოსახლეობა მასიურად დაიძრა დედაქალაქისკენ. უმუშევარს უმუშევარი მიემატა, უსაქმურს_უსაქმური, ქურდბაცაცას_ ქურდბაცაცა, მეძავს_მეძავი და გამართლდა ცნობილი პოეტის სიტყვები: «ვცხოვრობ თბილისში და თბილისში დავეძებ თბილისს».

ხელისუფლებაში ურწმუნო ადამიანების მომრავლებამ უარესისაკენ გააქანა ისედაც მორღვეული და განადგურებული ქვეყანა. მათ შეაფურთხეს ქრისტეს ჯვარს და ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი წლის 14 აგვისტოს, როდესაც მთელი მართმადიდებელი სამყარო დღესასწაულობდა ტაძარში ჯვრის შემოყვანის დღესასწაულს და მიძინების მარხვას იწყებდა, ომი დაიწყეს აფხაზეთში, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ამ უღირსი საქციელისათვის უფალმა მკაცრად დასაჯა საქართველო და ერთი წლის შემდეგ ჯვართამაღლების დღესასწაულზე სოხუმის დაცემით მუდმივი სატკივარი გაუჩინა ერთ

დროს მამაცობითა და გონიერებით განთქმულ ქართველობას.

ყოველივე ამის შემდეგ, გვარდიისა და მხედრიონის «კრიშების» ქვეშ მყოფმა კრიმინალებმა, ხელში ჩაიგდეს ქვეყნის მართვის სათავეები. ამ დროს ჩამოყალიბდა ცნობილი სააქციო_კომერციული ბანკი «შვიდეული», რომლის ხელმძღვანელადაც მოგვევლინა ზაურ სიდამონისძე ანუ სუმო. იგი უკვე ქუჩაში ავტომატით მოთარეშე კრიმინალს აღარ გავდა. გარეგნული იერ_სახით უცხოეთიდან ჩამოსული სტაჟიანი ბიზნესმენი გეგონებოდათ, რომლის ყოველდღიური შემოსავალი არანაკლებ ათი ათასი დოლარის ღირებულების უნდა ყოფილიყო, ხოლო ავტომანქანა _ მხოლოდ მერსედესი. დამტვრეულ_დაჯეჯყილი ჟიგული და სიძველისაგან წვერებაპრეხილი ფეხსაცმელები ისტორიას ჩაბარებოდა, მხოლოდ ბავშვობისდროინდელი სახელიღა შერჩენოდა_სუმო. ისეთი პუტკუნა და მრგვალი ყოფილა ბავშვობაში ზაურ სიდამონიძე, რომ თურმე თავისი ოდნავ აპრეხილი წარბებით და ვიწრო თვალებით სუმოს მოჭიდავეს მოგაგონებდათ. ამიტომაც შეარქვეს ეს სახელი. გარეგნულად ყველაფერი ჩამოირეცხა სუმომ _ მკვლელობები, ყაჩაღობები, გადაგდებები, შავი სამყაროს ავტორიტეტების დამცირებები და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი არაადამიანური ქმედებები, მაგრამ სახელი მაინც ვერ მოიცილა, რადგან იგი თავისი შინაგანი ბუნებით და მისწრაფებებით ისევ ის სუმო იყო.

ამიტომაც მან იზოლატორში მოხვედრას სიკვდილი არჩია, თუმცა გადარჩა. როგორც ჩანს ღმერთს ციხეში მისი სიკვდილი არ უნდოდა. პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები დღეში რამდენჯერმე უკავშირდებოდნენ «რესბალნიცის» ხელმძღვანელობას და სუმოს მდგომარეობას კითხულობდნენ. ერთ დღისითაც სიდამონიძემ თვალი გაახილა და თითქოს გონს მოვიდა. მაშინვე მის პალატაში გიჟივით შევარდა პროკურატურის გამომძიებელი და ექიმს ყვირილით ჰკითხა:

_ მოვიდა აზრზე!?

_ მგონი გამოდის მდგომარეობიდან, _ უპასუხა ექიმმა, _ მაგრამ შეკითხვებზე არა მგონია სრულყოფილი პასუხი მოგცეთ.

_ ეგ შენი საქმე არ არის! _ იყვირა ისევ გამომძიებელმა, სუმოს ზევიდან დააშტერდა და განაგრძო კივილი, _ სიდამონიძე!... სიდამონიძე!... გესმის ჩემი?

სუმომ ამოიხრიალა.

_ ჰო, ჰო... კარგია... _ თითქმის აცეკვდა გამომძიებელი, _ აბა, შემომხედე და მომისმინე...

სუმომ თვალების ნელი მოძრაობით მზერა მისკენ მიმართა და თითქოს მოსასმენად მოემზადაო.

_ სიდამონიძე სასწრაფოდ გაიხსენე და მიპასუხე ვისი მითითებით მოქმედებდი და ვის აძლევდი ფულს?... გესმის?...

სუმომ თვალები დახუჭა და ისევ გაახილა. ალბათ ეს თანხმობის ნიშანი იყო. გამომძიებელი უფრო გააქტიურდა და ლამის ეხვეწებოდა ავადმყოფს:

_ აბა... აბა... თქვი! ამოიღე ხმა!

სუმომ პირი გააღო. თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო. ამან სულ გააგიჟა გამომძიებელი და რომ არა ექიმის ჩარევა, შეიძლება ცემა დაეწყო ავადმყოფისთვის.

_ სიდამონიძე მითხარი, შე შობელძაღლო, ღმერთი არ გწამს? _ თავისთვის

ბუტბუტებდა გამომძიებელი და თან თავისი უფროსები ახსენდებოდა, რომლებიც ინფორმაციას ელოდებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამომძიებელი ქუჩაში აღმოჩდებოდა და უმუშევრების რიგებს შეავსებდა. ნაძაღლარის უმუშევრობა კი რით მთავრდება ყველამ იცის.

სუმომ კვლავ გაახილა თვალები და ძლივს წაილუღლუღა:

_ ობშიაკის სია ნახე... იქ იპოვი...

ამ სიტყვებით სუმომ ისევ თავის საქმე გააკეთა და არა პროკურატურის.

ამის თქმა იყო და ავადმყოფი კვლავ გაითიშა.

_ რაიო? _ იკივლა გამომძიებელმა, _ ობშიაკის სიაო? მგონი გვეშველა, _ წამოიძახა გახარებულმა და თავის საქაღალდიანად გავარდა პალატიდან.

კიბეებზე სწრაფად ეშვებოდა და თან ერთი და იგივე სიტყვებს იმეორებდა:

_ დიმჩიკ დაგაბოლებ მე შენ კარგად. იმიტომ ელოდებოდი სუმოს იზოლატორში?

დიმჩიკა კანონიერი ქურდი გახლდათ. ამჟამად «პალაჟენია» მეხუთე იზოლატორში მიჰყავდა. ,,ობშიაკის" სიაც და ფულიც მისი პასუხისმგებლობის ქვეშ ინახებოდა. ხალხის «დაბოლება» უყვარდა და ამიტომ შეარქვეს დიმჩიკა.

დიმჩიკა სუმოს ხელში ჩაგდებას ცდილობდა, რადგან გვარდიისა და მხედრიონის «კრიშის» ქვეშ მყოფი სიდამონიძისაგან ბევრი შეურაცხყოფა ახსოვს, არა მარტო თავისი მისამართით, არამედ მთელი ქურდული სამყაროს ზოგიერთი ავტორიტეტის მიმართ. მაგრამ ციხის ადმინისტრაცია არ აძლევდა ამის უფლებას, რადგან სუმო ჯერ ხელისუფლებას სჭირდებოდა.

«რესბალნიციდან» გამოსულმა გამომძიებელმა პროკურატურის შენობამდე არც თუ დიდი მანძილი სულმოუთქმელად გაირბინა, შევარდა გენერალური პროკურორის მოადგილის მისაღებში, მდივანს არც ჰკითხა, პირდაპირ შეაღო «უფროსის» კარი და შეიჭრა კაბინეტში. გაოგნებული მდივნის წინ კარი ისე მოჯახუნდა, რომ ძალოვან სტრუქტურის კედლებში გამობრძმედილმა ქალბატონმა კინაღამ იკივლა. დაუკითხავად კაბინეტში შესვლა თავისთავად ცხადია უფროსის განრისხებას გამოიწვევდა და ისიც მორჩილად დაელოდა სასჯელს. რამდენიმე წამში ტელეფონი აწკრიალდა. უფროსი ურეკავდა. ქალმა გაფითრებულმა აიღო ყურმილი:

_ სასწრაფოდ გამოიძახეთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავჯდომარე და მეხუთე იზოლატორის დირექტორი!

მდივანმა შვებით ამოისუნთქა და შიდა ტელეფონის ყურმილი აიღო.

IV

ლევან სართელი, რომელიც განადგურებული იყო ხელისუფლებისგან სამშობლოს ერთგულებისათვის, ხოლო გვარდია_მხედრიონის ბანდებისა და შავი სამყაროს წარმომადგე- ნლებისაგან როგორც წარმატებული ბიზმესმენი, ნაადრევად გაჭაღარავებული და უმუშევარი იჯდა სახლში და სასოწარკვეთილი ფიქრებს მისცემოდა. დანგრეული ბიზნესის აღდგენა თითქმის შეუძლებელი იყო. ახალი საქმის დაწყებას დიდი ფული სჭირდებოდა, რაც მას არ გააჩნდა. სახელმწიფო სამსახურში მუშაობას არ იწყებდა იმ მიზეზით, რომ ყველამ იცოდა მისი პარტნიორობა ბანკი

«შვიდეულის» დამფუძნებლებთან, რომლებმაც ფულის გულისთვის ერთმანეთი დახოცეს. ყველას კიდევ ვერ აუხსნიდი, რომ შენი ურთიერთობა მათთან იყო ნაძალადევი და არა ნებაყოფილობითი. გინდაც აგეხსნა, მაინც არავინ დაგიჯერებდა. ამასთან ერთად «შვიდეულს» ძალიან ბევრი კრიმინალური «კუდები» დარჩა და ყოველ წუთში შესაძლებელი იყო ძალოვანი სტრუქტურების მიერ მათი «გააქტიურება». ამას სუმოს დაჭერაც ადასტურებდა. ამიტომ ლევანი ყოველდღიურად დაძაბული იყო, იმყოფებოდა მუდმივი სტრესის ქვეშ. თითქოს გრძნობდა რაღაც დიდი უბედურების მოახლოებას. ინერვიულებდა, ინერვიულებდა და ბოლოს თავს იმშვიდებდა: «ის მაინც შევძელი, რომ აფხაზეთში ჩვენს ბიჭებს დავხმარებოდი. ოჯახიც გადამირჩინა უფალმა.» ასე გრძელდებოდა ყოველდღე, სანამ მის ბინაშიც არ აწკრიალდა ტელეფონის ზარი. ყურმილი ლევანმა აიღო:

_ ბატონო!

_ უკაცრავად, ბატონი ლევან სართელი მინდოდა.

_ გისმენთ, ლევანი ვარ.

_ გამარჯობათ ბატონო ლევან, ალბათ ხმაზე ვეღარ მიცანით, მე რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი ზაურ ქორიძე გახლა_ ვართ.

_ ოოო... გამარჯობათ ბატონო ზაურ, _ ნაძალადევი თავაზიანობით უპასუხა ლევანმა, _ ხმა კი მეცნო, მაგრამ ვერ მოვედი უცბათ აზრზე, ხომ კარგად ბრძანდებით? რამ შეგაწუხათ, რით შემიძლია დაგეხმაროთ.

_ დიდი არაფერი ჩემო ლევან, ადრე რომ საქმე გვქონდა, მისი დასკვნა გვაქვს დასაწერი და გვინდა რომ დაგვესწროთ, ხომ იცით შეიძლება რამე გამოგვრჩეს, მე მგონი არ დამზარდები.

_ არა, ბატონო ზაურ, როგორ გეკადრებათ, როდის გეახლოთ.

_ დღეს თუ შეძლებ, ასე თორმეტი საათისთვის კარგი იქნება, მაინც ჩვენი გასაკეთებელია და რაც მალე მოვრჩებით ჩვენთვის უკეთესია.

_ კარგით, შევთანხმდით, დღეს თორმეტ საათზე გეახლებით.

_ ლევან საშვი დაშვებული იქნება.

_ გმადლობთ. _ თქვა წყნარად ლევანმა და ყურმილი დაკიდა.

აწრიალდა სართელი, ათასმა აზრმა გაურბინა თავში, მაგრამ არც ერთ მათგანზე არ გაჩერდა მისი გონება. იფიქრა, ალბათ მართლა დასკვნისათვის ვჭირდებიო. ის იყო გასვლას აპირებდა, რომ მისი მეუღლე ნუცი მოვიდა სახლში. მშობელთა კრებაზე იყო სკოლაში.

_ რა ხდება? _ ჰკითხა ლევანმა.

_ ისეთი არაფერი, ბავშვებმა ცოტა სწავლას უნდა მოუმატონო. შენ რას გამოწყობილ_ ხარ? მიდიხარ სადმე?

_ ჰო, პროკურატურაში, რაღაც დასკვნა გვაქვს დასაწერი ძველ საქმეებზეო და გვჭირდებიო.

_ მაგათი არ მჯერა. რაც მაგათ შენ გაგიკეთეს, მას შემდეგ ერთი სიტყვა არ არის მაგათგან დასაჯერებელი. ფრთხილად იყავი.

_ ჰო, კარგი, კარგი, დაწყნარდი, ყველაფერი რიგზე იქნება. _ თქვა ლევანმა, ნუცის აკოცა, გაიხურა კარი და დაეშვა სადარბაზოს კიბეებზე.

პროკურატურის მისაღებში თითქოს ელოდებოდნენო, შესვლა და საშვის ხელში შეჩეჩება ერთი იყო. ლევანმა საკონტროლო_გამშვებ პუნქტში რომ გაიარა, იქაც უცბად გაუშვეს. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, ზურგს უკან მოესმა როგორ გადასცა მორიგემ ვიღაცას ერთი სიტყვით_»შემოვიდა». ლევანს ეს ზედმეტი «ყურადღება» არ ესიამოვნა, მაგრამ უკან დასახევი გზა უკვე მოჭრილი ჰქონდა.

როგორც კი შევიდა ზაურ ქორიძის კაბინეტში, ეს უკანასკნელი ისეთი პირქუში გამომეტყველებით შეხვდა, რომ ლევანს გაუკვირდა კი არა, იქით შეეკითხა:

_ რა გჭირთ ბატონო ზაურ? ვინმემ გაგაბრაზათ?

_ ეს მე რა მჭირს? _ თქვა ქორიძემ და უფრო შეჭმუხნა წარბები, _ ეს შენ რა გჭირს, რომ კაცი მეგონე და ნაძირალა ყოფილხარ.

ლევანს ძალიან არ ესიამოვნა ქორიძის ასეთი შეფასება და ცოტა გაბრაზებული ტონით უთხრა:

_ ვერ გავიგე?

_ ახლა, ცოტა ხანში გაგაგებინებთ. ჯერ შენი მოტყუება იყო აქ საჭირო, რომ არ გაქცეულიყავი.

ამის თქმა იყო და ქორიძის კაბინეტში კიდევ სამი მამაკაცი შემოვიდა. ლევანმა სახეზე იცნო ისინი. ორნი ზაურის კოლეგები, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლები იყვნენ, ხოლო მესამე, ახალგაზრდა ბიჭი დაკითხვის ოქმს წერდა ხოლმე.

_ ეს არის? _ მისალმების მაგივრად იკითხეს გამომძიებლებმა და აათვალიერ _ ჩაათვალიერეს «მსხვერპლი».

სართელი იჯდა გაოგნებული და ვერ გაეგო რა ხდებოდა მის გარშემო. ქორიძემ ნელი მოძრაობით აიღო მის წინ მაგიდაზე დაგდებული საქაღალდიდან ერთი ფურცელი, გაუწოდა ლევანს და ჰკითხა:

_ ეს შენი ფირმის ბეჭედია?

ლევანმა დაათვალიერა ბეჭედი და მასთან ერთად სასაქონლო_სატრანსპორტო ზედდებული, რომელიც სამას სამოცდათორმეტი ათასი დოლარის ღირებულების იარაღის მოწოდებას ადასტურებდა პრაღიდან თბილისში.

_ ბეჭედიც ჩემი ფირმისაა და თანხაც ჩვენ გადავრიცხეთ იარაღის შემოსატანად. _ თქვა ლევანმა და ფურცელი უკან, ქორიძეს დაუბრუნა.

_ მერე? _ გაბრაზდა ზაური.

_ მერე რა. ეს ამბავი უკვე ქვეყანამ იცის და თქვენ ახლა გაიგეთ?

_ როგორ, შენს ფირმას იარაღის შემოტანის უფლება არა აქვს, თან ერთი ფაქტურით ხუთი ბორტია შემოზიდული, სულ მარცხენა იარაღი. რას ჰგავს ეს?

_ იარაღის ექსპორტ_იმპორტის უფლება რომ ჩემს ფირმას არა აქვს, ეს ყველაზე კარგად მე ვიცი, მაგრამ სოხუმის დაცემამდე ათი დღით ადრე სახელმწიფო კანცელარიაში მიღებული იქნა შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ამ უფლებას გვაძლევდა ყველა იმ ფირმას და ორგანიზაციას, ვისაც შეეძლო ესოდენ მძიმე წუთებში დახმარებოდა სამშობლოს.

_ მოიცა, მოიცა ნუ გაუბერე! _ შეაწყვეტინა ქორიძემ, _ დიდი პატრიოტივით რომ ლაპარაკობ, ერთი ბორტი უნდა შემოგეტანა და შენ ხუთი შემოიტანე. ეგ რას მივაწეროთ.

_ მე არც ერთი ბორტის შემოტანაში არ მიმიღია მონაწილეობა და მითუმეტეს მის განაწილებაში, ბეჭედი და უფლებამოსილება ერთ_ერთ ვიცე_პრემიერთან შეთანხმებით

თავდაცვის სამინისტროს ერთ_ერთ მაღალჩინოსანს მიეცა. არც ამ პიროვნების და არც დოკუმენტის ნომრის დასახელების უფლება მე არ მაქვს. მე მხოლოდ თანხა გადავრიცხე და ბეჭედი გავეცი, დანარჩენი რა გაკეთდა არ ვიცი.

_ სართელო! შენ თუ გგონია მაგ პატრონიანი ხალხის დასახელებისაგან თავის შეკავება, შენ სარგებელს მოგიტანს ძალიან ცდები, ისინი თავს უშველიან და შენ ციხეში ამოგალპობენ, _ დაემუქრა ქორიძე.

_ ბატონო ზაურ, ძალიან გთხოვთ ჩემს შეურაცხოფას და დაშინებას თავი დაანებოთ, თუ თქვენ იმაში მადანაშაულებთ, თუ რატომ დავეხმარე სამშობლოს, მაშინ მე სათქმელი აღარაფერი მაქვს.

_ ბიჭო! ეეე! _ გაცხარდა ქორიძე, _ შენ იცი რომ ის იარაღი, რაც შენი ფულებით შემოიზიდა, არც ერთი არ წასულა ფრონტზე.

_ მერე ეგ ჩემი ბრალია თუ თქვენი?

_ ჩვენ რა შუაში ვართ?

_ აბა ორგანოს თანამშრომლები თქვენა ხართ და თქვენს მიერ დროულად უნდა აღკვეთილიყო ეგ ქმედება.

_ ეს რა ძალიან ბევრს ლაპარაკობს ზაურ? _ იკითხა ახლად შემოსულ გამომძიებლებიდან ერთ_ერთმა, _ ეტყობა არ იცის პროკურატურას პადვალში რა ცივი ოთახები აქვს.

_ ეს იმდენს იზამს, _ ალაპარაკდა ქორიძე, _ რომ პირდაპირ მეხუთე იზოლატორში ამოყოფს თავს, იმ თავის ძმაკაცთან, ფულებს რომ ურიცხავდა, თან ლევანს შეხედა, აინტერესებდა რა რეაგირება მოჰყვებოდა ამ სიტყვებს.

სართელი არც განძრეულა. ის სხვაგან იყო ფიქრებით. აშკარა იყო, რომ მისი მისამართით დიდი შანტაჟი მზადდებოდა. ვიღაცა აპირებდა მასზე ხელის შეწმენდას.

_ შენ გელაპარაკებიან! _ ხელი წამოკრა მხარზე სართელს ქორიძემ.

_ გისმენთ.

_ ზაურ სიდამონიძეს შენ ჩაურიცხე ორას ორმოცი ათასი დოლარი ბანკის დასაფუძნებლად.

_ იარაღის ქვეშ ჩამარიცხინეს.

_ ვინ? სუმომ არა? _ თვალები გაუბრწყინდა ქორიძეს. ეგ არის და კომპრომატი მოვძებნე სიდამონიძის წინააღმდეგო.

ლევანი მიხვდა, რომ კომპრომატები სუმოს წინააღმდეგ მზადდებოდა. უკვე ყველაფერი გასაგები იყო. საჭირო იყო რაც შეიძლება ნაკლები ელაპარაკა სუმოს საწინააღმდეგოდ. ნებისყოფა მაქსიმალურად დაძაბა და მშვიდად უპასუხა:

_ არა, პავლიკამ.

_ ეგ პავლიკა ვინღაა?

_ სუმოს ძმაკაცი იყო, პარიზში მოკლეს.

ქორიძეს სახე დაეღრიჯა და ბაგეებიდან გამოსცრა:

_ ახლა შენ მკვდრებზე ააგებ შენს პასუხებს და იცოდე ფრთხილად იყავი!

მართლაც ასე იყო. ყველა ძირითადი ოპერაციების ირგვლივ მომხდარი ინციდენტები ლევანმა მკვდრებს გადააბრალა.

_ აბა ეს ზაურ სიდამონიძე ანუ სუმო შენთან რისთვის დადიოდა?!

_ მოადგილე იყო ჩემი და აბა სად წავიდოდა.

_ რაო? მოადგილეო? ვის აშაყირებ შენ?

_ მე არავის არ ვაშაყირებ, _ თქვა ლევანმა, _ რატომ კადრულობთ ამას.

_ მაგ ყაჩაღს რა უნდოდა შენს მოადგილედ? _ აყვირდა ქორიძე.

_ თავის თავი თვითონ დანიშნა, _ უპასუხა ლევანმა, _ ისე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარედ არ დამნიშნავენო. ეს იყო მაგის ტერორი ჩვენი ფირმის მიმართ. _ თითქმის ანგელოზად წარმოაჩინა სუმო ლევანმა.

_ იცოდე დღესვე ჩავატარებ ჩხრეკას შენს სახლში, სადაც ფირმის საბუთები გაქვს. თუ არ აღმოჩნდება ბრძანება სუმოს მოადგილეობაზე, ციხეში ამოგალპობ! _ დაემუქრა ლევანს ქორიძე.

დაკითხვა კიდევ რამდენიმე საათს გაგრძელდა. მაგრამ სართელისაგან საჭირო ინფორმაციას ვერ იღებდნენ. ისე გამოიყვანა ლევანმა ქორიძე მოთმინებიდან, რომ ზაური წამოხტა, სკამს დაავლო ხელი და რომ არა ერთ_ერთი გამომძიებლის შუაში ჩადგომა, მომარჯვებულ სკამს სართელს დააფშვნიდა თავზე. ლევანი კი დიდი თავშეკავებით იტანდა შეურაცხყოფას. ბოლოს როგორც იქნა დამთავრდა დაკითხვა. ლევანს ოქმზე ხელი მოაწერინეს. შემთხვევით სართელმა საათს დახედა, ცხრა იყო დაწყებული, ესე იგი დაკითხვა ზუსტად რვა საათს გაგრძელდა.

_ თავისუფალი ვარ? _ იკითხა ლევანმა.

_ შენ თავისუფალი კარგა ხანს არ იქნები, _ უპასუხა დაბოღმილმა ქორიძემ, _ ახლა ჩვენი ბიჭები გამოგყვებიან სახლში, ჩხრეკას ჩაგიტარებენ და მერე ისევ უკან მობრუნდებით. უნდა ვიმუშაოთ.

ლევანს ხმა არ ამოუღია. ახლა შეპასუხება მხოლოდ სიტუაციას დაძაბავდა. სართელმა იცოდა რასაც ნიშნავდა ამათი მუშაობა. ამას მუშაობა კი არა, ნამდვილი სახელი დამუშავება ერქვა.

ორი ახალგაზრდა ბიჭი გამოაყოლეს ლევანს სახლში. ლევანმა გზაში სთხოვა ბიჭებს, ისე მოქცეულიყვნენ რომ მეუღლე და შვილები არ შეეშინებინათ. თანამშრომლები მართლაც ნორმალურად იქცეოდნენ. გადაქექეს ყველაფერი და საეჭვო ვერაფერი ნახეს. ბოლოს დოკუმენტები მოითხოვეს. ლევანმა ბრძანება სუმოს მოადგილედ დანიშვნის შესახებ მაშინვე აჩვენა, ხოლო დანარჩენი დოკუმენტები კარადის ზედა თაროზე ეწყო და შესთავაზა მე თვითონ ჩამოგაწვდითო.

გამოუცდელმა ორგანოს თანამშრომლებმა ამის უფლება მისცეს ლევანს. სართელმაც რაც აწყობდა ის მიაწოდა იქიდან, რაც არა და კარადის უკან ჩააცურა. ეს უკვე რისკი იყო, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. თანამშრომლებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ გადაემოწმებინათ კარადის ზედა თაროები. სასწრაფოდ ყურმილი აიღეს, ქორიძეს დაურეკეს და ჩხრეკის ანგარიში ჩააბარეს. ზაურმა ყურადღებით მოუსმინა თანამშრომელს და შემდეგ უთხრა:

_ უფრო რთული ოპერატიული ვითარება შეიქმნა. მაგისთვის ამაღამ არ გვცალია. დატოვეთ სახლში და ხვალ ათ საათზე აქ იყოს, თავი არ გვაძებნინოს.

ღმერთმა კიდევ ერთხელ გადმოხედა ლევან სართელს.

როგორც კი ორგანოს მუშაკები სახლიდან გავიდნენ, ლევანმა მოიცადა ათი წუთი და მერე შურდულივით გავარდა გარეთ. «კუდის» შიშით კორპუსებით სხვა ქუჩაზე გავიდა, დაჯდა ტაქსში და თავის მეგობარს გენოს დაადგა სახლში. პატარა თათბირის შემდეგ ორივენი ქალაქიდან გავიდნენ და ერთ_ერთ ახლომდებარე რაიონში, ახლობლების

მეშვეობით, შეხვდნენ ერთ_ერთ მაღალჩინოსანს. მან ლევანს ყურადღებით მოუსმინა და შემდეგ დინჯად, აუჩქარებლად დაიწყო:

_ მე მაგ საქმეს კარგად ვიცნობ. რადგან შენ უშუალო შეხებაში არ ხარ მაგ ბანკთან, მაგრამ მაინც ახლოს იცნობ სუმოს, ყველა ვარიანტში დაგამუშავებენ და ისეთ რამეზე მოგაწერინებენ ხელს, რაც როგორც სუმოს, ისე შენს საწინააღმდეგოდ იმუშავებს. მე კი ვიცი, რომ შენ მართალი კაცი ხარ. ამიტომ ახლავე დატოვე ქალაქი, თუ გაქვს საშუალება რესპუბლიკაც და არ გამოჩნდე, სანამ საქმე ბოლომდე არ დამთავრდება.

_ ესე იგი დავიმალო? _ იკითხა ლევანმა.

_ ამას სახელი შენ თვითონ დაარქვი. მე ჩემი სათქმელი გითხარი. _ თქვა მაღალჩინოსანმა, სტუმრებს ბოდიში მოუხადა და ოთახიდან გავიდა.

გენო და ლევანი ისე ჩამოვიდნენ თბილისში, არც ერთს ხმა არ ამოუღია. ბოლოს სიჩუმე ისევ გენომ დაარღვია:

_ რა ვქნათ ტო?

_ უცხოეთში წასასვლელი ფული მე არ მაქვს და არც არავინ მყავს ისეთი, რომ შემიფაროს. ისევ სჯობს აჭარაში წავიდე, ჩვენი ბიჭები შემიფარებენ.

_ შენ გგონია თუ მოიწადინეს იქ ვერ მოგაგნებენ?

_ მეც ისე გავაკეთებ, რომ თუ საშიშროებას ვიგრძნობ, თურქეთში გადავალ. მაგრამ არა მგონია მანამდე მივიდეს საქმე. ახლა მე ოჯახი უფრო მადარდებს. სოფელში უნდა გადავიყვანო, თორემ იქ გული გამისკდება ამათზე დარდით.

_ მაშინ ეს ყველაფერი ხვალვე უნდა გაკეთდეს, შენ კი ამაღამ უნდა წახვიდე.

ამასობაში ლევანის ბინასთანაც მივიდნენ. ნუცის არ ეძინა. გენომ და ლევანმა სიტუაცია აუხსნეს. ყველაფერი უკვე ასჯერ «აწონილი» და «გაზომილი» იყო. ლევანი სასწრაფოდ მოემზადა წასასვლელად. ნუციმაც დაიწყო ჩაბარგება, თან ცრემლად იღვრებოდა.

კიდევ ერთი ქართული ოჯახი იყრებოდა ქალაქიდან. საფუძველი აყრისა სამშობლოს სიყვარული იყო...

ლევანი და ნუცი დიდი ხანი იყვნენ ჩახუტებულნი. შემდეგ ლევანმა მძინარე ბავშვებს აკოცა, ჩაჯდა მანქანაში და გენოსთან ერთად გავიდნენ ქალაქში.

_ ამ შუაღამისას რითი უნდა წახვიდე აჭარაში?

_ ნავთლუღიდან ღამე ჯართით დატვირთული მანქანები და ავტობუსები გადიან. მაგათ თუ გავყვები, თორემ სხვა ტრანსპორტი იქით ღამე არ დადის. დილით წასვლა გვიანია ჩემთვის, დილით ჩოლოქს გადასული უნდა ვიყო.

სართელს ბედმა გაუღიმა. ბოლო ავტობუსს მიუსწრო. მძღოლმა კაცის წაყვანაზე ჯერ ხელები გაასავსავა, მაგრამ მერე დაყაბულდა, რომ გაიგო ლევანიც კახელი იყო. თვითონ წნორიდან გახლდათ და ექვსი კახელი კლიენტი თავის ჯართიანად მიჰყავდა აჭარაში. ავტობუსში მხოლოდ ექვსი სკამი იყო, დანარჩენი ამოღებული ჰქონდა და მის ადგილას ჯართი ეყარა. ჯართში გამოუნახეს სართელს დასაჯდომი და დასაწოლი ადგილი და გაუდგნენ გზას. გენო დილით ლევანის ცოლ_შვილს ჩაიყვანდა სოფელში და ბავშვებიც სწავლას იქ გააგრძელებდნენ.

ლევან სართელი ჩაჯდა ჯართში და მაშინვე თავისი თავი ამ ხელისუფლების მიერ ჯართში გადაგდებულად წარმოიდგინა. ის აღარავის სჭირდებოდა. ის ამ ხელისუფლებისა _ თვის მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი დანადგარი იყო,

რომლის ადგილი მხოლოდ ჯართშია. რატომ გარბოდა ლევან სართელი სამშობლოდან? ზოგი იფიქრებს: «ალბათ დამნაშავეა და იმიტომო». მისი დანაშაული კი ის იყო, რომ როდესაც სამშობლოს მტერი მოადგა, თავისივე შრომით შეგროვებული ფული, მთავრობის ნებართვით იარაღის შემოსატანად გადარიცხა, რათა მტერი მოეგერიებინა. ეს იარაღი კი კომპეტენტურმა ორგანოებმა, რა თქმა უნდა «ზევიდან» დავალებით, სხვა მიზნებისთვის, ანუ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენეს, რათა «ვიღაცას» ქვეყანაში მტრის შემოშვებით საკუთარი ტახტი შეენარჩუნებინა. გაწეული ქველმოქმედებებიც კი არასწორ ქმედებად ჩაუთვალეს. ამ შემთხვევაში სართელი და მისთანები ხელისუფლებას უკვე ფეხებში ებლანდებოდნენ და საჭირო იყო მათი ლიკვიდაცია. ეს პროცესი საქართველოში კარგა ხნის დაწყებული იყო. უბრალოდ ლევან სართელი არ წარმოადგენდა ზოგიერთებივით განსაკუთრებულად საშიშ პიროვნებას, ამიტომ მისთვის ბოლოს მოიცალეს. აგრეთვე სართელი მოსაცილებელი იყო კიდევ იმისთვის, რომ მისგან ყაჩაღური გზით წართმეული ფულით დაფუძნდა რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც იმ პერიოდში ხელისუფლების საყრდენს წარმოადგენდა, ახლა აღარ სჭირდებოდა და მათი ლიკვიდაცია იყო საჭირო. სუმო იმიტომ სჭირდებოდათ ცოცხალი, რომ მისგან მიეღოთ ინფორმაცია იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ამ მთავრობას თავისი მიზნების განხორციელებისათვის უკვე გამოყენებული ჰყავდათ და აღარ სჭირდებოდათ. მათი ლიკვიდაციაც აუცილებელი იყო, ისე როგორც «შვიდეულის» სხვა წევრებისა...

ბანკის ერთ_ერთი დამფუძნებელი კორძაია თავისივე მანქანაში ააფეთქეს. პავლიკ ლილუაშვილი პარიზის ერთ_ერთი ფეშენებელური სასტუმროს აპარტამენტში იპოვეს შუბლგახვრეტილი. «შვიდეულის» ერთ_ერთი წამყვანი წევრი ყუფარიძე, რომელსაც ზედმეტსახელად «ხელისუფლების ავრორას» ეძახდნენ, საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს. მისი დამცველი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო თვითონ ხერხემლის მძიმე დაზიანება მიიღო და სამუდამოდ მიეჯაჭვა საწოლს. მეოთხე მსხვერპლი კოლია ზედგენიძე, როგორც ამბობენ წამალში «გაიპარაო,» თუ «გააპარეს» _ ვერავინ დაადგინა. მეხუთე_ვალტერ ცომაია და მეექვსე_ენვერ შაყულაშვილი კოჯრის გზაზე ხეზე მიყუდებულები და შუბლგახვრეტილები იპოვნეს.

«შვიდეულის» ყველაზე დიდ გავლენიან და ავტორიტეტულ წევრს, სუმოს, არავინ აწუხებდა. მხოლოდ ერთხელ დაურეკეს ტელეფონზე და თავისი ჯგუფის წევრების სიკვდილში ვიღაც უცნობმა ბრალი დასდო. ამასთან ერთად დაუსახელა ევროპის ერთ_ერთი პრესტიჟული ბანკი, სადაც მას ხუთი მილიონი დოლარი ჰქონდა ანგარიშზე შენახული.

სუმო ამ ზარმა ცოტა შეაფიქრიანა.

ფიქრობდა თვალცრემლიანი, ჯართში ჩაგდებული და ჯართად ქცეული ლევან სართელი და გული გასკდომაზე ჰქონდა, რომ ასე მოექცნენ, სახლიდან გამოაგდეს, საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად აქციეს. რისთვის? ვისთვის?

ლევანს მაცხოვრის სიტყვები გაახსენდა: « ... და მოგიძულებთ ყველა ხალხი ჩემი სახელისა გამო... და ურჯულოების მომრავლების გამო მრავალში განელდება სიყვარული. ხოლო ვინც ბოლომდე დაითმენს, იგი ცხონდება.»

ლევანი სახარების სიტყვებმა ცოტა დააწყნარა. უკვე თენდებოდა. დაფნარის საგზაო საგუშაგოს გასცდნენ და გურიაში შევიდნენ. ლევანს სურვილი ჰქონდა ათ საათამდე

ჩოლოქს იქით გადასულიყო. ზუსტად თერთმეტის ნახევარზე გადაკვეთეს ჩოლოქის საბაჟო _ გამშვები პუნქტი. მებაჟეები მეჯართეებს დაეძგერნენ. ლევანმა კი ახსენა თავის ძმაკაცის, ყოვლისშემძლე კუკურის სახელი და არც საბუთები გაუსინჯავთ, რეგისტრაციაში გატარებაზე ლაპარაკი ზედმეტიც იყო. მაშინვე გაუჩერეს მანქანა და დიდი რევერანსებით ქობულეთისაკენ გააცილეს.

V

განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა ზაურ ქორიძემ დილით თვითონ დაათვალიერა ლევან სართელის დასაკითხად გამზადებული ოთახი. ცინიკური ღიმილით ათვალიერებდა სხვადასხვა საწამებელ იარაღს და თან იგესლებოდა:

_ მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა ყველაფრის მკვდრებზე გადაბრალება. შენ თვითონ გაგიტანენ აქედან ჯერ ცოცხალ_მკვდარს და მერე ალბათ მხოლოდ მკვდარს.

შემდეგ თავის კაბინეტში დაჯდა. საათს დახედა, ათს თხუთმეტი წუთი აკლდა. ქორიძემ მელოტ თავზე ხელი გადაისვა და მშვიდად დაუწყო ლოდინი მსხვერპლს. უკვე თერთმეტის ნახევარი ხდებოდა, მაგრამ ყოველთვის პუნქტუალური სართელი არ ჩანდა. ქორიძემ თანაშემწე გამოიძახა და დაავალა:

_ ერთი იმ თავხედი სართელის სახლში დარეკე და გაიგე რატომ აგვიანებს. შევცდი, აქ უნდა დამეტოვებინა.

ხუთ წუთში მობრუნებულმა თანაშემწემ ხელები გაშალა და მოახსენა ზაურს, რომ ლევან სართელის ბინაში ტელეფონის ზარი გადიოდა, მაგრამ არავინ პასუხობდა.

_ სასწრაფოდ მისამართზე გააგზავნეთ ხალხი და წამოიყვანეთ! _ გასცა ბრძანება პროკურორმა.

ერთი მსუბუქი მანქანა, ორგანოს ოთხი თანამშრომლის თანხლებით, სართელის საცხოვრებელ ბინას მიადგა. ზარი დარეკეს, აბრახუნეს, მაგრამ შინიდან არავინ პასუხობდა, აშკარად ჩანდა, რომ ბინაში არავინ იყო. შემდეგ მეზობლების დაკითხვა მოინდომეს, მაგრამ არც ერთმა მათგანმა კარი არ გაუღო უცნობ მამაკაცებს, თუმცა ეს უკანასკნელნი როგორც სიტყვიერად, ასევე პირადობის დამადასტურებელი საბუთით უმტკიცებდნენ სართელის მეზობლებს, რომ ისინი სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები იყვნენ. ლევანი სახლშიც რომ ყოფილიყო, კანონით უფლება ჰქონდა არ გაჰყოლოდა ორგანოს თანამშრომლებს, რადგან მისი დაკავების ორდერი გამოწერილი არ იყო და ვერც გამოწერდნენ, რადგან ლევან სართელი ოფიციალურად დანაშაულში მხილებული არ ყოფილა და არც ეჭვმიტანილი იყო ცნობილი. ყველა ჩატარებულ ოპერაციაზე ნებართვა, თანაც ოპიციალური, «ზევიდან» იყო გაცემული. სართელის მხოლოდ გამოყენება სურდათ სხვათა წინააღმდეგ, ამიტომ ეს ძველი ნაკომუნისტარი პროკურატურის თანამშრომლები არაფერს არ ერიდებოდნენ, თვით კანონის დარღვევასაც, ოღონდ მიეღწიათ საწადელისათვის. იქ ხომ დაკითხვების ნახევარზე მეტი არაოფიციალურად ხდებოდა და მიზნის მიღწევის შემდეგ «კოკას საიდანაც უნდოდათ იქით მოაბამდნენ ყურს.» ერთი სიტყვით მდგომარეობის გართულების თავიდან აცილების გამო, რაც შეიძლება შორს უნდა დაგეჭირა თავი ამ

სატანის მოციქულებისაგან.

სართელის ბინიდან დაბრუნებული თანამშრომლები მხრებჩამოყრილი იდგნენ ზაურ ქორიძის კაბინეტში. ზაური კი მათ წინ გამწარებული ბოლთას სცემდა, ნერვიულობისაგან ტუჩებს იკვნეტდა და ჩახლეჩილი ხმით კიოდა:

_ მიწიდან ამოვიღებ მაგ იდიოტს! მაგას გონია გამაცურა, _ შემდეგ გაჩერდა, ორგანოს თანამშრომლებს შეხედა და გააგრძელა, _ ეძებეთ ყველგან, სადაც ხელი და თვალი მიგიწვდებათ და მაშინვე აქ ჩამოათრიეთ.

_ ბატონო ზაურ დაკავების ოფიციალური დოკუმენტი მაინც მოგვეცით. _ მორიდებული ხმით წარმოთქვა ერთ_ერთმა თანამშრომელმა.

_ დოკუმენტი არ იქნება! _ თითქმის იყვირა ქორიძემ. შემდეგ თითქოს აზრზე მოვიდაო, შეხედა «პრეტენზიულ» თანამშრომელს და ხმას უფრო აუწია, _ შენ რა ციდან ჩამოფრენილი ხარ!? ჩვენი მუშაობის სტილი არ იცი? თუ ბიბლიოთეკაში გგონია შენი თავი!? მიგზავნიან აქ მალაკასოსებს. გაიგეთ დავალება!?

_ დიახ უფროსო! _ ერთხმად უპასუხეს ოთხივემ.

_ თავისუფლები ხართ! _ დაითხოვა კაბინეტიდან ქორიძემ თანამშრომლები, თვითონ სამუშაო მაგიდასთან დაჯდა, სახეზე ხელები მიიფარა და ამოიგმინა:

_ თუ ვერ ვიპოვე, სამსახურს დავკარგავ. სად წაეთრეოდა ეს იდიოტი? ალბათ ისევ კახეთში. წადი და ეძებე რომელ ქვევრის პირას ზის.

VI

გენერალური პროკურორის მოადგილე თავის კაბინეტში სათათბირო მაგიდის ბოლოში იდგა და მისკენ მლიქვნელურად მზირალ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავჯდომარეს და მეხუთე იზოლატორის დირექტორს საქმის არსს აცნობდა:

_ ჩვენთვის გასაგებია თქვენი არაოფიციალური შინაგანაწესი, რომ ქურდების კამერა ხელშეუხებელია და საერთოდ ქურდის მეშვეობით აბალანსებთ ციხეში სიტუაციებს. მაგრამ ამ ეტაპზე არსებულ მდგომარეობის ანუ როგორც თქვენ უწოდებთ _ «პალაჟენიის» შეცვლა მოგიწევთ, _ თქვა კაბინეტის პატრონმა და გამომწვევად შეხედა მეციხოვნეებს, _ როგორც იტყვიან კრიმინალები, ობშიაკი უნდა გაიჩითოს.

ციხის დირექტორმა უცებ წამოიძახა:

_ ეს შეუძლებელია უფროსო!

_ რატომ?

_ ციხეში ბუნტი დაიწყება. ამით ჩვენ მათ კანონებს დავარღვევთ.

_ სულ ფეხებზე მკიდია მათი კანონები! _ აყვირდა პროკურორის მოადგილე, _ იცით თქვენ რომ ამ საქმეს ყველას გადაგვაყოლებენ და არ არის გამორიცხული ჩვენ მოგვიწიოს მაგ ციხეში ჩაჯდომა.

კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა.

პროკურორის მოადგილე მიუახლოვდა დეპარტამენტის თავჯდომარეს, თვალებში ჩახედა, მერე საჩვენებელი თითი აუმოძრავა ცხვირწინ და დაუმარცვლა სიტყვები:

_ შმონის ჩასატარებლად შეიყვან სპეცნაზს. ყველა საკანს გადაქექავ, მათ შორის

ქურდების და ობშიაკს თავის სიით მაგიდაზე დამიდებ! თუ ინფორმაციამ გაჟონა და გააქრეს სია, იცოდე საკუთარი თავით აგებ პასუხს!

_ ბოდიშს ვიხდი უფროსო, _ ჩაერთო საუბარში ციხის უფროსი, _ ქურდები ყველაფერს დათმობენ, ობშიაკის ფულსაც, მაგრამ სიას არ მოგვცემენ,

_ წაართვით!

_ გადაყლაპავენ. ასეთია მაგათი კანონი.

_ შე უტვინო! შენ რა გინდა ციხის უფროსად. ის დრო აღარ არის, ქურდი სიცოცხლეს რომ სწირავდა თავიანთი კანონების დასაცავად. შენ შედი და ვნახოთ გადაყლაპავს თუ არა.

მეციხოვნეები პროკურორის კაბინეტიდან დაძმარებულები გამოვიდნენ. მათ კარგად იცოდნენ თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ქურდების კამერის დარბევას. მაგრამ თავს ზევით ძალა აღარ იყო.

ღამის სამ საათზე «სპეცნაზი» იერიში მიიტანა ციხეზე. რა თქმა უნდა ყველამ იცოდა, რომ ეგრეთ წოდებული «შმონი» უნდა დაწყებულიყო და პატიმრებმა შეძლებისდაგვარად შეძლეს აკრძალული ნივთების გადამალვა. მხოლოდ არ იცოდნენ, რომ ქურდების საკანიც უნდა დარბეულიყო. კანონიერი ქურდი დიმჩიკა თავის სასტავთან ერთად კარგად «გაჩხერილი» ადევნებდა თვალ_ყურს შექმნილ მდგომარეობას.

«სპეცნაზი» სწრაფი ტემპით მიიწევდა წინ. საკნებში აყარეს ყველა და ყველაფერი, მაგრამ ემჩნეოდათ, რომ მაინცდამაინც თავს არ იწუხებდნენ ძირეული ჩხრეკით. ქურდების შნირებმა სიტუაცია «მოწვეს» და თავისი ვარაუდი აცნობეს დიმჩიკას სასტავს.

_ ბაზარი არ არი ტო! _ ხრინწიანი ხმით ამბობდა დიმჩიკა, _ ჩვენთან რა უნდათ.

_ დიმჩიკ! _ უთხრა ჯონიმ, რომელსაც ზედმეტ სახელს ლონდონას ეძახდნენ, _ ჩვენ თავი დავიზღვიოთ. რა იცი, ეშმაკს არ სძინავს. აპარატურას ჩავართვევინებ.

_ დავაი ჩართე. პროსტო ბაზარი არ არი ტო! ხო მოვაწყვიტე თავი ამ ციხის უფროსს.

ლონდონამ ბრძანება გასცა და შნირებიც საქმეს შეუდგნენ. საკნის კარს შიგნიდან მაგიდები, ტაბურეტები და რაც ჰქონდათ მიაყარეს. საგანგებოდ მომზადებული ორი სადენი კარს შეუერთეს, შემდეგ წყალი მიასხეს და სადენები ელექტრო ჩამრთველში შეაერთეს.

ამ დროს ქურდების საკნის კარს ერთ_ერთი «სპეცნაზელი» მიადგა და ფეხი დაარტყა. მაგრამ დენის ძალამ უკუაგდო და კედელს მიანარცხა. ამას უკვე აღარ მოელოდნენ, არც ქურდები და არც ხელისუფლების წარმომადგენლები.

სპეცნაზელებმა ქურდების საკნის გვერდზე მდებარე შნირების კამერიდან კედელი გაანგრიეს და საწოლზე წამოწოლილ კაიფში წასულ დიმჩიკას ეძგერნენ.

_ ხელი გაწიე ტო! _ იყვირა ქურდმა.

_ ჩქარა ფული და სია! _ უთხრა აუღელვებლად შავნიღაბჩამოფარებულმა სპეცნაზელმა.

_ რა ფული, რა სია? _ შენ შ. . . ხომ არ გაქ ტო?

აქ უკვე ნიღბიანმა ვეღარ მოითმინა. ჯერ ხელკეტი შემოკრა დიმჩიკას და მერე ავტომატის კონდახი ჩაარტყა წელის არეში. დიმჩიკამ ერთი ამოიკნავლა და მოცელილივით ჩაიკეცა იატაკზე. ხელი არავის გაანძრევინეს. ლეიბის ქვეშ დამალული ფული და სია გამოიღეს და სწრაფად დატოვეს ქურდების საკანი იმ გზით, საიდანაც

შემოვიდნენ.

ხუთ წუთში სია გენერალური პროკურორის მაგიდაზე იდო. პროკურორებს არ გასჭირვებიათ მთავრობის მაღალჩინოსნების ამოცნობა. ისინი ორნი იყვნენ, რომლებიც ,,ობშიაკიდან" «იკვებებოდნენ». ეს არც იყო გასაკვირი, რადგან «ენკავედეს» დერეფნებში შობილი ლეგენდის თანახმად, ორმოცდაათიან წლებში ქურდულ მოძრაობას გადამწყვეტი მხარდაჭერა საქართველოს კომპარტიის «ცეკამ» გაუწია. ისინი მიხვდნენ, რომ დამნაშავეთა სამყაროს ეფექტურად შეებრძოლებოდნენ, თუ ქურდებს კონტროლქვეშ აიყვანდნენ და ორმაგ აგენტად გადააქცევდნენ. ორივე მხარე შეთანხმდა და საუკეთესო პარტიულმა «ტვინებმა» ქურდული «დაუწერელი კანონები» შეიმუშავეს, რომელიც ამ სამყაროს იდეოლოგიის საფუძველი გახდა. თანაც, მოგვიანებით, ხელისუფლების კონტროლიდან გამოვიდნენ და ეს კანონები ფართოდ დანერგეს.

სიაში მოხსენებული მაღალჩინოსნები ძველი, კომუნისტური ნომენკლატურის მუშაკები იყვნენ და ტრადიციებს არ ღალატობდნენ, მაღლიდან «კრიშავდნენ» შავი სამყაროს წარმომადგენლებს. მათთან შესული თანხა კიდევ სად მიდიოდა, ჯერ არავინ იცოდა და ექვემდებარებოდა ძიებას.

სუმომ ეს ყველაფერი კარგად იცოდა, ამიტომაც ჩაუშვა ქურდებიც და ხელისუფლებაც. ამით კი დრო მოიგო, თუმცა გადაიკიდა ისედაც მასზე გადაკიდებული ქურდული სამყარო. თვითგადარჩენის მიზნით სუმო უკვე ვაბანკზე წავიდა.

წელმოწყვეტილი დიმჩიკა დილის ექვს საათზე «რესბალნიცაზე» გადაიყვანეს, ხოლო გათენებული არ იყო, რომ ციხის საავადმყოფოში სამი კანონიერი ქურდი შევიდა და ქურდული კანონების დარღვევისათვის დიმჩიკას «ჩაარტყეს». ხოლო რა სასჯელი დაედებოდა მას ეს ცოტა მოგვიანებით «სხოდკაზე» გადაწყდებოდა. იზოლატორში კი ციხე რომ არ «გაწითლებულიყო», «პალაჟენიის» დასამყარებლად რუსთავის პირველიდან კანონიერი ქურდი ჭია გადმოიყვანეს.

გენერალურ პროკურატურის «ვაჟნიაკებში» მომღიმარ ადამიანს ვეღარ დაინახავდი. ყველას თეთრი ფერი გადაჰკროდა სახეზე და ცხვირ_პირი ჩამოსტიროდა. ვისაც კი სიდამონიძე_სართელის საქმესთან ჰქონდა შეხება ყველა პირობით დატოვეს სამსახურში, გამოძიების დამთავრებამდე. სპეციალურად დანიშნულ თათბირზე გენერალური პროკურორის მოადგილემ სულ რამდენიმე სიტყვით მიმართა «ვაჟნიაკებს:»

_ ვითომ ამხელა გამოცდილების მქონე სპეციალისტები ხართ და ელემენტარული ოპერაცია ვერ ჩაატარეთ. ავადმყოფი სიდამონიძის ნაბოდვარის გამო კინაღამ ციხე არ დაგვანგრევინეთ. ხოლო ერთმა ეკონომისტმა, ისიც კახელმა, მთელი განყოფილება გაგაცურათ. წადით და თქვენი შეცდომები თვითონვე გამოასწორეთ უმოკლეს ვადაში! თუ არა და ყველა დატოვებთ სამსახურს და არა მარტო მას!

«ვაჟნიაკებს» საფიქრალი გაუჩნდათ.

VII

«აჭარის დამოუკიდებელი რესპუბლიკა». ასეთი სიტყვები გაიელვებდა გონებაში, მას შემდეგ, რაც ჩოლოქის გამშვებ პუნქტს მიადგებოდი. შემოწმება ხდებოდა ყველა იმ

პროცედურის დაცვით, რაც ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლისათვის იყო გასავლელი. მხოლოდ ერთი განსხვავებით, შეიძლება საბუთები სისრულეში ყოფილიყო, მაგრამ მებაჟეს ან პოლიციელს არ მოსწონებოდი და საერთოდ არ შეგიშვებდა აჭარის ტერიტორიაზე. ყველა გამშვებ პუნქტს რომ გაივლიდი, შემდეგ ქობულეთის რკინიგზის სადგურამდე უნდა გაგევლო ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყველაზე გრძელი ქუჩა, რომლის სიგრძე დაახლოებით თოთხმეტ კილომეტერს უდრის. გზაზე შეგხვდებოდა ხუთი ან ექვსი საგზაო პოლიციის პუნქტი, რომელთა თანამშრომლებისათვის, იმ მიზეზით, რომ თქვენ უკვე სუნთქავდით ქობულეთის ჰაერს, საპატივცემულოდ ათი ლარი მაინც უნდა დაგეტოვებინათ, თუ არა და შეიძლება თავი პოლიციეს განყოფილებაში ამოგეყოთ, საიდან გამოშვებაც უფრო ძვირი ჯდებოდა. ლევანს ეს პრობლემა ნამდვილად არ ჰქონდა აჭარაში, რადგან ის კუკურის მეგობარი იყო. კუკურის ფხიზელ მდგომარეობაში ძალიან სიმპათიური მამაკაცის შეხედულება ჰქონდა, ხოლო არაფხიზელ მდგომარეობაში საერთოდ აუტანელი იყო. მიუხედავად ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათისა, ვინც მას იცნობდა, ყველა დიდ პატივს სცემდა. ერთნი ამას ხსნიდნენ იმით, რომ იგი წარმოადგენდა «აბგ»_ს სრულუფლებიან წევრს, ხოლო მეორენი_მისი შინაგანი კაცური ბუნებით.

_ კუკურისთვის რომ გეკითხათ სადაური ხარო, სწრაფად და უყოყმანოდ გიპასუხებდათ _ ქობულეთელიო.

_ როგორ ქობულეთელი, ესე იგი აჭარელი?

_ არა, ქობულეთელი.

_ ესე იგი გურული?

_ არა, ქობულეთელი.

_ კი მაგრამ ეს ქობულეთლები ცალკე კუთხეა?

_ მაგი შენ გაარკვიე ძამა.

_ გურულების ენაზე რომ უქცევ, ეს რას მივაწეროთ?

_ რას და დედა მყავდა გურული, ჩხაიძის ქალი იყო ცხონებული, ასე რომ თუ ჩემი ანატომიაც გაინტერესებს, წელს ზეით გურული ვარ, წელს ქვეით აჭარელი.

_ ახლა არ თქვი აჭარელი არ ვარო?

_ მონათლული ვარ ჭო აჭარულად წელს ქვეით.

_ ისე კაი გასაძლები იქნები კუკურა შენ ოჯახში.

_ რავა არ უნდა გამიძლონ? გითხარი დედაჩემი ჩხაიძის ქალი იყო_თქო. ორი ძლიერი გვარია გურიაში, ერთი _ სიხარულიძე, ხოლო მეორე ჩხაიძე, თუ სიხარულიძის ქალმა მდელოზე მოფსა, იქინე ბალახი ერთი წელი არ ამოვა, ხოლო თუ ჩხაიძის ქალმა ქნა ეგი _ ხუთი წელი ბალახის ნასახს ვერ ნახავ.

ასე რომ მასთან საუბარი არ მოგწყინდებოდა. არ ჰქონდა, იშოვიდა და უპატივცემულოდ არ დაგტოვებდა, იუმორით აღსავსე და გულჩვილი კაცი, ზოგჯერ იმდენს ტიროდა სიმთვრალეში, რომ მეორე დღეს მოშარდვა უჭირდა. ერთი სიტყვით კაცის ნახვა თუ გინდოდა, მასთან უნდა მისულიყავი. კიდევ ერთი უცნაური თვისება ჰქონდა, თვეში ერთხელ ოთხასი_ხუთასი გრამი სისხლი რომ არ გამოეღო ორგანიზმიდან, შეიძლება მის სიცოცხლეს საფრთხე შექმნოდა. ქობულეთის საავადმყოფოში ყოველთვე ექიმებთან დაახლოებით ასეთი დიალოგი იმართებოდა:

_ დაგვანებე კუკურა თავი, არ გვინდა სისხლი.

_ გამეიღე ახლა სისხლი თუ არა მოვკვტები და ჩემი დასაფლავების ხარჯები მთლიანად შენ დაგაწვება.

_ არ მოკვტები.

_ მოვკვტები, გელაპარაკები მე შენ! _ აქ წამოენთებოდა ხოლმე კუკური და ექიმებიც შეცვლიდნენ საუბრის ტონს.

_ სად წევიღო მერე მაი სისხლი?

_ გადოუსხი ვინცხას გაჭირებულს უფასოდ, მე ფულს ხომ არ გთხოვ ცა!?

_ ვის გადოუსხა. შენნაირი გადარეულები აკლია კიდევ ქობულეთს?

ბოლოს რა თქმა უნდა გამოუღებდნენ კუკურის სისხლს და ისიც გათავისუფლდებოდა ზედმეტი ემოციებისაგან. ამის შემდეგ ფული ჰქონდა თუ არ ჰქონდა, იწყებოდა გადამბული ქეიფები.

კუკურის და ლევანის სწორედ ერთ_ერთი ასეთი პატარა სუფრით აღინიშნა. როგორც სუფრას მიუსხდნენ, კუკურიმ არყით შეავსო ღვინის ჭიქები, რადგან პატარა ჭიქას თურმე ბავშობიდან ვერ იტანდა და ამის შესახებ სახლში თურმე წიგნიც ჰქონია, მიუჭახუნა ლევანს, თან დააყოლა:

_ ჩვენს გაცნობას გუუმარჯოს კახელო!

ასეთი ანალოგიური პროცედურა გაიმეორა კიდევ ორჯერ, შემდეგ უკვე თითქმის ერთბო_ თლარაყდალეულმა და შეღაჟღაჟებულმა კუკურიმ შემოსძახა:

_ ჩემი სამშობლო გურიაააა. . .

ეს ნიშნავდა ორ რამეს. ერთი იმას, რომ კუკურის მიერ სტუმრებისათვის გაშლილი სუფრა გახსნილად იყო გამოცხადებული, ხოლო მეორე_იგი აღიარებდა, რომ მისი სამშობლო მაინც გურია იყო.

კუკურის შესანიშნავი მეუღლე და ორი ახლად დაქორწინებული ვაჟი ჰყავდა. მის ოჯახს ემსახურებოდა რუსი ივანე, რომელიც წარმოშობით კურსკიდან იყო, აქ მოსამსახურედ მუშაობდა და ოჯახის მთელ შავ საქმეს ის უძღვებოდა. რუსების დასაქმების ეს ტრადიცია საქართველოს ზღვისპირეთში კომუნისტების დროიდან მოდიოდა. ოჯახების უმრავლესობას ციტრუსებიდან მიღებული შემოსავალი იმდენად დიდი ჰქონდათ, რომ მის მოსავლელად მოსამსახურის და მითუმეტეს მოხეტიალე რუსების დაქირავება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა. რადგან კომუნისტების დროს ყოველივე ეს ადამიანის ექსპლოატაციას ნიშნავდა და ისჯებოდა კანონით, ქართველებმა ამას გამართლება მოუძებნეს იმ მოტივით, რომ ასეთი ახლო ურთიერთობანი უფრო «ამტკიცებდა» ხალხთა შორის მეგობრობას, განსაკუთრებით რუს და ქართველ ხალხებს შორის. კუკურის ივანე ძალიან ძლიერი მუშა იყო. ასი გრამი არყისათვის შეეძლო ერთი ჰექტარი მიწა დაებარა, ან გაეთოხნა, ან საკმაო რაოდენობის შეშა დაეჭრა და ასე შემდეგ.

ერთი სიტყვით კუკურის ოჯახი შესანიშნავად ჰქონდა აწყობილი. მუდამ მოქეიფე და სტუმართმოყვარე კაცი ცოტა უფულობას განიცდიდა და ხშირად ნერვიულობდა ხოლმე ამის გამო.

რამდენჯერმე ერთად დათრობის შემდეგ, კუკური მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლევან სართელი თითქმის მისი ჭკუისა იყო.

_ ისე, კახელო მთლად ჩემი ჭკუისა თუ არა, არც ბევრი აღარ გიკლია ჩემამდე.

_ მერე, მაგით რა გინდა თქვა?

_ აფერი_დაა ვიაროთ ჩოლოქიდან სარფამდე და ვატ. . . თ როგორც გვინდა. მერე ბაბუს დააწინაურებენ და ჩვენც გავატ. . . თ ჩოლოქს იქით და ვივლით ასე ამ დუნიაზე.

ბოლოს კუკურიმ ლევან სართელს მისცა იმის უფლება, რომ თუ ვინმე მანქანით გააჩერებდა, ან სადმე კომფლიქტურ სიტუაციაში ჩავარდებოდა, თავის დაღწევის მიზნით ესარგებლა მისი სახელით, რასაც ლევანი მართლა ხშირად აკეთებდა და კუკურის სახელით მთელ აჭარის ტერიტორიაზე «მწვანეზე» დადიოდა. . .

VIII

. . . ლევანი კუკურის სანახავად წავიდა. როგორც კი მის სახლს მიადგა, შორიდან კუკურის ცნობილი სიმღერის «ჩემი სამშობლო გურიააას.» ჰანგები მოესმა. ლევანმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

_ აუ, მთვრალია. ამ დილაადრიან სად მოასწრო.

_ წევდი ახლა მე, _ თქვა მძღოლმა, _ მაგი სროლას დეიწყებს ახლა.

ლევანი მანქანიდან გადმოვიდა, მძღოლისთვის მადლობის თქმაც ვერ მოასწრო, რომ სახლის მხრიდან ავტომატის ჯერი აკაკანდა.

_ ხომ გითხარი! _ დაიძახა მძღოლმა და მანქანა მთელი სისწრაფით გააქანა უკან.

კუკურიმ ჭიშკართან კაცი რომ დაინახა გაცხელებული და დაბოლებული ავტომატი თავის ბიჭს მიაწოდა, სტუმრისაკენ ბანცალით წამოვიდა. თან რაღაცას ბუტბუტებდა. იცნო სართელი. გაებადრა ალკოჰოლისგან აწითლებული სახე და დაიძახა შორიდან:

_ კახელო! ჩამოი, უკვე ჩამოი? ღვინო თუ ჩამეიტანე, მოვკვტი კაცი არყის სმით.

_ გამომიგზავნიან კუკურა სულ მალე, ნაღდს, კახურს. _ უპასუხა ლევანმა, ხელი მაგრად ჩამოართვა და ჩაეხუტა დიდი ხნის უნახავ ძმაკაცს.

_ იმფერი ღვინო არ გამოაგზავნინო ამას წინათ რომ ჩამეიტანე. რაცხა შავი. _ აგრძელებდა მთვრალი კუკური თავისას.

_ რა? ცუდი ღვინო იყო სუფთა კაბერნე?

_ არა, ცუდი რავა იყო, მარა უნიტაზი გამიშავა, ძლივს გავათეთრეთ, რა შავი იყო მაინც ის. . . . ღვინოს რავა შევაგინო ახლა.

_ ეს ღვინო თეთრი იქნება კუკურა, ასე რომ დაწყნარდი. _ მხარზე ხელი გადახვია მეგობარს სართელმა და ერთად შევიდნენ სახლში.

საღამოს, გამოფხიზლებულ კუკურის ლევანმა დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავა-ლი.

_ ვერ მოგსვლია კაი საქმე, _ უთხრა კუკურიმ, _ მთავარია დაწყნარდი შენ, არ ინერვიულო. აქანე, სანამ მე ცოცხალი ვარ, ხელს ვერავინ მოგკიდებს, კი იცი ეგი. იყავი ჩემთან და დაველოდოთ. ტამოჟნიაზე ბიჭებს გავაფრთხილებ, ხომ იცი ეშმაკს არ სძინავს.

_ კუკურა, ვიცი ახლა შენი გულკეთილობის ამბავი, მარა მაინც მინდა რომ ერთ ადგილას არ გავჩერდე. მაგათგან ყველაფერია მოსალოდნელი. შენთან კი ვიქნები და ბათუმში მინდა ჩავიდე ნოდართან, ხომ იცი ჩემი ახლობელი რომ არის?

_ ვიცი, რავა არ ვიცი, _ შეიცხადა კუკურიმ, _ გითხარი აქანე ვერავინ მოვა_თქო.

_ ეგ ვიცი ძმაო, მაგრამ მაინც ჩავაყენებ საქმის კურსში, იცოდეს, რომ აქეთ ვარ, _ თქვა მასპინძლის სტუმართმოყვარეობით მოხიბლულმა სართელმა, _ არ მისაყვედუროს მერე.

ლევან სართელს ბათუმში ერთი ახლობელი ჰყავდა_ნოდარი. ახალგაზრდა სპორტსმენი კაცი იყო, ახალჩამოყალიბებულ მორაგბეთა ნაკრების ერთ_ერთი წამყვანი მოთამაშე. ვინაიდან რაგბი ბათუმელების ტრადიციული სპორტული თამაში არ არის, ამიტომ ახლადშექმნილ გუნდში _ «მორკინალი,» ძირითადად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან მოწვეული მოთამაშეები იყვნენ გაერთიანებულნი. ნოდარი თბილისელი იყო. ლევანი ბათუმში ყოველთვის ნოდართან რჩებოდა, თუ ნოდარი არ იყო ბათუმში, მისთვის ყველა რაგბისტის სახლის კარი ღია იყო. ყველამ იცოდა, რომ ლევანი, თავისი თავგადასავლების გამო, ფინანსურ გაჭირვებას განიცდიდა და ამიტომ ყველა სპორტსმენი დიდი ყურადღებით იყო მის მიმართ განწყობილი. ეს ყურადღება უფრო ნოდარის კაცურ_კაცობით იყო გამოწვეული. ეს ახალგაზრდა კაცი თავის ასაკთან შედარებით საკმაოდ დაბრძენებული გახლდათ. გუნდში ჭკუას მას ეკითხებოდნენ. შესანიშნავ ოჯახში აღზრდილი, ყველასათვის ზნეობრივ იდეალს წარმოადგენდა. ის ოთხი სათნოება, რომელიც ზნეობრივი იდეალის მატარებელ ადამიანს უნდა გააჩნდეს, ნოდარში იყო გაერთიანებული: ვაჟკაცობა, სამართლიანობა, თავშეკავება და გონებრიობა. ეს დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იშვიათობას წარმოადგენს, მით უმეტეს სპორტსმენებში. ამასთან ერთად, რაღაც მაგიური ძალა გააჩნდა. ადამიანებს თავისკენ იზიდავდა. მის ბინაში ყოველ საღამოს სხვადასხვა პროფესიის ადამიანს შეხვდებოდით. ყველას ნოდართან სიახლოვე უნდოდა. წუწუნი არ უყვარდა, ხანდახან როდესაც ლევანთან მარტო დარჩებოდა, ხელებს გაშლიდა და იტყოდა ხოლმე:

_ დავიღალე ზურაბიჩ, დავიღალე.

ლევანმა იცოდა ეს «დაღლა» რას ნიშნავდა. ყველასათვის უნდოდა სიკეთე გაენაწილები_ ნა, მაგრამ ვერ აწვდენდა.

ქალებისგან ხომ მოსვენება ჰქონდა დაკარგული. ყველა ლამაზმანს სურდა ამ ახოვან, ლამაზ, ხელგაშლილ და რაც მთავარია დასანიშნ ახალგაზრდასთან ურთიერთობა.

ბათუმში ჩასვლისთანავე, ლევანი ნოდარის ბინისაკენ გაემართა. მას იქვე ცენტრში ჰქონდა ორ ოთახიანი ბინა დაქირავებული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქიდან გადასულიყო. მისამართი ლევანმა მალევე დაადგინა, ახალი ბინაც მოძებნა, მაგრამ ნოდარი სახლში არ დახვდა. მთელი გუნდი თბილისში იყო წასული შეჯიბრზე და მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდნენ. უკვე საღამო იყო. სართელი ქობულეთში ჩასვლას ვეღარ ასწრებდა, ბათუმში სხვას არავის იცნობდა. ძველი ნაცნობი ოჯახები, შექმნილი პოლიტიკურ სიტუაციის გამო, საზღვარგარეთ იყვნენ წასულები. სასტუმროში რომ გაეთია ღამე, მინიმუმ ოცდაათი ლარი სჭირდებოდა. ჯიბეგაფხეკილ სართელს კი მხოლოდ ოცდახუთი ლარი ედო ჯიბეში. ერთი გზა რჩებოდა, ღამე გარეთ, სადმე გადაფარებულ ფარდულში უნდა გაეთია. ზაფხულში ეს სასიამოვნოც კი იქნებოდა, მაგრამ გვიან შემოდგომაზე და ისიც თოვლიან და წვიმიან ამინდში გარეთ ღამის გათევა შეიძლება ჯამრთელობის ფასი დამჯდარიყო. მაგრამ ლევანს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ბაზარში შეიარა, ორი ცალი ას გრამიანი «ჩეკუშკა» და პური იყიდა. თან თბილისში გენოსთან დარეკა, ცოლ_შვილის ამბავი ჰკითხა. მერე ნელი ნაბიჯით აუყვა გამსახურდიას, ყოფილ ლენინის ქუჩას, ბულვარის შესასვლელში კარგა ხანს უყურა მემედ აბაშიძის ახლად დადგმულ ძეგლს. შემდეგ მარჯვნივ, სტადიონისკენ გაუხვია,

სტადიონს გვერდი მარცხნივ აუქცია და პლაჟისაკენ წავიდა. სწორად აქ ეგულებოდა ერთი ფანჩატური, რომელიც სტადიონის მშენებლობის დროს დამხმარე სათავსოს მოვალეობას ასრულებდა. ნახევრად ბეტონის და ნახევრად ფიცრის კედლები ჰქონდა, როგორც ლევანს ახსოვდა კარგად უნდა ყოფილიყო გადახურული. ფანჩატური ადგილზე დახვდა, მაგრამ სახურავი სანახევროდ მორღვეოდა ისე რომ ნალექისაგან კარგად ვერ დაიცავდა. ლევანმა სიგარეტს მოუკიდა, თან სანთებელის შუქზე ადგილი დაათვალიერა. უბინაო ადამიანი ღამის გათევას შეძლებდა. ჩანთა მხრიდან მოიხსნა, ფანჩატურში დატოვა, თვითონ კი პლაჟისაკენ წავიდა. იქვე მდგარი ნაძვების პატარა ხეივანი ერთგვარ ქოლგას ქმნიდა და წვიმიან თოვლს მიწაზე არ უშვებდა. ამ ნაძვების ქოლგას შეეფარა ლევანი და აბობოქრებული ზღვისაკენ გაექცა თვალი. მის ადგილას ზოგს ადვილად გადაუბრუნდებოდა ჭკუა და თავის ყოფიერებიდან გამომდინარე, უკანმოუხედავად წავიდოდა გაცოფებული ზღვისკენ, შევიდოდა შიგნით და სამუდამოდ დარჩებოდა იქ. ასეთ ზღვარზე ლევან სართელი მრავალჯერ მდგარა, მაგრამ მას რაღაც ძალა არ აძლევდა ასეთი საბედისწერო ნაბიჯის გადადგმის უფლებას. ამასთან ისიც კარგად იცოდა, რომ თვითმკვლელობა ერთ_ერთი დიდი ცოდვა არის უფლის წინაშე. კაცი მაშინ ხარ გაჭირვებას და მძიმე წუთებს რომ გაუძლებ და მის გადასალახავად იბრძოლებ, თორემ ასეთი სისულელის გაკეთება, რასაც თვითმკვლელობა ჰქვია, ნებისმიერ ზნედაცემულ ადამიანს შეუძლია.

ზღვა ბობოქრობდა. თითქოს მისკენ მიმავალ წვიმისაგან გაჯერებულ თოვლის ფიფქებს უღრენდა, შემდეგ კი საგულდაგულოდ ნთქავდა. თოვლიანი წვიმაც არ ეშვებოდა. მაინცდამაინც ზღვისკენ მიისწრაფოდა, რათა თავისი საბოლოო განსასვენებელი ეპოვა მის ზვირთებში. ლევანი უყურებდა ცისა და დედამიწის ამ ორთაბრძოლას და თავისთვის ბუტბუტებდა:

_ რა მინდა აქ? სად გადმოვიხვეწე? რატომ არ მაყენებენ საკუთარ სახლში? ამბობენ აქაურ ბაბუს ისე აქვს საქმე დაყენებული, აჭარა დანარჩენ საქართველოსთან სამოთხედ მოგეჩვენებაო. აფერუმ შენს ვაჟკაცობას ასლან, თუ ასეა. ღმერთი დაიფარავს შენს ოჯახს და მოდგმას.

ამ ფიქრებსა და თავის თავთან საუბარში იმდენი დრო გავიდა, რომ ლევანს ცოტა შეაცია. «ჩეკუშკის» გახსნის დრო იყო. მივიდა, ჩანთა გახსნა, ამოიღო პლასტმასის «ჩეკუშკა», გახსნა, ღმერთი ახსენა და სწრაფი მოძრაობით გადაჰკრა, ცოტა პური მიაყოლა. შემდეგ მეორე «ჩეკუშკასაც» მოუღო ბოლო. შემდეგ ფიცრები მშრალი ადგილისკენ მიაჩოჩა, ჩანთაზე თავი დადო, ქურთუკი ბოლომდე შეიკრა და თავს ძალა დაატანა, რათა ჩასძინებოდა.

ლევანი დილით თოლიების წივილმა გამოაღვიძა. როგორც ჩანს პორტში გემი შემოსულიყო და ფრინველები გემს შემოყოლილ თევზზე ნადირობდნენ. სართელი წამოიზლაზნა. ცოტა მარჯვენა გვერდი აწუხებდა, იფიქრა გამიცივდაო. მაშინვე გამოძვრა ფანჩატურიდან. თოვლ_წვიმას გადაეღო, მზიანი დღე თენდებოდა, მაშინვე პლაჟზე გავიდა და თავისუფალი ვარჯიშების შესრულება დაიწყო. ვარჯიშებმა სწრაფად გაუთბო ორგანიზმი და ყველა ტკივილმა გაიარა. ლევანმა ღრმად ჩაისუნთქა და ამოსუნთქვის დროს თავისთვის თქვა:

_ გადავრჩი.

ეს ნიშნავდა, რომ გაციებას გადარჩა. იქვე ბულვარზე ხელ_პირი დაიბანა და მალე

გასცილდა ამ ადგილს, რადგან ამ ღამემ არც თუ სასიამოვნო მოგონებები დაუტოვა.

ბათუმის ცენტრი პატარაა. აქ მანქანით მოძრაობას, ფეხით სიარული სჯობია. ქუჩების ჭადრაკული განლაგება კი ადამიანს მანევრირების საშუალებას უადვილებს. ნოდარს ღვთისმშობლის ეკლესიის გვერდით ჰქონდა დაქირავებული ბინა, ამიტომ ლევანი ათ წუთში უკვე მასთან იყო.

_ რა კაცი, რა კაცი ჩამოსულა, _ კარების გაღებისთანავე იყვირა აღფრთოვანებულმა ნოდარმა და ჩაეხუტა ლევანს, _ დღეს ჩამოხვედი ზურაბიჩ?

_ კი, დილას, _ იცრუა სართელმა, _ რაღაც საქმე მაქვს, ხომ მიმიღებ სტუმრად?

_ რაზეა ლაპარაკი ზურაბიჩ, შენთვის ჩემი სახლის კარები ყოველთვის ღიაა. ჩვენც დილას ჩამოვედით.

_ რა ქენით?

_ ერთი მოვიგეთ, ერთი წავაგეთ. არ უნდა წაგვეგო, მაგრამ რას იზამ სპორტში ყველაფერი ხდება, არ გესწავლება ეს შენ.

_ ეგ არაფერი. ნაღდი სპორტსმენი მაშინ ხარ, როდესაც იცი წაგებას როგორ შეხვდე. მაგის ცოდნა სპორტში აუცილებელია.

_ მოდი სპორტი დროებით გვერდზე გადავდოთ, _ თქვა ნოდარმა, ლევანს სავარძელი შესთავაზა, თვითონაც მის მოპირდაპირე დივანზე ჩამოჯდა და განაგრძო, _ შენი საქმე როგორ არის?

ლევანს ნოდარისათვის არაფერი დაუმალავს, ყველაფერი მოუყვა, თან გააფრთხილა, რომ არც შინაურთან და არც გარეულთან არაფერი წამოსცდენოდა.

_ აჭარაში კიდევ ერთ კაცს ეცოდინება ჩემი რეალური მდგომარეობა. კუკურის ხომ იცნობ?

_ კუკური? ხო, ხო, ის გამოუსწორებელი მსმელი რომ არის?

_ დიახ ბატონო. _ დაუდასტურა ლევანმა. _ ალბათ აჭარაში ჩემი ვიზიტის დიდ დროს უფრო ქობულეთში გავატარებ.

_ მაგაზე უხერხულობას ნუ შეიქმნი ზურაბიჩ, ჩემთან გაჩერების პრობლემა შენ არ გექნება. იყავი რამდენი ხანიც გინდა, _ თქვა ნოდარმა. _ მაგ თემაზე აღარ ვილაპარაკოთ.

მეორე დღეს ლევანი ქობულეთში წავიდა. ქობულეთში ჩასულს შორს წასვლა აღარ დასჭირდა, კუკური ტაქსების გაჩერებასთან ორ კაცს ელაპარაკებოდა, ისე შლიდა ხელებს, რომ ნამდვილად რაღაცას უმტკიცებდა. ლევანის დანახვაზე, უფრო ფართოდ გაშალა ხელები და შესძახა:

_ ჭო! როის დეიწყეთ კახელებმა ჩერეზ ბათუმი ქობულეთში სიარული?

_ ახალი მარშუტი გაიხსნა თოხლიაური_ხულო. _ სწრაფად უპასუხა სართელმა.

_ წამოი შენ ჩემთან წამოი და იქ გაჩვენებ ხულოს რეისს. _ მოკიდა ხელი კუკურიმ სართელს და სადგურიდან მოკლე გზებით ერთ სახლში მიიყვანა.

_ სად მივდივართ კუკურა? _ ჰკითხა ლევანმა.

_ არაა მაი შენი საქმე.

სახლი ორსართულიანი იყო, პატარა ეზოთი. მასპინძელი ახალგაზრდა ოჯახი გახლდათ, ცოლ_ქმარი და სამი გოგონა. აგრეთვე ოჯახის უფროსის მოხუცებული დედა.

_ გეიცანი, _ უთხრა კუკურიმ ლევანს და ხელი ოჯახის უფროსისაკენ გაიშვირა, _ თამაზ კაიკაციშვილი.

_ ლევან სართელი. _ თქვა ლევანმა და თამაზს ხელი ჩამოართვა.

_ აწი მე რომ არ ვიქნები აქ, _ თქვა ხმამაღლა კუკურიმ, _ ამ ოჯახში მოხვალ რომელი საათიც არ უნდა იყოს, გიგე?

_ არის უფროსო, _ ღიმილით წარმოთქვა ლევანმა და მდაბლად დახარა თავი.

_ რას მომჩერებიხარ ახლა? _ უყვირა კუკურიმ თამაზს.

_ მოხდა რამე? _ შეკრთა თამაზი.

_ სტუმარი მევიყვანე, გაშალე რაცხა.

_ აუჰ! მიდი ცა მიხედე საქმეს! _ უსაყვედურა თამაზმა ცოლს.

_ ნუ შეწუხდებით, არ არის საჭირო. _ აფორიაქდა ლევანიც.

_ შენ გაჩუმდი! _ მიუბრუნდა კუკური სართელს, _ სტუმარს მაგდენი ლაპარაკის უფლება არ გაქვს.

_ ბოდიში ბატონო.

ლევანი ხან ბათუმში იყო და ხან ქობულეთში. ჯიბეგაფხეკილ სართელს ნოდარი და კუკური _ დახმარებას არ აკლებდნენ. თუმცა იმათაც რა ჰქონდათ? მაგრამ მათი კეთილი ბუნებიდან გამომდინარე, ლევანს არაფერს აგრძნობინებდნენ. უხერხულ მდგომარეობაში იყო სართელი, მაგრამ რა ექნა, უკან წასასვლელი გზა მოჭრილი ჰქონდა.

IX

სუმომ ინციდენტიდან ორი თვის შემდეგ გამოჯამრთელება დაიწყო. რამდენიმე ოპერაცია გაუკეთეს. ღრმა ჭრილობების მოშუშებას კი დრო სჭირდებოდა.

პროკურატურის გამომძიებლებმა რამდენჯერმე სცადეს მისი დაკითხვა, მაგრამ ახალი ვერაფერი აღმოაჩინეს. სუმო ერთი და იგივეს იმეორებდა. ხოლო მისი დაკითხვა, ავადმყოფობის გამო, სხვა «მეთოდებით» შეუძლებელი იყო. საქმის დაჩქარების მიზნით, ისევ ლევან სართელის მოძებნა იყო საჭირო და მათი დაპირისპირებით კიდევ შეიძლებოდა რაიმე ახალის აღმოჩენა, რაც ძიებას წინ წასწევდა.

ლევან სართელის გაუჩინარების შემდეგ, ზაურ ქორიძის თანამშრომლები გაცოფებულები ეძებდნენ მას. მხოლოდ ორი თვის შემდეგ დაადგინეს, რომ სართელი აჭარის ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

_ წადით და ჩამოათრიეთ აქ! _ მოძღვრავდა თავის ქვეშევრდომებს ქორიძე, _ სიდამონიძესთან უნდა დავაპირისპირო, თორემ «ზევით» ინფორმაციას ვერ ვაწვდი.

თანამშრომლები უხერხულად აწრიალდნენ. ბოლოს ისევ იმან დაიწყო დაბალი ხმით საუბარი, ადრე ქორიძემ «მალაკასოსი» რომ უწოდა:

_ ბატონო ზაურ აჭარაში დოკუმენტის გარეშე არაფერი გამოგვივა.

_ რატომ? _ იღრიალა ქორიძემ, თუმცა კარგად მიხვდა რასაც ეუბნეოდა თანამშრომელი.

_ ჯერ ისიც საკითხავია ოფიციალურ დონეზე მოგვაძებნინებენ თუ არა სართელს და რაც შეეხება არაოფიციალურად მის გამოყვანას აჭარიდან . . . . . ეს, ზღაპარია.

_ მოიტაცეთ! _ მოკლედ მოუჭრა ქორიძემ.

_ მისი მოტაცება ძნელია. ის ისეთი კაცის სტუმარია, რომელსაც «კალაშნიკოვი» ცხვირსახოცივით თან დააქვს, თან იშვიათადაა ფხიზელი და იარაღის გამოყენებაზე თავს არ იკავებს, ჩოლოქზე მალულად იმ კაცს ვერ გამოვატარებთ, რადგან მთელ თანამშრომლებს იცნობს.

_ ესე იგი საშველი არ არის? _ გამოსცრა ქორიძემ.

_ აჭარის ტერიტორიას რომ დატოვებს, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი მისი აყვანა.

_ გატყობთ კარგად შეგისწავლიათ სართელის მდგომარეობა აჭარაში.

_ ბატონო ზაურ! ჩვენი არხებით ბათუმში ვცადეთ მისი დაშინება, მაგრამ ჩვენს ხალხს რაგბისტები დაესივნენ და კინაღამ თავები წააწყვიტეს, თუმცა თვითონ სართელმა ამის შესახებ დღესაც არაფერი იცის. ისე რომ კარგად არის დაცული და არაფერი გამოგვივა.

_ სხვა რა გზაა დაველოდოთ, _ ჩაილაპარაკა ზაურ ქორიძემ და თანამშრომლებს ხელით ანიშნა გასულიყვნენ კაბინეტიდან.

საქმე თითქოს გაიყინა. პროკურატურა სუმოს, როგორც თვითონ ამბობდნენ, «ნაბოდვარს» ობშიაკის შესახებ ქურდებს არ უმხელდნენ, რადგან კარგად იცოდნენ რომ ისინი მას მოკლავდნენ სადაც არ უნდა ყოფილიყო. თან ჩამშვები და ჩაშვებულიც ორივე «რესბალნიცაზე» მკურნალობდნენ. ქურდები კი სუმოს გამოჯამრთელებას და მის ციხეზე გადმოყვანას ელოდებოდნენ, რომ საქმე გაერჩიათ და თანხა მიეღოთ.

სუმოს ახლობლების ჩარევით, ერთ_ერთი შეძლებული ორგანიზაციის დამფუძნებლებმა ითავეს ამ საქმის მოგვარება. ეს ის ორგანიზაცია იყო, რომელიც არეულობის დროს სუმოს ბიჭებმა, რა თქმა უნდა გარკვეული თანხის გადახდის შედეგად, რამდენჯერმე დაქცევას და პატრონები კი სიკვდილს გადაარჩინეს.

საქმე, ქვეყნის გარეთ, მაღალი დონის ავტორიტეტებში გაირჩა. გადაწყდა რომ უნდა გადახდილიყო ერთი მილიონი დოლარი და სუმო ციხეზე გადასულიყო, სადაც ქურდები «დაკრიშავდნენ» და ერთი მხრიდან საფრთხე მოეხსნებოდა, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ციხის ადმინისტრაციას იგი კარცერში ჩამოკიდებული ენახა.

ერთი თვის შემდეგ გამოჯამრთელებული სუმო იზოლატორში გადაიყვანეს. რა თქმა უნდა ის მაშინვე ჩიტირი დევიატში, ანუ ქურდების საკანში, ჭიასთან დაიბარეს. ამ უკანასკნელს გარედან ქსივა უკვე მიღებული ჰქონდა.

_ როგორა ხარ სუმო? _ შესვლისთანავე დაუძახა ჭიამ, _ დაჯექი, _ მიუთითა იქვე მდგარ ტაბურეტზე.

_ ვარ რა, _ გამოსცრა კბილებიდან სუმომ, _ ძალიან განერვიულებს ჩემი მდგომარეობა არა?

_ მაიცა, ეხლა ნუ დაიწყე. შენი თავი სვაბოდაზე მხედრიონში არ გეგონოს.

_ არ გინდა ეგ ბაზარი ჭია, _ შეუღრინა სუმომ, _ შენ იცი უკვე რომ ჩემი საქმე გაიასნებულია და ისიც იცი რა უნდა გააკეთო. შენ შენთვის ძმაო და მე ჩემთვის, ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ.

ჭიამ სიგარეტს სანთებელით ცეცხლი მოუკიდა, კარგად გააბოლა და თქვა:

_ შენ რა, აქ შენი კუტოკი უნდა შექმნა?

_ მე არაფერი არ მინდა. მარტო ვარ და სვაბოდაზე გასვლამდე მარტო ვიქნები.

_ არა სუმო, _ გაეცინა ჭიას, _შენი თავი ჩვენ ჩაგვაბარეს. აი, ამათ ხომ ხედავ, _ ხელი გაიშვირა თავის ირგვლივ შემოკრებილ პატიმრებისაკენ.

_ მერე მე რა უნდა ვქნა? _ იკითხა სუმომ.

_ ჩვენთან უნდა იყო და ძაღლები ვეღარ წაგიყვანენ დასაკითხად.

_ რათა, შენ შეგეკითხებიან? მითხარი რა გინდა, რას მივლი შორიდან!?

ჭიას გაეცინა. მან კარგად იცოდა რომ სუმოს ყველაფრისთვის გადახდილი ჰქონდა, მაგრამ როგორც ნათქვამია «ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო» და ქურდი რის ქურდია თუ რამეს არ წაართმევდა მის ხელთ არსებულ მსხვერპლს.

_ კაროჩე, სუმო, პირდაპირ გეტყვი. ბიჭებს წამალი სჭირდებათ და შენ უნდა იზრუნო ამაზე.

სუმომ თავი გადაიქნია. ის ნარკომანებს ვერ იტანდა. რამდენიმე მოკლულიც ჰყავდა. თვითონ ნარკოტიკს კი არა, სასმელსაც იშვიათად სვამდა. მაგრამ ახლა დაწყობილი მდგომარეობის არევა არ აწყობდა და ამიტომ ღიმილით უპასუხა:

_ არ არის პრობლემა, რამდენსაც გინდათ მოგაწვდიან.

_ აი ეს მომწონს, _ თქვა კმაყოფილებით აღსავსე ჭიამ, _ ძმა ხარ.

ქურდულმა დაჯგუფებამ იმდენი ქნა, რომ მილიონ გადახდილი სუმო ნელა_ნელა მიაჩვიეს ნარკოტიკის გაკეთებას და ეს უკანასკნელიც «შეჯდა», თან ისე, რომ ამ ყოველივემ სისტემატური ხასიათი მიიღო.

ამასობაში სუმოს ახლობლებმა პროკურატურაშიც შეაღწიეს და დიდი ფულის საფასურად წინასწარი გამოძიების ჩვენებების შეცვლა მოითხოვეს. გამომძიებელი უშედეგოდ ცდილობდა სუმოსთვის შეცვლილ ჩვენებაზე ხელის მოწერას, რადგან ის მუდმივად «კაიფში» იყო. ვერ აფხიზლებდნენ.

X

ბათუმში დილაადრიანად ლევანს კუკური და თამაზი ესტუმრნენ.

_ რა არი ტო ხაშზე იყავით? _ იკითხა სტუმრების ვიზიტით გაკვირვებულმა სართელმა და თან ნამძინარებ თვალებზე თითებს ისვამდა.

_ ხაშის დასალევად არა, მარა პაწა_პაწა რაცხეები კი მევიტანეთ, მაღარიჩი გვაქვენ დასალევი. _ უპასუხა კუკურიმ და თამაზს ანიშნა პარკები მაგიდაზე დაედო, _ ნოდარი საითაა?

_ სბორებზე თურქეთში. _ რის მაღარიჩი უნდა დავლიოთ? _ იკითხა სამზარეულოში ჭიქების და თეფშების გამოსატანად გასულმა ლევანმა, _ ქობულეთელებმა ავტონომია ხომ არ შექმენით?

_ რად მინდა ავტონომია, ისე არ მაქ თუ რა? _ გაიკვირვა კუკურიმ, _ შენ დროზე გამოდი მაგ ქუხნიდან და გაჩვენებ რაცხას.

სუფრა უცებ გაიშალა. ლევანმა ჭიქებში არაყი ჩამოასხა, მიუჭახუნა ბიჭებს, ღმერთი ახსენა და დალია. თან კუკურის საყვარელი სიტყვა წარმოთქვა:

_ დალშე!

ამ რუსულ სიტყვას კუკური ხშირად წარმოთქვამდა ხოლმე საუბრის დროს. ეგონა, რომ ამით თავის საუბარს მეტ სერიოზულობას მატებდა. მთავარი ის იყო, რომ ის ფიქრობდა ასე, თორე სხვისი აზრი, როგორც თვითონ ამბობდა _ «მილიონი წელი არ აინტერესებდა».

_ ვაი, შე აბდალა, რავა ყველაფერს ჩემგან სტავლობ, _ გაეცინა კუკურის და თამაზს მიუბრუნდა, _ ამეიღე ერთი ის გაზეთი და წააკითხე, თორე მაგას გაზეთის საყიდელი

ფული არ აქვს და ამ წელიწადში ვერ გეიგებს ამ ამბავს.

_ რა ხდება ტო? _ იკითხა ლევანმა.

_ ამდენი ხანია აქეთ ხარ და ეს ტო ვერ მეიშალე. რა გეშველებათ ამ თბილისლებს.

ამ დროს თამაზმა გაშლილი გაზეთი მიაწოდა სართელს:

_ ა, იმ შენ სიდამონიძეზე წერია რაცხა.

გაზეთში მოკლე ინფორმაცია იყო გამოქვეყნებული, რომ ბრალდებულ ზაურ სიდამონი_ ძის, ანუ სუმოს მისამართით გაჭიანურებული ძიება, როგორც იქნა დამთავრდა და საქმე გადაეცა სასამართლოს.

_ ვაჰ! _ აღმოხდა ლევანს, _ არა მჯერა ტო, ნიუჟელი მორჩა? თბილისში უნდა დავრეკო.

_ რით გინდა დარეკო? ფული გააქვს? _ გაეცინა კუკურის.

_ აუჰ! ეგ სულ დამავიწყდა.

_ ჰოდა დეეტიე აქანე და დავლიოთ ერთი_ორი ჭიქა.

კუკური და თამაზი რომ გაისტუმრა, ლევანმა ვეღარ მოითმინა და ნოდარის ერთ_ერთ მეგობარს მიაკითხა თხოვნით თბილისში ტელეფონზე დაკავშირებაში დახმარებოდა. გენოს ელაპარაკა.

_ ფეხი არ გამოადგა მაიდან, სანამ სასამართლო გადაწყვეტილებას არ მიიღებს, _ უთხრა გენომ,ისე რომ ლევანის შეკითხვას არ დალოდებია, _ ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი. სუმოს ახლობლები ვარაუდობენ, რომ სასამართლო მათ სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას. დანარჩენს კი მიხვდები.

ეს «დანარჩენი» ნიშნავდა, რომ საქმე ჩაწყობილი იყო.

_ მაინც რამდენი ხანი მომიწევს კიდევ აქ ყოფნა?

_ ალბათ მთელი ზაფხული და მერე ვნახოთ.

_ აუჰ! რა გაძლებს მთელი ზაფხული აქ?

_ ხალხი აქედან მაით მოდის და შენც რა გენაღვლება, იბანავე ზღვაში.

ლევანი მოუსვენრობამ შეიპყრო. ყველაფერზე ერთად ნერვიულობდა. ცოლ_შვილი ენატრებოდა. ბათუმში ვეღარ გაჩერდა, ქობულეთში ჩავიდა. მაგრამ იქ გაუთავებელმა ყოველდღიურმა ლოთობამ ისევ ბათუმისაკენ აბრუნებინა პირი.

ნოდარი და მისი თანაგუნდელები ატყობდნენ ლევანს, რომ სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი, ამიტომ არაფერს იშურებდნენ, რათა შეემსუბუქებინათ მისთვის დარდი.

სექტემბრის ერთ საღამოს ნოდარმა ლევანს შეატყობინა გენოს დაკავშირებოდა.

_ სად ხარ ტო შენ გეძებ! _ იკივლა ყურმილში გენომ.

_ რა მოხდა?

_ კაი ამბავია. სუმო სასამართლომ გაათავისუფლა. უფრო სწორად იმდენი მიუსაჯა, რაც უკვე მოხდილი ჰქონდა და უკვე სვაბოდაზეა. ისე რომ შეგიძლია წამოხვიდე.

_ აგაშენა ღმერთმა! _ აღმოხდა გახარებულ ლევანს, _ ახლავე წამოვალ.

_ კარგი, კარგი, რომ ჩამოხვალ დანარჩენს აქ გეტყვი.

ლევანი ნოდარს დაემშვიდობა. ყველაფრისთვის მადლობა გადაუხადა და გვიან საღამოს უკვე გენოს მიაკითხა. დიდი ხნის უნახავი მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ, შეხვადრისაც დალიეს თითო ჭიქა.

_ ბიჭო რა ყოფილა ეს სუმო, _ გაეცინა გენოს, _ რაც მაგას ფული დაახარჯეს

რუსთავის ორივე კოლონიაში მჯდარ ყველა პატიმარს ეყოფოდა გასათავისუფლებლად.

_ ჰო აჭარაშიც ლაპარაკობდნენ დიდი ფული გადაიხადაო. კიდევ რას ამბობენ იცი? _ უთხრა გენოს ლევანმა, _ გააფრენ რომ გაიგო.

_ რაო?

_ ეგ სიდამონიძე კიდევ არაფერი. მაგას გარდა მაგ საქმეში ერთი ძებნილია, პაბეგი მოუხევია, აი ფული იმას აქვსო თურმე.

_ მერე შენ რა უთხარი? _ ხარხარებდა გენო.

_ მე ვუთხარი, ჩვენ რომ მოუძებნოთ პოლიციას თუ პროკურატურას ის ძებნილი, მოგვცემენ რამეს_თქო? ერთი ძაღლი ესწრებოდა ჩვენს საუბარს და მთელი სერიოზულობით თქვა: «ასი ათასს მაინც მოგვცემენო,» ცოტაღა დამაკლდა კინაღამ არ ვიყვირე, მე ვარ წამოდი ჩაგბარდები ნახევარი მომეცი_თქო.

_ ის შემხვდა იმ დღეს, _ თქვა გენომ და შუბლზე ხელი დაიდო, _ აი, ის კაცო, რა ერქვა პროკურატურის გამომძიებლების ნაჩალნიკი?

_ ზაურა ქორიძე.

_ ჰო! მაგის . . . . გამოუგდიათ სამსახურიდან, საქმე ვერ გამოიძიეო. ეტყობა არც მაყუთი მისცეს, დაჩმორებული, დაბერებული მიდიოდა. აქ შემხვდა ვარანცოვზე.

_ მერე?

_ რა ვქნაო, ნეტა ახალგაზრდა მაინც ვიყოო, რამეს გავაკეთებდიო, სადმე წავიდოდიო. ეს ბებერი არავის აღარ უნდივარო. ის სად არიო, შენზე მკითხა. მე ვუთხარი თურქეთშია კაკ რაზ, აი, შენ რომ გინდა იმ საქმეს აკეთებს_მეთქი. მესაათედ მუშაობს ვასტოჩნი სტამბოლში. საათებს აკეთებს, ვისაც წლების დაკლება უნდა იმათთვის_მეთქი. ერთი საათი ერთი წელიწადია და ვისაც რამდენი წელიწადის დაკლება უნდა ისე აახალგაზრდავებს _ მეთქი. შენ მე მგონი ყველა წელს ჩამოგაკლებს, მერე დედის მუცელში შეგსვამს და დედაშენს აბორტს გააკეთებინებს, რომ შენისთანა დამპლები არ მოევლინონ ამ ქვეყანას _ მეთქი.

_ მერე რა გითხრა. _ გაეცინა ლევანს.

_ გმადლობთ დარიგებისათვის, აუცილებლად ჩავალ სტამბოლშიო. ისე მაგას ერიდე. ეგ ისეთი თესლია შეიძლება რაღაც შეგითითხნოს და ჩაგიშვას.

XI

თავისუფლებაზე, ანუ «სვაბოდაზე» გამოსული სუმო თავიდან ბოლომდე განადგურებული იყო. ერთ დროს ნარკომანების დაუძინებელი მტერი, ახლა თვითონ ჩავარდნილიყო ამ უბედურებაში. არც მკურნალობამ უშველა, არც დარიგებამ, არც საზოგადოებისაგან იზოლაციამ. ყოველდღე წამალს იკეთებდა. ისედაც განადგურებული მისი ოჯახი, ამის შემხედვარე უფრო გაუბედურდა.

ზაურ ქორიძემ ბევრი იჩალიჩა, მაგრამ ორგანოებში სამსახურზე ყველგან უარი მიიღო. თავაზიანად იცილებდა ყველა, ვითომ ასაკის გამო, სინამდვილეში არავის უნდოდა მასთან თანამშრომლობა. ითმინა, ითმინა და ბოლოს გააკეთა ის რაც მისი მოწოდება იყო. მოძებნა ნაქურდალი დიმჩიკა და ყველაფრის თაობაზე მოუყვა. დიმჩიკას შანსი გაუჩნდა, რომ რეაბილიტაცია მიეღო ქურდულ სამყაროდან. ქურდებმაც

არ დააყოვნეს დავალების მიცემა.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც სუმო თავის კორპუსის სადარბაზოში შედიოდა, ორმა ნიღბიანმა გადაუჭრა გზა და ორი_სამი მეტრიდან, მაყუჩიანი პისტოლეტით, ორ_ორჯერ ესროლეს. მერე ლიფტში შეათრიეს, «კანტროლკა» დაახალეს შუბლში, დააჭირეს თითი მისი სართულის ღილაკს და სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას.

ლევან სართელი ამ შემზარავმა ფაქტმა და განვლილმა ტანჯვა_წამებამ ინფარქტამდე მიიყვანა. საბედნიეროდ გადარჩა, მაგრამ სამუდამოდ დაინვალიდდა.

და ეს ხდებოდა ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე. . .

სართიჭალა
2004 წელი

ათი მცნება

სოფელი ნაიარევი აღმოსავლეთ საქართველოში, სახელმწიფო საზღვრის ახლოს მდებარეობს. გვერდზე დიდი მდინარე ჩამოუდის. სოფელი კი ცოტა შემაღლებულ ადგილას, ლამაზ ჭალაშია გაშლილი. მიუხედავად იმისა, რომ ნაიარევის გარშემო მეტად ნაყოფიერი მიწებია, აქ საუკუნეების განმავლობაში, მტრის გამუდმებული თარეშის გამო, სოფელი ძირს ვერ იმაგრებდა. არადა ქართველობას აქ დასახლება ოცნებად ჰქონდა გადაქცეული.

ღმერთმა შეისმინა ხალხის ვედრება და მეუდაბნოე ბერების მეშვეობით, მდინარის პირას მდებარე პატარა გორაზე წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია ააგო. მდინარის მეორე ნაპირიდან რომ შეგეხედათ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს წყლიდან გორაზე თეთრი გემი აცურებულიყო და გაშლილი იალქნებით ცისკენ მიისწრაფოდა. ღმერთმა ისეთი განსაკუთრებული მადლით აღავსო ტაძარი, რომ სალოცავად და მის გარშემო დასასახლებლად ხალხი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოდიოდა. ღვთის მადლით გაძლიერებულ სოფელს მტერიც გვერდს უვლიდა. ხალხმა ამ დასახლებას, თავისი ისტორიული ჭირ-ვარამის გამო ნაიარევი დაარქვა სახელად და მუდმივი ლოცვების და შრომის შედეგად ისეთი ძლიერი სოფელი შექმნა, რომ აქ ცხოვრების სურვილი არა მარტო ქართველებს, არამედ უცხო ტომთა ხალხებსაც გაუჩნდათ. ადრე თათარი აქ ქართველებთან საომრად და გასაძარცვად თუ მოდიოდა, ახლა მის გვერდით ცხოვრება და მეგობრობა ირჩია. ასე ჩამოყალიბდა მუსლიმანური სოფელი ელთა. არც მოხეტიალე ოსებისთვის დაუხშიათ კარი ქართველებს. ალანთა მოდგმამ ჩამოსვლისთანავე ქრისტეს რჯული იწამა, გვარიც შეიცვალა და ქართველებს დაუდგა გვერდში. ნათქვამია, «ამერიკაში საზამთრო რომ გაჭრა, სომეხი გამოყოფსო თავს». ნაიარევშიც გამოჩნდნენ ისინი, ზოგმა გაქართველებაც სცადა. სოფელი არც

ურიების გარეშე დარჩენილა...

ასე იყო თუ ისე, წმიდა გიორგის ტაძრის გარშემო დასახლებულმა და ქრისტეს რჯულით განმტკიცებულმა სოფელმა, მეოცე საუკუნეში მხრეგაშლილმა შეაბიჯა და მომავლის დიდი იმედი ჰქონდა... მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში მოსულმა შავმა ძალებმა, რომლებსაც დროშის ფერის გამო «წითლებს» ეძახდნენ, ხოლო გადაჭარბებული ბოროტების ჩადენისთვის _»ბოლშევიკებს» ნაიარეველთა იმედები ერთი ხელის მოსმით გაანადგურეს. ანტიქრისტეს მიმდევრები თავდაპირველად სოფლის შემქმნელს და დამაარსებელს - წმიდა გიორგის ტაძარს ეძგერნენ. გაძარცვეს, შეურაცჰყვეს და იავარქმნეს. დაიტაცეს საეკლესიო ნივთები, ზარები, ჯვრები. ამაში ადგილობრივი მოსახლეობის მცირე ნაწილმაც შეუწყო მათ ხელი. გააკულაკეს მდიდარი გლეხობა და უტოპიური დაწესებულება _ კოლმეურნეობა ჩამოაყალიბეს. ერთი სიტყვით, ღვთიურ სოფელ ნაიარევში, რომელსაც საუკუნოვანი მტრები _ მუსლიმანებიც კი პატივს სცემდნენ, დაიწყო უზნეოთა და უმეცართა როკვა საშინელი... ჰოდა, სწორედ ამ ხალხმა და კიდევ ათასმა მისთანამ სრულიად დაივიწყა უფლის მცნებები, შეურაცჰყო ისინი და ნაცვლად სულის ცხონებისა, სრულიად წაიწყმიდა იგი. ნახეთ რას გვეუბნება **პირველი მცნება: მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე.** კომუნისტებისა რა უნდა გიკვირდეს, როცა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში დავიდეთ საშვილიშვილო ცოდვა, როგორც ამას ეპისკოპოსი იოანე-იონა ბრძანებს:

„მე-13-ე საუკუნე. საქართველო სასჯელისთვის ემზადება. რა სიკეთისათვის? ეკლესია გაყალბდა, ამპარტავნებამ იმ ზომამდე ითარეშა, რომ თამარ დედოფალი სამების იპოსტასში მეოთხე წევრად შერაცხეს, ხოლო ძე მისი რაცხეს ქრისტეს სწორად. ეკლესია მოკვდა. სასჯელი არ აყოვნებს, მონღოლების უღელს დაიდგამს საქართველო.»

ქორონიკონი მეოცე საუკუნის უკანასკნელ წელს ითვლიდა. სოფელ ნაიარევის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში, ჭადრის ხის ძირას პაპა მახარე ხის სკამზე იჯდა და მის გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდებთან მუსაიფობდა. წირვა ახალი დამთავრებული იყო. ხალხი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, ეკლესიის ეზოდან წასვლას არ ჩქარობდა. ყველას სურდა, რომ პაპა მახარესთვის დაეგდო ყური, იცოდნენ,რომ მისგან დიდი სიბრძნე მოდიოდა. იოანე ოქროპირის ლიტურღიის შემდეგ ეკლესიიდან გამოტანილ მადლს მახარე პაპას სიბრძნეს მიუმატებდნენ და ღმერთის მადლითა და ბრძენკაცის სიტყვით მიღებული სულიერი სიმდიდრე მეორე კვირის წირვამდე ეყოფოდათ საგზლად. საუკუნის დასაწყისში დაბადებული მოხუცი მხნედ გამოიყურებოდა. თეთრი წვერ-ულვაშით შემოსილი, საუკუნესავით მხრეგანიერი მახარე ამაყად იჯდა სკამზე და ღიმილსა და სითბოს აფრქვევდა ხალხში. მის მაყვალივით შავ თვალებში ბევრ ჭირ - ვარამს ამოიკითხავდით. როგორც ჩანდა, ღმერთს იგი განსაკუთრებული სულიერი მისიით ჰყავდა მიწაზე გამოგზავნილი. მახარეც, მიუხედავად ღრმად მოხუცებულობისა, ისევ ახალგაზრდული ენერგიით ასრულებდა უფლის დავალებას.

_ მახარე პაპა, _ მორიდებით დაიწყო საუბარი ახალგაზრდა ყმაწვილმა - ოთარ კაიშაურმა, თან ღელავდა და თავის ნერვიულობას დახუჭუჭებულ წაბლისფერ თმებში ხელების ხშირი მოძრაობით გამოხატავდა, _ იმ დღეს გვითხარით, რომ საქართველოს ყველაზე დიდი უბედურება მონღოლებმა მოუტანესო. ისტორიას გადავხედე და სხვაც

ბევრი მტერი გვყოლია, ისეთებიც, ვინც მონღოლებს აჯობეს ქვეყნის დაქცევაში. _ ბუღა თურქი, თემურ ლენგი, შაჰ-აბასი და სხვები. მონღოლი საქართველოში არც დამჯდარა, უფრო ხარკის აკრეფით კმაყოფილდებოდა, რასაც ჩვენი მეფეები კარგად ართმევდნენ თავს.

_ სწორი ხარ, ოთარ შვილო, _ დაბალი ხმით წამოიწყო მახარემ, თან თეთრ წვერზე ჩამოისვა ხელი, _ მემატიანეები, ახლა ისტორიკოსებს რომ ვუწოდებთ, ოდითგანვე მომხდარის გადმოცემით კმაყოფილდებოდნენ, რომლის ანალიზს არ აკეთებდნენ. პირიქით, ბევრ რამეს აზვიადებდნენ და ხშირად ფაქტების გაყალბებასაც არ ერიდებოდნენ. რაც შეეხება მონღოლებს, ისინი ღმერთმა საქართველოს დასასჯელად გამოგზავნა.

_ მარტო მონღოლი, მახარე პაპა? მას ხომ თურქი და სპარსელიც მოჰყვა.

_ ძირითადი სასჯელი მაინც მონღოლი იყო, შვილო, _ თქვა მოხუცმა, ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო, _ მონღოლების განდევნის შემდეგ არც თუ დიდი დრო იყო გასული, რა თქმა უნდა, ისტორიისთვის, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველო ისევ მონღოლებმა დაიპყრეს, ოღონდ ამჟამად რუსმა მონღოლებმა. აბა, წარმოიდგინეთ, ორასი წელიწადი მონღოლი რუსეთში იჯდა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, «რუსი კარგად რომ გახეხო, მონღოლი შეგრჩება ხელშიო». თუ ვინმეს ჰგონია, მონღოლი კულიკოვოს ველზე რუსმა დაამარცხა, ძალიან ცდება. მონღოლი თავისმა სისხლმა და ხორცმა – რუსმა მონღოლმა დაამარცხა. ორასი წელი რვა თაობაა. ასე, რომ მონღოლი საფუძვლიანად ჩაჯდა რუსში. ასეთმა რუსმა დაიპყრო საქართველო ათას რვაას პირველ წელს, უკვე მეორედ, მაშინვე გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფელია და დაუქვემდებარა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ნიკონურ მიმდინარეობას, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა რუსეთში და რომელზეც საკმაო გავლენას ახდენდა მსოფლიო მასონური მოძრაობა. მესამედ უკვე ბოლშევიკმა რუსმა მონღოლებმა, საქართველო დაიპყრეს ათას ცხრაას ოცდაერთ წელს და როგორც ანტიქრისტეს მიმდევრებმა, მაშინვე ბრძოლა გამოუცხადეს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. მათ კარგად იცოდნენ, რომ თუ ქართველ კაცში წაშლიდნენ ღმერთისადმი სიყვარულს, მისი დამორჩილება ძალიან ადვილი იქნებოდა.მე კარგად მახსოვს ჩვენს სოფელში ბოლშევიკებმა, რომელთაც მხარი ზოგიერთმა ადგილობრივმა მაცხოვრებელმაც დაუჭირა, გაძარცვეს ეს წმიდა ტაძარი. რომლის ეზოშიც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, შეურაცჰყვეს უფალი და ნაიარეველებს «სალოცავად» დიდი მონგოლოიდის, ლენინის სურათი ჩამოუკიდეს. «ღმერთგამოცვლილი» სოფლელები შეესივნენ წმიდა გიორგის ტაძარსა და ეზოს, დასწრებაზე იყვნენ, ვინ ვის აჯობებდა უფლის სახლის ძარცვაში. ზოგიერთს სახლში საფლავის ქვებიც კი მიჰქონდა, მშენებლობისთვის გამომადგებაო. მადა ჭამაში მოდისო და კერპთაყვანისმცემელთა ბრბომ ტაძრის ეზოს მითვისებაც დაიწყეს. ეს რომ ბოლშევიკებმა დაინახეს, იფიქრეს ხალხი დიდ ლუკმას წაგვართმევსო და ტაძრამდე აღარ მიუშვეს ისინი. სულ მალე ტაძარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწყობი გაიხსნა. ძირითადად აზერბაიჯანიდან გადმოტანილ თხილს ინახავდნენ. მოსახლეობამ კი მაინც მიიტაცა ეკლესიის ეზოს პატარ-პატარა ნაკვეთები.

_ მახარე პაპა, ამბობენ, ეკლესიიდან კენჭის წაღებაც არ შეიძლება, ეს ღმერთის განრისხებას იწვევსო. _ წამოიძახა ქერათმიანმა გოგონამ, რომელიც გაბრდღვიალებული

თვალებით შესცქეროდა მოხუცებულს.

_ ასეც მოხდა, შვილო. ამის გამკეთებელი ზოგი მოკვდა, ზოგმა თავი ჩამოიხრჩო და საერთოდ ტაძრის გარშემო ბევრი შვილმკვდარი ოჯახი ცხოვრობს. სანამ მონღოლი იქნება ჩვენთან, ყოველთვის დიდი ბრძოლა გვექნება ბოროტთან.

_ რა უნდა გავაკეთოთ, მახარე პაპა, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ვიპოვოთ? _ ჰკითხა ოთარმა და სულგანაბული დაელოდა პასუხს.

_ ჩვენ უნდა გვწამდეს, გვიყვარდეს, ვსასოებდეთ და თაყვანს ვცემდეთ ჭეშმარიტ ღმერთს. დღეს, როგორც არასდროს, სწორედ ეს კანონია დარღვეული, ურწმუნოება, ღმერთის არსებობისა და სულის უკვდავებისადმი ეჭვი ბინდავს ადამიანის გულსა და გონებას. ზოგიერთნი მისდევენ მისნობას, ხშირია მწვალებლობა, მკრეხელობა მღვდლისადმი, ეკლესიის სიწმინდისა და წმიდა საიდუმლოსადმი უსულგულო დამოკიდებულება. ადამიანები ღმერთის ნაცვლად იმედს ამყარებენ მათზე, რომელნიც არიან ძლიერნი ამა სოფლისანი, ანდა საკუთარ მაღალ თანამდებობასა და სიმდიდრეზე. გაძლიერდა ათასნაირი სექტები.

_ მახარე პაპა, _ ქართველ კაცს საუკუნეების განმავლობაში გაუძვლია ურჯულოთა შემოტევებისათვის და არ დაუთმია მართლმადიდებლობა. ჩვენ ყოველთვის სულით ძლიერნი ვიყავით. ეხლა რა დაგვემართა? ასე უბრძოლველად რომ ვტოვებთ სათაყვანებელ რჯულს?

_ ეგეც ამ გადაჯიშებული მონღოლების ბრალია, კომუნისტებს რომ უწოდებენ თავის თავს. მათი მმართველობის პერიოდში ყველაფერი ზევიდან იგეგმებოდა, მათ შორის ავადმყოფებიც და თქვენ წარმოიდგინეთ მკვდრებიც კი. ამასთან ყველა გეგმას თავისი შესრულების ინსტრუქცია ახლდა თან, რასაც ადამიანის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი ნულამდე დაჰყავდა. კომუნისტების წასვლის შემდეგ ასეთი დაპროგრამირებული ადამიანი უმოქმედო გახდა, მისი გონება ზევიდან დაშვებული მითითებების გარეშე დარჩა და წარმოიშვა სიცარიელე. აი, აქ კი დასწრებაზე იყვნენ სხვადასხვა სექტები და ჯადოქრები, რათა საკუთარი მიმდინარეობის პროგრამებით შეევსოთ ადამიანების დაცარიელებული გონება და თავისკენ გადაებირებინათ ისინი. ეხლა მიპასუხეთ თქვენ, მათ მიაღწიეს თუ არა ამას?

ნაამბობით დათრგუნული ახალგაზრდები მხოლოდ შეიშმუშნენ და ხმას ვერ იღებდნენ. მახარემ კი განაგრძო:

_ იმ დღეს გზაზე ერთი ქალი შემხვდა. მაშინვე მივხვდი რომ ქალაქელი იყო. მკითხა: სოფელ ელთას გზა მიმასწავლე, მოლასთან მინდა მისვლაო. მე ვუთხარი, ეკლესიის გზას მიგასწავლი მოლას კი ვერა მეთქი. რა აღარ ველაპარაკე, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. ბოლოს გამწარებულმა იკივლა: «მე მოლას გზა მჭირდება და არა ეკლესიის, შე გამოჩერჩეტებულო ბებეროო.» მე კიდევ ერთხელ ვცადე მისთვის ჭეშმარიტების გზა მეჩვენებინა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ვუთხარი, მოლას სოფლის გზა ვიცი, მაგრამ არ გეტყვი-მეთქი - აღელვებული ხმით დაამთავრა საუბარი მახარემ. შემდეგ თვალიდან ცრემლი მოიწმინდა და განაგრძო _ აი, რატომ გვსჯის უფალი. მისი კანონების დარღვევას პირველივე მცნებიდან ვიწყებთ.

მახარე შიოშვილმა თავისი დაბადების წელი ზუსტად იცოდა. იგი ათას ცხრაას ათ წელს მოვლინებია ამ ქვეყანას. მშობლები ხშირად ეტყოდნენ ხოლმე, როცა დაბადებულა, თურმე იმ ღამეს მარანში ყურძნის წვენი დამაჭრებულა და მთელ სახლში

საამო სურნელი ტრიალებდა. ხანდახან ეხუმრებოდნენ კიდეც: «შენთვის მახარე კი არა, მაჭარე უნდა დაგვერქმიაო». როგორც ცნობილია, უფლის ნების გარეშე ამ ქვეყნად არაფერი ხდება და ალბათ მახარეს ხასიათშიც დარჩა დაბადებისდროინდელი მაჭრის დუღილი და ოთხმოცდაათწელს მოღწეულ მოხუცს აზროვნებაც და მოძრაობაც ახალგაზრდული ჰქონდა. აი, ასე იჯდა ახალგაზრდებს შორის მოხუცი «ახალგაზრდა» და ცხოვრების მანძილზე დაგროვილ სიბრძნეს გადასცემდა ნაიარევის მომავალ პატრონებს. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების ქარტეხილიან გზაზე მას ერთხელაც არ ჩაუმუხლავს, ერთი მრუდე ნაბიჯი არ გადაუდგამს უფლისა და ხალხის საზიანოდ. – აბა, ახლა შემდეგი მცნება გავიხსენოთ, - შთაგონებით იმეორებს უფლის მეორე მცნებას: **- არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყანასა: არა თაყვანი- სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.**

მერე ჩუმდება და ისევ ახალგაზრდებს უგდებს ყურს:

_ მახარე პაპა, _ საუბარში ჩაერთო შოთა ბიჭიაშვილი, _ თქვენგან ხშირად გვსმენია ჩვენი სახელოვანი წინაპრების შესახებ, რომლებმაც მრავალჯერ იხსნეს ჩვენი ქვეყანა განსაცდელისაგან. საოცარია ეს მებრძოლი სული მეცხრამეტე საუკუნის ქართველებში რამ ჩაკლა, რომ ასე დაბლა დაუხარეს რუსეთს თავი.

მახარემ სინანულით დაიქნია ჭაღარაშემოსილი თავი და ჰკითხა შოთას:

_ სოლომონ ბრძენი ვინ იყო, ხომ იცი?

_ რა თქმა უნდა.

_ ჰოდა, ერთხელ მისმა გარემოცვამ გადაწყვიტა საკუთარი მეფე ამპარტავნებაში ჩაეგდო და ჰკითხეს: «ყველაზე ძლიერი და მდიდარი კაცი ვინ არის მსოფლიოშიო». ამას კი კითხვა რად უნდოდა, როცა ყველამ იცოდა, რომ ესეთი კაცი თვით სოლომონი იყო. იფიქრეს ჩიხში შევიყვანთ და თავის თავზე ქებას ვათქმევინებთო. მან კი იცით რა უპასუხა?

ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს და პასუხის უქონლობის გამო მხრები აიჩეჩეს.

_ «ყველაზე ძლიერი და მდიდარი კაცი ის არის მსოფლიოში, ვისაც ეშინის უფლისაო». აი, სწორედ უფლის შიშის გრძნობა ჩაკლეს რუსმა მონღოლებმა ქართველებში. ღმერთის ნაცვლად ფიზიკური სხეულებისადმი და არასულიერი საგნებისადმი თაყვანისცემის სურვილი გაუძლიერეს, რამაც თავის მხრივ წარმოშვა სხვა ცოდვითი მიდრეკილებებისადმი მონობა. ზოგს სიმდიდრის შეძენისაკენ გაუხსნეს გზა, რადგან შეატყვეს, რომ მათი კერპი იყო სიმდიდრე, ზოგი პატივმოყვარეობის ავადმყოფური სენით იქნა შეპყრობილი. ზოგმა მთავარ საქმედ ხორციელი სიამოვნება გაიხადა, ზოგმა ლოთობა, აზარტული თამაშები და ბევრი რამ უზნეო მოქმედებანი. ღმერთი და მისადმი მსახურება დაავიწყდათ. ქართველი თავად-აზნაურები თავისი თავის კერპებად რომ ექციათ, ჩინ-მედლებსა და წოდებებს არ აკლებდნენ. ამის შემდეგ ბევრმა თავისი თავი ღმერთზე მაღლა დააყენა. მათი «ღვაწლის» დამფასებელი რუსთა მეფე და მისი ჩინოვნიკები კერპებად გაიხადა. რწმენა სათადარიგო საქმედ აქცია. როდესაც რაიმე მატერიალური დასჭირდებოდა, მხოლოდ მაშინ ახსენდებოდა უფალი და მისი ეკლესია. ასეთი კერპთაყვანისცემის პირობებში, თვით ცოდნის შეძენის დაუოკებელი სურვილი, მეცნიერულ აღმოჩენათა სიმრავლე ფასს კარგავს, თუ მას

რწმენა და სიყვარული არ განსაზღვრავს, რადგან ასეთი ცოდნა შეიძლება დიდი ბოროტების მომტანი გახდეს. აი, ასეთი ვერაგი მიზნები ამოძრავებდათ და დღესაც ამოძრავებთ რუს მონღოლებს ქართველებისადმი, ნაწილობრივ ამას მიაღწიეს კიდეც. ჩვენს სოფელში ერთი კაცი, რომელიც უკვე ცოცხალი აღარაა, კომუნისტებმა ეკლესიის წარმატებული ძარცვისა და დაქცევისათვის ლამის გმირად აღიარეს. მასაც თავში აუვარდა. თავი ამაღლებულ პიროვნებად წარმოიდგინა და ამპარტავნებაში ჩავარდნილმა სხვა გასართობი რომ ვერა ნახა, ოცდაჩვიდმეტში ხალხის დასმენა დაიწყო და ბევრი პატიოსანი ოჯახი გააუბედურა. უფალმა მაშინვე არ მოუვლინა სასჯელი. აცალა, იქნებ გონს მოეგოს და მოინანიოსო, მაგრამ უშედეგოდ. ოთხი ვაჟკაცი ჰყავდა, ოთხივე მისი დასატირებელი გახდა. მეუღლე გარდაეცვალა, ხოლო თვითონ ჯერ დაბრმავდა, მერე ინსულტი დაემართა. ღმერთს ეხვეწებოდა მომკალიო, მაგრამ ვერ კვდებოდა. ჯიუტობდა და დანაშაულის აღიარება არ უნდოდა. ბოლოს გონს მოეგო და აღიარა თავისი ცოდვები, რის შემდეგაც განუტევა სული.

მახარემ მცირე ხნით შეწყვიტა საუბარი, მის გარშემო მყოფ სმენადქცეულ ახალგაზრდებს თვალი მოავლო და განაგრძო:

_ მაშ იყავით ბრძენნი, თავშეკავებულნი, თავმდაბალნი და ღვთისმსასოებელნი.

მესამე მცნება: არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა.

მახარე ფეხზე წამოდგა. მივიდა ეკლესიის კართან, პირჯვარი გადაიწერა, დაიჩოქა, მერე დაიხარა, შუბლით მიწას შეეხო და წარმოთქვა:

_ დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა.

ახალგაზრდები დაძაბულები უყურებდნენ ბერიკაცს. როგორც ჩანდა იგი რაღაც განსაკუთრებულის სათქმელად ემზადებოდა. მოხუცი დაუხმარებლად წამოდგა, სკამთან მივიდა, დაჯდა და მშვიდად დაიწყო:

_ შვილებო, ღმერთის სახელი ყოველთვის დიდი კრძალვითა და შიშით უნდა წარმოვთქვათ. ესაია წინასწარმეტყველი ასე აგვიწერს თავის ხილვას: «ვიხილე უფალი მჯდარი ამაღლებული, ზეაღმართულ ტახტზე, და მისი კალთები ავსებდა ტაძარს. თავით სერაფიმები ედგნენ, ექვს-ექვსი ფრთა ესხა თითოეულს; ორით სახეს იფარავდნენ, ორით ფეხებს იფარავდნენ, ორით ფრენდნენ და . . .ამბობდნენ: წმიდაა! წმიდაა! წმიდაა საბაოთ უფალი! მისი დიდებით სავსეა ქვეყნიერება». აი, როგორი მოწიწებით მსახურებენ ღმერთს ზეციური ძალები. მით უმეტეს, ჩვენ მეტი რიდი და თაყვანისცემა გვმართებს. დანაშაულია, როდესაც უბრალო და უსარგებლო ლაპარაკისას ღმერთის სახელს ახსენებენ. კიდევ უფრო დიდი და მძიმე ცოდვაა თუ ღმერთის სახელით ტყუილად იფიცებენ. ღმერთის გმობა, ღმერთის სამართლის განკითხვა, ლოცვისას უგულისყურობა, აღთქმის დარღვევა და კიდევ მრავალი სხვა ცოდვა წინააღმდეგია მესამე მცნებისა.

«მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი, ექვს დღეს იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღმრთისა შენისა» - ის იყო მახარე პაპამ გაასრულა მეოთხე მცნების თქმა, რომ ეკლესიის ეზოში შალვა ნადირაძე შემოვიდა. გამხდარი და მაღალი კაცი იყო შალვა. სამოცდაათ წელს გადაბიჯებული ისევ მხნედ გამოიყურებოდა. თავისზე უმცროსებს ზოგჯერ მუშაობაშიც ჯობნიდა და ქეიფშიც. ყველასთან იუმორით უყვარდა საუბარი, მხოლოდ მახარესთან

ვერ ბედავდა, ცდილობდა თავი შეეკავებინა, მაგრამ ხალხში იტყვიან ხოლმე, «ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო» და ისიც ხანდახან მახარესაც არ ეპუებოდა. ახლაც, როდესაც დაინახა ახალგაზრდებით გარშემორტყმული შიოშვილი, შორიდანვე დაუძახა:

_ აკი შენ არ იტყვი ხოლმე, მახარე, კვირას მუშაობა არ შეიძლებაო?! _ თან აჩქარებული ნაბიჯით მოიწევდა ხალხისკენ. მოსვლისთანავე განაგრძო, _ გამარჯობათ, ყმაწვილებო! თვითონ არ ისვენებს და თქვენ რაღას გერჩით?

ახალგაზდები ღიმილით შესცქეროდნენ კიდევ ერთ პაპას. შემდეგ, პასუხის მოლოდინში ყველანი მახარესკენ შებრუნდნენ. შიოშვილმაც არ დააყოვნა:

_ სულ ხუმრობის ხასიათზე როგორ უნდა იყო, კაცო?

_ აბა, რა ვქნა, ჩემო მახარე. სხვანაირად ცხოვრებას აზრი ეკარგება. შენსავით ბევრს მაინც არა ვლაპარაკობ.

_ მე ვლაპარაკობ ბევრს? _ გაიკვირვა მახარემ, _ შენი ენა გაჩერებული არავის უნახავს და ჩემსკენ იშვერ ხელს?

_ კაცოო, ეს ვინ არი! _ გაეცინა შალვას, _ აი, რას ნიშნავს შენ დროს სკოლაში არითმეტიკას რომ არ ასწავლიდნენ. მე და შენ ორივემ ლაპარაკი სამი წლის ასაკში დავიწყეთ. გამოდის, რომ შენ ოთხმოცდაშვიდი წელიწადია რაცა ლაპარაკობ და მე კი მხოლოდ სამოცდაათი. აბა, ვის უფრო მეტი აქ ნალაპარაკევი ჰა?

_ ეეჰ, რაც იყავი, ისევ ის დარჩი, შენი გამოსწორება არ იქნება, _ გაეცინა მახარეს და ხელი ჩაიქნია, _ რა გინდა თუ ეკლესიაში მოხვედი, შედი და ილოცე თუ არადა ჩვენ თავი დაგვანებე.

_ კაცო, მახარე, ამ ბავშვებს ერთი კვირა დღე აქვთ და გაუშვი სახლებში, ცოტა თავის ნებაზე მაინც დაისვენონ და შენც გაჩერდი, დღეს უქმეა, ადამიანო. _ თქვა შალვამ და ეკლესიიკენ გასწია.

_ ისე სადღაც სწორი ხარ, შალვა, _ თქვა მახარემ, _ დღეს უქმეა და უნდა ვისვენებდეთ.

_ მახარე პაპა, _ საუბარში გიორგი აფციაური ჩაერთო, ახალგაზრდა ქერათმიანი ჭაბუკი, _ ბიბლიაში წერია, რომ ღმერთმა ექვს დღეში შექმნა სამყარო, მეშვიდე დღეს კი დალოცა იგი, აკურთხა და საქმისაგან დაისვენა. ეს მეშვიდე დღე შაბათი იყო. კვირა როგორღაა დასვენების დღე?

_ ქრისტიანები უქმობენ შაბათსაც და კვირასაც, რადგან კვირა იესო ქრისტეს აღდგომისა და ჩვენი ხსნის დღეა, ამ მცნების დარღვევით ცოდავენ ისინი, რომლებიც ამ დღეებში არ უქმობენ, არ ზეიმობენ. დღესასწაული ყოველთვის წინა დღის საღამოდან იწყება. თუ მორწმუნე ხარ, ამ დღეს ყველა საქმე უნდა დატოვო და ეკლესიაში წახვიდე, რათა მიიღო ღმერთის კურთხევა. დღესასწაულისა და კვირის წირვაზე დასწრება ხომ ყოვლად აუცილებელია. წირვისას იკითხება და იგალობება სპეციალური ლოცვები, რომელიც დიდი ძალის მიმცემია რწმენითა და სიყვარულით მოსულთათვის. სამწუხაროდ, დღეს ხშირია ოჯახები, რომელთა წევრები გამუდმებით მუშაობენ, არ იციან შაბათ-კვირა და დღესასწაული. ისინი, როგორც წესი, უბარაქონი და უმადლონი არიან, რადგანაც მათზე არ არის ღმერთის ლოცვა-კურთხევა.

_ რამ შექმნა ასეთი მდგომარეობა? _ იკითხა გიორგიმ, _ ძველად ხომ თითქმის ყველა ქრისტიანი იცავდა ამ მცნებას და თუ არ იცავდა, იცოდა მაინც?

_ ეს ყველაფერი გადაგვარდა კომუნისტების შემოსევის შემდეგ. ათას ცხრაას

ოცდაერთ წელს საქართველოში ათას ოთხას ორმოცდაათი მოქმედი ტაძარი იყო, ხოლო ათას ცხრაას ორმოცდახუთ წელს ეს რიცხვი ოცდაცხრამდე დაიყვანეს. შაბათის უქმეობა რომ გაებათილებინათ, შაბათობები შემოიღეს და ეს ღონისძიებები ხან შაბათს, ხან კვირას ეწყობოდა. ბევრი სხვა ანტიქრისტიანული საქმიანობაც გააჩაღეს. გადმოცემით ქრისტეს ჯვარზედ წამებას ვარაუდობენ პირველ აპრილს, ამიტომ კომუნისტებმა ასეთი ხუმრობა გაავრცელეს; «დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია» ან კიდევ «სანამ პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გააძვრესო». ბოლოს გადაწყვიტეს მთავარი მოციქულის სახელის მასხრად აგდება და მთელი საქართველო «სიმონას» გაიძახოდა, რაც დაბალი დონის და უვიც პიროვნებას ნიშნავდა, ამას დაემატა ისიც, რომ ბევრმა ადამიანმა, რომელსაც სიმონი ერქვა, თავისი გაუნათლებლობისა და სიბეცის გამო სახელი გადაიკეთა. ასე, რომ სატანისტ-კომუნისტებმა ტვინი აურიეს ხალხს. მერე ეს არ აკმარეს და საათების გადაწევა-გადმოწევა დაიწყეს, რითაც ბევრი ადამიანი დაავადმყოფდა. ასე რომ ჩვენ თუ უფლის მიერ დაწესებულ დასვენების დღეებს არ დავუბრუნდით, შეიძლება მალე გადავშენდეთ.

_ აბა, კარგად დაუგდეთ ყური, შვილებო, უფალი რას გვეუბნება:

მეხუთე მცნება: პატივი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა.

_ მახარე პაპა, _ გაისმა შეჯგუფებული ახალგაზრდების გუნდში. ყველამ გაიწ-გამოიწია და გაატარა ახალგაზრდა შავგვრემანი ბიჭი, გიორგი კერატიშვილი, რომელიც აქამდე სმენად იყო გადაქცეული და ადგილიდან არ დაძრულა. ეხლა როგორც ჩანს, მეტად საჭირო კითხვის პასუხი აინტერესებდა, ამიტომაც ახლოს მივიდა მოხუცთან და ჰკითხა:

_ ხშირად მესმის უფროსებისგან ერთი და იგივე: «ეს რა ახალგაზრდობა მოდის, არა აქვთ ზრდილობა, მშობლებისა და უფროსების მიმართ პატივისცემის გრძნობა» და კიდევ ბევრი სხვა რამ. კი, მაგრამ მარტო ჩვენი თაობაა სალანძღავი თუ ეს ადრეც ასე ხდებოდა?

_ არა, შვილო, _ გაეცინა მახარეს, _ ასეთი ლაპარაკი უფროსი თაობის ადამიანებმა ხშირად იციან, ეს ჩემს ახალგაზრდობაშიც იყო, მაგრამ რა თქმა უნდა, ყველა თაობა ერთი და იგივე საზომით არ იზომება. ჩემი ახალგაზრდობის პერიოდში ზნეობრივი ნორმები უფრო მეტად იყო დაცული, ვიდრე ახლა. ახალგაზრდობის გადაგვარების საქმეში ისევ რუსი მონღოლების მოდგმამ, კომუნისტებმა შეიტანეს ლომის წილი. მათ თავიანთი ყალბი იდეოლოგიით მშობლები წაართვეს შვილებს და მათ მაგივრად აიძულებდნენ პატივი ეცათ კომუნისტური პარტიის იდეალებისა და მათი ბელადებისათვის. ახალგაზრდობა დააბრმავეს. იყო ხშირი შემთხვევები, რომ შვილები ასმენდნენ მშობლებს სხვადასხვა «დანაშაულის» გამო. ასეთებს მიეკუთვნებოდა: სამშობლოს და სარწმუნოების სიყვარული, პატივისცემა წინაპრებისადმი, ეროვნულობისადმი და ასე შემდეგ. ამით მათ მიაღწიეს იმას, რომ მოსახლეობის უმრავლესობა სპეცსამსახურების აგენტებად აქციეს და მათი ცრუდასმენების მეშვეობით ოცდაათიან წლებში ბევრი პატიოსანი ადამიანი დაისაჯა სიკვდილით და სამუდამო კატორღით. მონღოლ-კომუნისტებმა ადამიანის გონებიდან ამოგლიჯეს მეხუთე მცნება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არეგულირებდა ამ საქმეს.

_ პაპა მახარე, იქნებ უფრო დაწვრილებით აგვიხსნათ ამ მცნების არსი? _ იკითხა კერატიშვილმა და თან შეკრებილ ახალგაზრდებს გადახედა, თითქოს დასმულ კითხვაზე მათგანაც პასუხს ითხოვსო.

_ ეს მეტად მნიშვნელოვანი მცნებაა, შვილო. მშობლების პატივისცემაზეა დამოკიდებული შვილების კეთილდღეობა. წმიდა წერილი გვასწავლის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედ-მამის დალოცვას, ოღონდ დალოცვა უნდა იყოს დამსახურებული, მშობლების დაფასებით მოპოვებული. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ავადმყოფ, ხანდაზმულ, დაუძლურებულ მშობლებს. არადა, ზოგიერთი თავიდან იშორებს და ელოდება მათ სიკვდილს. ზოგმა ასეთი ქმედება შემოსავლის წყაროდაც აქცია. ეს საშინელი სისასტიკეა. მშობლები სწუხან, ტირიან შვილების უდიერი საქციელის გამო, თუმცა უმეტეს წილად თვითონ არიან დამნაშავენი, რადგან ქრისტიანული რწმენითა და სიყვარულით არ აღზარდეს ისინი. დედ-მამის უპატივცემულობის მიზეზით შვილები შემდეგ სხვადასხვა ავადმყოფობებით იტანჯებიან. მათ ოჯახში არ არის სიმშვიდე და სიყვარული. ჩვენს სოფელში ცხოვრობს ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც მშობლების წაყრუებით მონღოლურ-კომუნისტური იდეოლოგიით აღიზარდა. როდესაც ქვეყანა გადაბრუნდა, იგი , როგორც კომუნისტური წყობილების ბევრი ჩინოვნიკი, უმუშევარი დარჩა. ყველამ კარგად იცით, ამ დროს ადამიანი ახდენს თავისი შინაგანი ენერგიის, აზროვნების მობილიზებას, რათა დამოუკიდებლად წამოიწყოს რაიმე საქმიანობა, რომელიც კეთილად წაადგება, როგორც მის ოჯახს, ისე ქვეყანასა და ხალხს. ამ ახალგაზრდა კაცმაც გამოიყენა თავისი გამოცდილება, რომელიც მიღებული ჰქონდა თავისი აღმზრდელი მონღოლ-კომუნისტებისაგან და პირველ რიგში თავისი მშობლების განადგურება დაიწყო. ჯერ ცალკე გადაიყვანა საცხოვრებლად ეზოში მდებარე სათავსოში. შემდეგ იქვე ახლოს მდებარე წყლის ონკანი გაუუქმა. მოხუც, დაუძლურებულ მშობლებს კვებაც შეუზღუდა, რათა მალე დახოცილიყვნენ და გასვენებიდან შემოსული ფული მოეგდო ხელში. აგრეთვე მოიმიზეზა შვილის ავადმყოფობა, სოფელში დაიწყო სიარული და სამკურნალოდ საკმაოდ სოლიდური თანხა შეაგროვა. შემდეგ ეს ფული მშობლების გასვენების დროს დაატრიალა და მალე საკუთარი საქმე დაიწყო. ასეთი სატანური გზით ნაშოვნი ფულით ის მალე გამდიდრდა, მაგრამ მერე შვილი მართლა ავად გაუხდა, მეუღლეს სიმსივნე შეეყარა. ის კი დარჩა ნაშოვნ ქონებასთან ერთად მარტო და ისე ჯიუტად დგას, უფალს არ სთხოვს პატიებას. ღმერთი კი გულმოწყალეა და ჯერ კიდევ ელოდება მისგან ცოდვების მონანიებას. ყველას უნდა ახსოვდეს: როგორც თვითონ ექცეოდა მშობლებს, ისე მოექცევიან მას თავისი შვილები. მეხუთე მცნება ასევე გულისხმობს კეთილ დამოკიდებულებას უფროსი ადამიანების, ახლობლების მიმართ; მაგრამ თუ მშობელი ან ნებისმიერი სხვა პიროვნება ჩვენგან ღმერთის საწინააღმდეგო საქმის აღსრულებას ითხოვს, არა ვართ ვალდებულნი დავემორჩილოთ მას. უფლის ყველა სიტყვა და შეგონება თვითოეული მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ცხოვრების წესად უნდა იქცეს, მაგრამ მე მაინც მინდა, რომ ეს მცნება, რომელსაც ახლა გეტყვით, გულში კარგად ამოიჭრათ და გახსოვდეთ, რომ უფლის მიერ ნაბოძები სიცოცხლის წართმევა გარდა უფლისა, არავის ძალუძს:

მეექვსე მცნება: არა კაც ჰკლა.

ტაძრის ეზოში, ჭადრის ქვეშ შეკრებილ ახალგაზრდებს შორის სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. უცებ ჭადრის ხის ფოთლებმა შრიალი დაიწყეს.. მახარემ აიხედა ზევით. დიდხანს უყურა მოშრიალე ხეს. შემდეგ ნიავი შეჩერდა, ხიდან ერთადერთი ხმელი ფოთოლი ჩამოვარდა და მახარეს ფეხებთან დაეცა. მოხუცი დაიხარა, ხელში აიღო ხმელი ფოთოლი, დიდხანს უყურა. ცრემლით აევსო თვალები. არ უნდოდა რომ შეემჩნია, მაგრამ თავს ვერ იკავებდა.B

ბოლოს დაწყნარდა. ღრმად ჩაისუნთქა. ხმელი ფოთოლი იქვე მდგარ სკამზე დადო, ახალგაზრდებს თვალი შეავლო და დაიწყო:

_ ეს ამბავი ორმოცდაათი წლის წინ მოხდა. როგორც გითხარით, ამ ეკლესიას კომუნისტები საწყობად იყენებდნენ. საწყობი კი რა საწყობია თუ მას ქურდმა არ მიაკითხა. ფერისცვალების ღამეს, რომელიც ღრუბლიანობის გამო ძალიან ბნელი იყო, საწყობს შუაღამისას ორი ჩვენი თანასოფლელი მიადგა. ადვილად გატეხეს კარი და დაიწყეს თავისი შავი საქმე. ვინაიდან ტაძარს ღობე მორღვეული ჰქონდა, მოსახლეობა მის ეზოს მოკლეებზე გადასასვლელად იყენებდა. სწორედ ამ გზაზე მიდიოდა სოფლის ერთ-ერთი წესიერი და მორწმუნე კაცი - რეზო გვარიშვილი. სტუმრად ყოფილიყო ბიძაშვილთან და უკან დასაბრუნებელ გზად ტაძრის ეზო აერჩია, სიტყვა უთქვამს ბიძაშვილთან, «ფერისცვალების ღამეს ტაძართან პირჯვარს გადავიწერ, ცოტას ვილოცებ, მაინც ღამეა ვერავინ დამინახავსო». ტაძრის კართან მისულს, შიგნიდან ხმაური შემოესმა _ «რომელი ხარო?» _ დაუძახია. ხმაური წამით შეწყვეტილა, მაგრამ ხმა არავის ამოუღია. რეზოს ასანთი აუნთია და ტაძარში შესულა. ამ დროს ვიღაცას დაუძახია «მოკალი თორემ ჩაგვიშვებსო!» ამის თქმა იყო და ერთ-ერთ ქურდს დანა დაურტყამს მისთვის მუცელში. რეზო ფიზიკურად დიდი და ჯანიანი კაცი იყო. დაჭრილს მკვლელისთვის ხელი ჩაუვლია და დაუღრიალია «ვინა ხარო!» მერე გარეთ გამოუთრევია, აი, ამ ჭადრის ქვეშ, მაგრამ მკვლელი გასხლტომია სისხლისგან დაცლილ რეზოს, დანა მეორედ მოუქნევია და ჭრილობა გულის არეში მიუყენებია. შემდეგ ამ არაკაცს მომაკვდავი ადამიანი ჭადრის ქვეშ, ტაძრის შესასვლელ კართან, მართლა ღვთის ანაბარა დაუგდია და თავის თანამზრახველთან ერთად გაქცეულა. უფალმა იმდენი ძალი და ღონე მისცა ისედაც ფიზიკურად ძლიერ გვარიშვილს, რომ საკუთარ სახლამდე ცოცხალს მიუღწევია და სული იქ დაულევია, თან უცვნია მკვლელი და დაუსახელებია კიდეც. მეორე დღეს მე ვიყავი მისული მკვლელობის ადგილზე და ჭადრის ხიდან ჩამოვარდნილი ერთადერთი ხმელი ფოთოლი ვიპოვე, აი ზუსტად ასეთი, როგორიც ეხლა ჩამოვარდა. მკვლელი ციხიდან მალე გამოვიდა, ბიჭიც შეეძინა და მალე ყველაფერი დაავიწყდა. მას კი დაავიწყდა, მაგრამ ღმერთს არ ავიწყდება არაფერი. მკვლელობიდან ოცდაათი წლის თავზე მკვლელის ვაჟი მანქანით მიდიოდა გზაზე. ფხიზელსა და გონიერ ახალგაზრდას უცებ საჭე აუთამაშდა ხელში და დაეჯახა ისეთივე ჭადრის ხეს, როგორთანაც მამამისმა კაცი მოკლა. დარტყმა არ იყო ძლიერი, მაგრამ ახალგაზრდა კაცი ადგილზე მოკვდა. როდესაც გასინჯეს, გული ჰქონდა გახეთქილი, ხოლო ერთი ნეკნი ღვიძლში შერჭობოდა. ეს, ალბათ, რეზო გვარიშვილისთვის მიყენებული იმ ორი ჭრილობის საზღაური იყო. ის წესიერი ახალგაზრდა მამის ცოდვას გადაჰყვა. საკვირველი კი ის იყო, რომ ავარიის ადგილას ჭადრის ხიდან ერთადერთი ხმელი ფოთოლი იყო ჩამოვარდნილი.

ახალგაზრდები გაშეშებულნი უყურებდნენ მახარეს. პაუზა დიდხანს გაგრძელდა.

ბოლოს ისევ ოთარმა დაარღვია სიჩუმე:

_ მერე, პაპა?

_ მერე ის, რომ მკვლელობა საშინელი დანაშაულია. სხვისი სიცოცხლის ხელმყოფი ცოდავს არამარტო ადამიანის, არამედ ღმერთის წინაშეც, რადგან ჩვენ არა გვაქვს უფლება, ღმერთის მიერ მონიჭებული სიცოცხლე მოვუსპოთ კაცს. მკვლელობის განსაკუთრებული სახეა აბორტი. ამ დროს თვით დედა ხდება მკვლელი საკუთარი შვილისა. სამწუხაროდ, ბევრნი ვერ გრძნობენ დანაშაულს, არადა ამისათვის მკაცრად დაისჯებიან. რა თქმა უნდა, დაისჯება ისიც, ვინც აბორტს აკეთებს. ერთი გინეკოლოგი ქალი გვყავდა სოფელში. უფალმა ჯერ მოძღვრის მეშვეობით გააფრთხილა. რომ არ შეისმინა, იმით დასაჯა, რომ შვილიშვილი დაეღუპა არც თუ ისეთ მძიმე ავარიაში. ყველა გადარჩა, ის კი გარდაიცვალა. საშინელი ცოდვაა თვითმკვლელობა. იგი პროტესტია ღმერთის ნების წინააღმდეგ და სულიწმიდის გმობად ითვლება. თვითმკვლელი, თუ იგი ფსიქიკურად დაავადებული არ არის, საბოლოოდ წარიწყმედს სულს. მისთვის ლოცვაც კი არ შეიძლება. თვითმკვლელად ითვლება სიგარატის მწეველი ადამიანი, რომელიც ამ ეშმაკის საკმეველით ღმერთის მიერ ბოძებულ სულს ნელა-ნელა კლავს ნიკოტინით. ფიზიკურის გარდა, არის სხვა სახის მკვლელობაც: შეურაცყოფით, ცრუმოწმეობით, დასმენით, ცილისწამებით. წმიდა იოანე ღვთისმეტყველი გვასწავლის: «ყოველსა, რომელსა სძულდეს ძმაი თვისი, იგი კაცის მკვლელი არს და იცით, რამეთუ ყოველსა კაცის-მკულელსა არა აქუს ცხოვრებაი საუკუნოი».

მეშვიდე მცნება: არა იმრუშო.

_ მეშვიდე მცნება არა იმრუშო, _ განაგრძობდა მახარე, _ კრძალავს არაკანონიერ, დანაშაულებრივ ურთიერთობას ქალსა და კაცს შორის. აქ შედის შემდეგი ცოდვები: სიძვა, მრუშობა, სისხლის აღრევა, გარყვნილება, ცოლ-ქმრული ცხოვრების დამახინჯებული სახეები და სხვა. ჩვენს სოფელში, როდესაც ეგრეთწოდებულმა დემოკრატიამ შემოაბიჯა, რატომღაც ადამიანების უმრავლესობამ ცხოვრების ეს ფორმა სრულ თავისუფლებად აღიქვა და თავის თავს თავის შეკავების ყველა კარი გაუღო, რამაც გამოხატულება პირველ რიგში ცხოვრების ამ ბინძურ წესში ჰპოვა. სიძვის მოყვარულთა ხროვა ფულისა და სიმდიდრისკენ მიიწევდნენ და ზოგმა თურქეთში და ზოგმა კი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ამოყო თავი. «სიძვაი და ყოველი არაწმიდებაი... ნუღაცა სახლდებიან თქვენს შორის» გვაფრთხილებს პავლე მოციქული. ადამიანს დიდი თავშეკავება მართებს. აკი ბრძანებს უფალი: «თუ კაცი ნდომით შეხედავს ქალს, მან უკვე იმრუშა თავის გულში». არაწმიდა ფიქრები, სურვილები, უხამსი სიმღერები და ხუმრობები, ზედმეტი გართობა, უზნეო სანახაობები, ნაყროვანება, სასმელის უზომო სმა არის ცოდვა, რომელიც მეშვიდე მცნების დარღვევითა და მძიმე დანაშაულით მთავრდება. დანაშაულს კი მოსდევს ღმერთის სასჯელი.

მერვე მცნება: არა იპარო.

_ ძალიან დიდი ცოდვაა ქურდობა, _ განაგრძობდა მახარე, _ ქურდი კაცობრიობის არსებობის მანძილზე ყოველთვის მკაცრად ისჯებოდა. არავის აქვს უფლება აიღოს ის,

რაც მას არ ეკუთვნის. აქ შედის შემდეგი ცოდვები; ქურდობა, ანუ სხვისი ნივთის, სხვისი საკუთრების მალულად აღება; ძარცვა _ სხვისი ქონების ძალით მიტაცება; მკრეხელობა _ ღმერთისათვის მიძღვნილი, Aშეწირული ნივთებისა და საერთოდ, საეკლესიო ქონების მითვისება ან მოპარვა; მექრთამეობა, მევახშეობა, მუქთახორობა და ვინ მოთვლის კიდევ რა. კომუნისტებმა კი თავისი ბინძური მიზნების მიღწევისათვის "კანონიერი ქურდის" ინსტიტუტი შექმნეს და ამით ხალხის დამონების და განადგურების ახალი მეთოდები შეიმუშავეს. "კანონიერი ქურდი" მათი იარაღი იყო ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ. ისინი მთავრობასთან ერთად მართავდნენ უდიდეს გულაგებს, კოლონიებს და ციხეებს. თავიანთი ნამდვილი სახე რომ დამალონ, ზოგჯერ "კანონიერი ქურდები" და დამნაშავენი, თავისი საქციელის გამართლების მიზნით სახარებიდან იშველიებენ იმ ავაზაკის მაგალითს, რომელიც მაცხოვართან ერთად აწამეს, და რომელიც მასთან ერთად სამოთხეში მოხვდა. ავაზაკი შეწყნარებული იქნა, რადგან სიკვდილის წინ მოასწრო მონანიება. მან მთელი არსებით იგრძნო თავისი განვლილი ცხოვრების სიმძიმე და განაჩენიც სამართლიანად გამოუტანა თავს და თავის ამხანაგს, რომელსაც მასთან ერთად აწამებდნენ. ჯვარზე გაკრული კი მიუბრუნდა მაცხოვარს და უთხრა: «ჩვენ სამართლად ღირსი, რომელი ვქმენით, მოგვეგების». იმდენად ძლიერი იყო მასში სინანული, რომ ცოდვით დამძიმებული მისი გული განიწმინდა და იგრძნო ის, რასაც სხვები ვერ ხვდებოდნენ. იგრძნო, რომ მის გვერდით ღმერთი ეწამებოდა, ამიტომაც სთხოვა: «მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა» და მიუგო იესომ: «ამინ გეტყვი შენ: დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა». ეს ყველაფერი დღევანდელმა ქურდებმა იციან და იმის მაგივრად, რომ არ გაიმეორონ ქრისტესდროინდელი ავაზაკის შეცდომები, პირიქით უარესს სჩადიან, იმ იმედით, რომ ბოლოს მოვინანიებთ და შეგვინდობს უფალიო. ეს კი ასე არ არის. შენ თუ წინასწარ იცი, რომ რასაც ჩაიდენ, ის ცოდვაა, მას შენდობა არა აქვს. მართალია ღმერთის მოწყალებას არა აქვს საზღვარი, მაგრამ ღმერთის ნების წინააღმდეგ გამიზნულად წასულ ადამიანს, მხოლოდ ჯოჯოხეთი თუ გამოასწორებს.

Mმეცხრე მცნება: არა ცილ - სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.

_ მახარე პაპა, _ მორიდებით დაიწყო საუბარი გოჩა საბაურმა, _ თქვენ წეღან გვითხარით, რომ ჩვენს სოფელში დაბეზღებითა და ცილისწამებით ბევრი პატიოსანი ადამიანი განადგურდაო. რამ უნდა აიძულოს კაცი, რომ ასეთი არაადამიანური ნაბიჯი გადადგას?

_ სატანამ, შვილო, _ დაუფიქრებლად უპასუხა მახარემ, _ ღმერთის დავიწყების გამო ქართველები მკაცრად დაისაჯნენ.

_ კი, მაგრამ ისინი რა შუაში იყვნენ, მახარე პაპა? _ იკითხა გაოცებულმა საბაურმა, _ მათ ხომ დანაშაული არ მიუძღოდათ არავის მიმართ, ისინი ხომ ცილისწამების მსხვერპლნი შეიქმნენ?

_ სწორია, შვილო, გეთანხმები, მაგრამ მათ წინაპრების ცოდვამ უწიათ.

_ ეს როგორ, პაპა?

მახარე მხრებში გაიშალა, თვალი მოავლო მის წინ მდგომ ახალგაზრდებს და მშვიდად განაგრძო:

_ჩვენი უბედურება ის იყო, რომ ქართველი ქართველის წინააღმდეგ იბრძოდა. ეს

სამარცხვინო ომი დღესაც გრძელდება, მხოლოდ სხვადასხვა ფორმებით. ადრე, როდესაც ქართველს ქართველის დამარცხება სურდა, საშველად უცხო ტომის ხალხს უხმობდა ხოლმე. ხან თათარს, ხან სომეხს, ხან რუსს, ხან ოსს და ვინ იცის, კიდევ ვის. შემდეგ ამ თავის დამხმარე ხალხს თავისივე მამულში ასახლებდა და ასე იცავდა თავს მოყვასისაგან. ბევრმა ისინი გააქართველა კიდეც. საუკუნეების განმავლობაში უცხო თესლი გამრავლდა საქართველოში. მათ ქართველების მიმართ ზიზღი არ მოიშალეს. სწორედ ეს ფაქტორი გამოიყენეს ბოლშევიკებმა და მათთვის არასასურველი ქართველების მოცილება ისევ უცხო თესლის მეშვეობით დაიწყეს. ნაიარევში ესეთი ხალხი ბევრი ცხოვრობდა და ეხლაც გუგულებივით არიან ჩაბუდებულნი ქართველთა ბუდეში. მათ ფრთები ოცდაჩვიდმეტში გაშალეს და სოფლის საუკეთესო ხალხი ცილისწამებითა და დაბეზღებით ჩეკისტების ხელში ჩააგდეს. ეს უკანასკნელნი კი ჩიტებივით ხოცავდნენ მათ, ასახლებდნენ ციმბირის გულაგებში და შიშს თესავდნენ ხალხში, რათა ისინი ყურმოჭრილ მონებად გაეხადათ. ამას კიდეც მიაღწიეს, თუმცა ღმერთისგან დაუსჯელნი არ დარჩენილან. მძიმე ცოდვაა: ცრუმოწმეობა, ცილისწამება, დაბეზღება, მოძმის განკითხვა. ღირსი მამა ანტონი გვასწავლის: «ურჩხულის ენა ნაკლებ საშიშია, ვიდრე ენა ცილისმწამებლისა, რადგან ასეთი კაცი ჩხუბსა და განხეთქილებას აგდებს მშვიდობით მცხოვრებ ადამიანთა შორის, სთესავს ბოროტებას და ღვარძლს ახლობლებში, არღვევს ერთობას. ვინც ასეთ ადამიანს სახლის კარს გაუღებს, თვითონაც ცოდვის მორევში ჩავარდება. ასეთ კაცთან ურთიერთობა მკვლელთან ურთიერთობას ნიშნავსო». ცილისმწამებლის ენა მსგავსია გველის შხამისა. უმჯობესიც კია გველისა და მორიელის გვერდით ცხოვრება, ვიდრე ცილისმწამებელთან ახლოს ყოფნა, რადგან იგი თავისი სენით სხვასაც აავადებს და ისინი ერთად განიკითხებიან ღმერთის სამსჯავროზე. ღმერთი მოწყალეა, მაგრამ იცოდეთ, ცილისწამების ცოდვა ძნელად შეენდობა კაცს. წმიდა ანტონ დიდი გვაფრთხილებს: «ნუ შეგრცხვებათ ასეთი ადამიანებისაგან განზე გადგომისა, თორემ მათი შხამით თქვენც დაავადდებითო».

მეათე მცნება: «არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმოდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვრისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაცა იყვნეს მოყვასისა შენისა».

_ ცილისწამებითა და დაბეზღებით რომ გათიშეს სოფელი, _ განაგრძობდა მახარე, _ ფეხზე რომ არ დამდგარიყო, სატანა-კომუნისტებმა ახალი უბედურება მოუვლინეს მას. ეს იყო შური. ხომ გახსოვთ, როგორ განმარტავს მას დიდი სულხან-საბა: - «შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა». ნაიარევში ადგილობრივ კადრს არ აწინაურებდნენ. ყოველთვის რაიონიდან გამოგზავნილ ადამიანებს ნიშნავდნენ თანამდებობებზე, რომლებიც საკმაოდ დიდ ფულს შოულობდნენ, ხოლო ნაიარეველებს ლუკმას იმ დოზებით აძლევდნენ, რომ მათ თავი უზრუნველყოფილად არ ეგრძნოთ. თუ ვინმეს გაფუჭება უნდოდათ, სხვის დასანახად მეტს მისცემდნენ, რომ თანასოფლელებს ამ პიროვნებისადმი შური აღძროდათ. ის კი არ იცოდნენ იმ უბედურებმა, რომ შური პირველყოვლისა ზიანს აყენებს მას, ვინც ამ სენითაა შეპყრობილი. წმიდა ბასილი დიდი გვასწავლის: «სხვა ცოდვა უფრო უხეშია და სულშიც ისე არ ღვივდება, როგორც შური. შური კი ისე სჭამს კაცის სულს, როგორც ჟანგი რკინას». აი ასე გამოიჭამა ეს სოფელი და დღეს შურისგან გამოფიტულ ადამიანებს იმის თავიც აღარა აქვთ, რომ ეკლესიაში

მოვიდნენ, ცოდვები მოინანიონ და პატიება შესთხოვონ უფალს. ამიტომ ეკლესიის მრევლში უფროსი თაობის ადამიანები ნაკლებად არიან. მათ ვერ გადალახეს ის ზღვარი, რაც საუკუნო სიცოცხლემდე მიიყვანს. იქნებ, თქვენ აუხსნათ, შვილებო, რომ ეს აუცილებელია მათი სულის გადარჩენისათვის. უფალი ჩვენი ხსნისათვის გაეკრა ჯვარზე, ჩვენ კი იმის უნარიც კი არ გაგვაჩნია, რომ ერთმანეთს მივუტევოთ. ასეთი, სრულყოფილებამდე ლტოლვადაკარგული ადამიანების ხელით სოფელი ვერასდროს აშენდებოდა, ამიტომაც ნანგრევებიღა შეგვრჩა ხელში, _ თქვა მახარემ და წამოდგა ფეხზე.

ირგვლივ ყველა და ყველაფერი დადუმებულიყო. უცებ ჭადრის ხიდან ფოთლების შრიალის ხმა გაისმა და რამდენიმე წამში მოხუცის ფეხებთან მწვანე ფოთოლი დაეცა. მახარე დაიხარა, ფოთოლი აიღო, შემდეგ მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა, ხოლო მარჯვენით პირჯვარი გადაიწერა და აღმოხდა:

_ დიდება შენდა ღმერთო.

ნედლი ფოთლის ჩამოვარდნამ ახალგაზრდებში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ყველა გაკვირვებული იყო. ადრე ხომ ხიდან მხოლოდ ყვითელი გამხმარი ფოთლები ცვიოდა, რაც კარგის ნიშანი არასდროს ყოფილა. როგორც ჩანდა, ეს ღმერთის ნიშანი იყო უკეთესი გზით ცხოვრების შეცვლისა. ხსნის გზა მარტივია და ის თავად იესო ქრისტემ მოგვცა: «აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა, რამეთუ, უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს».

სართიჭალა
2004 წ

არჩევანი

(ვუძღვნი ჩემს ძმას)

«გინდა გადარჩე? დარჩი ეკლესიაში. თუ ეკლესიის წიაღიდან გახვალ, მგელი ანუ ეშმაკი მოგიტაცებს, თუ ეკლესიის წიაღში დარჩები, ეშმაკი ვერას დაგაკლებს. ეკლესიაზე ძლიერი ამქვეყნად არავინ და არაფერია. ეკლესიაშია შენი ძალა. ეკლესიაშია შენი ხსნა. ეკლესიაშია შენი ჭეშმარიტი ბედნიერება.»

იოანე ოქროპირი

სოფელში დავიბადე და გავიზარდე. სკოლის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობა ქალაქში გავაგრძელე. ერთ ადგილზე გაჩერება არ შემეძლო. სულ დავდიოდი. ხან ალთას ვიყავი, ხან ბალთას. სამსახურიც ასეთი მქონდა. ალთა და ბალთა, მოგეხსენებათ, რაც არის, ერთი ქვეყნის თავშია, მეორე _ ბოლოში.

ღმერთმა ადამიანი თავისი ცოდვების გამო დედამიწაზე ჩამოაგდო, სასჯელად

მიწაზე ცხოვრება მიუსაჯა და წუთისოფლის გზაზე ცოდვების მონანიება. ალთა_ბალთა სიარულით ცოდვები მოვინანიე კი არა, უფრო დავიმატე. ცოდვაზე ცოდვის დამატებამ ჩემი ცხოვრება უფრო და უფრო უკან დასწია და იძულებული გავხდი, სერიოზულად დავფიქრებულიყავი.

ქვეყანა არეული იყო. გამუდმებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველო უფსკრულის პირამდე მიიყვანა. ხალხი გაოგნებული იყო. ჩემმა საქმიანობამაც «ჩაილურის წყალი დალია». უსაქმოდ დარჩენილს ფიქრისთვის დიდი დრო მქონდა. შემეძლო ანალიზი გამეკეთებინა განვლილი ცხოვრებისათვის, რაც ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ შევძელი და დასკვნაც განსაცვიფრებელი აღმოჩნდა. დედამიწაზე ჩემი ცხოვრების პერიოდში ზეციური მამისათვის არაფერი მქონდა გაკეთებული. თურმე მხოლოდ მიწიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ვცხოვრობდი. ასე, რომ იმ კიბეზე, რომელსაც სულიერი აღმავლობისაკენ მიყავს ადამიანი, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ პირველ საფეხურზე ვიყავი გაჩერებული.

ჩემს თავში რომ კარგად გავრკვეულიყავი, გადავწყვიტე წავსულიყავი იქ, სადაც უფალმა ინება ჩემი ამქვეყნად მოვლინება. ასე რომ დახმარებისათვის ჩემს სოფელს მივმართე.

სოფელში ჩასვლამ ბავშობა გამახსენა. გავხალისდი. მოვიარე ის ადგილები, სადაც ვთამაშობდი მეგობარ_ამხანაგებში. ახლობლებთან ერთად ბევრი რამ გავიხსენე, ისინიც თანამიგრძნობდნენ. ზოგჯერ მათი მხიარულება და თანაგრძნობა ნაძალადევი მეჩვენებოდა. თავდაპირველად ამას ყურადღებას არ ვაქცევდი. მერე და მერე, რომ დავუკვირდი, შევამჩნიე, ეს ხალხი ჩემი დანახვისას მხიარულობდა, თუმცა მათი თვალებიდან უდიდესი ნაღველი და მწუხარება გამოსჭვიოდა.

ორი კვირის შემდეგ, როდესაც შეხვედრებით გამოწვეული ვნებები დაცხრა და მინელდა, დაწყნარებულმა შევხედე სოფლის ცხოვრებას. პირველი, რაც ხალხში აშკარად იგრძნობოდა, დაქსაქსულობა იყო. სოფელში ელიტა აღარ არსებობდა. რევოლუციებს ის დაეშალა და გაეთითოკაცებინა. წყალს რომ სათავე მოერღვევა, წყალი სხვადასხვა მიმართულებით იღვრება, ჩვეულ კალაპოტში აღარ მიედინება და შესაბამისად იმ ძალას კარგავს, რითიც აცოცხლებს, აძლიერებს მიდამოს და სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებს ყველას და ყველაფერს. ასე მოხდა ადამიანებშიც. სოფლის ინტელექტუალური სათავის განადგურებამ სოფელი და ხალხი დაქსაქსა. ნათქვამია: «ფარა რომ შემობრუნდება, კოჭლი ცხვარი წინ მოექცევაო.» ასეც მოხდა. მორღვეულ სათავეში ჭუჭყი და ათასი ნაძირალა მოექცია, რომლებმაც ხელიხელ საგოგმანები და რუდუნებით აქამდე მოტანილი ზნეობის კიდობანი დაამტვრიეს, დალეწეს, გასაყიდი კაპიკებში გაყიდეს და სათავეში წესიერების მაგივრად მეფეთ უზნეობა «დასვეს». ისიც დასვეს და დაჯდა. ნელა_ნელა პარაზიტივით დააჯდა ხალხს ზურგზე და სისხლის წოვა დაუწყო. პარაზიტები ისეთი ჯიშის გამოდგნენ, გაძღომას ვერ იგებდნენ და მოდგმაც ისეთი ჰყავდათ, ხალხს სხეულიდან არ სცილდებოდნენ, რამდენიც გინდა გამოეწოვათ სისხლი. ზედვე კვდებოდნენ, იქიდან კი არ ჩამოდიოდნენ. არც იყო გასაკვირი, რომ ჩამოსულიყვნენ, უკან ვეღარ ავიდოდნენ, რადგან ნორმალურ საზოგადოებაში ზევით ასვლა მხოლოდ რჩეულების ხვედრია. პარაზიტებს ცხოვრების დაწყნარება არავითარ შემთხვევაში არ აწყობდათ, რადგან ისინი კონკურენციას ვერ გაუძლებდნენ, ამიტომ ქვეყანას

ქრონიკული რევოლუციებისკენ უბიძგებდნენ და აღწევდნენ კიდეც ამას. კარგად ვიცით, რომ რევოლუციის შედეგებით ნაძირალები სარგებლობენ ყოველთვის, ამიტომაც ახალ_ახალ რევოლუციურ ტალღას აგორებდნენ ისინი და იყო პარაზიტების ცვლა ხალხის, სოფლის სხეულზე. სისხლის წოვის დროს მკვდარ პარაზიტს მეორე ენაცვლებოდა, ისე რომ მკვდარს სხეულიდან არ აგდებდა და ჩამპალი და ჩამყაყებული იყო ყოველივე. სხეულზევე ჭამდნენ და საქმობდნენ. აზროვნება საერთოდ არ არსებობდა და თუ მოხდებოდა სასწაული და ვინმეს გაუჩნდებოდა, ისიც კუჭის ზევით არ ადიოდა და უდღეური პეპლის სიცოცხლის ხანგრძლივობისა იყო.

სოფელში ჩამკვდარიყო სწავლა_განათლება, ხელოვნება, კულტურა. ხანდახან თუ გაიგებდით სადღაც შორს ეკლესიის ზარის ხმას... გაძლიერებულიყო შური და უზნეობა... საზოგადოების თავშეყრის ადგილი კი დარჩენილიყო მხოლოდ სოფლის ბაზარი, სადაც ვაჭრობა კვირა დღეს იმართებოდა და ხალხი დილიდანვე დიდი მონდომებით მიემართებოდა იქით. ზოგი მართლა სავაჭროდ, ხოლო უმრავლესობა «საბაზროდ», ანუ საჭორაოდ. ეს უკანასკნელნი ამ «საქმიანობას» ძალიან სერიოზულად უყურებდნენ, რადგან მათი მოკლე პარაზიტული ჭკუა_გონება ღრმად იყო დარწმუნებული, რომ აქ ამ ბაზარში იბადებოდა მათი მომავალი.

პარაზიტების «უნივერსიტეტიდან» უმრავლესობა გაცისკროვნებული სახეებით ბრუნდებოდა, ეს კი მაუწყებელი იყო იმისა, რომ ისინი იყვნენ პირველი მაცნეები თავიანთ ბირჟებისა, სადაც მიიტანდნენ ახალ ამბებს გასარჩევად და საჭორაოდ.

პარაზიტების «უნივერსიტეტის» ეს ფილიალები ბაზრობიდან ბაზრობამდე ასრულებდნენ ხალხის თავშეყრის ადგილების და ლაყბობის ფუნქციას. ეს კი კომუნისტების მიერ დატოვებული მემკვიდრეობის ერთგვარი გამოხატულება იყო. კომუნისტური პარტიის ყრილობიდან ყრილობამდე პერიოდში ამ უკანასკნელის ფუნქციას პლენუმები ასრულებდნენ. ესე იგი, ყრილობა იყო ბაზარი, ხოლო ბირჟა_პლენუმი.

«ავაი დღესა მასსა, რომელი მოიწია ჩვენდაო» _ უთქვამს მემატიანეს. ერთ დროს ღირსეული ხალხი რა დღეში იყვნენ ჩავარდნილნი. ჩვენ წინაპრებს რომ შეძლებოდათ საფლავიდან ერთი წუთით წამოდგომა, ისინი ისევ მოკვდებოდნენ ამ ბაზარ_ვაგზალ_ყრილობა_პლენუმ_მებირჟავე პარაზიტების შემხედვარენი. მაგრამ რას იზამ _ «რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო».

გადავწყვიტე ვინმესთვის გამენდო ჩემი გულის ნადები, მაგრამ ჩემს გარშემო ასეთს ვერ მივაგენი. ეკლესიაში რომ წავსულიყავი და უფალთან მესაუბრა, არც ეს გამომივიდოდა, რადგან სარწმუნოებისგან შორს ვიდექი და მეშინოდა, შეცდომა არ დამეშვა. გვიან კი მივხვდი, რომ უფლის მოშიშობა საწინდარი ყოფილა იმ ნათლის მიღებისა, რომელსაც ნატრობს ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი.

ჩემს თავსა და სოფლის ურთიერთობებში რომ გავრკვეულიყავი, სასაფლაოზე წავედი. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ ჩემს ქმედებას, რამ წამიყვანა იქ? რა, მკვდრებთან გავარჩევდი საქმეს თუ რა? მაგრამ მეტი ვერაფერი მოვიფიქრე. ჩემი თანასოფლელებისაგან ძალიან არ განვსხვავდებოდი. რაც გვასწავლეს, ისე ვიქცეოდი. ჩემი შეხედულებები იგივე იყო, რაც სხვებისა. სოფლის სამგანზომილებიან სივრცეში სხვებივით მეც ვიმტვრევდი თავს. რა ვქნა, ამის იქით ჩემი აზროვნება ვერ წვდებოდა, იმ ბაჭიასი არ იყოს, «ჩხიკვთა ქორწილში» დედას რომ სთხოვს, განუმარტოს, რატომ

უმღერის ჩხიკვი ზაქარა ჩხიკვ ქეთევანს სერენადებს. დედა კურდღელმა კარგად იცოდა ბაჭიას აზროვნების არეალი და ამიტომ მისთვის გასაგები ენით უპასუხა _ «კომბოსტო უნდა შვილოო». ასე ვიყავით მეც და ჩემნაირებიც. ერთი ეგ არის რომ პარაზიტობა არ ვიცოდი. ეტყობა, სოფელში ხანგრძლივი დროით არყოფნამ ამაცდინა ამ სპეციალობას. მკვდრებთან საუბარი კი კაცის ჩვეულება იყო ოდითგან. ვითომ რათაო? იკითხავ, ალბათ, მკითხველო. იმიტომ, რომ ქართველი კაცი თავისი ქედმაღალი ბუნებიდან და პირველობის სურვილიდან გამომდინარე, შეპასუხებას ვერ იტანს. მკვდარს კი არც შეპასუხება შეუძლია და არც ხელის შებრუნება.

მზიანი დღე იყო. საკმაოდ ცხელოდა. სასაფლაოზე რომ შევედი, საამო სიგრილე ვიგრძენი. გზის პირას, ორივე მხარეს, ფიჭვნარის ხეივანმა თავისი ქნა. უცბად აგრილდა. ჩემი სამი მიცვალებული ესვენა სასაფლაოზე _ მშობლები და და. უშველებელი ნაძვი დაჰყურებდა მათ საფლავებს. ნაძვის ძირში ჩამოვჯექი, თვალი შევავლე მიცვალებულების სურათებს და რატომღაც არჩევანი ჩემს დაზე შევაჩერე. ჩვიდმეტი წლის ასაკში უკურნებელი სენით გარდაიცვალა. მის ნაღვლიან გამოხედვაში ამოიკითხავდა ადამიანი იმ დიდ სულიერ ტკივილს, რაც მან ამ ქვეყანაზე ცხოვრების პერიოდში განიცადა.

თვალებზე ცრემლი მომადგა, რამაც სიტყვების ხმამაღლა გამოთქმის საშუალება პირის დაღებამდე მომისპო. დავიწყე ბუტბუტი. ცრემლი კი თანდათან მაწვებოდა და მაწვებოდა. ვერაფერს ვეღარ ვხედავდი. საშინელი დაღლა ვიგრძენი. თუმცა მერე საამო ჟრუანტელმა დამიარა მთელ სხეულში. უცებ დავინახე, რომ ჩემი დის საფლავის სურათი თანდათან გადიდდა და მე ჩავიძირე მასში. თითქოს ვიღაცამ ხელი მკრა და ელვის უსწრაფესად შემაგდო გამოქვაბულში, რომელიც ხან მარჯვნივ ტრიალებდა და ხან მარცხნივ. სასოწარკვეთილმა ხელები წინ გავწიე და მივყევი სიბნელეს. დიდი დრო არ იყო გასული, რომ კაშკაშა სინათლეში მოვხვდი, თუმცა თვალები არ ამჭრია, ყველაფერს კარგად ვხედავდი. ჩემს წინ ყვავილებით შემკული ლამაზი ხიდი იყო გადებული. ხიდის ბოლოში ჩემი და იდგა ორ ულამაზეს ჭაბუკთან ერთად და თავისკენ მიხმობდა. უცებ გამახსენდა ხალხში ნათქვამი: «მკვდარი თუ გეძახის არ მიხვიდე, თან წაგიყვანსო». მაგრამ იქ, მეორე მხარეს, ისეთი სილამაზე და სიკეთე სუფევდა, რომ არ წავსულიყავი, არ შეიძლებოდა.

წავედი კიდეც... წავედი კი არა, გავფრინდი, რადგან რამდენიც ვეცადე ფეხი დამედგა ხიდზე, არაფერი გამომივიდა. თითქოს ხიდი დაბლა იწევდა, ან მე მივფრინავდი მაღლა. ნელ_ნელა ვუახლოვდებოდი ჩემს დას, რომელსაც ისეთი გაცისკროვნებული სახე ჰქონდა, როგორსაც საჩვენოში ვერ ნახავდი. მთლიანად შარავანდედით იყო მოსილი. მარჯვნივ და მარცხნივ თითო_თითო ახალგაზრდა ედგა. ვერ ვარჩევდი, ვაჟები იყვნენ თუ გოგონები, ერთსაც ჰგავდნენ და მეორესაც, თან განსაკუთრებული სილამაზისანი იყვნენ. ისე ბრწყინავდნენ შარავანდედით მოსილნი, რომ თვალის გასწორება მიჭირდა. მერიდებოდა კიდეც და ისევ ჩემს დას ვუყურებდი. ის ხომ ჩემი იყო და მენატრებოდა კიდეც.

ნელ_ნელა ვუახლოვდებოდი მათ. ის იყო მოვემზადე დაიკოსთან ჩასახუტებლად, რომ ჩემს წინ რაღაც უხილავმა ძალამ გაიარა და ჩემი წინსვლა შეაჩერა.

_ შენ ჯერ აქ მოსვლის უფლება არა გაქვს, ძამიკო. _ მომესმა ჩემი დის ნაზი ხმა.

_ რატომ? _ ვიკითხე გაკვირებულმა.

_ ჯერ ადრეა. თან შენთან შეხება არ შეიძლება, რადგან იმქვეყნიური ცოდვებისაგან გასაწმენდი ხარ.

_ ჰმ?! მე და ცოდვა?

_ ჰო, ჩემო კარგო, შენ არ იცი, რომ დედამიწაზე ცოდვილები ცხოვრობენ?

_ როგორ არ ვიცი, დაიკო, _ ავიჩეჩე მხრები, _ მაგრამ მე ხომ უცოდველი ვარ.

_ ეგ მეორედ აღარ თქვა, _ გამიღიმა დაიკომ, _ უცოდველი მხოლოდ ღმერთია, თქვენ კი ადამიანები ცოდვების გამო გაგიშვათ უფალმა დედამიწაზე. შენ ეს ყველაფერი კარგად იცი, მაგრამ თავს იტყუებ, არ გინდა რომ უფლის სახლს მიაკითხო დედამიწაზე, რომელიც გიჩვენებს გზას ჭეშმარიტებისაკენ. ის მოგცემს მიმართულებას.

_ არა მჯერა. _ ვთქვი ცივად, თავი მაღლა ავწიე და ამპარტავნული მზერით გავიხედე სამეულისაკენ. აქ მოხდა ის, რამაც ჩემში შემდეგ ბევრი რამ შეცვალა. სამეული მე მიყურებდა და ეს გამოხედვა იმდენად სიკეთით აღსავსე იყო, რომ უნებურად შემრცხვა ჩემი სიტყვების. მხოლოდ წავილუღლუღე _ მაპატიეთ.

_ კარგია, რომ ხვდები შენს შეცდომას, _ ღიმილით მითხრა დაიკომ, _ შენი გამოსწორება ადვილი იქნება.

შემდეგ მიუბრუნდა თავის მეგობრებს და უთხრა:

_ დაათვალიერებინეთ ორივე და ისევ უკან, დედამიწაზე გაუშვით. მე მისი მჯერა.

ახალგაზრდებმა ერთმანეთს ღიმილით გადახედეს, ჩემსკენ გამოიხედეს და მითხრეს:

_ წავედით!

_ სად? _ შევეკითხე ჩემს დას, ისე, რომ ახალგაზრდებისაკენ არ გამიხედავს, _ ამათთან რა მინდა დაიკო, მე შენთან მოვედი.

_ ჩემთან შენ ოცი წლის შემდეგ მოხვალ, რა თქმა უნდა თუ ყველაფერს ისე გააკეთებ, როგორც მართმადიდებელ ქრისტიანს შეეფერება. ოცი წელი ჩვენთვის ერთი წამია, ხოლო თქვენთვის დედამიწაზე სიცოცხლის დიდი ნაწილი. ახლა კი წადი. დროა უკვე.

უცებ ავწრიალდი. ასეთ შეხვედრას არ ველოდი.

_ ის მაინც მითხარი, ვინ არიან ეს ადამიანები, ან სად მივყავარ?

_ ეგენი ადამიანები არ არიან, ღმერთმა დაიფაროს, ანგელოზები არიან. მოგატარებენ სამოთხეს და ჯოჯოხეთს, რათა დედამიწაზე დაბრუნებულს შეგეძლოს თეთრი შავისაგან გაარჩიო.

ამ სიტყვების თქმა იყო და ჩემი დაიკო გაფრინდა. მე თვალი გავაყოლე მხოლოდ... ვხედავდი მის ბრწყინვალე შარავანდედს, რომელიც ასევე გაბრწყინებულ და მარგალიტებით მოჭედილ ცას შეუერთდა.

ანგელოზებმა ხელი ჩამკიდეს და მაღლა ავფრინდით.

_ მეორე ცაზე ავიყვანოთ, ასე თქვეს ზევით. _ უთხრა ერთმა ანგელოზმა მეორეს.

_ ჰო, სწორია. სიცოცხლის შემდეგ ზედა ცებზე რომ არ მოხვდეს, გული დაწყდება. _ უპასუხა მეორე ანგელოზმა.

გაკვირვებული ვუყურებდი ხან ერთს, ხან მეორეს და ვერაფერს ვერ ვაცნობიერებდი, გარდა იმისა, რასაც ვხედავდი. თუმცა ესეც არ ვიცოდი ბოლომდე. უცებ უცნაური, მაგრამ საჭირო კითხვა დამებადა. ძალიან, ძალიან დაბალ ხმაზე

შევეკითხე ჩემს მეგზურებს:

_ კი მაგრამ, თქვენ ქართული ენა საიდან იცით?

გაკვირებულმა ანგელოზებმა ერთდროულად შემომხედეს და ასევე ერთდროულად წარმოთქვეს:

_ აქ სხვა ენაზე არც საუბრობენ. ქართული ენა ღმერთის ენაა და ედემში ყველა ამ ენაზე საუბრობს.

_ მაშ ჩვენთან დედამიწაზე რატომ არის სხვადასხვა ანბანი და სასაუბრო ენა? _ ვიკითხე გაოცებულმა.

_ იმიტომ ჩემო კარგო, რომ თქვენ ღმერთის ენა ვერ შეიფერეთ, _ თქვა ანგელოზმა, _ არ მიიღეთ ეს ღვთიური მადლი და გამჩენის წინააღმდეგ შეთქმულებაც მოაწყვეთ. ლაზარე _ ქართული ენა დამარხეთ და ზედ ამპარტავნების სიმბოლოს _ ბაბილონის გოდოლის აშენება დაიწყეთ. უფალთან ეძიებდით თანასწორობას, რაც ბოლოს გოდოლის დანგრევით დამთავრდა და რომ არ მოგეწყოთ ისევ შეთქმულება, ღმერთმა სხვადასხვა ერებად, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხებად დაგყოთ და დაგქსაქსად დედამიწაზე. ხოლო ღვთიური ენის დაცვა, ლაზარეს აღდგომამდე, იაფეტის მოდგმას _ ქართველებს დაგავალათ.

_ დღეს რომ მსოფლიოში არავინ იცის ქართული ენის ღვთიურობის ამბავი და არც არავითარი არქეოლოგიური გამოკვლევები გვამცნობს ამას? _ ვთქვი გაოცებულმა და პასუხის მოლოდინში ლაღად გავაგრძელე ფრენა.

_ ეს თქვენ არ გინდა დაინახოთ, თორემ იმდენი რამ არის დარჩენილი დედამიწაზე საუფლო ენის დამადასტურებელი, რომ მისი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. _ ღიმილით მიპასუხა ანგელოზმა.

_ იქნებ ერთი რამ მაინც მითხრათ. _ არ ვისვენებდი მე. ცნობისმოყვარეობამ ძალიან გამიტაცა.

_ ახლა ერთს გეტყვი, _ თქვა ანგელოზმა, _ ხოლო დანარჩენს უფლის მეორედ მოსვლის დროს თქვენ თვითონ ნახავთ. მთელ მსოფლიოში ეშმაკეული ძალისაგან დასაცავად ხალხს ცხენის ნალი აქვს არჩეული და ხშირად ნახავთ მას სახლის კარებზე ან ჭიშკარზე მიკრულს. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანულ ქვეყნებში ნალი ჯვარმა შეცვალა, იგი მაინც ინარჩუნებს თავის დატვირთვას და იცით რას ნიშნავს იგი?

_ არა. _ ვუპასუხე მაშინვე და გავინაბე პასუხის მოლოდინში.

_ იგი ქართული ასო_ბგერის «ღანის» გამოსახულებისაა, რაც ღმერთს ნიშნავს. ხოლო როდესაც ადამიანებმა ღმერთი აწამეს, ჯვარმა შეცვალა ნალი. უფლისა ჩვენისა ქრისტეს პირველი ასო_ბგერა «ქანი» ჯვრით გამოისახება. დღეს ადამიანთა სახლებზე ხშირად შეხვდებით ნალსაც და ჯვარსაც, რომელიც ქართული ასოებით არის გამოსახული და აღნიშნავს ღმერთს. ქართული ენის ღვთიური წარმომავლობის დამადასტურებელი ბევრი ნიშანია დედამიწაზე, რომელსაც თქვენ ვერ ამჩნევთ. თქვენ ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერეთ ლაზარე. არადა თქვენი სულების გადასარჩენად ეს აუცილებელია, რადგან ახლო არს ჟამი უფლის მეორედ მოსვლისა.

გაგონილისაგან ხმას ვეღარ ვიღებდი, თითქოს ეს ყველაფერი ვიცოდი, მრავალჯერ მქონდა ნანახი, მაგრამ არასოდეს მიცდია ჩავწდომოდი მის არსს. ალბათ იმიტომ, რომ ეკლესიისაგან შორს ვიდექი. ჩემში მატერიალური სამყარო უფრო მეტ სიმპათიას იწვევდა, ვიდრე სულიერი.

ღრუბლებში შევედით, ეს ჩვეულებრივ ღრუბლებს არ ჰგავდა, სხვანაირი იყო. მალევე გამოვედით იქიდან და ჩემს წინ გადაიშალა სანახაობა, რომელიც არსად არ მქონდა ნანახი, თქვენ წარმოიდგინეთ, ოცნებითაც კი მიუწდომელი იყო იგი ჩემთვის. მივხვდი, რომ ეს იყო პირველი ცის დასასრული და მეორე ცის დასაწყისი. აქ სუფევდა ნეტერება. უცებ ჩემს წინ სამი ქალწული გაჩნდა. ისინი ისეთი ლამაზები იყვნენ, რომ ადამიანური გონებით მათი აღწერა შეუძლებელია. ერთი შემიძლია ვთქვა, რომ ოქროსფერი კულულები და დედამიწაზე არარსებული ფერის თვალები Hქონდათ. სუფთა და ქათქათა კანი, რომელიც ისე ბრწყინავდა, რომ თვალს ვერ გაუსწორებდი.

ანგელოზებმა ჩემი თავი მათ ჩააბარეს. ერთი ქალწული წინ გაფრინდა, ხოლო ორმა მე ჩამკიდა ხელი, ერთმა მარცხნივ, ხოლო მეორემ _ მარჯვნივ და მეწინავე ქალწულს ხელიხელ ჩაკიდებული გავყევით. მივხვდი, რომ მოვხვდი მრავალგანზომილებიან სივრცეში. იქ სიგრძე, სიმაღლე და სიგანე არ იგრძნობოდა. ვერ ვიგებდი, ზევით ვიყავი თუ ქვევით. დედამიწაზე ხომ ნორმალური ადამიანის გადადგმული ნაბიჯი ლოგიკას ექვემდებარება, აქ ასეთი რამ არ იგრძნობოდა. იყო გამუდმებული გალობა, ჰაეროვნება და სიმსუბუქე. ღრუბლისმაგვარ მთის ფერდობზე მოჩანდა კოპწია სახლები, რომლებსაც ყვავილებისაგან დაწნული კედლები ჰქონდათ. ეზოებიც ყვავილების ღობეებით იყო შემოფარგლული. ეზოებიდან და სახლებიდან ადამიანები იცქირებოდნენ. ბავშვებს და მოხუცებს ვერ ვხედავდი. ვიფიქრე ალბათ, სახლებში არიან შესულები_მეთქი. ბოლოს ჩემ თანმხლებ ქალწულებს ვკითხე:

_ ამ სოფელში მოხუცები და ბავშვები არ ცხოვრობენ?

ქალწულებმა ღიმილით შემომხედეს და მითხრეს:

_ აქ ყველა ოცდაცამეტი წლისაა, დიდებიც და პატარებიც.

_ ეს როგორ?

_ მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე ხომ ოცდაცამეტი წლის გამოვიდა თქვენი ქვეყნიდან, ამიტომაც ყველა ედემელის ასაკი ასე განისაზღვრება.

_ კი, მაგრამ, რას ჭამენ, რას სვამენ? მხოლოდ ვარდებით და ყვავილებით იკვებებიან? _ არ ვცხრებოდი და კითხვას კითხვაზე ვსვამდი.

_ აქ საჭმელ_სასმელი არ არის და არც სხვა რამ, რასაც თქვენ ქვევით მაცხოვრებელი ხალხი, ანუ დედამიწელები სიამოვნებას ეძახით.

_ ვაჰ! არც პურ_მარილებია და დროსტარება? _ არ ვცხრებოდი მე.

ქალწულებს გაეღიმათ. რა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდნენ ჩემს მიწიერ გადაკრულ_გადმოკრულს და შეკერილ სიტყვებს.

_ აქ ღვთის მადლი ტრიალებს, ჩემო კარგო. _ მიპასუხა ერთ_ერთმა ქალწულმა, რომელსაც ჩემი მარჯვენა ხელი ეჭირა.

_ მერე? _ ჩავაცივდი ჩემს მარჯვნივ მფრენს.

_ მერე ის, რომ ღვთიური მადლის მეშვეობით, ამ ადამიანებს არაფერი აკლიათ. მაგრამ ამ ყოველივეს შენი ადამიანური გონება ვერ ჩაწვდება და ვერ დაინახავს. შენთვის უხილავია მათი ცხოვრება. ხილული მაშინ შეიქნება, თუ პირნათლად შეასრულებ დედამიწაზე ცხოვრების პერიოდში ღვთისა მიერ, თქვენს გადასარჩენად, დაშვებულ კანონებს. ერთს გეტყვით მხოლოდ, დედამიწაზე ადამის მოდგმიდან დღემდე რაც სიკეთე და სიხარული ყოფილა, ერთად შეკრებილი ვერ მოვა იმ ნეტარებასთან, რომელიც ამჟამად შენთვის აქ, მეორე ცაზე, დაფარულია. რასაც ხედავ,

ის ხომ მოგწონს?

_ ასეთი სილამაზე არსად მინახავს, _ ვუპასუხე გაოცებულმა.

_ ზედა ცებზე უფრო და უფრო მშვენიერებაა. _ მითხრეს ქალწულებმა და ირაოს მაგვარი ფრენით მიმიყვანეს იმავე ადგილზე, საიდანაც წამიყვანეს. ჩააბარეს ჩემი თავი ანგელოზებს და თვითონ გაუჩინარდნენ.

ანგელოზებმა ხელი ჩამკიდეს და ელვის უსწრაფესად დაეშვნენ ქვევით. ყველაფერი წამებში მოხდა. შევედით სიბნელეში, მხოლოდ ჩემს გვერდზე მფრინავ ანგელოზებსღა ვხედავდი. სხვა არაფერი ჩანდა. ნელ_ნელა სიბნელეს თვალი შევაჩვიე და გავარჩიე მთები და მდინარეები, ხეები და მინდვრები, რომელიც შავი და ნაცრისფერი იყო. შორიდან გამყინავი ხმები ისმოდა. შიშმა შემიპყრო. გავყუჩდი, ანგელოზები მიხვდნენ ჩემს გასაჭირს და უფრო ახლოს მოფრინდნენ ჩემთან. მე მხოლოდ მათი ნათება და სითბო მანუგეშებდა, სხვა მხრივ ვგრძნობდი, რომ ძალიან დათრგუნული ვიყავი. გული ცუდის მოლოდინში იყო.

ისე აგიხდა ყველაფერი.

მდინარეს მივყვებოდით. იგი მაღალ მთებს შორის მიედინებოდა. მალე შესართავი გამოჩნდა და ჩვენს წინაშე გადაიშალა დიდი შავი ტბა, იგი სავსე იყო ადამიანებით, რომლებიც სიმწრისა და ტკივილისაგან გმინავდნენ, შველას ითხოვდნენ. სამწუხაროდ, მაშველი არავინ იყო. ჟამიდან ჟამზე ტბიდან ამოიმართებოდა შავი ურჩხული, უშველებელი ფრთებით, რომელიც სავსე იყო ღონემიხდილი ადამიანებით. მათ ყვირილის თავიც აღარ ჰქონდათ, უაზროდ ფართხალებდნენ ურჩხულის ფრთებზე. შემდეგ ეს უკანასკნელი ამოფრინდებოდა ტბიდან და მის ფრთებზე უგონოდ დაყრილ ადამიანებს გაიტაცებდა მთებს იქით მოგიზგიზე შავი ცეცხლისკენ, რომლის ნაპერწკლებიც ცვიოდა უკუნ სიბნელეში, შავ ლაქებად ეფინებოდა არე_მარეს და არ ჰქონდა ნათელი. ურჩხული გადაიფრენდა ცეცხლის თავზე, დაიბერტყავდა ფრთებს და ადამიანები შიგ ცვიოდნენ.

იყო კივილი, წივილი და გნიასი.

ადამიანები შველას ითხოვდნენ...

მაშველი არსად იყო...

შიშისაგან სული მეხუთებოდა. ანგელოზები ხმას არ იღებდნენ და მშვიდად მიფრინავდნენ ტბის გვერდით მდებარე მთის თავზე.

_ უფალი დიდია და კაცთმოყვარე, _ თქვა ერთ_ერთმა ანგელოზმა, _ მიუხედავად მრავალი ცოდვებისა, არ გაწირავს ადამიანს და საშუალებას აძლევს, რომ მოინანიოს ჩადენილი დანაშაული.

_ აქ სად უნდა მოინანიოს, _ წამოვიძახე გაკვირვებულმა, _ ეს ხომ უკვე ჯოჯოხეთია და ყველა სული გამზადებულია ტანჯვისათვის!?

_ ახლობლების გამუდმებული ლოცვა გადაარჩენს სულს სატანჯველისაგან. უფალი შეისმენს გულით აღვლენილ ლოცვას და დაეხმარება ყველას, ვისთვისაც დედამიწაზე ლოცულობენ. ამ მიზნით არის დაარსებული ტაძრები _ უფლის სახლები. ის ხომ ნოეს კიდობანია. კიდობანში კი ვინც იყო, ყველა გადარჩა. ამიტომ გამუდმებული ლოცვა უფლის სახლში სასაიკეთო შედეგს ყოველთვის მოიტანს.

ხმა აღარ ამომიღია. ნანახისაგან შევშინდი. ანგელოზებთან ერთად მივქროდი უკუნ სიბნელეში. უკან მოვიტოვეთ ჯოჯოხეთის ცეცხლი_გეჰენია და ადამიანთა

შემზარავი წივილ_კივილი. არ გასულა დიდი დრო, რომ კიდევ ერთი შავი ცეცხლის ტბა გამოჩნდა. «რა დიდი ყოფილა ჯოჯოხეთი» _ ვფიქრობდი ჩემთვის _ «ესე იგი, რამდენი ცოდვილია ამ ქვეყანაზე. ნუთუ აქვს ყოველივე ამას დასასრული?»

_ დასასრული და დასაწყისი მხოლოდ უფალმა იცის, _ შეეხმიანა ჩემს გულისთქმას ანგელოზი, _ ეს სამყარო ხომ მან შექმნა და მის გარეშე ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს მის გარდაქმნას. ღმერთის კანონებს ემორჩილება ყველა და ყველაფერი. მხოლოდ ცოდვილმა ადამიანმა ვერ გაითავისა იგი. ადამიანთა ამპარტავნებამ იმ დონეს მიაღწია, რომ ისინი თვით გამჩენსაც კი უტოლებენ თავს. ის კი არ იციან, ამით თავის ფესვებს იჭრიან, იმ ტოტს ჭრიან, რომელზეც სხედან. თქვენი ქვეყანა, ამჟამინდელი საქართველო, ბაბილონის გოდოლის დროს გვაგონებს _ აღრეულ_დაღრეული, წარღვნილ_წაბილწული, დაცემული და განადგურებულია ყოველი, რითაც ოდითგან ამაყობდა, თავს ევლებოდა, ესათუთებოდა ქართველი კაცი, რაც საწყაო იყო ზნეობისა და მამულიშვილობისა. დღეს ხორცმა იმძლავრა სულზე, ზვაობს და აკნინებს მას, პირადულმა ჩაწიხლა ეროვნული, საზოგადოებრივი, წმინდა მცნებებს ისევ და ისევ მხოლოდ და მხლოდ პირადი ბილწი მიზნების მისაღწევად იფარებენ ან ჩოხასავით ირგებენ ხელისუფალნი დედამიწისანნი. ის კი არ იციან, ერთხელაც უფალი უკან მოსთხოვს მათ თავის ნაბოძებ სულს და დარჩებიან შიშველნი, ტიტველნი, გაძარცვულნი და აი აქ, ამ ჯოჯოხეთის ქვეყანაში მოუწევთ მოსვლა, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო.

_ მაშინ რატომ აჩენს ღმერთი ადამიანს თავის ხატად და მსგავსად, თუ ბოლოს ჯოჯოხეთის ალში უნდა დაწვას? _ გავბედე თქმა და პასუხის მოლოდინში გავინაბე.

_ ყოველ ადამიანში არის ხატება და მსგავსება ღვთისა, ოღონდ ხატება მას თავიდანვე აქვს მიცემული, მსგავსებას კი თავის მოღვაწეობით, რწმენითა და კეთილი საქმეებით უნდა მიაღწიოს. ამიტომ აქვს მას დედამიწაზე არსებობის პერიოდში მინიჭებული თავისუფლება. იგი ამ დროს ეშმაკისგან გამოიცდება. ადამიანმა წუთისოფლის ვნებათანგან ბევრ, თქვენებური გაგებით, სიამეზე უნდა თქვას უარი, თუ უნდა რომ ცხონდეს.

სმენად ვიყავი ქცეული. ანგელოზის სიტყვებს სულგანაბული ვუსმენდი. მახსენდებოდა მოხუცი მღვდლის ერთი ქადაგება, რომელსაც ეკლესიაში შემთხვევით მოხვედრილმა მოვუსმინე: «წუთისოფლის მეგობრობა ღმერთის მტერობაა. ესე იგი, დედამიწაზე ცხოვრების პერიოდში ბევრ, ეგრეთწოდებულ, სიამოვნებაზე უნდა ავიღოთ ხელი. საუნჯე ზეცაში უნდა დააგროვო და არა მიწაზე. ეს კი მხოლოდ ლოცვით მიიღწევა.» ეს ყველაფერი ზღაპრად მეჩვენებოდა. ახლა კი, ჯოჯოხეთის და სამოთხის ხილვისას დავრწმუნდი ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში. უცებ კანკალმა ამიტანა და სასოწარკვეთილს აღმომხდა:

_ აღარ დამთავრდა ეს ტანჯვა_წამება, როდის გავალთ ბოლოში?!

_ ჯერ მხოლოდ მცირე ნაწილი გავიარეთ, _ იყო პასუხი ანგელოზისა, _ დიდი და თვალუწვდენელია ეშმაკის სამფლობელო. მისი შედარებით ნათელი წერტილი დედამიწაა, სადაც ადამიანს ეძლევა საშუალება, თავიდან აიცილოს ჯოჯოხეთში მოხვედრა. შენც ასე მოგიწევს. უფლის ნებაა, დაგაბრუნოთ უკან შენი სულის და სხვა სულების გადასარჩენად. ამისათვის ცხოვრობთ თქვენ დედამიწაზე. ის ხომ წუთისოფელია. იქ თქვენ გეძლევათ შანსი, არჩევანი გააკეთოთ_ჯოჯოხეთში გინდათ

ცხოვრება თუ სამოთხეში. ამიტომ გეძლევათ თქვენ ღვთისაგან თავისუფალი ნება _ თავის უფლება. ვინც უფლის სახლში შევა და აღასრულებს ღვთის მცნებებს, ის ზეცაში მოხვდება, ხოლო ვინც არა _ აი, აქ. შენ მას ზევიდან უყურებ და გეშინია. აბა, დაბლა ჩადი. იქ მათი საცოდაობის დანახვაც კი დაგრთგუნავს. განა თქვენი დედამიწელი წმინდანი არ გეუბნებათ, რომ «გეჰენიაში არის ჩაუქრობელი ცეცხლი, ულმობელი ზამთარი, დაუძინებელი მატლი, აუტანელი სუნი, ენით უთქმელი მწუხარება, უნუგეშო ცრემლი, უშავესი წყვდიადი, საშინელი შიმშილი, დაუმცხრალი წყურვილი და წარმოუდგენელი სივიწროვე.» ჯოჯოხეთში შთაგდებულნი მარადიულ დაწვასა და ტანჯვა_წამებაში არიან, მაგრამ არ კვდებიან, რადგან საყოველთაო აღდგომისას, ანუ უფლის მეორედ მოსვლისას მოკვდავი ადამიანები, ცოდვილნიც და მართალნიც უკვდავებით შეიმოსებიან, კერძოდ, ცოდვილნი _ უკვდავი სიკვდილით, ხოლო მართალნი _ უკვდავი სიცოცხლით. ამიტომ გაითავისეთ ერთი რამ, თქვენი მომავალი ჯერ კიდევ თქვენ ხელშია, მაშ, აირჩიეთ, ადამიანებო.

ამის თქმა იყო, უცებ ავფრინდით ზევით და ისევ ნათელში მოვხვდით. ანგელოზებმა მიმაცილეს გვირაბამდე. ნათელიდან ბნელის გავლით ისევ საფლავის წინ აღმოვჩნდი. ჩემი დის სურათს ვუყურებდი გაფართოებული თვალებით. ის მიღიმოდა.

მიმოვიხედე, ირგვლივ არავინ იყო. მუხების უკან ეკლესიის გუმბათი და მასზე აღმართული ჯვარი მოჩანდა. ჩემდა უნებურად დავიჩოქე, პირჯვარი გადავიწერე და რაღაც საოცარი ხმით წამოვიძახე:

_ დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!

უეცრად საამური გალობა ჩამესმა ყურში: «ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა.»

შვებით ამოვისუნთქე. ავდექი და მაშინვე ეკლესიისკენ გავეშურე. ჩემში ცვლილებას აშკარად ვგრძნობდი, ვგრძნობდი, რომ ანგელოზმა არ მიმატოვა, მისი სიტყვები კვლავ ჩემს გონებაში ტრიალებდა: «თქვენი მომავალი ჯერ კიდევ თქვენს ხელშია. მაშ, აირჩიეთ, ადამიანებო.»

სართიჭალა

2006წელი.

ისინი

გოგიტა ზარიძემ დაბადებიდან მეორმოცე წელს ისე მიაღწია, რომ მისი ნამდვილი სახელი _ გიორგი მხოლოდ სამჯერ იქნა წარმოთქმული _ ნათლობისას, დაბადების მოწმობისა და პასპორტის მიღებისას. ორმოცი წლის განმავლობაში სოფელ ფოთლოვანში მას როგორც გოგიტას, ისე იცნობდნენ. წესიერი კაცი იყო გოგიტა, საკუთარი ოჯახის, ახლობლების, მეზობლების, ნათესავებისა და მეგობარ_ძმაკაცების

მოყვარული და პატივისმცემელი. მისი ცხოვრება, ალბათ, ასეც გაგრძელდებოდა, რომ არა თხუთმეტი წლის წინ მის სამყაროში შემოჭრილი ხილვები და სიზმრები. გოგიტას დიდი სურვილი ჰქონდა იმ სამყაროში ეცხოვრა, ყოფილიყო ზეადამიანი, ამიტომ ღმერთს გულით ეხვეწებოდა, რომ ის განსაკუთრებულ ადამიანად ექცია, ვის ყურადღებასაც მთელი სამყარო მიიქცევდა. როგორც ვიცით, ადამიანს ერთდროულად ღმერთიც უსმენს და ეშმაკიც. პირველი ყოველთვის ცდილობს, მის მიერ შექმნილი არსება სწორი გზით ატაროს, ხოლო მეორე, პირიქით, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ადამიანი ღმერთს ააცდინოს და მისი ცოდვების გამო თავი ჯოჯოხეთში უკრას.

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როდესაც კომუნისტური ცნობიერებიდან გათავისუფლებული ადამიანის გონების დაპატრონება ათასნაირმა სექტამ და ჯადოქარმა გადაწყვიტეს. ისინი ოჯახებში უვარდებოდნენ ხალხს. ქვეყანაში განუკითხაობა დაიწყო. დათარეშობდნენ სხვადასხვა საძმოები და ბანდფორმირებები. და აი ამ გაგანია არეულობაში გოგიტას თბილისში სტუმრად ყოფნის დროს, ხილულად გამოეცხადა თეთრებში ჩაცმული მოხუცი, რომელსაც ხელში წიგნი ეკავა და თვალებში უყურებდა. მერე მისკენ გადაიხარა და თბილი, რაღაც არაამქვეყნიური ხმით მიმართა:

_ რადგან გაგაჩინე ამ ქვეყანაზე, ისევ მე უნდა დაგეხმარო. ხვალვე მისწერე თქვენს მღვდელმთავრებს, რომ წინ აღუდგნენ ბოროტებას, ალაგმონ მხედრიონელთა თარეში. ეს იქნება ჩემი პირველი ნაბიჯი სცენაზე წესრიგის დამყარების საქმეში.

გოგიტა გაშეშებული უყურებდა მოხუცს. მან მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ მისი მხრების თავებზე ფრთები მოჩანდა. გოგიტა ვერ მიმხვდარიყო, ვინ იდგა მის წინ. მოხუცი კი განაგრძობდა:

_ შვილო, შენ მოგეცა ნიშანი. ცაზე დიდი ძალით დაიქუხებს. შენზე ილაპარაკებს ხალხი. შენ გახდები დიდი წინასწამეტყველი.

გაოგნებული გოგიტა ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის ირგვლივ. მას მხოლოდ აღმოხდა:

_ რა�ა!!!

მოხუცი შეტრიალდა კედლისკენ, გავიდა მასში და მეექვსე სართულიდან პირდაპირ სივრცეში გაუჩინარდა. გოგიტა მხოლოდ მაშინ მოვიდა აზრზე, როდესაც მოხუცის გასვლიდან რამდენიმე წამში უბნის ძაღლებმა ყეფა დაიწყეს. იგი წამოდგა და ფანჯრიდან გადაიხედა. მთვარის შუქით განათებულ ასფალტზე ძაღლები შეჯგუფებულიყვნენ, თავები მაღლა აეწიათ და თითქოს ზეცას უყეფდნენ.

_ ჯანდაბა! _ აღმოხდა მომხდარისაგან გაოცებულ გოგიტას, _ რა ხდება?! მე სადაური ღმერთი ვარ ან წინასწარმეტყველი. მგონი, რაღაც უბედურება მჭირს.

შემდეგ საწოლთან მივიდა. ჩამოჯდა. ასე იჯდა ერთხანს გაოგნებული. მერე კი მთლიანად მოეშვა, თავი ბალიშზე დადო და ღრმად ჩაეძინა. დილით გაღვიძებულს მოვლენილ მოხუცთან შეხვედრის ყველა დეტალი ზედმიწევნით ახსოვდა. მაგრამ დასკვნას ვერ აკეთებდა. ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის ირგვლივ. ერთს კი აშკარად გრძნობდა, რომ რაღაც უცნაურ, ჯადოსნურ წრეში მოექცა და იქიდან გამოსვლა არცთუ ადვილი იქნებოდა. არავის უყვებოდა მომხდარს. ამან უფრო ჩაკეტა თავის თავში. ერთ დროს მხიარული და ახლობლების მოყვარული ახალგაზრდა შესამჩნევად დაითრგუნა, რაც, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამოპარვიათ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს. ის კი თითქოს რაღაცას ელოდა. განიცდიდა.

ერთხელ შუაღამისას, როდესაც საკუთარ სახლში ეძინა, იგრძნო, როგორ გამოვიდა საკუთარი სხეულიდან. ოთახში ყველაფერი განათდა, უფრო სწორად, გაბრწყინდა. გოგიტა თავის სხეულს ზევიდან დაჰყურებდა. სასიამოვნო სიჩუმე სუფევდა ირგვლივ. ბოლოს, როცა ისევ თავის სხეულს დაუბრუნდა, გოგიტას გამოეღვიძა, მიხვდა, რომ სულმა სხეული დატოვა. მაგრამ ერთ რამეს ვერ ხვდებოდა. რატომ აირჩია იგი უფალმა.

ბავშვობა გაახსენდა. პატარა იყო, როდესაც მათი ოჯახი სრული შემადგენლობით ალავერდობაზე გაემგზავრა. კომუნისტების დროს ტაძარში მსახურება არ ტარდებოდა და ხალხი ღამეს ეკლესიაში ათევდა. მაშინ, როდესაც ყველანი იატაკზე ისხდნენ, ზოგს ეძინა კიდეც, ტაძარში მოხუცი წვერებიანი კაცი შემოვიდა კვერთხით ხელში, მას მხოლოდ გოგიტა ხედავდა. ამ კაცში მან თავისი თავი შეიცნო. ამ ხილვამ იგი დაარწმუნა, რომ ოდესღაც მხსნელის სახით მოევლინებოდა ქვეყანას.

გოგიტა ველარ აზროვნებდა. ვერც სხვას ანდობდა ამ ამბავს, რადგან იცოდა, დასცინებდნენ. არც მოძღვართან მიდიოდა. ამასობაში გამოცხადებებმა სხვანაირი სახე მიიღო. ტელევიზორში ეცხადებოდა იდაყვებზე დაყრდნობილი მოხუცი ქალი და ათას რამეზე ესაუბრებოდა. ეკლესია_მონასტრებშიც კი გააგზავნა მოსალოცად. ბოლოს უთხრა, როდესაც შენ შეგისრულდება ორმოცი წელი, შენზე სატანა ძალას დაკარგავს და თავს დაგანებებსო. გოგიტას გაუხარდა, მაგრამ დათქმულ ასაკამდე კიდევ შვიდი წელი უნდა ეცადა. ამიტომ მან შესთხოვა უფალს, რომ მისი მოსვლა დაეჩქარებინა. სანამ პასუხს მიიღებდა, დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა. ძილში ეშმაკები ეცხადებოდნენ სხვადასხვა სახით და მის დახრჩობას ცდილობდნენ. გოგიტა ამ დროს საშინლად კვნესოდა და ხან მეუღლე და ხან მშობლები მაშინვე აღვიძებდნენ. სხვადასხვა ექიმთან დაჰყავდათ, მაგრამ ავადმყოფობის მიზეზს ვერავინ ადგენდა. გოგიტა კი დუმდა და როგორც შეეძლო, ისე უმკლავდებოდა ბნელი ძალების შემოტევას.

და, აი, დადგა ნანატრი დღე. ორი ათასი წლის ქრისტეშობამდე ერთი თვით ადრე მას გამოეცხადა ანგელოზი. ყოველ შემთხვევაში ვიზუალურად ასე იყო. ანგელოზმა უფლის დავალება გადასცა:

_ ქრისტეშობამდე ორი კვირით ადრე წახვალ ფოთლოვანის ტყეში მეღორეებთან. ათი დღე დარჩები მათთან, საჭმელს არ გაეკარები, მხოლოდ წყალს მიიღებ. შემდეგ დაძონძილი ტანსაცმლით წახვალ თბილისში. ქრისტეშობას სიონში ხალხი და სამღვდელოება შემოგეგებება. ისინი შენკენ გამოიშვერენ ხელს და ერთხმად იტყვიან: «ეს ის არის.» შენ სამი წელი დარჩები ეკლესიაში და მოგეცემა ის ძალა და მადლი, რაც შეგაძლებინებს აღასრულო უზენაესის დავალება.

ანგელოზი გაუჩინარდა სივრცეში. გოგიტას გაეღვიძა. ჩამოჯდა საწოლზე და უცებ ტელევიზორიდან შავებში ჩაცმული ქალი გამოეცხადა, რომელსაც თვითონ ღვთისმშობელს ეძახდა. ქალი აფორიაქებული იყო და ყოველგვარი შესავლის გარეშე ხმამაღლა, თითქმის ყვირილით გადმოსძახა:

_ შვილო, არ წახვიდე, თორემ ყველაფერს შენ დაგაბრალებენ. შენში ჯერჯერობით ცხოვრობს მხეცი და შენ უნდა გააკეთილშობილო იგი. ეკლესიაში შენ წაგიკითხავენ კვეთებულს, მაგრამ იცოდე, მაგ დროს მე გვერდზე გავდგები და ვერ დამწყევლიან. მერე ისევ შემოვალ შენში და იქ ვიცხოვრებ.

მომხდარმა გოგიტა საბოლოოდ შეძრა. ის უკვე თავის ქმედებას და გულისთქმას ანგარიშს აღარ უწევდა. საერო ცხოვრებისაგან გარეთ დადგა, ეკლესიას საერთოდ არ

ეკარებოდა. იგი თავს ქრისტედ თვლიდა და ყველა ხილვას და გამოცხადებას მაცხოვრის თვალით უყურებდა. ერთხელაც გოგიტას ხილვა ჰქონდა. ქრისტეს ზეციდან ცხვარი დაუსვეს დედამიწაზე. ქრისტემ აიყვანა ცხვარი და ეკლესიას შესწირა.

გოგიტამ ხილვა ჩვეულებრივ მოვლენად ჩათვალა და თავისი ჭკუით კიდევ ერთი წარმატება ჩაიწერა თავის არქივში. ამაყად გავიდა სამზარეულოში, სადაც მისი მეუღლე საქმიანობდა. ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა და უცბად შემზარავი კივილი აღმოხდა. მეუღლეს სახე გაწითლებოდა, ნაოჭებით დაღარვოდა და დიდ ყურებს აქეთ_იქით იქნევდა. გოგიტას თვალთ დაუბნელდა და უცებ ზევიდან მოესმა ხითხითი:

_ შენი ნამდვილი სახე ხომ დაინახე?! ჰა... ჰა... ჰა...

ფოთლოვანში ფოთოლცვენა უკვე დამთავრებულიყო...

ცივმა ზამთარმა ზარიძეების ოჯახში, როგორც იქნა, ჩაიარა და გაზაფხულის მაცოცხლებელმა დღეებმა სიხალისე შემატა სოფელს და სოფლელებს. გოგიტამ დარდის გასაქარვებლად ოჯახით მდინარის პირას წასვლა გადაწყვიტა. იქნებ ხილვებისაგან დავისვენოო. მართლაც, მდინარის პირას გაზაფხულის სურნელით გაჟღენთილი ჭალა ნებისმიერ ადამიანს მოგვრიდა შვებას. ზარიძეების ოჯახი წნორის ხეებით შემორაგულ პატარა მინდორზე «დაბანაკდა». მდინარეც იქვე რამდენიმე მეტრში მოდუდუნებდა და ჩიტების გალობას თითქოს ბანს აძლევდა. მდინარის გაღმა მუხნარში პატარა მდელოზე ყოჩი დარბოდა. გოგიტამ თავიდან ყურადღება არ მიაქცია, იფიქრა, ახლომახლო ცხვრის ფარა იქნება და ყოჩი რის ყოჩია თუ აქეთ_იქით არ ირბინაო. ცხოველი კი ხან ერთ მხარეს გარბოდა, ხან მეორეს. თითქოს მას რაღაც უხილავი ძალა ეღობებოდა წინ და არ აძლევდა გასაქანს.

გოგიტა გაღმა გავიდა. მიმოიხედა. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. თითქოს ციდან ჩამოსვესო ყოჩი. გოგიტა ვერ ბედავდა მიახლოებას. ბოლოს ყოჩი თვითონ მივიდა მასთან და ეს მოუსვენარი ცხოველი მორჩილად დადგა მის წინ. გოგიტა უკან წამოვიდა და ყოჩიც გამოყვა. მდინარეზე გამოვიდნენ. სადაც გოგიტა წავიდოდა, ყოჩიც იქით მისდევდა. გოგიტას ხილვა გაახსენდა, როგორ შესწირა იესო ქრისტემ ნაპოვნი ცხვარი ეკლესიას. ზარიძემ კი პირიქით გააკეთა, ის ხომ თავისთავში დიდ წინასწარმეტყველს ხედავდა და დაასკვნა, რომ ამ გაჭირვების ჟამს ღმერთმა მას ცხვარი გამოუგზავნა.

რამდენიმე დღის შემდეგ გოგიტას ძილში ძლიერი ქუხილის ხმა ჩაესმა, ახდა პირველი ხილვის დროს დანაპირები. ქუხილს მკაცრი ხმა მოჰყვა:

_ რეგვენო! ეს რა გააკეთე? ღვთის ძღვენი რატომ არ შესწირე ღვთის სახლს?! წმიდა წერილში მაინც არ წაგიკითხავს, აბრაამს, ამ ღვთისმოშიშ კაცს ღმერთმა შვილის სანაცვლოდ როგორ გაუგზავნა ვერძი. ის კაცი ღმერთს შვილს, ისააკს სწირავდა მისი სიყვარულის დასტურად. ამის შემდეგ შენს თავს დააბრალე რაც მოგივა!

გოგიტას უცებ გაეღვიძა. ჯერ გონზე არ იყო მოსული, რომ თავში ტკივილი იგრძნო და სადღაც სხვაგან მოხვდა. აქაც იგივე ხმამ ჩასძახა:

_ შენს ცოდვებს თუ დროზე არ მოინანიებ, იცოდე, ბოლომდე დაეცემი!

ცოდვების მონანიება კი მოძღვარის გარეშე არ ხდება. გოგიტა ხომ თავისი ამპარტავნების გამო ეკლესიაში არ მიდიოდა, რის გამოც მას ორი წლის შემდეგ დიდი უბედურება დაატყდა თავს _ მცირეწლოვანი შვილი დაეღუპა.

მას შემდეგ გოგიტა ფოთლოვანში კარგა ხანს არავის უნახავს. როგორც ხალხში ლაპარაკობენ, რუსეთში წასულა და ერთ_ერთ მონასტერში აღკვეცილა ბერად.

მომხდარის შემდეგ კი იმ ველზე, სადაც ღმერთის გამოგზავნილი ყოჩი იპოვა გოგიტა ზარიძემ, დღეს წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია ააშენა ხალხმა. შეშინებული მოსახლეობა თითქმის ყოველ კვირას სწირავს სალოცავს ცხვარს, თუმცა ნიშანი ციდან ჯერ არა ჩანს.

სართიჭალა

2007წელი.

სიურპრიზი

ამერიკელი ჯეკ ბრაუნი შეერთებული შტატების ჯორჯიის შტატიდან გახლდათ. როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მომუშავე ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, სოლიდური ანაზღაურების სანაცვლოდ, კავკასიის ჯორჯიაში, ანუ საქართველოში სამსახური შესთავაზა, არც კი დაფიქრებულა და ათას ცხრაას ოთხმოცდაცამეტ წელს ზემოთ დაარსებულ ფირმასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა. ისინი დაფუძნდნენ ვაკეში, ხოლო ჯეკს საცხოვრებელი ბინა ბარნოვისა და რიგის ქუჩის კუთხეში დაუქირავეს.

ასე შეუერთდა ჯერ კიდევ აზიური სუნთქვით გაჯერებულ თბილისს კიდევ ერთი იანკი. რას ვიზამთ, ცხოვრების ჩარხი ხან წაღმა ტრიალებს და ხან უკუღმა. თუ აზია ოდითგან მსოფლიო ცივილიზაციის დედა იყო, ახლა ქართველებმა, თავიანთი ამპარტავნული აზროვნებიდან გამომდინარე და მსოფლიო ხალხების აზრის გაუთვალისწინებლად, ახალ პრომეთედ ამერიკელები მიიჩნიეს და ღმერთის მიერ მინიჭებული იაფეტური აზროვნება ევროპიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან იანკეთში გარეკილ სემიტებსა და ქამელებს დაუქვემდებარეს.

ჯორჯიიდან ჯორჯიაში ჩამოსული ჯეკი ერთ-ერთი მათგანი გახლდათ, გვარად ბრაუნი, რაც ქართულად ყავისფერს ნიშნავს. ალბათ, მისი წინაპარიც აფრიკელი ან არაბი ემიგრანტი იყო, ხოლო ამ უკანასკნელთა შთამომავალი დღეს იმ ქვეყნის წარმომადგენლად მოგვევლინა, რომელსაც არც ისტორია აქვს, არც ტრადიციები, ერის არსებობაზე ხომ საუბარიც ზედმეტია...

ჯეკისთვის ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მას პირველ რიგში აინტერესებდა მაღალი ანაზღაურება, რათა თავისი ცოლისთვის მიეხედა, რომელიც შვილს არ აჩენდა, რადგან იგი თავისი ცხოვრების ტვირთად მიაჩნდა, რომელიც ხელს შეუშლიდა იმ ბედნიერების მოპოვებაში, რომლის აგებასაც ჯეკის ხელფასით აპირებდა.

ჯეკ ბრაუნი საშუალო სიმაღლის, ოცდათხუთმეტი წლის ახალგაზრდა კაცი იყო. შავგვრემანი, ამერიკული იერ-სახით, მრავალი თავისი თანამემამულისაგან განსხვავებით, გამხდარი და სიცოცხლისუნარიანობას მოკლებული. ქვეყანა, სადაც ჩამოვიდა სამუშაოდ, ასევე უღიმღამო, ჩაბნელებული და ნაცრისფერი დახვდა.

სამსახურში და სახლში ელექტროგენერატორის ჩართვა-გამორთვამ ეს დანადგარი შეაძულა და იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ მის დანახვაზე დამამშვიდებელ აბებს ღებულობდა. შუქის ხშირად წასვლა-მოსვლამ ნევროზი დამართა. სამედიცინო შემოწების შემდეგ ექიმმა წამლებთან ერთად ბუნების წიაღში სეირნობა გამოუწერა. ამასთან, ურჩია, სახლში ელექტროგენერატორი აღარ ჩაერთო და სანთლით გაენათებინა ოთახები, რაც დააწყნარებდა მის გონებას.

როდესაც, სამსახურში ჯეკის სამედიცინო დიაგნოზი წაიკითხეს, გადაწყვიტეს იგი სამშობლოში დაებრუნებინათ, მაგრამ ბრაუნმა თვითონ განაცხადა უარი, ხელფასის დაკარგვა არ უნდოდა, არადა, როგორც სპეციალისტი, ძალიან ძლიერი იყო და ოფისის ხელმძღვანელიც დათანხმდა მის დატოვებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ თბილისში აღარ იმუშავებდა და ვინაიდან ექიმმა ბუნებასთან ახლოს ყოფნა ურჩია, ყვარლის ოფისში დანიშნეს მენეჯერის თანამდებობაზე. ჯეკი იოლად შეეჩვია ახალ სამსახურს. დილის რვა საათიდან საღამოს ხუთ საათამდე ოფისში მუშაობდა, ხოლო შემდეგ ყვარლის ტყეებში დასეირნობდა. საღამოს დაღლილ-დაქანცული მივიდოდა ხოლმე ბინაში, რომელიც რაიონის ცენტრში ჰქონდა დაქირავებული, დაანთებდა რუსული წარმოების პარაფინის სანთელს, მოემზადებოდა მეორე დღისთვის და შემდეგ დილამდე გაუნძრევლად ეძინა ძველმოდურ ზამბარებიან საწოლში.

* * *

გაუთავებელ მიტინგებს, რევოლუციებს, სახელმწიფო გადატრიალებებს და სხვა მსგავს, ვითომ მამულიშვილურ მოვლენებს, ქვეყნის დაქცევა მოჰყვა. სამსახურსა და საჭმელ-სასმელს მოკლებული ხალხი ღობე-ყორეს აწყდებოდა, რომ როგორმე გაეტანა თავი. თურქეთიდან შემოზიდული მდარე ხარისხის საკვებს ადგილობრივებმა თავიანთი ფალსიფიცირებული დაუმატეს და იყო ერთი ორომტრიალი სამომხმარებლო ბაზარზე. პროდუქტის ყიდვას რომ დააპირებდი, ყველანაირად უნდა გაგესინჯა და გაგეგო მისი წარმომავლობა, თორემ რამდენიმე დღის შემდეგ შეიძლება შენს ახლობლებს ფეხზე დგომით და ღვინით სავსე ჭიქით (არყის დალევა, მისი ფალსიფიცირების გამო, კოსმონავტის რისკის ტოლფასი იყო) ეთქვათ: «ნათელი დაადგეს იმქვეყნადო.”

ატომური ბომბის გარდა, თითქმის ყველაფერს ამზადებდნენ საქართველოში. არც ვაჟა და ტარიელი იყვნენ გამონაკლისი. ქალაქის ცენტრში ერთ-ერთ გარედან შეუხედავ, მაგრამ შიგნით გაკრიალებულ საამქროში შავი ხიზილალის დამამზადებელი საამქრო ჰქონდათ მოწყობილი და თბილისში უშვებდნენ მაღალ დონეზე მარკირებულ «ასტრახანის” ხიზილალას. ალბათ, იკითხავთ: «ეგ როგორაო?!” პასუხიც აქვეა: «აი ეგრე რა, ჭრელად.” რა უნდოდა მის დამზადებას, იყიდდი ბაზარზე ზუთხის, ან მისი «ბიძაშვილის”, მეთევზეები ბელუგად რომ მოიხსენიებენ და ქართულად სვია რომ ჰქვია, ძვლებს მოხარშავდი ზამთარში ჟელატინთან, ხოლო ზაფხულში «აგარ-აგარის” ფხვნილთან ერთად. შემდეგ წნეხის ქვეშ წინასწარ ზომებში დახვრეტილ ცხაურში გაატარებდი, რომელიც ჩაედინებოდა მცენარეული ზეთით სავსე ავზში და მიიღებდი თეთრ ბურთულებს, რომელსაც გაავლებდი შავი ბაიხის ჩაის ხსნარში, შემდეგ

ტექნოლოგის «ნოუ-ჰაუთი” დამზადებულ საღებავში, გაურევდი სულ მცირეოდენ ე.წ. «იასტიჩნი”, ანუ ზუთხის ან სვიის მოუმწიფებელ კვერცხებს და მიიღებდი შესანიშნავ, ბიოლოგიურად, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს, რომელსაც შემდეგ დააფასოებდნენ ასტრახანიდან შემოტანილ ქილებში, რა თქმა უნდა ქარხნის ლოგოთი დამშვენებული ხუფებით და თუ პროფესიონალი გურმანი არ იყო კაცი, ვერ გაიგებდა ეს ხიზილალა საქართველოში იყო დამზადებული თუ კასპიისპირეთში. მსხვილმარცვლოვანს კი, ე.წ. «ბელუჟნი იკრადაც” გაასაღებდი.

ვაჟა და ტარიელი ხიზილალის ბიზნესისათვის საჭირო ყველა მოწყობილობას და დასამზადებელ კომპონენტებს საქართველოში ყიდულობდნენ, გარდა შესაფუთი ქილებისა, რომელიც მათთვის ერთ ლეკს გადმოჰქონდა კავკასიის მთების გავლით ყვარლის ტყეში.

- ვაჟა, უნდა ვიჩქაროთ, - თქვა ტარიელმა, როგორც კი მანქანის საჭეს მიუჯდა, - იბრაგიმა თორმეტ საათზე მოვა დანიშნულ ადგილას. თუ დავაგვიანეთ, არ დაგველოდება.

- ვითომ რატომ? – იკითხა ვაჟამ.

- ეშინია, ძმაო. მართალია, ეს ნარკობიზნესის ტრასა არ არის, მაგრამ მაინც ხომ კონტრაბანდულ ტავარს ეზიდება და ხიფათში რატომ ჩაიგდებს თავს.

- დავაი, მაშინ დააწექი. თუ გინდა, მე დავჯდები საჭესთან.

- კაროჩე, წავედით. - თქვა ტარიელმა, ძრავი აამუშავა და ახალთახალი ნივა ადგილიდან მოწყვიტა.

ნახევარი საათი მაინც დააგვიანდათ. ის იყო იბრაგიმა წასვლას აპირებდა, რომ ბიჭებმა შეძახილით შეაჩერეს. ქილები და ხუფები მიითვალეს. ლეკის დახმარებით მანქანაში ჩატვირთეს. ფული გადაუხადეს პარტნიორს, დაემშვიდობნენ და იქვე მოჩუხჩუხე ნაკადულის პირას ჩამოსხდნენ.

- ცოტა დავისვენოთ და გავუდგეთ გზას. დღეს იქნებ საღამოს ჩამოვასხათ და ხვალ ერგნეთში გავუშვათ ტავარი, - თქვა ტარიელმა, მწვანე მოლზე ზურგით დაწვა და ცას შეხედა, - ლამაზია აქაურობა. აქ რა მოკლავს კაცს.

- ბიჭო, - გადაულაპარაკა ვაჟამ, - ამ ერგნეთში რომ დავარბენინებთ ხიზილალას, ცოტა დავაკლოთ ფასი და მაღაზიებს ჩავაბაროთ.

- ეჰ, ეგ, სანამ შენ მოხვიდოდი, ცხრაჯერ ვცადე, მაგრამ ამ ჩვენს ვაჭრებს ხომ ვერაფერს შეაგნებინებ. თავისი სერთიფიკატით, ანგარიშ-ფაქტურით მიმქონდა, მაგრამ ჩვენი, ქართული შეფუთვით კაცი არ ეკარებოდა. ქართული წარწერით ხიზილალას ვინ იყიდისო. მეც ნერვები მომეშალა და გულში ჩავიდე, ნახე თუ არ გაყიდინებთ-მეთქი. იბრაგიმას შევუკვეთე ასტრახანსკი უპაკოვკა და პირველი ორი ათასი ბანკა ერგნეთში წავიღე. თან ფასი ორი ლარით მოვუმატე. უნდა გენახა, სულ იმ სუპერმარკეტებმა დაიტაცეს, ვინც მე უარს მეუბნებოდა. ეგრეა, ძმაო, თვალი ჭამს და თვალი სვამს, - თქვა ტარიელმა, ღრმად ჩაისუნთქა ყვარლის ტყის ჰაერი და მარჯვენა მხარეს გადაბრუნდა, - ცოტას წავუძინებ, ვაჟა, და მერე გავიდეთ. შენც არ გაწყენდა ძილი, მთელი ღამე მოგვიწევს მუშაობა.

- არ მეძინება, ტო, - ჩაილაპარაკა ვაჟამ, - წავალ ცოტას გავისეირნებ და მოვალ.

ათი წუთი არ იყო გასული, რომ ვაჟამ აქოშინებულმა მოირბინა ტარიელთან.

- ბიჭო! გაიღვიძე, ტო! – დაბნეული ყვიროდა ვაჟა, - ადექი! ვიღაც კაცი აგდია იქ,

მგონი მკვდარია.

ტარიელი უცებ გამოერკვა. ათასმა აზრმა გაუელვა თავში. მაგრამ მაინც ძუნძულით გამოეკიდა ტყისკენ გაქცეულ ვაჟას. მართლა გულის შემაწუხებელი სანახაობა დახვდათ ადგილზე. ვიღაც ახალგაზრდა კაცი, რომელიც ქართველს არ ჰგავდა, გულაღმა გაშხლართულიყო მიწაზე. იქვე ზურგჩანთა და ხელჯოხი ეგდო. ტარიელი დაიხარა და ყური მკერდზე დაადო. უცებ წამოიძახა:

- ბიჭო, ცოცხალია! გული ფეთქავს.

უცხოტომელმა ადამიანის შეხება რომ იგრძნო, უცებ წამოჯდა და პირდაღებული უყურებდა ტარიელს და ვაჟას. მერე თითქოს გონს მოვიდაო, გაკვირვებულმა იკითხა ინგლისურ ენაზე:

1 სადა ვარ?! ვინა ხართ?!

ახლა კი გამოადგა ტარიელს სკოლაში ნასწავლი ინგლისური:

1 ქართველები ვართ, შენ ვინა ხარ?

2 ის სად არის?! – თავისას არ იშლიდა ინგლისელი.

3 ვინ ის?

- ვირი, ვირი, მოტორიანი ვირი... – თქვა უცხოელმა და ისევ დაკარგა გონი.

უცხოელთან მუხლზე დაჩოქილმა ტარიელმა ვაჟას ამოხედა გაფართოებული თვალებით და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- კახეთში ვირები რომ არავის აკვირვებს ეს ვიცი, მაგრამ მოტორიანი ვირებიც თუ ჰყავდათ, ნამდვილად არ ვიცოდი, - მერე თითქოს გონს მოეგო და უკვე სერიოზულად და თავდაჯერებულმა განაგრძო, - ეს გვინდოდა ტო, ეს საავადმყოფოშია წასაყვანი. ამ კონტრაბანდით სად ვატაროთ?

- მაიცა რა, ტარიელ, ვინ არის, იცი? – წამოიძახა ვაჟამ, - იქნებ წამალზე ბარიგობს, უცხოელია, აპასნია, ძმაო.

ტარიელი და ვაჟა კამათში ისე გაერთნენ, რომ ვერც კი გაიგეს, როგორ მოადგა ორი ახალგაზრდა კაცი. ეტყობოდათ, რომ გრძელი მანძილი ერბინათ, ტანსაცმელი ოფლით ჰქონდათ გაჟღენთილი. მიწაზე გაშოტილ უცხოელთან მდგარ გაოცებულ ბიჭებს მიახლოებისთანავე შესძახეს:

- ხალხო! აქეთ დვიჟოკიან ვირ არ ჩამაუვლია?

- რაა?! – ძლივს ამოიღო ხმა გაკვირვებისაგან გაშეშებულმა ტარიელმა. მცირე პაუზის შემდეგ ხელების აქეთ-იქით ტრიალი დაიწყო და თავისთვის ჩაილაპარაკა, - ბავშვობაში ტელევიზორში მინახავს მულტფილმი “კოჯრის ტყის ზღაპრები”. ყვარლის ტყის ზღაპრები ნამდვილად არ გამიგია. რა ხდება, ხალხო? ჩვენ გველოდებოდით?! ან ეს ინგლისელი ვინ არის, გაგვაგებინეთ!

- ეგა? ეგა ჯეკია, - გაეცინა ერთ-ერთ მოსულს, - ჩვენ მენახირეებ არ უვლიათ იმდენი ამ ტყეში, რასაც ეგ დადის. ამერიკელია! აქა მუშაობს ყვარელში, რაღაცა კანტორა აქვთ, - მერე მეგობარს გახედა და უთხრა, - ვანო! რა ჯანდაბა ჭირს, ნახე აბაა...

ვანო კარგი ექიმივით დაიხარა. გადაატრიალა, გადმოატრიალა ჯეკი, მაგრამ გონზე ვერ მოიყვანა. ბოლოს კახური «წამალი” გამოიყენა. ერთი მაგრად გაულაწუნა ლოყაზე და ჯეკმაც გაახილა თვალები. მერე წამოაყენა და მართლა კახურად მიმართა:

- რომელი ბღაჭიაშვილი შენა ხარ აქ რო გამოჭიმულხარ, სახლში ვერ დაიძინეეებ?!

ჯეკმა ამოისუნთქა, ყველას ეგონა, გვეშველა, რამეს გვეტყვისო, მაგრამ ამერიკელმა

ისე დაიწყო ბუტბუტი:

- ვირი, ვირი... მოტორიანი ვირი...

ჯეკთან ჩაცუცქულმა ვანომ ბიჭებს ამოხედა. ორივე თვალში კითხვის ნიშანი ეხატა.

- რაო, რა თქოოო...?

- რა ვიცი, სულ მოტორიან ვირზე ლაპარაკობს, ვერაფერი გავიგეთ. – უპასუხა ტარიელმა, რომელმაც თარჯიმნის თანამდებობა შეითავსა და ხელი ჩაიქნია.

ვანოს თვალები გაუბრწყინდა და სიხარულისგან გონზე მოსულ ჯეკს ეცა პერანგის საყელოში:

- ჰო, ჰო, საით წავიდა, ჯეკ?!

ამერიკელი კი ისევ გაშტერებული თვალებით უყურებდა ვანოს.

- ხედავ, ზაურ, - დაუძახა თავის მეგობარს ვანომ, - აქეთ ჩამოუვლია გულსუნდასა, სად წავიდოდა ჰა?!

- იმაი ბიო, სანამ ბენზინი არ გაუთავდება, არ გაჩერდება, ხო იცი, - უთხრა ზაურმა, - სუ იმაი რო გაიძახი, ეკონომიური დვიჯოკი მაქო, ენდე შეიძლება გურჯაანსაც გაიცდეს.

ამ დროს დაბნეული ტარიელი მიუახლოვდა ორივეს და აღელვებულმა იკითხა:

- ხალხო, გამაგებინეთ რა ხდება? რა დვიჟოკი, რის ვირი, რა მატორი. ეს გულსუნდა ვინღაა. დავიბენით, ადამიანები არა ხართ?

ვანოს და ზაურს გაეცინათ:

- კაცოო, - დაიწყო ვანომ, - აი, ემ უტვინოებ რო გადაეყრები, მა რა მოგივა. სათევზაოდ წამოვედით, აკუმლატორები დამჯდარი იყო. ამ უტვინოებმა კი მოკლე გზა მონახეს. მოდი ვირ ავკიდოთ დვიჟოკიო, ჩვენ წყალ გავყვებით დენითაო და ვირი კიდევ დვიჟოკ ნაპირ-ნაპირ გვიტარებსო. მე უთხარ ო, ვირ რო მაგდენი ტვინი ქონდეს, რო შენი დვიჟოკი ციმ-ციმ გიტაროს ნაპირ-ნაპირ, მაშინ იმაი ვირი აღარ ერქმეოდა-მეთქი. დაგიჯერეი რო. ხოდა რო ჩამოკრეი დვიჟოკსა და რო დაიქოქა, ვირიც დაიქოქა და დაქოქილი დვიჟოკით ტყეში დარბის. წადი და ეძებე. და მგონი ეს ჯეკიც იმან გადარია იმ მართლა გადარეულმა გულსუნდამა.

- კაცო, ეგ გულსუნდა ვინღაა? არ გადამრიო, კაცო! – თავს ვეღარ იკავებდა ისედაც ამდენი ამბის შემსწრე ტარიელი.

ვანო ცოტა უხერხულად შეიშმუშნა, მერე დაიმორცხვა და თითქოს გულიდან ამოიღო სიტყვები:

- ეგ სახელი ჩემ ვირსა ჰქვიან, იმ ვერანასა, ეხლა რო პაბეგშია.

გონს მოსული და მოსულიერებული ჯეკ ბრაუნი ტარიელმა და ვაჟამ მანქანით ყვარელში ჩაიყვანეს. მომხდარზე ბევრი იცინეს, ჯეკი, როგორც იქნა, მოვიდა აზრზე. ვერც გაამტყუნებდი. აბა, თქვენ წარმოიდგინეთ ვირი რომ მირბის ჩართული ელექტრო-გენერატორით, რას იფიქრებთ. თან მარტო ხარ ტყეში.

ბოლოს დაემშვიდობნენ ერთმანეთს. მისამართები გაცვალეს და ბიჭები თბილისისკენ გამოემართნენ.

როგორც შემდეგ გაირკვა, ვანოს ვირი გულსუნდა, გურჯაანის გზაზე უპოვიათ მართლა ვირივით გაჩერებული. როგორც ჩანს, ვიღაცას შესცოდებია ეს უწყინარი ცხოველი და მძიმე ტვირთი მოუხსნია და თან წაუღია. ვის და სად, ეს არავინ იცის გულსუნდას გარდა. იმისგან კი აბა რას გაიგებ, ის ხომ ვირია.

* * *

მომხდარის შემდეგ ჯეკ ბრაუნი ყვარლიდან ისევ თბილისის ოფისში დაბრუნდა და თავის მხსნელებთან – ტარიელთან და ვაჟასთან მეგობრობა განაგრძო. ბიჭებს, როგორც შეეძლოთ ისეთ მასპინძლობას უწევდნენ ჯეკს. ერთი კი უნდა ითქვას, თუ ბრაუნის სამშობლოში ხიზილალა და შამპანური იშვიათ და ძვირადღირებულ სიამოვნებას წარმოადგენს, აქ თბილისში, იგი მისი ცხოვრების განუყოფელ ატრიბუტად იქცა. ტარიელი და ვაჟა თითქმის ყოველდღე ახალ-ახალ ხიზილალას უგზავნიდნენ, ექვსიათას დოლარიანი ხელფასის მქონე ჯეკისთვის კი შამპანურის ყიდვა ძნელი არ იყო. ბრაუნი ნაქირავებ ბინაში, ყოველ საღამოს ხან მარტო, ხან ტარიელთან და ვაჟასთან ერთად სანთლის შუქზე შამპანურის სმითა და ხიზილალის ჭამით იქარვებდა ცივილიზებულ ცხოვრებაზე მონატრებულ გულს.

ასე განვლო ორმა წელიწადმა. ჯეკს კონტრაქტის ვადა დაუმთავრდა. ერთი სული ჰქონდა დაბრუნებულიყო სამშობლოში, სადაც ყველა პირობა იყო შექმნილი, რომ ადამიანს ადამიანად ეგრძნო თავი. აღარც ხიზილალა უნდოდა და აღარც შამპანური. მისი დანახვა ხასიათს უფუჭებდა ბრაუნს.

დადგა ნანატრი დღე. ჯეკს მეუღლემ დაურეკა ტელეფონზე და საგანგებოდ უთხრა, რომ მას სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით სიურპრიზს უმზადებდა, რომელსაც მხოლოდ სახლში მისვლისას იხილავდა.

იანკი წავიდა იანკეთში.

მეუღლე მას აეროპორტში დახვდა. მანქანით მიიყვანა სახლში, კარის ზღურბლთან თვალები აუხვია სპეციალურად მომზადებული შავი ქსოვილით და გააფრთხილა, რომ მხოლოდ სასტუმრო ოთახში შესვლისას მოხსნიდა თვალსაბურავს.

ჯეკი აღფრთოვანებული იყო სახლში დაბრუნებით და მეუღლეს ბედნიერი სახის გამომეტყველებით მისდევდა დაპირებული სიურპრიზისკენ და აი, დადგა ნანატრი წამიც.

- ჯეკ! მოემზადე! – თქვა ქალმა და შავი ქსოვილი ელვის უსწრაფესად
მოხსნა თვალებიდან.

ჯეკს გაბადრული სახე ნელა-ნელა სასოწარკვეთილებით შეეცვალა. ირგვლივ სიბნელე იყო, რასაც ჯეკი საქართველოში შეეჩვია და ორიენტაცია არ გასჭირვებია. შორს, სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან, საიდანაც ქალაქის ხედი იშლებოდა, მოჩანდა პატარა მაგიდა, რომელზეც ენთო ბრაუნისთვის ნაცნობი სანთლები, ამჟამად ორი, ხოლო სანთლებს შორის მოჩანდა ყინულებით სავსე მეტალის კალათში ჩადგმული შამპანურის ბოთლი და მის გვერდით თეფშზე ლამაზად გაფორმებული შავი ხიზილალა.

ჯეკმა მხოლოდ რამდენიმე სიტყვის წარმოთქმა მოასწრო:

- მიშველეთ... აქაც თბილისი?!

და გულწასული იანკი იანკურ იატაკზე გაიშხლართა.

სართიჭალა
2007 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორისაგან;

პალიტრა ნათელ_ბნელისა (რომანი);

ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე (რომანი);

მოთხრობები:

ათი მცნება;

არჩევანი;

ისინი;

სიურპრიზი.